

60
987



ISSN 0234-7385

ქართული რეალთავი

25

XIV-XV

XIV

კრებული ეძღვნება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავს. მასში შეტანილი მასალის ნაწილი ასახავს ინსტიტუტის მუშაობის სურათს 25 წლის მანძილზე ან, კერძოდ, ამა თუ იმ დარგში არსებულ მიღწევებს. წერილების ნაწილი ეძღვნება წყაროთმცოდნეობის, აგიოგრაფიის, პომილეტიკის, ძველი ქართული ენის გრამატიკის საკითხებს, შეტანილია წერილები დიპლომატიკისა თუ გენეალოგიის პრობლემატიკიდან.

კრებულში წარმოდგენილია ცალკეული დოკუმენტებისა თუ სხვა საისტორიო მასალის (წარწერების) პუბლიკაცია. აქვე ქვეყნდება ზოგიერთი საარქივო მასალაც და ინფორმაცია ახლად შემოსულ უცხოურ ლიტერატურაზე.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ც. აბულაძე, ც. კახაბრიშვილი (მდივანი), მ. მამაცაშვილი, ელ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ე. ცაგარეიშვილი, ე. ხოშტარია.

ტომის რედაქტორი ე. ხოშტარია.

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა
ისტ. მეცნ. კანდ. ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე

ელენე მებრეველი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის 25 წლის
მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა¹

სამართლიანად ამაყობს ქართველი ერი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი წარსულით, თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურით. ეს ის სიმდიდრეა, რომელიც დროთა განმავლობაში არათუ არ უფასურდება, არამედ, პირიქით, ხალხის შეგნებაში სულ უფრო და უფრო იზრდება მისი მნიშვნელობა და ღირებულება.

ჩვენი ერის ისტორია მრავლად იცნობს იმ ადამიანთა სახელებს, ვინც თავის პირველად მოქალაქეობრივ მოვალეობად ქართული კულტურის მატერიალური და ეროვნული ძეგლების შეგროვებასა და შესწავლაზე ზრუნვას მიიჩნევდა. ამ წამოწყებაში დიდი როლი ითამაშეს პეტერბურგის ქართველოლოგიის ფუძემდებლებმა, აკადემიკოსებმა თეიმურაზ ბაგრატიონმა და მარი ბროსემ². მაგრამ გეგმაზომიერი და საზოგადოებრივი ხასიათი ამ წამოწყებამ მხოლოდ XIX ს-ის 80-იან წლებში მიიღო, როდესაც მოწინავე ქართულმა ინტელიგენციამ შექმნა ისეთი მოქმედი საზოგადოებები, როგორცაა, მაგალითად 1879 წელს ჩამოყალიბებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. საქმის კარგი ორგანიზაციის გამო, მათი მადლიანი ხელი საქართველოს განაპირა რაიონებსაც კი მისწვდა.

საზოგადოების ვრცელ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ზრუნვას უძველესი ისტორიული ძეგლების შეგროვებასა და დაცვაზე. ამ კეთილშობილურ წამოწყებას სათავეში ედგნენ მეცნიერები, ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ე. თაყაიშვილი, დ. კარიჭაშვილი. იმავე მისიას ასრულებდა 1888 წელს შექმნილი საეკლესიო მუზეუმიც, რომლის ფუძემდებლებმაც მოკლე დროში შეაგროვეს ქართული ეკლესია-მონასტრებში მიმოფანტული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები და ხელნაწერი წიგნები. ამ მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია გამოირჩევა სიძველითა და განსაკუთრებული მნიშვნელობით. მუზეუმის მუშაობას წარმართავენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: დ. ბაქრაძე, თ. ყორღანი, მ. ჯანაშვილი.

¹ სტატია ერთვის ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნების სია, რომელშიც ჩართულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების პუბლიკაციები იმ პრობლემებზე, რომელთა შესწავლა და დამუშავება გაგრძელდა ხელნაწერთა ინსტიტუტში (მაგ., ხელნაწერთა აღწერილობები).

² P. P. Орбели. Собрание грузинских рукописей Института востоковедения АН СССР. Учен. зап. Ин-та востоковедения АН СССР, Л., 1954, т. 9.



1907 წელს შეიქმნა კიდევ ერთი სამეცნიერო საზოგადოება — ისტორიკო-ეთნოგრაფიული, რომლის ფუძემდებელი იყო ექვთიმე თაყაიშვილი. ე. შვილის მეცნიერულმა დაინტერესებამ და უშრეტმა ენერგიამ, უანგარობამ და სიძველეთა სიყვარულმა შეგვიძინა მის მიერ რუდუნებით მოპოვებული ოთხი ათასი ერთეულის შემცველი ქართული ხელნაწერების შესანიშნავი კოლექცია.

ამრიგად, XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში მიმოფანტული ხელნაწერების, ხელოვნების ნიმუშების, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების უდიდესი ნაწილი აღმოჩნდა კერძო საზოგადოებებისა და მუზეუმების საცავებში. მაგრამ მათი შესწავლისა და დაცვის საქმე იმ დროს სათანადო დონეზე არ იდგა, ვინაიდან ამისათვის საჭირო სახსრები გაცილებით აღემატებოდა კერძო პირებისა და კერძო საზოგადოებების შესაძლებლობებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ნაციონალური კულტურის მონაპოვრის შესწავლა და დაცვა სახელმწიფოს ზრუნვის საგანი შეიქმნა, შესაძლებელი გახდა უძველესი ძეგლების მიმართ ყველა საჭირო ზომების განხორციელება³.

1930 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ხელნაწერთა განყოფილება, სადაც თავი მოიყარეს ზემოთ მოხსენიებული კერძო საზოგადოებებისა და საეკლესიო მუზეუმის მიერ შეგროვილმა და შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცულმა ხელნაწერთა კოლექციებმა და ისტორიულმა დოკუმენტებმა. ამ განყოფილების შექმნისთანავე მუშაობაში ჩაებნენ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით: პ. იგნოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ალ. ბარამიძე, გ. ბოჭორიშვილი, გ. ჯაკობია, კ. გრიგოლია, შ. ჩხეტია და სხვ.

1941 წელს მუზეუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ხელნაწერების შესწავლასა და დაცვას. ამ საქმეში მნიშვნელოვან წამოწყებად უნდა ჩაითვალოს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ხელნაწერების აღწერის ინსტრუქციის შედგენა და ამ მიმართულებით მუშაობის დაწყება. 1946 წელს გამოქვეყნდა საქ. სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის I ტომი.

1953 წელს ხელნაწერთა განყოფილებას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი ფილოლოგი, პროფ. ილია აბულაძე⁴. მისი ინიციატივითა და მთავრობის მხარდაჭერით მომზადდა ნიადაგი სამეცნიერო ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად, რათა გაუმჯობესებულყო ხელნაწერი ფონდების დაცვისა და შესწავლის პირობები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1958 წლის 30 ივნისის დადგენილებით საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამასთან ერთად, დაიგეგმა სპეციალური კეთილმოწყობილი საცავისა და ინსტიტუტის შენობის მშენებლობა.

1962 წლიდან ინსტიტუტი აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელს ატარებს. ეს არ არის შემთხვევითი, ვინაიდან ინსტიტუტის ფილოლოგები ძირითადად იმ პრობლემებს ამუშავებენ, აღრმავებენ და აფართოებენ, რომლებიც კორნელი კეკელიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედიოდა.

3 ი. აბულაძე, უძველესი ხელნაწერების დაცვა და გამოქვეყნება საბჭოთა საქართველოში. ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები, თბ., 1960, ტ. 2, გვ. VII—XXIII.

4 Е. П. Метрелии. Илья Владимирович Абуладзе (1901—1968), АЕ за 1968 год. М., 1970, с. 465.



ხელნაწერთა ინსტიტუტი ძირითადად ახალგაზრდა კადრებით იყო შემავსებული. მათ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით სერიოზული მომზადება გაიარეს ფილოლოგიისა და ცოდვიკოლოგიის სფეროში. ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითსა და პრაქტიკულ მოღვაწეობას მისი სპეციფიკა განაპირობებდა. ინსტიტუტი ერთდროულად წარმოადგენს ხელნაწერთა საცავს და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში 6 განყოფილებაა: კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის, ძველი ქართული ფილოლოგიის, წერილობითი ისტორიული წყაროების, საარქივო ფონდების, დაცვის, აღრიცხვისა და ექსპოზიციის და პიგენისა და რესტავრაციის. ინსტიტუტს ემსახურება კარგად აღჭურვილი ფოტოლაბორატორია, მდიდარი ბიბლიოთეკა. ინსტიტუტში არსებობს რამდენიმე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის კაბინეტი (ივ. ჭავჭავიძის, კორნელი კეკელიძის, ილია აბულაძის, ნ. ბერძენიშვილის) და აგრეთვე ნ. სალიას სახელობის სამეცნიერო წიგნების ფონდი.

ინსტიტუტის ძირითადი მიზანია — ხელნაწერთა ფონდების შესანახად, კეთილმოსაწყობად და მოსავლელად მაქსიმალურად კარგი პირობების შექმნა და, ამავე დროს, უმდიდრესი ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლა, ქართული წერილობითი ძეგლების პუბლიკაცია და პოპულარიზაცია.

ინსტიტუტის საცავებში თავმოყრილია მდიდარი ხელნაწერი ფონდები: V—XIX სს. ქართული ხელნაწერები (9000 ერთეულზე მეტი), მათ შორის 200 X—XVIII სს-ის ილუსტრირებული ხელნაწერი და 4000 პალიმფსესტური ფურცელი. დაახლოებით 4000 ხელნაწერია რუსულ, სომხურ, ბერძნულ, სპარსულ, არაბულ, სირიულ, ძველებრაულ ენებზე. 40 ათასამდეა X—XIX სს. ქართული ისტორიული დოკუმენტი. უცხო ენებზე არსებული დოკუმენტების რაოდენობა 5 000 ერთეულს აღწევს. 60 000 ერთეულამდეა ქართველ და რუს საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა და სწავლულთა პირად არქივებში. გამოჩენილი მეცნიერის გრიგოლ წერეთლის პირად არქივში ინახება პაპირუსების მდიდარი კოლექცია. სულ უფრო მდიდრდება ინსტიტუტის მიკრო და ფოტოთეკა, სადაც თავმოყრილია ქართული, რუსული, ბერძნული, არაბული, სპარსული, იტალიური ხელნაწერებისა და დოკუმენტების მიკრო და ფოტოასლები როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე საზღვარგარეთული წიგნთსაცავებიდან და კერძო კოლექციებიდან.

ბუნებრივია, რომ ხელნაწერების აღწერა, ისტორიული დოკუმენტების და კერძო არქივების კატალოგების, ფონდების მეგზურებისა და სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-საცნობარო ლიტერატურის შედგენა ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. 1946 წლიდან მოყოლებული დღემდე მიმდინარეობს მუშაობა ხელნაწერების აღწერაზე. თანდათან უფრო სრულყოფილი ხდება აღწერის პრინციპები, რაც განპირობებულია მათ მიმართ მეცნიერული მოთხოვნილების ზრდით. ამჟამად ეს აღწერა ითვალისწინებს თითოეული ხელნაწერის წინასწარ კოდიკოლოგიურ და ისტორიულ-ლიტერატურულ შესწავლას. ამავე დროს, მხედველობაში მიიღება ხელნაწერთა განვითარების ისტორია: ტექსტების თარგმანები, გადამუშავებული რედაქციები. ხელნაწერთა ყოველმხრივი შესწავლისათვის ინსტიტუტში მიმდინარეობს თანამშრომლების სპეციალიზაცია შუა საუკუნეების ლიტერატურისა და მეცნიერების ამა თუ იმ დარგში. სადღეისოდ, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულია ხელ-



ნაწერთა აღწერილობის 26 ტომი, რომელთაგანაც 22 ტომი შეიცავს ქართული ხელნაწერების საინსტიტუტო ფონდის აღწერას კოლექციების მიხედვით.

განსხვავებული პერიოდებისა და ლიტერატურული სკოლების ხელნაწერთა თავმოყრამ მოითხოვა ცალკეული პრობლემების ან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ძეგლების შესასწავლად არა მხოლოდ საერთო, არამედ თემატიკურ აღწერილობათა შედგენა. ასე შედგა და გამოქვეყნდა სინური ქართული ხელნაწერების აღწერილობის 3 ტომი (5.1—3)⁵. მზადდება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების აღწერილობა (ფოტომასალების მიხედვით). გამოვიდა ათონის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომი. (4ა.1). გამოქვეყნდა აგრეთვე აღწერილობა ბერძნული ხელნაწერებისა⁶ და 3 ტომი არაბულ-სპარსულ-თურქული ხელნაწერებისა (9—11)⁷. მატენადარანთან თანამშრომლობით მთავრდება ინსტიტუტის სომხური ხელნაწერების აღწერა. შედგენილია მოხატული ხელნაწერების კატალოგი და მზადდება გამოსაცემად მათი ილუსტრირებული გავრცობილი აღწერილობა.

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შედგენილია თბილისის ხელნაწერთა საცავების ქართული ხელნაწერების აღწერილობა. დასრულდა აგრეთვე მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ხელნაწერთა აღწერილობა (მესტიის, ზუგდიდის, თელავის, გორის, ახალციხისა). ზოგიერთი მათგანი დაიბეჭდა. დაიწყო მუშაობა ქართული ხელნაწერების ერთიანი კატალოგის შედგენაზე; მიმდინარეობს რესპუბლიკის გარეთ არსებული ყველა ქართული ხელნაწერისა და დოკუმენტის აღრიცხვა. ამჯერად ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობენ ლენინგრადის სალტიკოვ-შჩენდრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის მდიდარი ქართული ხელნაწერების კოლექციის აღწერილობაზე. გამოქვეყნდა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების აღწერილობა⁸.

გამოსაცემად მზადდება განსვენებული მეცნიერის რ. ორბელის მიერ შედგენილი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობის II ტომი.

ბუნებრივია, ხელნაწერთა შესწავლის პროცესში აღწერილობა მთლიანად ვერ შეცვლის ხელნაწერს. ამიტომაც, 1950 წლიდან დაწყებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ყოველწლიურად ცდილობს საზღვარგარეთის დიდ წიგნთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფირების მიღებას. 1956 წელს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ შეიძინა ქართული ხელნაწერების სინური და იერუსალიმური კოლექციების მიკროფირები, მათი ღებულები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

1980—82 წლებში ინსტიტუტმა პარიზში მცხოვრები ქართველი მეცნიერების ნინო და კალე სალიებისაგან საჩუქრად მიიღო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის და ვატიკანის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების მიკროფირები. 1981 წელს კინორეჟისორმა გ. პატარაიამ და მკვლევარმა ა. მიქა-

5 სტატიაში ლიტერატურა მოითხოვებოდა „ხელნაწერთა ინსტიტუტის ძირითად შრომათა“ თანდართული სიის რიგითი ნომრით. ცალკეული სტატიები მოითხოვებოდა სქოლიოებში.

6 E. Э. Гранстрем, Греческие рукописи Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашви. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1959, ტ. XX — B, გვ. 191—194.

7 Ц. Л. Абуладзе, Описание и изучение восточных памятников в Институте рукописей АН ГССР, АЕ за 1981 г. М., 1982, с. 89—94.

8 ლ. ქუთათელაძე. ვ. ი. ლენინის სახ. ლენინის ორდენისანი სსრკ სახ. ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1953, ტ. XVII — B, გვ. 189—196.



ბერიძემ გადაიღეს ათონის ქართული ხელნაწერების კოლექცია და მისი ფირები სამეცნიერო დაწესებულებებს გადასცეს. დღეისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტს გააჩნია საზღვარგარეთ დაცული ქართული ხელნაწერების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კოლექციის მიკროფირი.

საზღვარგარეთის და ადგილობრივი მონოგენური ხელნაწერთა კოლექციების შესწავლასთან ერთად ინსტიტუტში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დიდი მუშაობა ადგილობრივი და საზღვარგარეთის ლიტერატურისა და კულტურის კერების ისტორიის შესასწავლად.

ამ პრობლემის ირგვლივ გამოქვეყნებულია XVIII—XIX სს. ქართველი მეცნიერების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მოგზაურობანი პალესტინასა და ათონზე (50; 52). ეს მოგზაურობანი (განსაკუთრებით ტიმოთე გაბაშვილისა) შეიცავენ ძვირფას, ზოგიერთ შემთხვევაში, უნიკალურ ცნობებს საზღვარგარეთის ქართული კულტურის ცენტრების ისტორიის შესასწავლად. ამ პრობლემებს ეძღვნება ელ. მეტრეველის შრომები: „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.)“ (65), „შეჰანის უდაბნო — XI საუკუნის უცნობი სკრიპტორიუმი პალესტინაში“¹⁰. მზადდება მონოგრაფია საზღვარგარეთის უმნიშვნელოვანესი ქართული ლიტერატურულ-კულტურული კერის — ათონის ივერთა მონასტრის ისტორიის შესახებ X—XVI საუკუნეებში.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობაში ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, გამოჩენილ მწერალთა და სწავლულთა პირადი საარქივო ფონდების მასალათა სისტემატიზაცია, კატალოგიზაცია და პუბლიკაცია. ინსტიტუტში დაცულია კავკასიაში მცხოვრებ რუს მოღვაწეთა მდიდარი პირადი არქივებიც. მათ შორის მკვლევართა ფართო წრის განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს ე. ვეიდენბაუმის პირადი არქივი: XIX ს-ის კავკასიის ისტორიის მასალები (დღიურის სახით) და კავკასიაში მოღვაწეთა ბიობიბლიოგრაფიული კარტოთეკა¹¹. გამოქვეყნდა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივების აღწერილობები (12—16) და საარქივო მასალების კრებულები (61; 69).

ინსტიტუტის თანამშრომლები იკვლევენ ქართული დიპლომატიკის, პალეოგრაფიის, სფრაგისტიკის, ფილიგრანოლოგიის, ეპიგრაფიკის, კრიპტოგრაფიის საკითხებს. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ამ თემატიკით საკმაოდ ბევრი გამოქვეყნდა ცალკეული წიგნებისა და სტატიების სახით ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემებსა და საკავშირო გამოცემებში¹². განხორციელდა ძველი ქართული დამწერლობის ნიმუშების ალბომის პუბლიკაცია (103). მიმდინარეობს ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარებასთან დაკავშირებული

⁹ Е. П. Метревели, Значение синаяской экспедиции 1902 г. в развитии грузиноведения. Тбилиси, 1976.

¹⁰ იხ. მრავალთავი, ტ. 5, თბილისი, 1976, გვ. 22—44. რეზიუმე რუსულ ენაზე.

¹¹ Э. Барнавели, Документальное наследие Е. Г. Вейденбаума. — АЕ за 1978 г. М., 1979, с. 258.

¹² Н. Шошиашвили, Развитие грузинской эпиграфики и палеографии. — В кн.: Проблемы палеографии и кодикологии в СССР. М., 1974, с. 393—402; Э. Хоштариа (Броссе), Состояние и перспективы собрания, изучения и публикации грузинских исторических документов. — В кн.: Источниковедческие разыскания, 1979, Тбилиси, 1984, с. 193—202.

საკითხების შესწავლა (105). დამუშავდა ქარაგმების¹³, პუნქტუაციის ტექნიკური და პირობითი ნიშნების ხმარების წესები ძველ ტექსტებში. გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი ქართულ ხელნაწერებში პუნქტუაციის სახეობებზე¹⁴ და ხელნაწერის ქაღალდის დამუშავებასა და ქაღალდის ჭვირნიშნების შესახებ¹⁵, ინტენსიურად შეისწავლება გადამწერთა ინსტიტუტი¹⁶ და ძველი ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების საკითხები¹⁷. გამოქვეყნდა მონოგრაფია ქართულ კრიპტოგრაფიული დამწერლობის სისტემებზე ქართული ხელნაწერების მიხედვით (104).

*
* * *

ქართული ისტორიული დოკუმენტების ერთიანი კატალოგის შედგენის მიზნით ინსტიტუტის ისტორიკოსებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა არქივებსა და წიგნთსაცავებში ქართული ისტორიული დოკუმენტების გამოვლენისა და ფოტოგრაფირებისათვის; ერთიანი კატალოგი ყოველწლიურად ივსება ახალი მასალებით.

ინსტიტუტის ბაზაზე, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის და საქ. ცენტრ. საისტორიო არქივის თანამშრომელთა მონაწილეობით, მზადდება ქართული ისტორიული დოკუმენტების მრავალტომიანი კორპუსი. დღეისათვის გამოცემულია კორპუსის I ტომი (60). განხორციელდა ისტორიული დოკუმენტებისა და მინაწერთა კრებულების პუბლიკაცია (59; 64; 65; 67). გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის მასალები (62). მთავრდება მუშაობა X—XVII სს. ქართული ისტორიული დოკუმენტების (5 500 ერთეული) საკუთარ სახელების ანოტირებული ლექსიკონის შედგენაზე, სადაც თითოეულ ერთეულს ახლავს მდიდარი დოკუმენტირებული ინფორმაცია. ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიკოსებს ფეოდალურ საგვარეულოთა ქრონოლოგიისა და ფეოდალური გვარების გენეალოგიის შეს-

13 ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ ი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში (V—X სს.). კრ.: პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. I, თბ., 1965, გვ. 77—94; მისივე, დაქარაგმება V—X სს. ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებში. კრ.-ში: პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. 2, თბ., 1969, გვ. 117—128; მისივე, Правила сокращения в памятниках древнегрузинской письменности.— В кн.: Проблемы палеографии и кодикологии в СССР, с. 434—439.

14 ლ. ქ ა ჯ ა ი ა, განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში (VII—X სს.). კრ.-ში: პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. I, გვ. 33—44; მისივე, პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში, კრ.-ში: პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. 2, გვ. 32—49; მისივე, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში, იქვე, გვ. 103—107.

15 რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, ქაღალდის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, კრ.-ში: პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. I, გვ. 45—56; მისივე, XIV—XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნები, იქვე, გვ. 108—119; მისივე, ჭვირნიშანი „სამი მთავარე“ XVIII სს. ქართულ ხელნაწერებში, კრ.-ში: პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. 2, გვ. 59—76; მისივე, ქართული ხელნაწერების ჭვირნიშანი „გვირგვინი“ XVI—XVII სს., კრ.-ში: მრავალთავი, ტ. 2, 1973, გვ. 210—235; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები, კრ.-ში: მრავალთავი, ტ. 5, თბ., 1976, გვ. 98—107.

16 ი. გ ა ჩ ე ზ ი ა ძ ე, მესხიველთა კალიგრაფიული სკოლა და მისი ერთერთი წარმომადგენელი სოლომონ მესხიველი.— მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 2, გვ. 156—167. მისივე, ალექსი მესხიველის კალიგრაფიული მოღვაწეობა. კრ.-ში: მრავალთავი, ტ. 6, თბ., 1975, გვ. 87—98.

17 ე. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V—XIII სს.), კრ.-ში: მრავალთავი, ტ. 2, თბ., 1973, გვ. 216—248.



წავლისას. დასრულდა აგრეთვე თბილისის საცავებში დაცული XVI—XVII საუკუნეების დოკუმენტების გამოსაცემად მომზადება. ამასთან დაკავშირებით დამუშავდა თურქული დიპლომატიკის რიგი საკითხებისა. უკანასკნელ წლებში ადგილობრივ და საზღვარგარეთის წიგნთსაცავებში გამოვლინდა რამდენიმე ახალი თურქული და სპარსული ნარატიული წყარო და დოკუმენტი საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიის შესახებ. ერთი ნაწილი ამ მასალისა უკვე გამოქვეყნდა (57; 54; 63).

ინსტიტუტში შეისწავლება და ქვეყნდება XVIII ს. არაბულენოვანი საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ამსახველი და დაღესტნური წარმოშობის დოკუმენტები¹⁸.

მზადდება გამოსაცემად ხელნაწერი წიგნების კიდევებზე მიწერილი ისტორიული დოკუმენტები, სულთა მოსახსენებლები და ისტორიული მნიშვნელობის ანდერძ-მინაწერები (70; 71; 104ა; 71ა), მიმდინარეობს წყაროთმცოდნეობითი და ტექსტოლოგიური შესწავლა და პუბლიკაცია ნარატიული ისტორიული წყაროებისა (55; 68) და შუასაუკუნეების სამართლის ძეგლებისა (82; 81; 83)¹⁹, აგრეთვე იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური ტერმინოლოგიისა საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემებთან დაკავშირებით (96). მუშავდება ქართული ისტორიული ძეგლების რუსულ ენაზე თარგმნის პრინციპები²⁰.

ისტორიული დოკუმენტების კატალოგიზაციისა და პუბლიკაციაზე მუშაობის დროს მიღებული გამოცდილებისა და დაგროვილი მასალების საფუძველზე ინსტიტუტის ისტორიკოსები ამუშავებენ ქართული დიპლომატიკის თეორიულ საკითხებსაც²¹.

ინსტიტუტში მიმდინარეობს სისტემატური და გეგმაზომიერი მუშაობა საქართველოს ცალკეული რეგიონების ეპიგრაფიკული ძეგლების გამოსავლენად, შესასწავლად და გამოსაცემად (106; 108). უკანასკნელი წლების მანძილზე ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალებით საგრძნობლად გამდიდრდა ინსტიტუტის ეპიგრაფიკულ ძეგლთა ფოტოთეკა²².

18 ნ. ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიადან (ერეკლე II ორი არაბული წერილი), მაცნე, ისტ., არქეოლოგ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1978, № 2, გვ. 163—166; მისივე, ერეკლე II-ის ორი წერილი ნუსალ-ბეგთან, მაცნე, ისტ., არქ., ეთნოგრ., და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1979, № 4, გვ. 156—163; მისივე, დაღესტნური წარმოშობის სამი არაბული დოკუმენტი, კრ-ში: მრავალთავი, თბ., 1980, ტ. 8, გვ. 121—126.

19 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა - ბ რ ო ს ე, ბექასა და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეულ ნუსხების ურთიერთმიმართებისა და ზოგიერთი მუხლის განმარტებისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია № 4, 1985; მისივე, ე. წ. „ბავრატი კურამალატის სამართალს“ შესწავლისა და საქართველოში მოქმედი ფეოდალური კანონმდებლობის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, № 1, 1987.

20 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა (ბ რ ო ს ე), ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნის საკითხისათვის, მაცნე, ისტ., არქ., ეთნოგრ., და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1979, № 1, გვ. 150—171.

21 მ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, XIV—XV სს. ქართული სამეფო სიგელების დიპლომატიკური თავისებურება, კრ-ში: ქართული წყაროთმცოდნეობა, 1978, ტ. 5, გვ. 63—69; მისივე, К вопросу о дипломатическом изучении грузинских царских грамот, — В кн.: Источниковедческие разыскания, 1979. Тбилиси, 1984, с. 180—185.

22 ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (შესწავლის შედეგები და ამოცანები), მაცნე, ისტ., არქ., ეთნოგრ., და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1975, № 1, გვ. 186—191; მისივე, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ, კრ-ში: მრავალთავი, ტ. 10, თბ., 1983, გვ. 264—289.

გამოჩენილი ქართველოლოგი და არმენოლოგი ილ. აბულაძე მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველო-სომხეთის ლიტერატურულ ურთიერთობისა და სომხური ისტორიული წყაროების შესწავლას. მანვე დააარსა „ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები“ (84.1), სადაც არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაიბეჭდა.

ილია აბულაძის მოწაფეები წარმატებით აგრძელებენ მასწავლებლის დაწყებულ საქმეს, სწავლობენ და აქვეყნებენ სომხურ ისტორიულ წყაროებს ქართულ და სომხურ ენებზე (51; 53; 56; 58; 72). გასულ წელს დასრულდა ამ პრობლემით კიდევ ერთი დიდი სამუშაო: გამოსაცემად მომზადდა სტეფანოს ორბელიანის „სისაქანის ისტორია“. გამოიცემა კრიტიკულად დადგენილი სომხური ტექსტი, მისი ქართული თარგმანი გამოკვლევითა და კომენტარებით.

საქართველოს ისტორიის სომხური წყაროების გარდა, ინსტიტუტში, როგორც უკვე ითქვა, მიმდინარეობს ინტენსიური შესწავლა და პუბლიკაცია არაბულ-თურქული და სპარსული წყაროებისა. გამომცემლობას გადაეცა, აგრეთვე, იოსებ ფლავიოსის ისტორიული ქრონიკის «მოთხრობანი იუდაებრივის ძველ-სიტყუაობისანი» ქართული თარგმანი, შესრულებული ბერძნულიდან XII საუკუნეში.

ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ ათონის ივერთა მონასტრის X—XV საუკუნეების ბერძნული აქტების გამოცემაში. კერძოდ, ინსტიტუტში იშიფრებოდა ამ აქტების მრავალრიცხოვანი ქართული მინაწერები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული დიპლომატიკური ტერმინების და ამ დიდი ქართული სამწერლობო კერის შესწავლისათვის. სამუშაო სრულდება ბიზანტიის ისტორიის და ცივილიზაციის საფრანგეთის ცენტრის მეცნიერებთან თანამშრომლობით. დღეისათვის გამოსულია აქტების I ტომი (78). მიმდინარეობს მუშაობა II და III ტომებზე.

*
* *

დღიდან ინსტიტუტის დაარსებისა ი. აბულაძის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფი შეუდგა ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების შესწავლას და გამოსაცემად მომზადებას. დაისახა რამდენიმე დიდი კოლექტიური თემა: 1964—68 წლებში მომზადდა და გამოქვეყნდა „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ კორპუსი 4 წიგნად. ეს არის ამ მეტად მნიშვნელოვანი ტექსტების პირველი კრიტიკული გამოცემა ყველა არსებულ ხელნაწერთა მონაცემების გათვალისწინებით (46, 1—4), უფრო მოგვიანებით გამოვიდა ამავე სერიის VI წიგნი (46, 6). იბეჭდება V წიგნიც (46, 5). ამით დასრულდება ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის კორპუსი. შედგენილია და მზადდება გამოსაცემად ამ ძეგლების სიმფონია. საგანგებო შესწავლის საგნად იქცა და ცალკე გამოიცა „შუშანიკის წამება“ (30: 31; 77ბ).

მეორე ჯგუფი ინსტიტუტის ფილოლოგებისა ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით შეუდგა ძველი აღთქმის კანონიკური და აპოკრიფული წიგნების შესწავლას და გამოსაცემად მომზადებას ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით, გამოსაცემად მომზადებულია „ხუთწიგნული“. გამოქვეყნდა რამდენიმე

აპოკრიფული ტექსტი (40; 45). შესწავლილია და გამოცემული ფსალმუნთა
წიგნის ძველი ქართული თარგმანები (38; 93).

ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტის კოლექტივის მიერ მო-
მზადდა და გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ ავტო-
გრაფული ნუსხების მიხედვით²³.

1973 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კიდევ ერთი ფუნდა-
მენტური ლექსიკოლოგიური ნაშრომი, ილ. აბულაძის 20 წლის გულმოდგინე
შრომის ნაყოფი — „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ (98).

ილია აბულაძე ცნობილ რუსთაველოლოგთან ი. გვიგინიშვილთან და ინს-
ტიტუტის თანამშრომელთა ერთ ჯგუფთან ერთად რამდენიმე წლის მანძილზე
მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის დადგენაზე. ეს შრომა
თითქმის დასრულებული სახით ინახება ინსტიტუტში მეცნიერის პირად არ-
ქივში.

დიდი ადგილი ეთმობოდა ინსტიტუტის თემატიკაში ქართული საერო ლი-
ტერატურის ძეგლების შესწავლასა და პუბლიკაციას. ინსტიტუტმა მოამზადა
XII საუკუნის რაინდული რომანის „ამირანდარეჯანიანის“ პირველი კრიტიკუ-
ლი გამოცემა. ქართულ-სპარსული ლიტერატურულ ურთიერთობის შესწავ-
ლას ეძღვნება შემდეგი ნაშრომები: „თეიმურაზ I-ის „ლეილაჯანუნიანის“
სპარსული წყაროები“ (88) და „გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული „ვის-
რამიანი“ (87). შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან ერ-
თად მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა იოანე ბაგრატიონის ენციკლოპედი-
ური ნაშრომი „კალმასობა“, რომელიც გამოქვეყნდება 3 წიგნად. პირველი
წიგნი გადაცემულია დასაბეჭდად.

მდიდარი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის გლობალური ათვისება,
მისი შესწავლა სამწერლობო კერების, სკოლების, სამწერლობო ტრადიციების
თვალსაზრისით, შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ ქართველი ერის
სულიერი ცხოვრების განვითარების ვრცელი გზა და განვსაზღვროთ ის ეტა-
პები, რომელიც განვლო ძველმა ქართულმა მწერლობამ და ეროვნული კულ-
ტურის სხვა დარგებმა XII საუკუნის დასასრულამდე.

შუასაუკუნეების ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორიის მან-
ძილზე საეტაპო მიჯნები მკვეთრად არის წარმოდგენილი. პირველი — V—X
საუკუნეებს მოიცავს, მეორე — XI—XII საუკუნეებს. თითოეული ამ ეტაპის
ლიტერატურული და კულტურული ორიენტაცია გაპირობებულია საქართვე-
ლოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსით.

ქართული შუა საუკუნეების მწერლობა ვითარდებოდა როგორც ადგი-
ლობრივ კულტურულ ცენტრებში და სკრიპტორიუმებში, ასევე საზღვარგარე-
თის სკრიპტორიუმებში, იმ კულტურულ გარემოში, რომელიც პასუხობდა ქარ-
თული სახელმწიფოს პოლიტიკურ და შესაბამისად კულტურულ კურსს. ამის-
და მიხედვით ქართული კულტურის კერები და სკრიპტორიუმები იქმნებოდა
საზღვარგარეთის ხან ერთ, ხან მეორე რეგიონში. დროთა განმავლობაში ზოგი
მათგანი კარგავდა თავის მნიშვნელობას და ესტაფეტას ახალ კულტურულ
ცენტრს გადასცემდა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ძველ მემკვიდრეობასთან
ერთად ახალ გარემოში ითვისებდა მწერლობისა და მეცნიერების ახალ მიღწე-
ვებს, რითაც ჩველს უწყობდა ქართველ მოღვაწეთა განათლებას დონის ამაღლე-
ბას და ქართული მწერლობის შემდგომ განვითარებას.

²³ ორბელიანი სულხან-საბა. თხზულებები, ტ. 4, თბილისი, 1965, ნაწ. I, 1966, ნაწ. II.



საზღვარგარეთის ქართული კულტურული კერების მოღვაწენი ეუფლებოდნენ ყველაფერ ახალს მწერლობისა და მეცნიერების დარგში, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა იყო საჭირო საქართველოში ადგილობრივი მწერლობისა და მეცნიერების განვითარებისათვის, ყურადღება განსაკუთრებით მახვილდებოდა მწერლობის ამა თუ იმ დარგზე. ამ გზით საზღვარგარეთის ქართულ კერებში ხდებოდა თავისებური სპეციალიზაცია. რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავდა ამ კერების პროდუქციის შინაარსსა და ხასიათს.

პარადოქსულია, რომ შუა საუკუნეებში, როდესაც მოგზაურობას ერთი ქვეყნიდან მეორეში მრავალი სირთულე ახლდა, კონტაქტები საზღვარგარეთისა და ადგილობრივ სამწერლო კერებს შორის კარგად იყო მოგვარებული. დიდი მანძილით ერთმანეთს დაშორებული ქართული სამწერლო კერები მუდმივ ერთმანეთის საქმიანობის კურსში იყვნენ და ერთობლივ ემსახურებოდნენ ეროვნული მწერლობის, მეცნიერებისა და განათლების განვითარების საქმეს.

რიგ შემთხვევაში საზღვარგარეთის ქართულ კერებში დამკვიდრებული სიახლე თავის სრულ განვითარებას და სრულყოფას ადგილობრივ კერებში აღწევდა. ადგილობრივ კერებში თავს იყრიდა ყველაფერი, რაც კეთდებოდა საზღვარგარეთის ქართულ კერებში მწერლობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. აქ იყრიდა თავს სხვადასხვა ენიდან დიდძალი თარგმნითი ლიტერატურა, რომელიც მოიცავს ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების დაახლოებით 90 %-ს.

ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე ახალგაზრდა ფილოლოგების სამეცნიერო კადრების მომზადება იმ მიმართულებით წარიმართა, რომ მუშაობა გაშლილიყო არა მარტო ქართულ ორიგინალურ ძეგლთა შესწავლისათვის. არამედ ნათარგმნი ძეგლებისაც, რომელთა რაოდენობა ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ბევრად აღემატება ორიგინალურს. ქართული ნათარგმნი ძეგლების შესწავლისათვის დიდად იღვაწეს ნ. მარმა, კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ი. აბულაძემ და ყ. გარიტამ. მათვე გამოიძუშავეს მეთოდოლოგია ნათარგმნი ძეგლთა შესწავლისა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ბაზაზე ილ. აბულაძე შეუდგა პირველ რიგში იმ ქართული ნათარგმნი ძეგლების შესწავლასა და გამოცემას, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს უძველესი (უძველესად თარიღიანი) ხელნაწერი ნუსხეებით: 1. „ბალავარიანის“ ორი უძველესი რედაქცია (23). ვრცელი რედაქციისათვის ილ. აბულაძემ პირველად გამოიყენა და შეისწავლა ტექსტის იერუსალიმური უნიკალური ნუსხა, რომელიც, მეცნიერის აზრით, არაბულიდან უნდა იყოს თარგმნილი, არაუგვიანეს IX საუკუნისა. 2. „მამათა სწავლანი“ (33) X—XI საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით. უძველესი მათგანი 943 წლით თარიღდება. მეცნიერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძეგლი თარგმნილია არაუგვიანეს IX საუკუნისა პალესტინაში, ან სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ასპარეზზე არაბების გამოჩენის შემდგომ. 3. იოანე მოსხის „ლიმონარი“ (29). ამ ტექსტის შემცველი ძირითადი ხელნაწერი თარიღდება 977 წლით (Ath. 9). ილ. აბულაძემ ტექსტში გამოავლინა არაბული ლექსიკა და არაბიზირებული საკუთარი სახელები. ეს ფაქტი მან ტექსტის წარმომავლობას დაუკავშირა და მიიჩნია, რომ „ლიმონარის“ ქართულ-არაბული რედაქციების შედარებითი შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანს მეცნიერებს „ლიმონარის“ ბერძნულ და ქართულ-არაბულ რედაქციებთან დაკავშირებულ სადავო საკითხების გადაჭრაში. არაბული დედნისა თუ გარემოს ამკარა კვალი დაადას-

ტურა ილ. აბულაძემ თავის უკანასკნელ პუბლიკაციაში: „უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათა“ და გრიგოლ ნოსელის „კანონთა აგებულებისათს“ (37). ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი 4 ძველი ქართული თარგმანი შექმნილია პალესტინის ქართულ სამწერლობო კერებში VIII—IX საუკუნეებში და ატარებს არაბული ენის გავლენის ნიშნებს.

ძველი ქართული თარგმანების არაბულ-სირიული მოდელების ძიებას კვლავაც ინტენსიურად ეწევიან ინსტიტუტშივე მომზადებული ქრისტიანულ არაბულისა და სირიული ლიტერატურის სპეციალისტები (18; 21)²⁴.

დიდი ადგილი უკავია ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკაში ბერძნულიდან თარგმნილი ტექსტების შესწავლას. ერთი ჯგუფი ფილოლოგებისა სწავლობს V—X საუკუნეებში პალესტინის ქართულ სამწიგნობრო კერებში შესრულებულ თარგმანებს, მეორე — X—XIII საუკუნეებში ბიზანტიის ქართულ სამწერლობო კერებში (ათონი, შავი მთა, კონსტანტინეპოლი, პეტრიწონი) შესრულებულ თარგმანებს.

პალესტინის ქართულ სამწერლობო კერების პროდუქციისადმი ინტერესი დიდი ხანია ჩაისახა ქართველ და საზღვარგარეთის მეცნიერთა შორის. მაგრამ ამ კერებიდან გამოსული ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლების შესწავლა, მათი თავისებურებების განსაზღვრა და ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში მათთვის ადგილის მიჩნევა ქართველოლოგიის ერთ-ერთი აქტუალურ საკითხად იქცა იმის შემდეგ, რაც კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა VII საუკუნის იერუსალიმური ლექციონარის ქართული თარგმანი და წარმოაჩინა მისი მნიშვნელობა ადრებიზანტიური და ქართული მწერლობის ისტორიისათვის²⁵.

აგრძელებენ რა კ. კეკელიძის მიერ დაწყებულ საქმეს, ინსტიტუტის ფილოლოგები სწავლობენ და გამოსაცემად ამზადებენ პალესტინურ ქართულ კერებში თარგმნილ და შექმნილ ძეგლებს. გამოიცა „უძველესი იადგარი“, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც იერუსალიმური ლექციონარის ჰიმნოგრაფიული დანართი VII საუკუნეში და IX საუკუნის დამლევამდე საეკლესიო პრაქტიკის ძირითადი სახელმძღვანელო იყო (36). გამოქვეყნდა აგრეთვე „ილისპირნის“ უძველესი რედაქციები (48), „ნევმირებული ირმოლოგონი“ X ს. ხელნაწერის მიხედვით (35), პატერიკების უძველესი თარგმანები (44, 1—2). გამოსაცემად მზადდება იადგარის ახალი რედაქცია X ს. ხელნაწერების მიხედვით, და ბოლოს, იერუსალიმური ლექციონარის ახალი გამოცემა ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით.

პალესტინური წარმომავლობის ქართული თარგმანების შესწავლამ და პუბლიკაციამ ახალი პერსპექტივები დასახა ქართული მწერლობის მთელი რიგი დარგების განვითარების უკეთ წარმოჩენისათვის. განსაკუთრებით მდიდარი მასალა გამოვლინდა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების ეტაპების შესასწავლად. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამ უძველესი თარგმანების ბერძნული მოდელები ან სულ არ შემონახულა, ან და ჩვენამდე გადამუშავებული სახით მოაღწიეს, ქართულ თარგმანებს დიდი მნიშვნელობა ენი-

24 მ. მაისურაძე, ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან („დროსის წამების“ ქართული ვერსია), მაცნე, ენისა და ლიტ-ის სერია, 1977, № 4, გვ. 132—141; მისივე, ავტოგრაფიული თხზულების „დროსის წამების“ წარმომავლობის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1980, ტ. 97, № 2, გვ. 298—302.

25 Кекелидзе К. С. Иерусалимский канонарь VII века. (Грузинская версия), Тифлис, 1912.



ქებათ ადრებიზანტიური პოეზიის შესწავლაში. ასეთივე ვითარებაა „მრავალთავი“ თავთან“ დაკავშირებით.

უკვე რამდენიმე წელია, ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა უძველეს პომილეტიკურ-აგიოგრაფიულ თარგმნილ ძეგლზე — „მრავალთავზე“, რომელიც, ისევე, როგორც უძველესი იადგარი, წარმოადგენს იერუსალიმური ლექციონარის დამატებას. ქართულმა „მრავალთავმა“ განვითარების გრძელი გზა გაიარა (V—X სს.) და თავის პირველ სახესთან და მის უცხოენოვან მოდელებთან შედარებით იდეოლოგიური და ტექსტოლოგიური ხასიათის ცვლილებები განიცადა. ამ ცვლილებების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ბიზანტინისტიკისა და ორიენტალისტიკისათვის, ასევე ადრეული ქართული მწერლობის ლიტერატურული და იდეოლოგიური ასპექტების შესწავლისათვის.

20-იან წლებში ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა უძველესი ქართული პალიმფსესტური ტექსტები²⁶, რაც ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის სამართლიანად ითვლება ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტად. ამ დროიდან უძველეს ქართულ პალიმფსესტებს, ხანმეტ და ჰემეტ ტექსტებს არაერთი გამოკვლევა ეძღვნა²⁷. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში პალიმფსესტურ ტექსტებზე ინტენსიურად მუშაობდა ილ. აბულაძე, მაგრამ მან ამოკითხული ტექსტების გამოცემა ვერ მოასწრო. პალიმფსესტებზე მუშაობა ინსტიტუტში კვლავაც გრძელდება. 1984 წელს გამოიცა „ხანმეტი ტექსტები“ (ნაკვეთი პირველი), რომელიც შეიცავს ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტებს (49). მზადდება II ნაკვეთი პალიმფსესტური ტექსტებისა.

უძველესი თარგმანების შესწავლამ გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ქართული თარგმანითი ლიტერატურის რეპერტუარზე და უკეთ წარმოაჩინა ის კულტურული გარემო, რომელშიც ვითარდებოდა მდიდარი ქართული ორიგინალური მწერლობა.

X საუკუნის ბოლოსათვის ქართული მწერლობა მოიცავდა იმ დროისათვის აუცილებელ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ლიტურგიკულ წიგნებს, ორიგინალურსა და ნათარგმნს. თუ რა ფართე მეცნიერული და ლიტერატურული ინტერესები და მოთხოვნილებები ჰქონდა IX—X საუკუნის ქართველ მკითხველს, ეს კარგად ჩანს X საუკუნის უძველეს სასწავლო წიგნში, ე. წ. „შატბერდის კრებულში“, რომელიც 1979 წელს გამოსცა ხელნაწერთა ინსტიტუტმა (43).

უკანასკნელ წლებში პალესტინური წრის მწერლობის შესწავლის პარალელურად ინსტიტუტის ფილოლოგები შეუდგნენ ათონის სკოლის პირველ მოღვაწეთა და მათ გამგრძელებელთა შესწავლას.

ათონისადმი გაძლიერებული ინტერესი რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა:

1. ინსტიტუტმა მიიღო ათონის ქართველთა მონასტრის ქართული ხელნაწერების მიკროფირები, რამაც შესაძლებელი გახდა ათონელების ლი-

²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1922—1923, ტ. I, გვ. 313—391.

²⁷ ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თბ. უნ-ტის მოამბე, II, 1922—1923, გვ. 398—424; ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 295; მისივე, ჰემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა, თბ., უნ-ტის მოამბე, III, გვ. 354—388; მისივე, ხანმეტი მრავალთავი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 98—159.

ტერატურული პროდუქციის დრამა, უშუალოდ ავტოგრაფებში და უძველეს ნუსხებში გაცნობა და მათ სამუშაო ლაბორატორიაში შედრწევა.

2. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ათონის ისტორიაში მომუშავე ფრანგი ბიზანტინისტები შეუდგნენ ათონის ქართველთა მონასტრის ბერძნული აქტების შესწავლას, მათი გამოცემისა და ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის დაწერის მიზნით. ამ სამუშაოში ჩაერთო ხელნაწერთა ინსტიტუტიც, ამან კი საშუალება მოგვცა გავცნობოდით ქართველთა მონასტრის ბერძნული აქტების ყველაზე სრულ კოლექციას, დამუშავებულს დიპლომატიკის უკანასკნელი მოთხოვნილებების მიხედვით.

ბერძნული აქტები და მათი მრავალრიცხოვანი ქართული მინაწერები მრავალ ახალ ცნობას გვაწვდიან როგორც მონასტრის პირველი მამების პიროვნულ თვისებებსა და მოღვაწეობაზე, ასევე ქართული კოლონიის ისტორიისათვის, დაწყებული X საუკუნის 70-იანი წლებით XV საუკუნის დასასრულამდე. ამრიგად, ათონის სკოლის შესწავლისათვის დღეს შექმნილია ხელსაყრელი პირობები, ისეთი, რაზედაც ოცნებაც არ შეიძლებოდა ამ ათიოდე წლის წინ.

ინსტიტუტის ფილოლოგები შეუდგნენ ათონელების თარგმანთა შესწავლას და გამოცემას. პირველ რიგში საჭირო იყო დიდი სვინაქსარის შესწავლა, რომელიც შეიცავს კონსტანტინეპოლური ლიტურგიკული პრაქტიკის რეგლამენტაციას. მას ემყარებოდნენ ამავე პრაქტიკის სხვა ლიტურგიკული წიგნები, რომლებიც ასე უხვად თარგმნეს ეფთვიმემ და გიორგიმ, რათა იერუსალიმური პრაქტიკიდან ქართული ეკლესია სწრაფად გადაეყვანათ კონსტანტინეპოლურ პრაქტიკაზე. დღეისათვის მუშაობა კონსტანტინეპოლურ სვინაქსარის ტექსტის მომზადებაზე თავისი ლიტურგიკული ლექსიკონით და გამოკვლევით თითქმის ბოლომდეა მიყვანილი. უკვე გადაეცა გამოცემლობას გიორგი მთაწმიდელის მონუმენტური ნაშრომის „თთუენის“ პირველი წიგნი, ვრცელი სამეცნიერო აპარატითა და გამოკვლევით. ორივე წიგნი დაიბეჭდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლების სერიით. ამავე სერიით უკვე გამოქვეყნდა ეფთვიმეს თარგმნილი ბასილი დიდის „სწავლანი“ (24) და ფსევდო-მაკარის „სწავლანი“ (39). გამოიცა ეფთვიმეს თარგმნილი თემატიური პატერიკი (44.1). მზადაა გამოსაცემად „ქება-ქებათაჲს“ გრიგოლ ნოსელისეული თარგმანება (თარგმნილი გიორგის მიერ), მზადდება ეფთვიმეს თარგმანი ვრიგოლ დიდის „დილოლონიასა“. გამოიცა, აგრეთვე „იოანე, ეფთვიმესა და გიორგის ცხოვრებათა“ ბერძნული რედაქცია, დაწერილი XVIII საუკუნეში ათონის ქართველთა მონასტრის ბერძენთა საკრებულოში (28). მომზადდა ბასილი დიდისა და გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ქართული თარგმანები. დაიბეჭდა ათონის ქართული ხელნაწერების აღწერილობის პირველი ნაკვეთი (4ა.1).

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გამოიცემა ათონის სალიტერატურო სკოლის გამორჩეული მამამთავრების — ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების ძირითადი შრომები, საფუძვლიანად შეისწავლება ბიზანტიური კულტურის ისტორია ქართულთან მიმართებით და ათონის ადგილი ამ ისტორიაში, ათონის სამონასტრო და სამეურნეო ცხოვრების ორგანიზაცია. ბიზანტიის ექსპანსიური პოლიტიკა, ბიზანტიის კეისრის სამსახურში მყოფი ქართველების მოღვაწეობის ხასიათი, საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობები, შესაძლებელი იქნება ათონის სალიტერატურო სკოლის მნიშვნელობის ყოველ-

მხრივი შეფასება, ამასთან ერთად გასაგები გახდება პირველი ათონელები მოღვაწეობის მასშტაბები, მათი სიბრძნე, ეროვნული და სამოქალაქო მნიშვნელობა და თანამოღვაწეებზე მათი მორალური ზემოქმედების უდიდესი ძალა. მაგრამ მაშინაც ჩვენი წარმოდგენა ათონის სამწერლობო კერის მნიშვნელობაზე არ იქნება სრული, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ძლიერი გავლენის შედეგებს, რომელიც ჰქონდათ ეფთვიმესა და გიორგის ქართველ მწიგნობართა, მწერალთა და მეცნიერთა მომდევნო თაობებზე; თუ არ გავითვალისწინებთ იმასაც, თუ როგორ ვითარდებოდა დროთა მანძილზე ათონელების მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული პოზიცია და ამის შესაბამისად მეცნიერულ-ფილოლოგიური და ფილოსოფიური თეორიები. ეფთვიმე და გიორგი XI—XII სს. მანძილზე ითვლებოდნენ უმაღლეს ავტორიტეტებად, ხოლო მათი მოღვაწეობა თაობების მიერ მიჩნეული იყო დიდ ეროვნულ საქმედ და ახალი ეპოქის დასაწყისად მწერლობაში, მეცნიერებასა და ფილოსოფიაში. სწორედ ამიტომ ათონელებთან ერთად და მათთან მიმართებაში უნდა ისწავლებოდეს ადგილობრივი და საზღვარგარეთის კერების — კონსტანტინეპოლის, შავი მთის და პეტრიწონის მოღვაწე ქართველ მწიგნობრების, ფილოლოგებისა და ფილოსოფოსების სამწერლობო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ამ მიმართულებით ხელნაწერთა ინსტიტუტში ზოგი რამ უკვე გაკეთდა. ზოგი კეთდება, ზოგის გაკეთება დაგეგმილია მომავლისათვის. გამოიცა ეფრემ მცირის „უწყებად მიზეხსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“ (26), დასრულდა მუშაობა ეფრემის შედგენილ ფსალმუნთა თარგმანების წიგნზე, გამოქვეყნდა არსენ იყალთოელის თარგმნილი „დიდი სკულისკანონი“ იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონით (81), იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ეფრემისა და არსენის თარგმანები (27), „ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში“ (20). იოანე დამასკელის დიალექტიკისა და ამონიოს ერმისის გამოცემებს ერთვის ფილოსოფიურ ტერმინთა ლექსიკონები, რომლებიც საშუალებას იძლევა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის განვითარება ისტორიულ ჭრილში წარმოვიდგინოთ.

გაიშალა დიდი მუშაობა სვიმეონ მეტაფრასის და იოანე ქსიფოლინოსის შედგენილ აგიოგრაფიულ კრებულებზე. ეს კრებულები, რომლებიც გამოაჯლინა და შეისწავლა კ. კეკელიძემ, დღესაც იზიდავენ სპეციალისტების (განსაკუთრებით უცხოელი ბიზანტინისტების) ყურადღებას. ამ კრებულების გამოცემის საჭიროება დიდი ხანია იგრძნობოდა, მაგრამ სამუშაოს დიდი მოცულობა მოითხოვდა, რომ ამ საქმისათვის ხელი მოეკიდა ინსტიტუტის ფილოლოგთა მოზრდილ კოლექტივს. რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ ამ ბოლო წლებში. პირველი წიგნი ამ მრავალტომიან გამოცემისა გამოქვეყნდა (45ა).

მეტაფრასული კრებულებისა და რამდენიმე ავტოგრაფული ათონური ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა გიორგი მთაწმიდელის მოწაფის თეოფილე მთარგმნელის საინტერესო ფიგურა, რომელიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

მეტაფრასული კრებულები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ თავი მოიყარა სხვადასხვა დროისა და მიმართულების მთარგმნელთა თარგმანებმა, რაც შესაძლებლობას იძლევა წარმოვიდგინოთ ქართულ მწერლობაში მეტაფრასული ლიტერატურის თანდათანობითი გავრცელებისა და საბოლოოდ მეტაფრასული კრებულების ჩამოყალიბების ისტორია ქართულ ნიადაგზე.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა საინსტიტუტო მეორე დიდი თემა, რომელიც სრულდება საერთაშორისო პროგრამით: გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყ-

ვათა კორპუსის“ გამოსაცემად მომზადება. ამ თემაზე მუშაობამ, პირველ რიგში, მოითხოვა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ხელნაწილების მეცნიერული აღწერილობის შედგენა. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს გრიგოლ ნაზიანზელის ე. წ. 16 ლიტურგიკული სიტყვის კრიტიკულა ტექსტების მომზადებაზე. გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვათა კორპუსი, ისევე, როგორც მეტაფრასული კრებულები, შეიცავს სხვადასხვა დროს შესრულებულ თარგმანებს. ამ თარგმანებს კორპუსის სახე მისცა ჯერ ეფთვიმე მთაწმიდელმა, ხოლო ბოლოს ეფრემ მცირემ. ამ კრებულის შესწავლის საფუძველზე შეიძლება მსჯელობა სხვადასხვა დროის მთარგმნელთა დამოკიდებულებაზე გრიგოლ ნაზიანზელისადმი, რაც მათ განსხვავებულ მთარგმნელობით მეთოდებშიც გამოიხატა.

გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვების თარგმანსთან ერთად ითარგმნა რამდენიმე სიტყვისათვის დაწერილი სხვადასხვა ავტორის კომენტარები. განზრახულია გამოიყენოს ფსევდონონეს კომენტარების ტექსტები გამოკვლევითურთ.

როგორც ვხედავთ, ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივმა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ფართოდ გაშალა ფილოლოგიური მუშაობა. მაგრამ იმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ აუცილებლად გამოსაცემი და შესასწავლია, შესრულებული და დაგეგმილი სამუშაო წვეთია ზღვაში. არა და, რაც უფრო მეტს შევისწავლით და გამოვცემთ ორიგინალურ ტექსტებთან ერთად თარგმნილ ძეგლებს, იმ კერების ისტორიის გათვალისწინებით, სადაც მიმდინარეობდა სათარგმნი ლიტერატურის შერჩევა, თარგმნა და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა, მით უფრო ნათლად წარმოვიდგება ქართველ მთარგმნელთა შემოქმედებითი მუშაობის ეროვნული საფუძველი, ის ისტორიული კანონზომიერება, რომელსაც ემორჩილებოდა V—XII საუკუნეების მანძილზე ქართული მწერლობისა და კულტურის განვითარება. ამავე დროს, ამ ფონზე უფრო ნათლად გამოიკვეთება ქართული ორიგინალური მწერლობის უძველესი ფესვები, მისი სიღრმე და სიდიადე, სადაც დაუნჯებულია საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნა, სამყაროსა და ადამიანის ფილოსოფიური შემეცნება, მდიდარი სალიტერატურო ენა. მხოლოდ ამის შემდეგ, ახალი მასალისა და გამოკვლევების გათვალისწინებით შეიძლება დაიწეროს V—XII საუკუნეების მწერლობისა და კულტურის ისტორიის ნარკვევები, რის საჭიროებაც კარგახანია იგრძნობა და რითაც ინსტიტუტის ფილოლოგები ამ მიმართულებით თავისი მუშაობის შედეგებს შეაჯამებენ.

პ. ს. კიკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის
ძირითადი შრომები*

ხელნაწერთა და საარქივო ფონდების აღწერილობა

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), თბილისი, 1954—1980, ტ. 1—5.

1.1. ტ. 1, ნაწ. 1. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედ., 1972, 550 გვ.

1.2. ტ. 1, ნაწ. 2. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ. ელ. მეტრეველის რედ., 1976, 411 გვ.

1.3. ტ. 1, ნაწ. 3. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედ., 1980, 242 გვ.

1.4. ტ. 1, ნაწ. 4. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედ., 1985, 238 გვ.

1.4. ტ. 2, ნაწ. 1. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიაძემ, ელ. მეტრეველის რედ., 1986, 283 გვ.

1.5. ტ. 4. შეადგინა ქ. შარაშიძემ კ. კიკელიძის საერთო რედ., 1954, 635 გვ.

1.5ა. ტ. 5. შეადგინა ლ. ქუთათელაძემ ალ. ბარამიძის რედ., 1955, 341 გვ.

2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ელ. მეტრეველის რედ., თბილისი, 1959—1973, ტ. 1—7.

2.1. ტ. 1, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ნ. კასრაძემ, ლ. ქუთათელაძემ და ქრ. შარაშიძემ. 1959, 756 გვ.

2.2. ტ. 2. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: ა. ბაქრაძემ, თ. ბრეგაძემ, ე. მეტრეველმა და მ. შანიძემ. 1961, 418 გვ.

2.3. ტ. 3. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ენუქიძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ქრ. შარაშიძემ, 1963, 342 გვ.

2.4. ტ. 4. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ლ. ვიკნაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქაჯაიამ, მ. შანიძემ, ქრ. შარაშიძემ, ც. ჭანკიევმა. 1965, 364 გვ.

2.5. ტ. 5. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ, ც. ჭანკიევმა, 1967, 377 გვ.

* შეადგინა ნ. თარგამაძემ.



- 2.6. ტ. 6. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ლ. ქუთათელაძემ, ლ. ქაჯაიამ, მ. შანიძემ, ც. ჭანკიევმა. 1969, 377 გვ.
- 2.7. ტ. 7. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭანკიევმა. 1973, 317 გვ.
3. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H) კოლექცია. თბილისი, 1946—1953, ტ. 1—6.
- 3.1. ტ. 1. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ნ. კასრაძემ და ლ. ქუთათელაძემ ილ. აბულაძის ხელმძღ. და რედ., 1946, 391 გვ.
- 3.2. ტ. 2. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ლ. ქუთათელაძემ ილ. აბულაძის რედ., 1946, 392 გვ.
- 3.3. ტ. 3. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ქრ. შარაშიძემ კ. კეკელიძის რედ., 1948, 522 გვ.
- 3.4. ტ. 4. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა კ. კეკელიძის რედ., 1950, 300 გვ.
- 3.5. ტ. 5. შეადგინა ლ. მეფარიშვილმა ა. ბარამიძის რედ., 1949, 262 გვ.
- 3.6. ტ. 6. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ნ. კასრაძემ, ელ. მეტრეველმა, ლ. მეფარიშვილმა, ლ. ქუთათელაძემ და ქ. შარაშიძემ ა. ბარამიძის რედ., 1953, 539 გვ.
4. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია ილ. აბულაძის რედ., თბილისი, 1957—1958, ტ. 1—2.
- 4.1. შეადგინეს ე. მეტრეველმა და ქ. შარაშიძემ. 1957, 509 გვ.
- 4.2. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. ქუთათელაძემ და ქ. შარაშიძემ. 1958, 448 გვ.
- 4ა. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ათონური კოლექცია. თბილისი, 1986.
- 4ა.1. ნაკვ. 1. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დვალმა, მ. დოლაჭიძემ, მ. კვაჭაძემ, გ. კიკნაძემ, გ. ნინუამ, ც. ქურციკიძემ, ლ. შათირიშვილმა, მ. შანიძემ, ნ. ჩხიკვაძემ, ელ. მეტრეველის რედ., 1986, 153 გვ.
5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია ე. მეტრეველის რედ., ნაწ. 1—3. თბილისი, 1978—1987.
- 5.1. ნაკვ. 1. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ე. მეტრეველმა, ლ. ჭლამაიამ, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. 1978, 247 გვ.
- 5.2. ნაკვ. 2. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ც. ჭანკიევმა და ლ. ჭლამაიამ. 1979, 332 გვ.
- 5.3. ნაკვ. 3. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: რ. გვარამიამ, ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჭლამაიამ, 1987, 239 გვ.
6. მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საბატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1955, 96 გვ.
7. ქართული ხელნაწერები (ალბომი), (შესავალი წერილი ე. მაჭავარიანი-სა), თბილისი, 1970, 22 გვ., 51 ტბლ.
8. ქართული ხელნაწერები. ბუკლეტი. 1971, 16 გვ.

9. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი (L კოლექცია). შეადგინეს: რ. გვარამიამ, ლ. მამულიამ და ნიკოლოზ ველმა. თბილისი, 1978, ნაკვ. 1, 299 გვ.

10. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K კოლექცია). შეადგინეს: ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ და მ. მამაცაშვილმა. თბილისი, 1969, 210 გვ.

11. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი. (AC კოლექცია). შეადგინა მ. მამაცაშვილმა. თბილისი, 1977, 194 გვ.

12. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი. აღწერილობა შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ე. კელენჯერიძემ. თბილისი, 1972, 250 გვ.

13. ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერები. აღწერილობა შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა. თბილისი, 1960, 219 გვ.

14. დიმიტრი ყიფიანის არქივი. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა. თბილისი, 1951, XXXIV+205 გვ.

15. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა. თბილისი, 1976, 367 გვ.

16. კორნელი კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინა რუსუდან კავილაძემ. თბილისი, 1979, 189 გვ.

17. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი. თბილისი, 1951, 347 გვ.

პუბლიკაციები

18. ალ-ბუსთანი X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით. არაბული ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოსცა რ. გვარამიამ. თბილისი, 1965, 215 გვ.

19. ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა (X—XIV სს. ხელნაწერების მიხედვით). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო თ. მგალობლიშვილმა. თბილისი, 1978, 126 გვ.

20. ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭელმაძემ და მ. რაფაევამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფაევამ. 254 გვ. (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, 6). რეზიუმე რუს. და გერმ. ენ.

21. ამონიოსის „სინა-რაითის წმინდა მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები (IX—XI, XIII—XVII სს. ხელნაწერების მიხედვით) ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რ. გვარამიამ. თბილისი, 1973, 143 გვ.

22. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. თბილისი, 1955, 32+222 გვ.

23. ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. თბილისი, 1957, 048+216 გვ.

24. ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. თბილისი, 1983, 72+277 გვ. (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, № 5).



25. დავით და იოანე ბავრატონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თათელაძემ. თბილისი, 1967, 273 გვ.
26. ეფრემ მცირე. უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ. თბილისი, 1959, 22+62 გვ.
27. იოანე დამასკელი. დიალექტიკა. ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფაევამ. თბილისი, 1976, 300 გვ. რეზიუმე რუს. ენაზე.
⁸ ც. აბულაძე, თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ., 1983.



წელს შედგენილი მუფასალ და იოქლამა დავთრებისა და თარგმნა ისინი თულად. დედანი დაცულია თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში.

XVII—XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოფიაში კირილესა და მეთოდეს სახელობის ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში დაცულ ოსმალურ დოკუმენტებს. მათგან ც. აბულაძემ თურქოლოგ მ. სვანიძესთან თანამშრომლობით დამუშავა და გამოაქვეყნა „ჯაბა დავთარი“⁹. ეს არის საკანცელარიო დავთარი, სადაც რეგისტრირებულია ახალციხის საფაშოში მდებარე ფეოდალური საკარგავები, ხასები, ზეამათები და თიმარები; დავთარში მითითებულია ლენის ადგილმდებარეობა, დასახლებულია ოლქი, რაიონი, სოფელი, მფლობელის სახელი, წლიური შემოსავალი და საკარგავის მიღების თარიღი.

საინტერესო დოკუმენტი გამოვლინდა აგრეთვე იერუსალიმის ფრანკისკანთა არქივში სულეიმან კანუნის და სხვათა სიგელების სახით. მათ არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ XVI—XVII სს. იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის შესწავლისათვის.

XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლისა და, საერთოდ, ამიერკავკასიის ისტორიისათვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს სტამბულისა და ბრიტანეთის ნუსხების მიხედვით გამოცემული გურჯი-ზადეს „თბილისის დაპყრობის წიგნი“, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი ოსმალთაგან 1724 წელს ქართლის ოკუპაცია¹⁰. ავტორი თვითმხილველია მის მიერ აღწერილი ამბები-სა და ამიტომ მისი თხზულება საუკეთესო წყაროა ამ პერიოდის საქართველოს და თურქეთ-ამიერკავკასიის პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიისათვის. ძეგლის გამოქვეყნებით „თბილისის დაპყრობის წიგნის“ მონაცემები პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. ასევე პირველად ეცნობა მკითხველი სპარსულ წყაროს XIX საუკუნის ბოლო წლების თბილისის ცხოვრების შესახებ, რომელიც ეკუთვნის მაჯდ-ოს-სალტანეს. ამ უსათაურო თხზულებაში, რომელსაც პირობითად „თბილისის აღწერა“ უწოდა მისმა მთარგმნელმა და გამომცემელმა¹¹, დეტალურად არის აღწერილი გასული საუკუნის მიწურულის თბილისის კულტურულ-ეკონომიკური ყოფა.

ინტენსიურად მუშავდებოდა ინსტიტუტში საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ამსახველი არაბულენოვანი მასალა, კერძოდ, ქართველი მეფეების (თეიმურაზ II, ერეკლე II) წერილები დაღესტნის სხვადასხვა წინამძღოლები-სადმი, რომლებიც შუქს ჰფენენ საქართველოსა და დაღესტნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. წერილებში ჩანს სწრაფვა კეთილშობილური დამოკიდებულების დამყარებისაკენ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ლეკიანობის მომძლავრების პერიოდში. წერილები გამოქვეყნებულია

⁹ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, 1694—1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვეთა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

¹⁰ გურჯი-ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1975.

¹¹ მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მიაი მამაცაშვილმა, თბ., 1971.

6. ყანჩაველის მიერ სხვადასხვა დროს¹². მანვე შეისწავლა მუსლიმური ფონდების არაბულენოვანი დოკუმენტები 1841—1850 წლებში, რომლებიც დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდიან მე-19 საუკუნის 40-იან წლებში მეფის რუსეთის წინააღმდეგ დაღესტნელ მთიელთა მიერ წარმოებული ცალკეული საბრძოლო ეპიზოდების შესახებ¹³. ნ. ყანჩაველს ეკუთვნის პუბლიკაცია დაღესტნელი მწერლის აბდარ-რაჰმანის ისტორიულ ლიტერატურული ნაკვეთისა და დაღესტნისა და ჩეჩნეთის 1877 წლის აჯანყების შესახებ. მასალა საინტერესოა იმიტომ, რომ მასში მოხსენებულნი არიან იმ პერიოდის ქართველი სამხედრო მოღვაწეები¹⁴.

ისტორიული დოკუმენტების შესწავლისა და პუბლიკაციის გარდა ინსტიტუტში მიმდინარეობს კვლევა ქართულ-აღმოსავლური ენობრივი ურთიერთობის სფეროშიც. კერძოდ, ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის დასადგენად, ოსმალური ენის ისტორიული ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის შესასწავლად სანდო წყარო აღმოჩნდა საბას ქართული ლექსიკონის ქართულ-თურქული ნაწილი, სადაც ქართული სიტყვანის თურქული თარგმანები მოცემულია ქართული ანბანით (თურქული ენის ფონემების გადნოსაცემად ქართული ანბანი არაბულთან შედარებით უფრო მოხერხებული აღმოჩნდა). ნაშრომში, რომელიც მიეძღვნა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქულ თარგმანებს¹⁵, ც. აბულაძემ გამოაწვინა საინტერესო მასალა როგორც თურქული და აზერბაიჯანული ენების ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხების, ასევე ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის შესასწავლად. თურქულენოვანი მასალის ფონეტიკურ-მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებები გარკვეულია თანამედროვე აზერბაიჯანულ და თურქულ ენებთან მიმართებით, გათვალისწინებულია ამ ენათა დიალექტების მონაცემები. ანალოგიური საკითხები დგება იტალიელი მისიონერის მიერ 1689 წელს შედგენილ თურქულ-ქართულ ლექსიკონთან დაკავშირებით (ტექსტი დაცულია უფსალის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში). სხვა უცხოურ ლექსიკურ ერთეულებთან ერთად ქართულში საკმაო რაოდენობით დასტურდება თურქულენოვანი ლექსიკაც. მათი დიდი ნაწილი გამოვლენილია და სათანადოაა შესწავლილი ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით¹⁶.

ქართულ-თურქული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუსლიმურ ფონდში დაცულ ქართული

¹² ერეკლე II-ის წერილი დენგალ ჰაჯი ტინდელისადმი, მრავალთავი, V, თბ., 1975, გვ. 234—237; ერეკლე II-ის წერილი ქუჭ ქალაიელისადმი, მრავალთავი, VI, თბ., 1978, გვ. 241—244; საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (ერეკლე მეორის ორი არაბული წერილი), მაენე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, 1978 წ., 163—166; ერეკლე II-ის წერილი ნურსალ-ბეგთან, მაენე, ისტ., არქ., ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, IV, 1979, 156—163; დაღესტნური წარმოშობის სამი არაბული დოკუმენტი, მრავალთავი VIII, თბ., 1980, გვ. 121—126; თეიმურაზ II-ის წერილი ნურსალ-ბეგისადმი, მრავალთავი X, თბ., 1983, 221—224.

¹³ ალაღარ-ხანის წერილები მ. ზ. არღუთინსკი-დოლოგორუქისადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963, 123—136; ალაღარ-ხანის რამდენიმე წერილი მ. ზ. არღუთინსკი-დოლოგორუქისადმი, მრავალთავი, I, თბ., 1971, 407—428.

¹⁴ ნ. ყანჩაველი, აბდარაჰმანი, დაღესტნისა და ჩეჩნეთის დაცემა ოსმალთა წაქეზებით 1294 წელს, მრავალთავი, IV, 1975, 230—253.

¹⁵ ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., 1968.

¹⁶ ც. აბულაძე, თურქული ლექსიკური მასალის შესახებ. ს.-ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 57—78.

ანბანით ჩაწერილ თურქულ-აზერბაიჯანულ ფოლკლორულ მასალასა და სიკური პოეზიის ნიმუშებს, სასწავლო წიგნებსა და სახელმძღვანელოებს. ეს მასალა გამოვლენილია და გატანილია ბარათებზე. ამ კარტოთეკით სარგებლობენ როგორც ადგილობრივი, ისე აზერბაიჯანელი სპეციალისტები და აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობით დაინტერესებული პირები.

ცნობილია, რომ საქართველო უძველესი დროიდანვე მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა მეზობელ კულტურულ ხალხებთან. ყველაზე მკვეთრად ეს კონტაქტები გამოიხატა ძველქართულ ლიტერატურაში, სასულიერო და საერო მწერლობის დარგში. ქართულმა მწერლობამ შემოგვინახა რიგი თხზულებებისა, თარგმნილი იმ ხალხთა ლიტერატურიდან, რომელთანაც მას ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობა გარკვეული ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური პირობების გამო.

ხანგრძლივი და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას ბიზანტიურ ლიტერატურასთან. იგი მუდამ იდგა ბიზანტიური ლიტერატურის სტანდარტების დონეზე და კვალდაკვალ მიჰყვებოდა მას. მაგრამ გარკვეულ პერიოდში მან ორიენტაცია აიღო აღმოსავლეთის ქრისტიანულ მწერლობაზე, კერძოდ, არაბულ ლიტერატურაზე. ქართულ-არაბული ლიტერატურული კონტაქტები დამყარდა IX—X სს. პალესტინისა და სინის მთის სკრიპტორიუმებში. ეს კონტაქტები და ქრისტიანული არაბულიდან თარგმნილი ზოგიერთი ძეგლი ადრევე იყო ცნობილი მეცნიერთათვის (პ. პეტერსი, ნ. მარი, კ. კეკელიძე). მაგრამ ამ ბოლო ხანებში როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ წარმოებულმა კვლევამ მეტი სისრულით წარმოაჩინა რეალური ვითარება. გაირკვა, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართულ-არაბული ლიტერატურული კონტაქტები საგრძნობლად ძლიერი იყო და ქართველები საკმაოდ ინტენსიურად თარგმნიდნენ ქრისტიანული არაბული მწერლობის ძეგლებს. ამას მოწმობს ქრისტიანული არაბულიდან ქართულად შესრულებული ამჟამად გამოვლენილი თარგმანების დიდი რაოდენობა, რომელთა რიცხვი, საფიქრებელია, კიდევ უფრო გაიზრდება. მათი მაღალი დონე, ხშირ შემთხვევაში, ქართველ მთარგმნელთა მიერ არაბული ენის სრულყოფილი ფლობის საბუთი ხდება. ყოველივე ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო დასახელებულ სკრიპტორიუმებში ქართველთა მჭიდრო ურთიერთობით არაბულენოვან ქრისტიანებთან როგორც სულიერ. ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში, მათ შორის, ხელნაწერთა ამკინძავ და შემოსავ საამქროებში. აღნიშნული საკითხების კვლევა უფრო თვალნათლივს ხდის ჩვენი მწერლობის ისტორიის შორეულ პერიოდს. კერძოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთთან კონტაქტების ხანას და, ამასთანავე, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სინის მთისა და პალესტინის სამწიგნობრო ცენტრებში დამკვიდრებულ ქართველ მოღვაწეთა საქმიანობასა და მათს ინტელექტუალურ დონეზე.

ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ პრობლემატიკის კვლევას რ. გვარამია ინსტიტუტში მოსკლისთანავე შეუდგა, რაც გამოვლინდა მისი პირველი შრომით „აღ-ბუსთან“¹⁷. ძეგლი

17 აღ-ბუსთანი, X საუკ. სინური ხელნაწერის მიხედვით, არაბული ტექსტა ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა რუსულად გვარამიამ, თბ., 1965.



იოანე მოსხის მიერ შედგენილი ბერძნული პატრისტიკული კრებულის სარკვევითი მონარის“ არაბულ ვერსიას წარმოადგენს. „ალ-ბუსთანის“, „ლიმონარის“ და ამავე თხზულების ქართული ვერსიის „სამოთხის“ ურთიერთმიმართებათა შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ „ალ-ბუსთანი“ შუალედური თარგმანია: არაბული ვერსია თარგმნილია ბერძნულიდან, ქართული კი — არაბულიდან. ამას მოწმობს ქართულ-არაბულ ვერსიათა არქიტექტონიკის გარკვეული მსგავსება, ბერძნული ტექსტის მიმართ ცვლილებათა თანხვედრა, ქართული ტექსტის არაბიზმები, განსაკუთრებით იმ რიგის არაბიზმები, რომელთა ახსნა ზეპირი გზით, ტექსტისაგან დამოუკიდებლად, შეუძლებელია. ამ ხაზით წარიმართა ქრისტიანულ სამყაროში ძალზე გავრცელებული ძეგლის, ამონიოსის „სინარაჲთის“ წმიდა მამათა მოსრვის არაბულ-ქართული ვერსიების კვლევა¹⁸. ძეგლის ქართული, ბერძნული და არაბული ვერსიების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დადგინდა ქართული ვერსიის არაბული წარმომავლობა და გამოვლინდა მისი უშუალო წყარო, კერძოდ, 772 წელს შესრულებული არაბული თარგმანი, რომელიც ლონდონში დაცული X საუკუნის პალესტინურ ხელნაწერ კრებულში აღმოჩნდა (Br. Mus. or — 5019).

ამავე ხელნაწერ კრებულში აღმოჩნდა რ. გვარამიას მიერ გამოვლენილი არაბულიდან ქართულად შესრულებული სხვა ქართული თარგმანის, „პანტელიმონის წამების“ არაბული მოდელიც. დადგინდა ამ ძეგლის მეორე, ადრე შესრულებული თარგმანის ბერძნული წყაროები¹⁹.

აღნიშნული პრობლემატიკის არეში შემოდის რ. გვარამიას ნაშრომი „ბასილი კაპადოკიელის II ეპისტოლეს არაბული ვერსიის შესახებ“²⁰. ბასილის II ეპისტოლე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელს ქრისტიანულ სამყაროში; ეს იყო სამონაზვნო ცხოვრების ერთგვარი კოდექსი. ძველქართულმა მწერლობამ ამ ეპისტოლეს რამდენიმე ვერსია შემოგვინახა: ადრეული, X საუკუნის, თარგმნილი არაბულიდან, რომლის მოდელი დაცულია პალესტინურ ხელნაწერში (სტრასბურგი), ხოლო გვიანდელი — ბერძნულიდან. დასახელებულ ძეგლთა ქართული თარგმანები სინურ-პალესტინურ სამყაროში აღმოცენებული ქართულ-არაბული ინტენსიური ლიტერატურული კონტაქტების ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთი ხდება, ხოლო იმავე პერიოდში ქართველთა და არაბულენოვან ქრისტიანთა თანაცხოვრებისა და ყოფითი კონტაქტების ერთგვარი გამოძახილი ჩანს ქართულ-სინური ხელნაწერების არაბულ მინაწერებში, რომლებიც გამოსცა და სათანადო კვალიფიკაცია მისცა რ. გვარამიამ²¹. დასახელებული მასალის გათვალისწინების საფუძველზე იკვეთება ქართულ-არაბული ურთიერთობის ორი მხარე. ერთი გამოიხატა ლიტერატურულ თანამშრომლობაში, რაც შემდგომ ლიტერატურულ კონტაქტში გადა-

¹⁸ ამონიოსის „სინარაჲთის მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები, IX—XI, XIII და XVIII სს. ხელნაწერების მიხედვით, ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რ. გვარამიამ, თბ., 1973.

¹⁹ რ. გვარამია, პანტელიმონის წამების ქართული ვერსიები და მათი წყაროები, მრავალთავი, VII, 1980, 36—43.

²⁰ რ. გვარამია, ბასილი კაპადოკიელის II ეპისტოლეს არაბული ვერსია და მისი მიმართება ადრეულ ქართულ რედაქციასთან, მრავალთავი, X, 1983, 146—153.

²¹ რ. გვარამია, ქართული სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები, მრავალთავი, IX, 1981, 75—82.



იზარდა, ხოლო მეორე — ინტერესთა დაპირისპირებაში, რაც, რ. გვარამია აზრით, ურთიერთობათა გამწვავების მიზეზი უნდა ყოფილიყო. კულტურული კონტაქტები IX—X სს. მოიცავს, ხოლო ურთიერთობათა გამწვავება უფრო გვიან საუკუნეებშია სავარაუდო.

ამემად რ. გვარამიამ გამოსცა წიგნი «იოვანე ოქროპირის ცხოვრების» ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი. (31ა) ამ ვერსიის წარმომავლობის დასადგენად ქართული ტექსტი შესაბამის ბერძნულ და არაბულ ვერსიებს შეუჯერდა. აღმოჩნდა, რომ ქართული თარგმანის დედანი ბერძნული ვერსისაა, ხოლო არაბიზმების არსებობა მასში იმ არაბულენოვანი ციცხალი გარემოს გათვალისწინებით არის გამოწვეული, რომელშიც იქმნებოდა თხზულების ქართული თარგმანი, რომელიც მუშავდებოდა პალესტინაში (შესაძლოა ხარიტონის ლავრაში). ამ გავლენის ასახსნელად ზეპირი გზაა დასახელებული.

გარდა იმისა, რომ თავისი ადგილი მიეჩინა „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ თარგმანს ქართული მწერლობის ისტორიაში, ამ ნაშრომს სხვა მნიშვნელობაც აქვს. მისი წყალობით, ზეპირი გზით შემოსული ლექსიკური და სინტაქსური არაბიზმებით უფრო ადვილად იმიჯნება ერთმანეთისაგან სინურ-პალესტინური წარმოშობის ძეგლები და მეტროპოლის ბერძნულიდან მომდინარე ძეგლები.

ინსტიტუტში წარმოებს მუშაობა აგრეთვე ქართულ-სირიულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე. მ. მაისურაძის მიერ გამოვლენილი იქნა სირიულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლი „დროსის წამება“²². ირკვევა, რომ ქართულ-სირიული კონტაქტები შედარებით სუსტი უნდა ყოფილიყო. აღმოსავლურ ქრისტიანულ ლიტერატურაში ქართველთა ინტერესი, როგორც ჩანს, ძირითადად ქრისტიანულ არაბულ მწერლობაზე იყო კონცენტრირებული.

უფრო მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია აქვს სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს როგორც კლასიკური, ისე აღორძინების ხანის ქართულ საერო მწერლობაში. ამ ურთიერთობათა კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ლიტერატურული განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ საკუთრივ სპარსული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისათვისაც. ხელნაწერთა ინსტიტუტში ამ მიმართულებითაც მიმდინარეობდა მუშაობა. ამ თვალსაზრისით ყველაზე უხვ მასალას იძლევა მე-12 საუკუნეში შესრულებული ქართული კლასიკური თარგმანი გორგანის „ვის ო რამინისა“.

„ვისრამინის“ ქართველი მთარგმნელის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლამ და ქართული თარგმანის ტექსტში გამოვლენილმა სპარსული ბეითური დაყოფის სისტემამ, რომელიც კანონზომიერად და თანმიმდევრულად აღმოჩნდა დაცული რიგ ქართულ ხელნაწერებში, აშკარა გახადა, რომ ქართული თარგმანის გარეშე დღეს უკვე წარმოუდგენელია სპარსული ორიგინალის სანდო ტექსტის დადგენა, უფრო მეტიც, ამ სისტემის გამოყენება არის ერთადერთი გზა სპარსული დედნის თავდაპირველი სახის აღსადგენად. ეს და სხვა რიგის საკითხებია შესწავლილი მ. მამაცაშვილის მიერ სხვადასხვა დროს შე-

²² მ. მაისურაძე, ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან („დროსის წამების“ ქართული ვერსია), მაცნე, ვნისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1977; მისივე, „დროსის წამების“ წარმოშობის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 97, № 2, 1980.

სრულებულ ნაშრომებში²³. ხოლო მონოგრაფიაში გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული ვისრამიანი“, „ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების გვერდით მოცემულია პირველი ცდა ქართული „ვისრამიანის“ თეორიული შესწავლისა ქართველი მთარგმნელის მთარგმნელობითი მეთოდისა და მსატერული აზროვნების თვალსაზრისით²⁴.

„ლეილი და მაჯუნის“ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ვერსიებისა და ქართული „ლეილ-მაჯუნის“ შედარებით შესწავლას ეძღვნება ნაშრომი „თეიმურაზ I ლეილ-მაჯუნის სპარსული წყაროები“²⁵. შედარებითი შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა ქართული ვერსიის სპარსული ლიტერატურული წყაროს აღნაგობა და მისი ძირითადი თავისებურებანი, დადგინდა პოემის 3 ძირითადი რედაქცია. წიგნში ნაჩვენებია აგრეთვე აღმოსავლეთ ლიტერატურაში ამ სიუჟეტის განვითარებისა და გავრცელების შესწავლაში ქართული „ლეილ-მაჯუნის“ მნიშვნელობა.

ასეთია ძირითადად საკითხთა ის წრე, რომელზეც მუშაობდნენ ამ ხნის განმავლობაში და დღესაც აგრძელებენ მუშაობას ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეები.

გარკვეული მეცნიერული კონტაქტები აქვთ მათ დამყარებული როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოელ ორიენტალისტებთან. ეს კონტაქტები წლითა-წლით ღრმავდება და ფართოვდება. აქტიურად მონაწილეობენ ისინი აღმოსავლური ფილოლოგიის, ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილ როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის, ისე საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ კონფერენციების მუშაობაში (მოსკოვი, ლენინგრადი, ტაშკენტი, ბაქო, ერევანი, თბილისი, ანკარა).

ინსტიტუტის სპეციალისტთა პროდუქცია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს. მათი სამეცნიერო წერილები და სტატიები ქვეყნდება საკავშირო და უცხოურ პერიოდულ ჟურნალებსა და კრებულებში²⁶. დიდი გამოხსნაურება

²³ მ. მამაცაშვილი, ერთი თავისებური ხელნაწერის გამო, მეცნ. აკად. მოამბე, 1965, XXXIX:2; მისივე, სპარსულ-ქართული ტექსტობრივი ურთიერთობის შესწავლისათვის, შოთა რუსთაველი, კრებული, 1966; მისივე, „ვისრამიანის“ ქართულ ხელნაწერთა მიმართებისათვის, მრავალთავი, I, 1971, გვ. 193—209; მისივე, „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანის მხატვრული სპეციფიკის შესწავლისათვის, მრავალთავი, II, 1973, 25—51; მისივე, „ვის ო რამინ“ — პართული რომანი, მრავალთავი, IV, 1975, გვ. 122—144; მისივე, „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის ერთი ადგილის გასწორებისათვის, მრავალთავი, IX, გვ. 57—63; მისივე, „ვისრამიანის“ ლექსიკიდან (გამოწურვილი, უტევანი), აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1983, გვ. 67—73.

²⁴ მ. მამაცაშვილი, გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული „ვისრამიანი“, თბ., 1977.

²⁵ მ. მამაცაშვილი, თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯუნის“ სპარსული წყაროები, თბ., 1967.

²⁶ Цисана Абуладзе, S. Džikia: Gurdžistanis Vilajetis didi davtari, Čigni III, Tbilisi, 1958, Acta Ethnographica IX/3.4, Budapest, 1960, 442—444. Mamatsšvili M. G., Vis et Ramin de Gurgani un roman parthe, Bedi Kartlisa—Revue de Kartvéologie, XXXV, 1977, Paris; R. Gvaramia, Bibliographie du dialogue Islamo-chretien, Auteurs latins des XIII^e—XIV^e s., Islamochristiana, 6, 1980, Roma.

Tsiana Abuladze, Micheil Svanidze, Defteri Caba-i Eyaleti Cildira dair ilk Bilgiler VII, TTK, Kongreye Sunulan Bildiriler, II, Ankara, 1982, 1032—1036; Zisana Abyladze, Eine osmanische Quelle des Jahres 1725 über die Eroberung Khartlisis durch die Türken, Orhan Saik Gökyay Armagani, Journal of turkisch Studies, The department of Near Eastern Languages and Civilisations, Harvard University, 1984, 465—473; Maya G. Mamatsšvili, Dzamshid Š. Giunašvili, On the centenary of the first edition of Visramiani, Georgia I, Roma, p. 119—126, 1985.

პპოვა ფართო მეცნიერულ წრეებში მათ მიერ შესრულებულმა პუბლიკაციებმა და მეცნიერულმა შრომებმა²⁷.

²⁷ Michel van Esbroeck, R. Guaramia, Amoniosis Sina Raitis emda mamata mosvis arabul-kartuli versiebi, IX—X, XIII da XVII s.s. helnacerebis mihedvit, edition „Mecniereba“, Tbilisi, 1973, Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogiue, XXXII, 1974, 299—302; Zdenka Vesela, Gürcüzade, Eith-mame-i Tiflis Metni bir Giriş Gücüceie çevirive Notlarla Yayinlayan Tsisana Abuladze, Tbilisi, 1975, Archiv Orientalni, 2, 45, Praha, 1977; Michail Guboglu, Ts. A. Abuladze — M. H. Svanidze, Defteri Caba-i Eyaleti Cildir, Revista de Istorie, Bukureşti, 1981, vol. 34 №12; S. Kitagawa, Shi No. № 13, Hokkaido University, 1981; Zdenka Vesela et Velka Kopčan, Defteri Caba-i eyaleti Cildir 1694—1732 y.y., Archiv Orientalni, 49, Praha, 1981; N. Beldiceani, Turcica, Tome XIII, 1981, Paris-Strasbourg; Zdekna Vesela, Tsisana Abuladze, Thurkuli cqaroebi XVI s. Samcche-Saathabagos istorii-sathvis, Tbilisi, 1983, Archiv Orientalni, 53, Praha, 1985.

მ. ხოშტარია-ბროსე

ქართული დიპლომატიკა. მიღწევები და პერსპექტივები*

ა) ადრეული ხანის საბუთების ნაკვალევი

ქართულ ისტორიულ სინამდვილეში საბუთების, როგორც გარკვეული იურიდიული აქტების, შედგენასა და გამოყენებას ღრმა ტრადიციები აქვს.

ივ. ჯავახიშვილს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული სიგელ-თა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ საქართველოში ძველად საბუთების დაცვა-შენახვაზე საუბრისას მოყვას VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოფი კესარიელის ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ იმ ხანად დასავლეთ საქართველოში — ლაზიკაში არსებობდა სამეფო არქივებში საბუთების დაცვის პრაქტიკა. „პროკოფი კესარიელს ნათქვამი აქვს, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — რომ კოლხეთის მეფის დესპანები სპარსეთის მეფეს ხოსროს იმთავითვე ლაზიკასა და ირანს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულების დასამტკიცებლად ამ ორი ქვეყნის მიწერ-მოწერის შემცველ საბუთებს იმოწმებდნენ, რომელიც მათ სამშობლოში და სპარსეთში ინახებოდა (De bello persico, 11, cap. 15). თუ აქ ბიზანტიელ ავტორს მჭერმეტყველებამ არ წაჰძლია და მთლად თითონ არ სთხზავდა კოლხეთის დესპანების ნალაპარაკებს, მაშინ. ეს ცნობა დასავლეთ საქართველოში საბუთების დაცულობის შესახებ ფრიად საყუარადღებო იქნებოდა“¹. პროკოფის ეს ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში სანდოდ არის მიჩნეული².

მართალია, ადრეულ ხანაში საბუთების არსებობაზე სხვა რაიმე პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს XI ს. მწერალ ჯუანშერთან საბუთის აღმნიშვნელი ტერმინის „გუჯარის“ ხმარება ადრინდელ (VI ს.) მოვლენებთან დაკავშირებით: „გუჯარი ერთგვარი ხალხისა და ქონების აღწერის დაუთარი გამოდის და არა სიგელის მსგავსი საბუთი, რა მნიშვნელობითაც ეს ტერმინი შემდეგში იხმარებოდა“ — წერს ივ. ქვე-

* დაიბეჭდა შემოკლებით: მ. В. Хоштария (Броссе), Состояние и перспективы собирания, изучения и публикации грузинских исторических документов, Источниковедческие разыскания, 1979. Тб., 1984, с. 193—202.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელ-თა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 80.

² ივ. Прокопий Кесарийский. История воин римлян с персами..., 11, 15. Перев. с греческого Спиридона Дестуниса, комментарии Гаврила Дестуниса. Записки историко-филологического факультета имп. СПб., университета, ч. VI, СПб., 1880, с. 110. აღნიშნულ ადგილთან დაკავშირებით შენიშვნაში ვკითხულობთ «Любопытное свидетельство о хранении международных актов у Персов и Лазов в VI в. по р. Хр.» (там же, сноска).

მით მკვლევარი დასძენს: „მინც და მინც საგულისხმოა, რომ XI ს-ის ქართულ ძეგლში ეს ტერმინი ნახმარია საბერძნეთისა და არა ქართული საბუთო აღსანიშნავად. თვით ქართულ საისტორიო მწერლობაში კი, როდესაც ცნობები საქართველოს პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებას და წეს-წყობილებას ეხება, და ქართულ საბუთებში მე-XI ს-ითგან მოყოლებული მე-XV ს-ის პირველი ნახევრის დასასრულამდის, ჯერჯერობით მინც „გუჯარი“ არსადა გვხვდება“³.

ჯუანშერის ტექსტში ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ „გუჯარში“ აღწერილი იყო არა მარტო „ბერძენთა ნათესავი და ქუეყანა“ (ქ. ც. I, გვ. 231), არამედ თვით ქართველ მეფეთა არჩილის და მირის ქონებაც და მოდგმაც. ვფიქრობთ, ასე უნდა გავიგოთ ჯუანშერის სიტყვები, რომელნიც კეისრის მიერ აფხაზთა ერისთავის ლეონისადმი მიწერილობას გადმოგვცემს: „და შვილთა შორის ნებროთისთა წარჩინებულ ყვნა ღმერთმან ეგენი (ე. ი. არჩილი და მირი, — ე. ხ.), რამეთუ არა მოაკლდეს ნათესავსა მაგათსა ბრძენი გულისხმის-მყოფელი და მბრძოლი, ვითარცა ესე მოგუთხრობს ჩუენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით“ (ქ. ც. I, გვ. 240).

ირკვევა, რომ სარკინოზთა შემოსევისას საგანძური დაფლული და „საგანძურისა გუჯარი“ დაწერილი ჰქონდათ არა მარტო ბერძნებს (ქ. ც. I, გვ. 231), არამედ ქართველ მეფეებსაც. საყურადღებოა, რომ მათ საგანძურთან ერთად ინახებოდა არა უბრალოდ „გუჯარი“, არამედ „გუჯარნი ტყვისანი“. კერძოდ, სამეფო საგანძურის გადამალვასთან დაკავშირებით არჩილი ეუბნება მირს: „და შენ წარიხუენ ორნი იგი გურგვნი, ოქროსა და ანთრაქისანი... ყოველსა თანა ოქროსა და ვერცხლსა... და შენ და მამამან ჩუენმან დასდევით იგი ქუთათისს და ციხე-გოჯს, ხოლო მე გურგვინნი იგი ჩემნი და გუჯარნი ტყვისანი მარტოდ დავსხენ...“ (ქ. ც. I, გვ. 236). ქართველ მეფეთა მიერ დაფლულ განძზე, რომელიც ბერძნების განძისაგან ცალკე არსებობდა, ლაპარაკია „არჩილის წამებაშიც“ (ქ. ც. I, გვ. 246). ამდენად, ეჭვი არ არის, რომ „გუჯარნი ტყვისანი“ ქართველი მეფეების ქონების თუ მოდგმის აღსაწერად გამოიყენებოდა.

რას წარმოადგენენ ეს „გუჯარნი ტყვისანი“? ცხადია, აქ ლაპარაკია ტყვის ფურცლებზე ნაწერ საბუთებზე.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე ხელმოსაკიდი მასალა საქართველოში ან სადმე უშუალო მეზობლობაში ადრეფეოდალურ ხანაში ტყვიანზე ნაწერი საბუთების არსებობის დასადასტურებლად, თუმცა თავისთავად ასეთ მასალაზე — ლითონის ფურცლებზე, კერძოდ კი ტყვიანზე, შესრულებული წერილობითი ძეგლები ცნობილია ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში⁴. ამდენად, გამორიცხული არ უნდა იყოს ასეთივე წერილობითი ძეგლების არსებობა ძველ საქართველოშიც, სადაც ტყვის მადანიც უხვად მოიპოვებოდა, რასაც თავისთავად არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მარი ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის პუბლიკაციისას ეჭვის ქვეშ დაუყენებია ტერმინი „გუჯარნი ტყვისანის“ მართებულება და გეთავაზობს წაკითხვას: „გუჯარნი ტყვისანი“, მაგრამ, ვფიქრობთ, ის გარემოება,

³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

⁴ იოვანეს ფრიდრიხს, მაგალითად, მოაქვს ტყვის ფირფიტაზე წარწერის ნიმუში ძვ. წ. IV—III საუკუნეებისა ალკოედან და მულადან (ესპანეთი). И. Фридрих, История письма, М., 1979, с. 151, 378.



რომ „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხა გვაძლევს წაკითხვას „ტყვეობის“ „ტყვის“ (ქ. ც. I, გვ. 236, ვარიანტები), მიგვანიშნებს მოცემული ტერმინის სწორედ ამ მნიშვნელობაზე. თუ ეს ასეა, ჩვენ საქმე გვაქვს გვიანდელ წყაროში (XI ს.) საკმაოდ ადრეულ ხანაში საბუთების ერთი სახის, კერძოდ, აღწერის დავთრების ტყვის ფურცელზე შესრულების ფაქტის დადასტურებასთან საქართველოში. საერთოდ კი მაგარ მასალაზე — „ფიცარზე“ წარწერების გაკეთება ჩვეულებრივი საქმე იყო ძველად. „მამათა სწავლანის“ ტექსტში, მაგალითად, ვკითხულობთ: „ნებაჲ კაცისაჲ, ვითარცა ფიცარი არს საწერელი და რომელიცა გენებოს, დასწერო მას ზედა“⁵.

„ფიცარი“ შეიძლება ყოფილიყო ქვისაც („მოიქცა მოსე და გარდამოვიდოდა მიერ მითთ და ორნი იგი ფიცარნი წამებისანი ჳელთა მისთა, ფიცარნი ქვისანი, რომელნი წვრილ იყუნეს ორ კერძოვე ამიერ და იმიერ იყო დაწერილი და ფიცარნი იგი ქმნულნი ღუთისანი იყუნეს“ (გამოსვლათა, თავი 32,16) და ბრპენისაც ანუ ტყვისა („ჰპოვო ფიცარნი ბრპენისაჲ“; „დავწეროთ უკუე ფიცართა ბრპენისათა წამებაჲ წმიდათაჲ მათ“)⁶.

მართალია, ჩვენ ამჟამად მოკლებული ვართ შესაძლებლობას რაიმე უფრო კონკრეტული ვთქვათ საკუთრივ საქართველოში ტყვის ანუ ბრპენის წერილობითი ძეგლების და, კერძოდ, საბუთების არსებობაზე, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მასალა საკითხის დასაყენებლად უთუოდ ანგარიშგასაწევიკია.

ყოველივე ზემოთქმული კი უთუოდ აშკარა მოწმობაა საქართველოს სინამდვილეში საბუთების ადრეულ ხანაშივე არსებობისა და გამოყენებისაც.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ს. ჯანაშია ე. წ. წყისეს ქვა-ჯვარის წარწერის მნიშვნელობის შესახებ წერდა: „ეს არის მოღწეულთა შორის უძველესი დოკუმენტი, რომელიც აშკარად მოწმობს, რომ მეექვსე საუკუნის დამლევს თუ მეშვიდე საუკუნის დამდეგს მიწა ყიდვის და, საერთოდ, თავისუფალი გასხვისების საგანია“ — იმ გაგებით, რომ ამ ძეგლით „მიწის გასხვისების (გაყიდვის ფორმით) ფაქტი დოკუმენტალურად დამტკიცებულია მეექვსე საუკუნისათვის...“⁷. ნ. ბერძენიშვილს ამავე საკითხთან დაკავშირებით მოაქვს გიორგი მეფის მიერ 1170 წელს შიომღვიმისადმი ბოძებული მიწის მფლობელობის განახლების სიგელი და დასძენს: „გიორგი მეფის საბუთის ხასიათი ექვს არ უნდა სტოვებდეს იმაში, რომ XII საუკუნის 70-იან წლებში შიომღვიმის მონასტერში ჯერ კიდევ დაცული იყო ის დოკუმენტი, რომლითაც „წმიდა“ ევაგრეს მისგანვე „მოსყიდული“, ე. ი. ნასყიდი სხალტბა და გოროვანის ნაწილი შეღწეირავს მონასტრისათვის. საეჭვო აქ არც ამ „წმიდა“ ევაგრეს ვინაობა ჩანს, ის იყო შიომღვიმელის თანამოდგაწე და ხსენებული მონასტრის მეორე მამა. ამიტომ ევაგრეს მიერ სოფლის „მოსყიდვა“ და მონასტრისათვის მისი შეწირვა იმავე დროსია დაახლოებით (თუ უფრო ადრინდელი არა), რაც წყისეს წარწერა“⁸.

IX საუკუნიდან ჩვენ უკვე მოგვეპოვება არა მარტო პირდაპირი მითითება ქართული საბუთების არსებობაზე, არამედ ხელთ გვაქვს ამ დროის დოკუ-

⁵ მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955 (310,24).

⁶ ი. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1963, გვ. 35,446.

⁷ ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 99,240.

⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 383.

მენტის ტექსტიც. ეს არის დაწერილი ფავნელისა შიომღვიმისადმი, რომელზეც შემორჩენილია გვიანდელი (XIII თუ XV ს.) პირის სახით⁹.

ბ. საბუთების გამოყენება როგორც იურიდიული აქტებისა და ისტორიული ფაქტის დადგენის მიზნით ძველად

თავდაპირველად საბუთს გამოყენებითი დანიშნულება ჰქონდა, როგორც იურიდიული ფაქტის დამადასტურებელ აქტს. ამის ნათელი მაგალითია ბაგრატ IV-ის სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულო დავის გამო, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ მიწის მფლობელობის დამტკიცების მიზნით მიჯნაძორელებმა „მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთ-ერისთავისაი, გურგენ მეფეთა-მეფისაი, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისა გიორგი მეფისაი, რომლითა იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძორელისათვის დამტკიცნეს და კრულობითა მოწმობანი კათალიკოზთა და მღვდელთ-მოძღუ-ართანი.

და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაი, რომელითა მას ტყე-სა და ზღვარსა მიჯნაძორელთა ერჩოდეს და ამათ მიჯნაძორისა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელ ოპიზართათუის დაუწერიო, არა ქსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად¹⁰.

როგორც ვხედავთ, მოტანილ ამონაწერში არა მარტო სხვადასხვა საბუ-თების, როგორც მიწის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტების („დაწერილი“, „სიგელი“), გაცემასხვა ლაპარაკი უკვე IX—X საუკუნეებიდან, არამედ ამ დოკუმენტების გაფორმების (დამტკიცების) გარკვეულ წესზედაც არის მითითება, რაც საამისო ძველიდგან მომდინარე ტრადიციის არსებობა-ზედაც მიგვანიშნებს.

უფრო მოგვიანო ხანაში საბუთის სათანადოდ შედგენისა და დამოწმების („კელის ჩართვის“) წესი საკმაო სიღრმითაა შესწავლილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ივ. ჯავახიშვილი¹¹, ნ. ბერძენიშვილი¹²), მხოლოდ ჩვენს მხრივ ყურადღებას გვაგამახვილებთ ამ წესის საკანონმდებლო ნორმით დადა-სტურებაზე ბექას სამართლის მე-60 მუხლში, სადაც ვკითხულობთ:

„[თუ კაცმან კაცს რა] გინდა სასაქმოე წიგნი მისცეს, გინა პატრონმან უბოძოს რაისათვისე, და ერთოს საპატიოთა კაცთა, მოლოზანთა კელი ერი-სავანთ საჯერობისათვის, (და ამასობაში გამოჩნდეს — ე. ხ.) კელი მისვე კა-ცისაგან განცხადებითა წერილი და აგრეთვე კელებიცა ერთოს და [არა] მალ-ვითა მისცეს, იგი უკანის გააცუდებს მას პირველსა.

და თუ მალვით და ქვე ყამით მიეცეს და არც ვისი კელი ერთოს, იგი ცუდია და პირველ უმტკიცე იქნების¹³.

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია საბუთის ერთ-ერთი სახეობის („სა-საქმოე წიგნის“) გაფორმების წესზე — საბუთი უნდა დადასტურებული ყო-ფილიყო როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთა ხელრთვებით და იგი

⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1965, გვ. 3, 592; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX—XIII სს., თბ., 1984, გვ. 16—18.

¹⁰ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX—XIII სს., თბ., 1984, გვ. 32—33.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 113, 116.

¹² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 180—190.

¹³ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 318—314.

გაცემული უნდა ყოფილიყო „განცხადებით“ და „არა მალვით“. ამავე დროს შესაძლოა გამოჩენილიყო მეორედ გაცემული საბუთი, რომელიც, ასევე სათანადოდ იყო გაფორმებული, აბათილებდა პირველს, თუ არა და პირველი ძალაში რჩებოდა.

იგივე მუხლში ქვემოთ ისიცაა აღნიშნული, რომ ერთხელ გაცემული საბუთი არ შეიძლება გაუქმებულიყო არც ქრთამის გულისათვის და არც „ძალით“ („შუათა პირთა ნაწავები პირი და წივნი არა მოეშლებს უკანის, ანუ სარგებლის დახედვისათვის, ანუ ძალისა შოებისათვის“)¹⁴.

საბუთების იურიდიული ფაქტის დადასტურების მიზნით გამოყენების უამრავი მაგალითი გვაქვს ძველად, რადგან საბუთი სწორედ ამას ემსახურებოდა. მაგრამ, თანდათან შემოდის პრაქტიკა საბუთის ისტორიული ფაქტის თუ მოვლენის დადგენის მიზნით გამოყენებისაც. ამისი პირველი მაგალითი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროკოფი კესარიელთან შემონახულ ცნობას, მოგვეპოვება „ჟამთააღმწერელთან“, სადაც დავით ულუსა და დავით ნარინის გამეფებასთან დაკავშირებით წერია: „და ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იბოვების, და თვთ მე მინახავს, რომელ სიგლებისა თაქსა სწერია: „მეფენი ბაგრატიონნი“, და „ნებითა ღმრთისათა, დავით და დავით“. და ჰელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისაგან მტკიცე [არს], და ჩემ დავითისაგან მტკიცე არს“, ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ, ვითარ ეთქუ“¹⁵.

საბუთების გამოყენებას ისტორიული ფაქტების დასადგენად, სხვა წყაროებთან ერთად, თანაც ამ წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომით, ფართოდ მიმართავდა ვახტანგ VI-ს სწავლულ კაცთა კომისია „ახალი ქართლის ცხოვრების“ დაწერისას. ამ ძეგლის შესავალში, კერძოდ, ვკითხულობთ: „ხოლო ამის ბაგრატიისა და ძისა მისისა კოსტანტინესი დაეწერათ და ვპოვეთ ძუელთა წიგნთა შინა და ქუემორე რიგსა მისსა დაგვწერია. და ესე ამბავნი მის-ზემოთნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან გამოვიღეთ და აღწერეთ, ხოლო მეფისა ალექსანდრესა და ძისა მისისა მეფისა კოსტანტინესი და შემდგომი ძუელთა კაცთა და სპარსთა ცხოვრებისა, და ქორონიკონთა და გუჯართაგან აღგვწერია ვიდრე მეფისა როსტომისადმდე. ხოლო მეფისა როსტომის-აქათი თვთ თუალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვწერია. და, რაოდენი საეკუელი იყო, უკმარ ვყავით, ხოლო მართალი აღგვწერია ცხოვრებისა ბაგრატ მეფისითგან“¹⁶.

ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის შემდგომ, ახალ საფეხურზე საბუთებს, როგორც საისტორიო წყაროს, ხშირად მიმართავდა ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც XVIII ს. 40-იან წლებში თავის შესანიშნავ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ უკვე იყენებს საისტორიო წყაროთა კრი-

¹⁴ იქვე, ბექას სამართლის მე-60 მუხლის ვაგების შესახებ დაწერილებით იხილეთ: ე. ხო შტარინა ბროსე. ბექასა და ალბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთმიმართებისა და ზოგიერთი მუხლის ვაგებისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, № 4, 1985 წ.

¹⁵ ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 226—227. საყურადღებოა, რომ ეს არგუმენტაცია ჟამთააღმწერელმა გამოიყენა აღნიშნულ მეფეთა ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით არსებული სხვა ვერსიის უარსაყოფად.

¹⁶ იქვე, გვ. 326.



ტიკის მეთოდს¹⁷. კერძოდ, ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის დადგენისას საბუ-
 თების გამოყენების შესახებ ვახუშტისთან მოგვეპოვება პირდაპირი მითითებ-
 ბანი. მაგალითად, ბარათაშვილთა გვარის ქაჩიბაძეთაგან მომდინარეობის დასა-
 დასტურებლად იგი წერს: „ხოლო იტყვან ესენი ჩამომავლობასა ქაჩიბაძისა-
 სა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი“.
 უფრო ქვემოთ კი ვკითხულობთ: „ხოლო ბარათაანთ გუჯარსა შინა, რომელ
 არს ბეთანიას, წერილ არს: „მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან,
 გაპყარნა სამნი ძმანი — აბაში, გუგუნა და დავით...“¹⁸.

იგივე წყარო — სიგელ-გუჯარები ძირითადად უდევს საფუძვლად ვახუშ-
 ტისეულ ქრონოლოგიას: „არამედ თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და
 საეკლესიოებთა წიგნებთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელი აღწერიათ
 ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე ჩუენამდე ყოველთა მეფეთა და მთა-
 ვართა...“¹⁹.

ამგვარად, ფეოდალურ საქართველოში საბუთი გამოიყენებოდა არა მარ-
 ტო როგორც იურიდიული ფაქტის დადგენის საფუძველი, არამედ როგორც
 საისტორიო წყაროც. ჯერ კიდევ ფეოდალურ ხანაშივე საბუთების გაყალბე-
 ბის („ნატყუარი“ საბუთების შედგენის) ფაქტების გაჩენამ და ვახშირებამ²⁰
 წარმოქმნა პრაქტიკული საჭიროება საბუთების ნამდვილობის დადგენისა.
 ფაქტიურად ამას ემსახურებოდა საბუთების შედგენისა თუ დამოწმების წესის
 მკაცრი დადგენა, რაზედაც ზემოთ გვექონდა ლაპარაკი. საბუთის სინამდვილის
 დასადგენად თუ კი აღრე კელრთვებს ექცეოდა დიდი ყურადღება²¹, შემდგომ
 ასეთივე ნიშნად ბეჭედიც ხდება. ვახტანგ VI თავისი სამართლის 161 მუხლში
 მიუთითებდა: „სყიდვა ასრე უნდა. კარგა გამოძიებით, მართლის შეტყობით
 უნდა იყიდოს, რომე ან სხვის მამული არ შემოატყუოს, ან მზღვარი ტყუი-
 ლად არ დაუწეროს; კაის მოწმით, წიგნით და ბეჭდით უნდა იყიდოს“. ვალის
 თაობაზე კი 143-ე მუხლში ვკითხულობთ: „ვალი რომ კაცს კაცისა ემართოს,
 მოვიდოდეს და იჩივლოს. უნდა მოადიც მოიყვანონ. თამასუქი უნდა გაუ-
 სინჯონ, ბეჭედი, ქრონიკონი, დამწერი და მოწამე — ამიტომ რომე ბევრს
 ტყუილად მოიგონებენ“²².

როგორც ირკვევა, სასამართლოს წესით იურიდიული ფაქტის დადგენის
 მიზნით საბუთის ნამდვილობის გასარკვევად მთელი სისტემა იყო შემუშავე-

17 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 335—336; ვ. გაბაშვილი, ვახუშტი XVII—XVIII სს. ევროპული ისტორიოგრაფიის მუქზე, „ანალები“ I, თბ., 1947, გვ. 105; მისივე, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969 წ.

18 ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყუხჩიშვილის გამოც. თბ., 1973, გვ. 33.

19 იქვე, გვ. 292.

20 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მოცინებობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. 156—160. ერთ ასეთ მაგალითზე მიუთითებს ნ. ბერძენიშვილი: „XV საუკუნეში ზევედგინიძის სახლში უთანხმოება იყო. ერთ-ერთი ზევედგინიძე დარბაზში ჩივის, რომ სახლისკაცი მას ყალბი ნაშვილეობის წიგნით „ეუბნება“, ე. ი. სასახლისკაცო ქონების ნაწილს უსამართლოდ ითვისებს. და მომივიან ამ ნაშვილეობის წიგნის უკანონოპის დასამტკიცებლად მოახსენებს სასამართლოს, რომ კანონიერი ნაშვილეობის წიგნი „მეფეთა კელჩართული და მისთა მდიანთა კელწერილი და თავადთა მოწმობითა უნდა...“ მაგრა ვერე ტყუილ არის, რომე (მეფეთა) კელჩართულის მაგიერი გაბელიძის (ვე)ლჩართული და ნიშანი აქუს“. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 182.

21 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 180—190.

22 სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1981, გვ. 222—223, 226.

ბული²³. ამ მიმართულებით ყურადღება კიდევ უფრო მეტად იქნა გამახვილებული XIX ს. დასაწყისიდან, როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და აქ რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯერ ძველი სამეფო კარის მოხელეთა კომპეტენციის გარკვევისა და მერე კი სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების წოდებრივი, ქონებრივი თუ უფლებრივი მდგომარეობის გასარკვევად ხელისუფლებამ მოითხოვა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენა. ასეთი საბუთები განიხილებოდნენ რუსული მმართველობის ორგანოებში, სადაც მათი ნაწილი რჩებოდა კიდევ ან დედნების ანდა გადაღებული პირების სახით.

ამ საქმეს თავიდან განაგებდნენ საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო საკრებულო და მისი ექსპედიციები, ხოლო შემდგომ სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო; შექმნილი იყო საგანგებო კომისიაც სამეფო სიგელების განსახილველად. ამავე დაწესებულებებში მოწმდებოდა საბუთების სანდოობის საკითხიც, რისთვისაც შემუშავებული იყო კიდევ საგანგებო ხერხები, რაშიც ფართოდ გამოიყენებოდა ძველი სამეფო კარის მდივნების გამოცდილება. მუშაობა საბუთების სინამდვილის დასადგენად ამ პერიოდში საკმაოდ ინტენსიურად სწარმოებდა ყალბი საბუთების წარმოდგენის გახშირებასთან დაკავშირებით²⁴. არსებითად ეს იყო საბუთების დიპლომატიკური შესწავლის საწყისები.

გ. ქართული ისტორიული საბუთების შეკრება და პუბლიკაცია XIX ს. და XX ს. პირველ მესამედში

ძველად საბუთები ინახებოდა სამეფო, ფეოდალურ საგვარეულოთა და ეკლესია-მონასტრების არქივებში. მათი დიდი ნაწილი განადგურდა უცხოელ დამპყრობთა შემოსევებისა თუ ფეოდალური შინაომების დროს. რაც შემორჩა, XIX ს. დასაწყისიდან, როგორც უკვე ითქვა, ნაწილობრივ თავმოყრილი იქნა რუსული ხელისუფლების დაწესებულებებში; ეკლესია-მონასტრების საბუთები, კერძოდ, შეგროვდა და დავთრებში გატარდა სინოდალური კანტორის მიერაც, 1818 წლიდან. უფრო მოგვიანებით, XIX ს. 50-იან წლებიდან საეკლესიო ქონებათა სახელმწიფოს ხელში გადასვლასთან დაკავშირებით, საეკლესიო-სამონასტრო საბუთებს თავი მოუყარეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოებში. ორივე ეს არქივი, კავკასიის მეფისნაცვლის არქივთან ერთად, პირველი მსოფლიო ომის დროს, კავკასიის ფრონტზე თურქების შემოტევასთან დაკავშირებით 1915 წელს ევაკუირებულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მათი უდიდესი ნაწილი დაიღუპა სამოქალაქო ომის დროს 1920 წ. სწორედ ამ პირობებში თითქმის მთლიანად განადგურდა ძველი ქართული ისტორიული საბუთების

²³ ი. ე. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156—160.

²⁴ В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем от присоединения Грузии до наместничества вел. князя Михаила Николаевича, Тифл., 1901; А. А. Введенский, Лекции по документальному источниковедению истории СССР, Киев, 1963; Он же, Подлог и фальсификация исторических документов в Грузии в первой половине XIX века, Труды Тбилисского государственного университета, т. XV, Тб., 1940, с. 53—79; Н. А. Мшвидобаძე, О мероприятиях по рассмотрению грузинских документов русскими административными органами в Грузии в начале XIX в., Сб. Источниковедческие разыскания, 1979, Тб., 1984 г. с. 118—128.

დედნები²⁵, რომელთა არსებობაზეც წარმოდგენას გვიქმნის ადრე შესრულებული ასლები თუ პუბლიკაციები.

XIX ს. შუახანებისათვის ქართული ისტორიული საბუთები, როგორც საისტორიო წყარო, სხვა ასეთივე ძეგლებთან ერთად, ექცევა აკადემიკოს მარია ბროსეს ყურადღების არეში. ერთ-ერთ თავის შრომაში „ქართული არქეოგრაფია“, რომელიც 1838 წ. გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე, მ. ბროსე ხაზს უსვამს ქართული ისტორიული საბუთების — „სიგელ-გუჯრების“ გამოვლენის და შესწავლის აუცილებლობას და მნიშვნელობას, სახელდობრ, აღნიშნავს ქართულ ეკლესია-მონასტრებში (მცხეთა, გელათი, ნინოწმინდა) მათი მოძიების საჭიროებას; ეხება მის მიერ რუსეთის სიძველეთსაცავებში მიკვლეულ თუ საქართველოდან მიღებულ საბუთებს, იძლევა ზოგი მათგანის ტექსტის პუბლიკაციას ფრანგული თარგმანითურთ (მაგ., როსტომის 1652 წ. გუჯარი, ალექსანდრე-დადიანისეული სასისხლო სიგელი, ანუ ე. წ. „ჯაფარიძეთა სიგელი“ და სხვა).

ამის შემდეგაც თავის მოღვაწეობაში მარია ბროსეს ინტერესი ქართული საბუთებისადმი არ შენელებულა, რისი შედეგიც იყო საქართველოში მოგზაურობის დროს ასეთი მასალის მოძიება და ადრევე ქართველი კორესპონდენტების მიერ მისთვის მიწოდებული საბუთების მდიდარი კოლექციის შექმნა პეტერბურგში, სააზიო მუზეუმში²⁶.

1878 წ. მარია ბროსე კიდევ ერთხელ საგანგებოდ სვამს საკითხს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ქართულ ისტორიული საბუთების შესწავლის საქმის გაძლიერების შესახებ, ხაზს უსვამს ამის საჭიროებას ევროპაში და ნაწილობრივ რუსეთშიც პალეოგრაფიის განვითარებასთან დაკავშირებით, ამავე ჭრილში განიხილავს პეტერბურგში კალაჩოვის მიერ არქეოლოგიის ინსტიტუტის დაარსებას, ხოლო თბილისში კავკასიის სიძველეთა მოყვარულების საზოგადოების შექმნასა და „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ გამოცემას.

ბროსე კიდევ ერთხელ მიუთითებს საბუთების მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიისა თუ ქრონოლოგიის საკითხების დაზუსტებასა და სხვა წერილობითი ძეგლების ცნობების შემოწმებაში. მას შეაქვს წინადადება აკადემიაში, რათა დაევალოს დიმიტრი ბაქრაძეს შეაგროვოს და შეისწავლოს ქართული სიძველეები — სიგელ-გუჯრები, წარწერები, ხელნაწერთა მინაწერები, ეპიტაფიები და სხვა. რისთვისაც შედგეს დ. ბაქრაძის მიერ საბუთების შესწავლის კონკრეტული გეგმა²⁷.

ცალკეული ქართული საისტორიო საბუთების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანასთან ერთად მ. ბროსე 1857 წ. აქვეყნებს 300-ზე მეტი ქართული სა-

²⁵ იხ. სარგის კაკაბაძე. მოხსენება განათლების სახალხო კომარის სახელზე წარდგენილი, ჩრდ. კავკასიიდან არქივებისა და სამუზეუმო კოლექციების რეევაკუაციის შესახებ 1923 წ., საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 272—281; მისივე, საარქივო აქმის შესახებ საქართველოში. იქვე, გვ. 267—272;

²⁶ Bibliographie analytique des ouvrages de Monsieur Marie-Félicité Brosset. (1824—1879), SP 1887, გვ. 110—111; შ. ხანთაძე, მარია ბროსე, თბ., 1966; III. Хантадзе, Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970, с. 93—94; მ. სურგულაძე, მარია ბროსე — საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების მომპოვებელი და პუბლიკატორი, მრავალთავი, XII, თბ, 1986 წ., გვ. 149—155.

²⁷ Bibliographie analytique, გვ. 509—511; М. Броссе, О проекте изучения и разбора грузинских исторических грамот, Записки Академии наук, том 34, 1879, с. 71—79.

ბუთის კატალოგს ქრონოლოგიური წესით 1020 წლიდან 1822 წლამდე მოცემულია საბუთების ფრანგული თარგმანი ზოგიერთისა მთლიანად, სხვათაგანსაც შემოკლებით, სათანადო კომენტარებით²⁸. 1861 წ. გამოდის მისი ფუნდამენტური პუბლიკაცია ქართველ მეფე-მთავართა რუსეთის ხელმწიფებასთან დიპლომატიური მიმოწერისა 1639 წლიდან 1770 წლამდე²⁹. ეს იყო სწორედ შედეგი მარი ბროსეს მიერ რუსეთის (მოსკოვის) არქივებში ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩატარებული ძიებისა, რასაც მოყვა რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მასალების გამოვლენა. მ. ბროსე ამ ურთიერთობის პირველი მკვლევარიცაა და შესაბამისი საბუთების პირველი პუბლიკატორიც.

მ. ბროსეს საქმიანობის და, კერძოდ, პეტერბურგში სააზიო მუზეუმის ფონდში ქართული საბუთების კოლექციის შექმნაში აქტიური ხელისშემწყობნი იყვნენ მისი ქართველი კორესპონდენტები, რომელნიც სისტემატურად უგზავნიდნენ მეცნიერს საისტორიო მასალას დედნებისა თუ პირების სახით. ესენი იყვნენ პ. იოსელიანი, რ. ერისთავი, დ. მეღვინეთხუცისშვილი, ს. ბარათაშვილი. არაქართველთაგან ა. ბერჟე და სხვები³⁰.

XIX ს. მეორე ნახევარში ინტერესი ქართული ისტორიული სიძველეებისადმი და, კერძოდ, ისტორიული საბუთებისადმი გაცხოველდა საქართველოშიც, რაც დაკავშირებული იყო ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებასთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პირობებში. სიძველეთა შეკრებისა და შესწავლის საქმის მოთავეები XIX ს. და XX ს. დასაწყისში იყვნენ მოწინავე ქართველი მოღვაწეები: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვები.

ამ მოღვაწეთა მეცადინეობით ხდება ქართულ სიძველეთა დიდი ნაწილის და მათ შორის ისტორიული საბუთების თავმოყრა 1879 წ. დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთსაცავში, 1888 წ. დაარსებულ საეკლესიო მუზეუმსა და 1907 წლიდან ჩამოყალიბებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სიძველეთა ფონდებში. საბუთების თავმოყრასთან ერთად ხორციელდება მათი პუბლიკაციაც. 1866—1875 წლებში დ. ბაქრაძე და ა. ბერჟე „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“ აქვეყნებენ ქართულ საბუთებს რუსული თარგმანითურთ³¹, ხოლო 1881 წ. დ. ბაქრაძე თბილისში ჩატარებული V არქეოლოგიური ყრილობის ოქმებში ბეჭდავს ქართული სიგელების ლითოგრაფიულ ასლებს³².

²⁸ Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX^e siècle, traduite du géorgien par M. Brosset, Membre de l'Académie Impériale des sciences. II^e Partie. Histoire moderne, Addition XVI, Etudes sur les chartes, St.—P., 1857. pp. 441—576.

²⁹ Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями, от 1639 г. по 1770 г., СПб., 1861 (изд. М. Броссе).

³⁰ Р. Р. Орбели, Кавказоведение — В кн.: Азиатский музей — Ленинградское отделение Института Востоковедения АН СССР, М., 1972, с. 468—482; Она же, Собрание грузинских рукописей Института Востоковедения Академии наук СССР, Ученые зап. Института востоковедения, т. IX, Л., 1954, с. 39—40.

³¹ Акты, собранные Кавказской Археологической Комиссией, т. I, Тифл., 1866, т. VI, ч. II, Тифл., 1875.

³² Д. З. Бакрадзе, Грузинская палеография, Труды V Археологического съезда в Тифлисе, Тифл., 1881, с. 208—210.



1890 წ. ალექსანდრე ხახანაშვილმა ქუთაისში დასტამბა ე. წ. „გუჯრები“³³ ხოლო შემდეგ განახორციელა საბუთების რუსული თარგმანის პუბლიკაცია³⁴.

ქართული ისტორიული მასალების და, კერძოდ, დოკუმენტების გამოკვლენის, გამოცემისა და შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ ორტომეულის გამოცემა³⁵, სადაც საბუთები, როგორც წესი, მოცემულია შემოკლებული სახით, ავტორისეული კომენტაჟებით. თ. ჟორდანიას ამავე დროს აქვეყნებს დოკუმენტების ცალკეულ კრებულებსაც³⁶. ქართული საბუთების დიდი ჯგუფის (XVIII ს.) რუსულ თარგმანს აქვეყნებს ალექსანდრე ცაგარელი³⁷; მასვე ეკუთვნის ამავე საბუთების ქართული ტექსტების პუბლიკაცია³⁸. საბუთების შემოკლებული თარგმანი თუ ანოტაციები გამოაქვეყნა დიმიტრი ფურცელაძემაც³⁹.

1899—1910 წლებში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სახით ექვთიმე თაყაიშვილი ახორციელებს ქართული დოკუმენტების სოლიდურ სამტომიან პუბლიკაციას⁴⁰ და აგრეთვე აქვეყნებს პალეოგრაფიულ აღზომს ორ რვეულად, სადაც ლითოგრაფიული წესითაა დაბეჭდილი რამდენიმე სიგელი⁴¹. საბუთები ქვეყნდებოდა აგრეთვე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემაში „ძველი საქართველო“, ტ. I—IV (რედ. ე. თაყაიშვილი), თბ., 1909—1915 წწ. საბუთების მნიშვნელოვანი რაოდენობა XX ს. პირველ ოცეულში გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემაც კრებულების⁴² თუ ცალკეული საბუთების სახით, აგრეთვე თავის შრომებში. ზოგიერთი საბუთის რუსული თარგმანის პუბლიკაცია განახორციელეს დ. ბაქრაძემ, ე. თაყაიშვილმა, ნ. ერისთავ-შარვაშიძემ, ს. კაკაბაძემ.

ქართული ისტორიული საბუთები იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებშიც — „ცისკარში“, „დროებაში“, „მომამბეში“, „კვალში“ და სხვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართულ სიძველეთა და, კერძოდ, ისტორიული საბუთების შეკრებისა და შესწავლის საქმე კერძო პირთა და საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ ორგანიზაციების

³³ ა. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი. 1840.

³⁴ Грузинские дворянские акты и родословные росписи. Изд. А. Хаханова, М., 1893.

³⁵ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებული, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. წ. 1—2, ტფ., 1892—1897.

³⁶ თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძველი „ეპისკოპოსის ქვაბთა“, თბ., 1896; ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903.

³⁷ А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1768 г. по 1774 г., СПб., 1902.

³⁸ А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, вып. I, Грузинские тексты, с 1768 по 1801 г., СПб., 1898.

³⁹ Грузинские дворянские грамоты. Составил Д. П. Пурцеладзе, Тифлис, 1881; Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ. Составил Д. П. Пурцеладзе, Тифлис, 1882; Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары (грамоты). Тифлис, 1881.

⁴⁰ საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1899 (მეორე სტიქოგრაფიული გამოცემა); ტ. II, 1909; ტ. III, 1910 წ.; (მესამე ტომის დამატება გამოცემა 1926 წ.).

⁴¹ პალეოგრაფიული აღზომი, რვეული 1—2, თბ., 1909—1920 წწ.

⁴² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წწ. I—V, თბ., 1913; მისივე, დასაჯელთ საქართველოს საეკლესიო სიგელები, ტ. I—II, თბ., 1920—1921.

ხელიდან გადადის სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციაში. ასეთმა იყო საქართველოს ცენტრარქივი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის სიძველეთსაცავში თავმოყრილი იქნა საეკლესიო მუზეუმის, წერაკოთხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდები. შემდგომ ეს უკანასკნელი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, სადაც შეიქმნა ძველ ხელნაწერთა განყოფილებაც (1941 წლიდან მუზეუმში შევიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. 1958 წლიდან ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი)⁴³.

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების და, კერძოდ, ისტორიული საბუთების ძირითადად ორ დაწესებულებაში — ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში თავმოყრამ საფუძველი მოუშადა ქართული დიპლომატიკის შემდგომ განვითარებას — საბუთების პუბლიკაციისა და შესწავლის საქმეს.

ს. კაკაბაძე, შ. ჩხეტია, ი. ცინცაძე, გ. გოზალიშვილი ძველ საბუთებს აქვეყნებენ ჟურნალებში: „საქართველოს არქივი“ და „საისტორიო მოამბე“ (1924—1926 წწ.), არაერთი დოკუმენტი დაიბეჭდა აგრეთვე ს. კაკაბაძის გამოცემაში „საისტორიო კრებული“ (წიგნები I—IV), 1928—1929 წწ.

დ. ქართული დიპლომატიკის, როგორც მეცნიერების, შექმნა და განვითარება

XIX საუკუნის მანძილზე და XX ს. დასაწყისში ქართული ისტორიული საბუთების შეგროვებამ, თავმოყრამ ცალკეული კოლექციების სახით. პუბლიკაციამ მოამზადა ნიადაგი ქართული დიპლომატიკის, როგორც სამეცნიერო დარგის — დამხმარე საისტორიო დისციპლინის, შესაქმნელად. ამ მეტად რთული და გადაუდებელი საქმის განხორციელება წილად ხვდა ივ. ჯავახიშვილს, რომელმაც 1920—1922 წლებში თბილისის უნივერსიტეტში ქართული დიპლომატიკის კურსის კოთხის დროს თანდათანობით შეაჯამა თავისი მუშაობის შედეგები და შემდეგ კი (1926 წ.), მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხოლოდ აქა იქ შევსებული სახით“ ცალკე წიგნად დასტამბა სათაურით: „ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. წიგნის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს დიპლომატიკის, როგორც ისტორიის დამხმარე მეცნიერების, მნიშვნელობას და დასძენს: „ჩემი მიზანი იყო, რომ ამ სამეცნიერო დარგსაც ჩვენს საისტორიო სამეცნიერო მწერლობაში საძირკველი ჩაჰყროდა და მასაც მკვლევართა შესაფერისი ყურადღება დაემსახურებინა, რომ ამით ნამდვილი და ნატყუარი საბუთების გამოცემასა და ქეშმარიტ და ტყუილი, უშინაარსო ფორმულად ქცეული და ახალი ცნობებით განურჩევლად სარგებლობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოჰდებოდა“.

ივ. ჯავახიშვილი აქვე მიუთითებს, რომ დიპლომატიკის ყველა პრობლემის დაძლევა ერთ აღამიანის ძალ-ღონეს აღემატება და შემოხაზავს საკითხების იმ წრეს, რომელთაც აშუქებს თავის წიგნში: „ამგვარად, წინამდებარე მონოგრაფიაში საბუთების მხოლოდ შედგენილობისა და დაწერილობის წესებია განხი-

⁴³ ი. აბულაძე, ძველ ხელნაწერთა დაცვა და ტექსტების პუბლიკაცია საბჭოთა საქართველოში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960; დ. დათუაშვილი, საარქივო საქმის ისტორია საქართველოში, თბ., 1977.

ლული ჯერ ისტორიული ცნობების მიხედვით, შემდეგ თვით სიგელ-გუჯრების ტექსტების ანალიზის საშუალებით. თავში ამ წიგნს სხვა და სხვა სახელწოდებითა სიგელთამცოდნეობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა მიუძღვის, ბოლოში ქართული სიგელთა-დაწერლობის წესების ლათინურ-ბერძნულ-სომხურთან შედარებითი შესწავლა მისდევს. ორთავეს დაწერა, ისტორიკოსისათვის ფართო მსოფლმხედველობის საჭიროების შეგნების გარდა, ქართული სიგელთამცოდნეობის წარმოშობის გამორკვევის სურვილითაც არის ნაკარნახევი. უკანასკნელი თავი ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიის მტკიცე ნაყოფსა, ნატყუარ საბუთებსა და მათი გამოცნობის მეთოდოლოგიას ეხება“.

ქვემოთ ივ. ჯავახიშვილი კიდევ უფრო აკონკრეტებს განხილულ საკითხებს და მიუთითებს არსებულ სიძნელეებზეც: „ამ წიგნსაც, ვითარცა პირველ ცდას, — რომელშიაც ერთსა და იმავე დროს შესაფერისი სამეცნიერო ტერმინოლოგიაც გამოძებნილ-შექმნილი უნდა ყოფილიყო, საბუთების შედგენა-დაცვის ტექნიკაც უნდა ყოფილიყო შესწავლილი, აგებულება-დაწერილობის წესებიც გამორკვეულიყო ზოგადადაც და დროთა განმავლობაში ისტორიული განვითარების დამახასიათებელი თვისებათა განსაზღვრითაც — რასაკვირველია, არაერთი ნაკლი აქვს. სხვა არა იყოს რა, მთელ გამოკვლევაში დაკვირვების საფუძვლად საბუთების აწ არსებული გამოცემები არის მიღებული. თუმცა იშვიათია საბუთი, რომელიც ე. წ. დიპლომატიკური ზედმიწევნით იყოს გამოცემული“.

ივ. ჯავახიშვილი, მართალია, ამჯობინებდა „რომ ჯერ ქართული სიგელ-გუჯრების სათანადო გამოცემა ყოფილიყო დაბეჭდილი, ხოლო შემდეგ ეს ქართული სიგელთა-მცოდნეობის სახელმძღვანელო გამოქვეყნებულიყო“, მაგრამ, მისივე აზრით, ამას დიდი დრო დაჰქირდებოდა და „თვით საბუთების წესიერი გამოცემისათვისაც წინასწარ ქართული სიგელთამცოდნეობის მთავარი საკითხების ცოდნა აუცილებელი იყო“. მკვლევარის ეს უკანასკნელი თვალსაზრისი შემდგომში საკვებით დადასტურდა. შემდგომში მისმა წიგნმა დიდი როლი ითამაშა საბუთების გამოცემის საქმეში.

ივ. ჯავახიშვილმა ქართული დიპლომატიკის დარგში თავისი კვლევა ზოგადი ნაწილის შემდეგ, როგორც თვითონვე წერს, სრულიად საქართველოს მეფეთა სიგელების განხილვით შემოიფარგლა. ხოლო „ქართული დიპლომატიკის შემდეგი ნაწილები — კათალიკოზთა, კერძო პირთა და საერთოდ სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ყოველნაირი საბუთების აგებულება-დაწერილობის შესწავლა“ შემდგომ თაობებს უნდებოდა. „თავისდათავად ცხადია, — წერს ივ. ჯავახიშვილი, რომ ეს იმდენად დიდ ენერგიასა და დროს მოითხოვს, რომ ერთ ადამიანს ამოდენა შრომის დაძლევა ეგების არც-კი შეეძლოს. მაგრამ მეცნიერებაში ხშირად არც არის საჭირო, რომ დაწყებული საქმე ერთიადიმავე პირმა დაამთავროს: ოდონდ მიზანი ნათლად იყოს გათვალისწინებული, მუშაობის გარკვეული გეგმა არსებობდეს და დაწყებული საქმის გამგრძელებელი მკვლევარნი საკმაოდ აღმოჩნდებიან“⁴⁴.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი წიგნით საქმეც წამოიწყო და მას ზორციც შეასხა, მიზანიც და შემდგომი მუშაობის გეგმაც ნათლად დასახა, რამაც, ცხადია, სათანადო ნაყოფიც მოგვცა.

⁴⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. III—VI.



ივ. ჯავახიშვილის დასახელებულ წიგნზე რეცენზია დაწერა სარგის ჯავახიშვილიმ, რომელშიც იგი არ დაეთანხმა მკვლევარს ე. წ. „სასისხლო სიგელის“ პირწმინდად ნატყუარად მიჩნევაში⁴⁵. ძიებამ ამ მიმართულებით შემდგომში დაადასტურა ნატყუარ სასისხლო სიგელთა შორის ნამდვილი საბუთების არსებობაც.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ქართული დიპლომატიკის ზოგადთეორიული საკითხების გაშუქება მთლიანობაში აღარავის დაუსახავს მიზნად. მაგრამ ამ მიმართულებით კონკრეტული ფაქტების კვლევაში მნიშვნელოვანი შედეგები მოგვეპოვება. ნიკო ბერძენიშვილი 1942 წელს ისტორიის ინსტიტუტში წაკითხულ მოხსენებაში — „ქელი“, რომელიც, 1952 წ. იქვე წაკითხულ მოხსენებასთან ერთად — „დაწერილი“, „სიგელი“, „წიგნი“ შევიდა მის შრომაში: „მიწისმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში — „ქელი“; „დაწერილი“, „სიგელი“, „წიგნი“ (ერთად დაიბეჭდა 1966 წ.), აღნიშნავდა: „ქართული დიპლომატიკის საკითხების სპეციალური კვლევა მიზნად არა მქონია. ძველ საქართველოში მიწის საკუთრების (კერძოდ „ნასყიდის“) ინსტიტუტზე მუშაობისას საჭირო იყო ამ საკუთრების აღმნიშვნელი მატერიალური თუ წერილობითი ძეგლების ერთად შესწავლა. ასეთმა მუშაობამ იმთავითვე ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი დასვა. შემდგომი თანდათანობითი დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ უხვი და მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები ელის მკვლევარს, თუ ის დოკუმენტების დიპლომატიკურ შესწავლას ამ ძეგლებში გათვალისწინებულ მოვლენათა ისტორიულ შესწავლაზე ააგებს.

გაირკვა, რომ ქართული დიპლომატიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ფუძემდებლის, განსვ. ივანე ჯავახიშვილის წამოწყება ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. ჩვენ ასეთი შრომა არ გვიკისრია და ამ ნაშრომის საგანი ქართული დიპლომატიკის მხოლოდ ერთი კერძო საკითხი გახლავთ და ისიც ნაწილობრივ განხილული: რამდენადაც ამას ჩემი სპეციალური საკვლევი სამუშაო ინტერესი მოითხოვდა“⁴⁶.

როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი დიპლომატიკის ცალკეული საკითხების კვლევაში წარმატების საწინდარს დოკუმენტებში ასახულ მოვლენათა ისტორიულ შესწავლაში ხედავს, რის ნიმუშსაც თვითონვე გვაძლევს. ამასთან ერთად საგულისხმოა მკვლევარის მუშაობის გულმოდგინების გასათვალისწინებლად ის, რომ „ქელის“, როგორც სამამულო უფლების დამამტკიცებელი ზოგადი მნიშვნელობის დიპლომატიკური დოკუმენტის, შესწავლასთან დაკავშირებით მან 7 ათასი საბუთი გასინჯა და ისეთი დოკუმენტი, სადაც „ქელის“ ამართვაა“ აღნიშნული, 60 დაადასტურა⁴⁷.

საერთოდ კი დიპლომატიკის დარგში მუშაობის მდგომარეობის შესახებ ნ. ბერძენიშვილი იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ „ქართული დიპლომატიკის ისტორიული შესწავლა მხოლოდ დაწყებულია. შეუსწავლელია, კერძოდ, ქართული იურიდიული დოკუმენტების ხელრთვა-დამტკიცების რაობა, ამ ხელრთვების წარმოშობა, მისი განვითარება“⁴⁸. ამ საკითხების გაშუქების გარდა ნ. ბერძენიშვილმა თავის დასახელებულ ნაშრომში მიწათმფლობელობის ფორ-

45 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო სიგელები, საისტორიო მოამბე III, თბ., 1924.
 46 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 135.
 47 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.
 48 იქვე, გვ. 180.



მების კვლევის ამოცანებიდანვე გამომდინარე დაადგინა საბუთების აღმნიშვნელი ტერმინების „დაწერილის“, „სიგელისა“ და „წიგნის“ ხმარების ქრონოლოგიური საზღვრები, მონაცვლეობა და რეალური მნიშვნელობა, რითაც ამავ შემთხვევაში შესწავლილ სხვა საკითხებთან ერთად წინ წასწია ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული მუშაობა ქართული დიპლომატიკის დარგში, არა მარტო კონკრეტული ამოცანების, არამედ ზოგადთეორიული ინტერესების თვალსაზრისითაც.

ქართული დიპლომატიკის საკითხები (საბუთის სანდობა, დათარიღება, და სხვა) ნ. ბერძენიშვილს განხილული აქვს აგრეთვე ნაშრომებში, რომელნიც მიძღვნილია საგანგებოდ XI ს. ერთი საბუთისადმი⁴⁹, ან საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემისადმი⁵⁰. ორივე შემთხვევაში ავტორი გვაძლევს საბუთების ტექსტის კრიტიკულად დადგენის და გამოცემის ნიმუშსაც.

ქართული დიპლომატიკის დარგში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საურმაკ კაკაბაძის მიერ გამოცემული სრ კავშირის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართული საბუთების კოლექციის (ძირითად ყოფილ „სააზიო მუზეუმისათვის“ მარი ბროსეს მიერ შეკრებილი საბუთების) — 18 დედნისა და 700-ზე მეტი პირის (ბროსეს კოლექციის მხოლოდ 1963 წ. შეემატა 8 საბუთი ნ. მარის არქივიდან) აღწერილობის გამოცემა ვრცელი შესავლითურთ, სადაც მოცემულია ქართული საბუთების შეკრების და პუბლიკაციის ისტორია, მათი კლასიფიკაცია, განხილულია დიპლომატიკური ტერმინოლოგია, საგანგებოდ დასმულია ე. წ. „სასისხლო საბუთების“ სანდობის საკითხი და სხვა⁵¹.

60—80-იან წლებში ქართული დიპლომატიკის ზოგად და კონკრეტულ საკითხებს მიეძღვნა არაერთი ნაშრომი, რომელთაც შეაქვთ წვლილი ამ დარგის შემდგომ განვითარებაში. ცალკეული შრომები ეძღვნება ისტორიული საბუთების დიპლომატიკურ ანალიზს — მათ სტრუქტურას, კლასიფიკაციის პრინციპებს, რეგონალურ თავისებურებებს⁵², საბუთების ენას⁵³, დიპლომატიკურ

49 ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1929—30, გვ. 229—296 (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 217—289).

50 ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქ. და კავკ. ისტ. I, 1937, გვ. 1—71 (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 111—140, გამოკვლევა დოკუმენტების გარეშე).

51 С. С. Какбадзе, Грузинские документы Института народов Азии АН СССР, М., 1967.

52 ა. ბაკრაძე, ქართული ისტორიული საბუთების სტრუქტურის საკითხისათვის, ძეგლი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976; მ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან („სიგელის თავი“, XI—XV საუკუნეებში), ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978; მ. სურგულაძე, XIV—XV სს. ქართული სამეფო სიგელების დიპლომატიკური თავისებურება, ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978; მისივე, ქართული სამეფო სიგელების დიპლომატიკური შესწავლისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია. 1979 წ., № 4; მისივე, „Arenga“ XI—XIII სს. ქართულ სამეფო სიგელებში, მაცნე, ისტორიის... სერია, 1980 წ., № 3; მისივე, იურიდიულ მტკიცებათა ორი სახე მეფეთა სიგელების მიხედვით, მრავალთავი, VIII, თბ., 1980; მისივე, „ბრძანებულება“, XI—XV სს. სამეფო სიგელებში, მრავალთავი, IX, თბ., 1981; მისივე, ქართული ისტორიული საბუთების კლასიფიკაციის პრინციპებსა და დიპლომატიკური ტერმინების ურთიერთმიმართებისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 1984, № 2.

53 ხ. სარჯველაძე, XI—XV სს. ქართული ისტორიული საბუთების ენის ძირითადი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი, მრავალთავი, V, თბ., 1975.

ტერმინოლოგიას⁵⁴, ცალკეული საბუთების ტექსტოლოგიურ ანალიზს⁵⁵, ისწავლება ე. წ. „სასისხლო სიგელების“ სანდობის საკითხი⁵⁶ და სიგელოვნება⁵⁷. საბუთების ცალკეული ჯგუფების, მაგ., სვანური საბუთების, როგორც საისტორიო წყაროს შესწავლისას ხდება მათი ანალიზი დიპლომატიკური თვალსაზრისითაც⁵⁸.

ქართული დიპლომატიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბუთების ერთი განსაკუთრებული სახეობის ქართულ-სპარსული დოკუმენტების წყაროთმცოდნეობით შესწავლას, რაც აუცილებელი გახდა მათი პუბლიკაციისთანავე. ამ ერთმანეთს ეჯახება საკუთრივ სპარსული დიპლომატიკის და ქართული დიპლომატიკის საკითხები, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელის არა ერთი პრობლემის გადასაჭრელად⁵⁹.

ქართული დიპლომატიკის განვითარების აუცილებელი პირობაა ქართული სფრაგისტიკის შესწავლა. ამ მიმართულებით დიდი საქმე გაკეთდა სამეფო ბეჭდების კატალოგის გამოცემით, სათანადო გამოკვლევით⁶⁰.

ამგვარად მუშაობა ქართული დიპლომატიკის თეორიული და კონკრეტული საკითხების შესასწავლად, საბუთების გეგმაზომიერი პუბლიკაციის პარალელურად, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, საერთოდ, საბჭოთარი წყაროთმცოდნეობის და, კერძოდ, დიპლომატიკის მიღწევების გათვალისწინებით, ნიადაგს ამზადებს ამ დარგის განვითარებისათვის ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად.

54 მ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის ერთი ტერმინის მნიშვნელობისათვის (ჩაქი), ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971; ე. ხოშტარია (ბროსე), „წიგნის“ როგორც დიპლომატიკური ტერმინის მნიშვნელობის გაგებისათვის, მრავალთავი, XIII, თბ., 1986.

55 Т. П. Енукидзе, Н. Ф. Шошиашвили, Жалованная грамота («Сигель») царны Тamar Гелатскому монастырю. Сб.: Источниковедческие разыскания, 1979, Тб., 1984.

56 ჯ. ოდიშელი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან (ზოგიერთი „სასისხლო სიგელის“ შესახებ), მაცნე, ისტორიის... სერია, 1966 წ., № 4, Д. Э. Одишели, Грузинские грамоты выкупа крови, Источниковедческие разыскания, 1979, Тб., 1984.

57 დ. გოგოლაძე, სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნი, მაცნე, ისტორიის... სერია, 1976 წ., № 4; მისივე, კიდევ ერთხელ სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნის შესახებ და ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი, მაცნე... ისტორიის სერია, 1984, № 1; დ. მეგრელიაძე, ისევ სიმონ მეფის 1594 წლის საბუთის შესახებ, მაცნე, ისტორიის სერია, № 4, 1978.

58 მ. ბერძენიშვილი, სვანურ დოკუმენტები როგორც წყარო XIV—XV საუკუნეების სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა II, თბ., 1968; ე. ხოშტარია, სვანეთის ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემის შუქზე, სვანეთი, II (კომპლექსური შესწავლის მასალები), თბ., 1979, გვ. 91—92; ს. მარგიანი, სვანური საბუთების შესწავლის საკითხისათვის, მრავალთავი, IX, თბ., 1981.

59 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუფურიძის გამოც. შესავალი, თბ., 1955 წ., გვ. V—XIV; ე. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 268—306; მისივე, სპარსული დოკუმენტების პუბლიკაცია საქართველოში და სპარსული დიპლომატიკის თავისებურებანი, აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბ., 1972 წ.; თ. აბაშიძე, ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების დიპლომატიკური თავისებურება, მაცნე, ისტორიის... სერია, № 2, 1974; მისივე, XVI—XVIII საუკუნეების სპარსული დიპლომატიკის ისტორიიდან (ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების მიხედვით), საღისერეტიკო შრომა, თბ., 1975 (ეხ. ავტორფერატი); ნ. დუნდუა, როსტომ მეფის ორენოვანი (ქართულ-სპარსული) ოქმები, მაცნე, ისტორიის... სერია, № 2, 1960 წ.

60 ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, ნაწ. I, თბ., 1978.

ქართული დიპლომატიკის, როგორც მეცნიერების, საფუძვლის ჩაყრა და ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების პრაქტიკული საჭიროება დოკუმენტური წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოების მხრივ განაპირობებდა ზენი საუკუნის 30-იანი წლებიდან საბუთების გეგმაზომიერი პუბლიკაციის განხორციელებას, როგორც თემატური, ასევე რეგიონალური პრინციპით. ჯერ კიდევ 30-იანი წლების მიწურულსიდან ნ. ბერძენიშვილმა წამოიწყო საქართველოს ეკონომიური ისტორიის ამსახველი მასალების გამოქვეყნება⁶¹. ამას მოჰყვა სოციალური ისტორიის საბუთების პუბლიკაცია⁶².

ამას წინ უსწრებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხელნაწერთა განყოფილებაში ნ. ბერძენიშვილის და მ. ბოჭორიძის, როგორც ამ განყოფილების თანამშრომლების, მიერ ჩატარებული გეგმაზომიერი მუშაობა საბუთების გამოსავლინებლად და გადმოსაწერად.

ქართული ისტორიული საბუთების სოლიდური გამოცემა განაპირობებდა ი. დოლიძემ მრავალტომიან პუბლიკაციაში „ქართული სამართლის ძეგლები“, სადაც საკანონმდებლო აქტებთან ერთად დაბეჭდილია იურიდიული მნიშვნელობის მქონე საბუთებიც სათანადო კომენტარებით, შემდეგი თანმიმდევრობით: ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.), ტომი III (საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტომები IV—VI სასამართლო განჩინებანი (XVI—XIX სს.), ტომი VII — სასამართლო არზა-ოქმები (XVIII ს.) და ტომი VIII — სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები⁶³.

ამავე დროს განხორციელდა საბუთების ცალკეული კრებულების პუბლიკაცია, როგორც თემატიური⁶⁴, ასევე რეგიონალური ნიშნის მიხედვით⁶⁵. (აქ

61 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები შვარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა (ხელფასი, ქირა, ფასები), თბ., 1938, წ. I; წ. II (ვალი, იჭარა, ვაჭრობა), თბ., 1953; წ. III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), თბ., 1955.

62 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის, წ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.); ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1940; წ. II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), თბ., 1953.

63 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I—VIII, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965—85 წწ.

64 მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო შოთა მესხიამ, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1948 წ., ნაკვ. I (26), თბ., 1948; დ. უჩაიანიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII—XIX სს.), თბ., 1967; მ. იაშვილი, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის („მზითვის წიგნები“), თბ., 1974; XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი. თბ., 1964 (კრებულზე შესულია გამოკვლევები დოკუმენტებითურთ: თ. ენუქიძე, მასალები ქართლის სამეფოს სამდივანბეგო სასამართლოს ისტორიისათვის (1755—1760 წწ.) და აკ. კლიმიანიშვილი, მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის).

65 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, ტექსტები, თბ., 1941; შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს და გურიისა და ოდიშის ისტორიული საბუთები, წ. I (1466—1770 წწ.), თბ., 1958; თ. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალურ ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII საუკუნიდან XIX საუკუნის 40-იან წლებამდე), თბ., 1960; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XI—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები მომზადებუ-

იგულისხმება ხელნაწერ წიგნებში მინაწერი საბუთებიც). ქვეყნდება საბუთების თავისებური სახეობაც — ქართულ-სპარსული ორენოვანი დოკუმენტები⁶⁶, ხის გათლილ წახნაგოვან ჯიხვებზე დაწერილი საბუთები სვანეთიდან⁶⁷. დოკუმენტების ამ პუბლიკაციებს, როგორც წესი, ახლავს გამოკვლევები და სათანადო საცნობარო აპარატი (არქეოგრაფიული აღწერილობა, საძიებლები).

საფუძვლიანი შესწავლისა და პუბლიკაციის საგნად იქცა ცალკეული უმნიშვნელოვანესი საბუთები, როგორცაა „ნიკორწმინდის დაწერილი“⁶⁸, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. ამ უკანასკნელი დოკუმენტის პუბლიკაციას საფუძვლად დაედო 1920-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში დადებული დედანის ფოტო, რომლის ნეგატივი აღმოჩნდა ხელოვნების მუზეუმის ფოტოტექნის დ. ერმაკოვისეულ კოლექციაში⁶⁹. უნდა ითქვას, რომ იქვე აღმოჩნდა სხვა ასეთი ძვირფასი ქართული ისტორიული საბუთების ნეგატივებიც, რომელთა დედნები იმავე დროს დაიღუპა. ასეთი საბუთებია გიორგი II-ის 1072 წლის სიგელი და თამარის 1207 წლის სიგელი შიომღვიმისადმი⁷⁰.

ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც ეპიგრაფიკული საბუთების შესწავლა, რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნდა კიდევ⁷¹. ამავე რიგს მიეკუთვნება ე. წ. ვრაფიტების (ამონაკაწრის) სახით მოღწეული საბუთებიც⁷². შესწავლისა და პუბლიკაციის საგანი ხდება ეპისტოლარული ხასიათის მასალაც⁷³.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული ისტორიული საბუთების რუსულად თარგმნისა და გამოცემის ხაზით ჩატარებული სამუშაო. XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. პირველ მეოთხედში ქართული საბუთების რუსულად გამოცემა, როგორც ადრე ითქვა, განხორციელდა კავკასიის არქეოლოგიურა

ლია ქრისტინე შარაშაძის მიერ, თბ., 1982; მისივე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954 წ. გვ. 245—287. 285—287 (იგულისხმება ვერგეტის სულთა მატთანში ჩართული საბუთები); დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), წ. I, შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, თბ., 1962. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატანეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1986.

⁶⁶ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955; ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები XVI—XVIII სს., ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნუგზარ დუნდუამ თბ., 1984.

⁶⁷ ვ. სილოგავა. ისტორიული საბუთები ლაგურკიდან, მაცნე, ისტორიის... სერია, 1973 წ., № 3.

⁶⁸ მ. ბერძენიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 25—42.

⁶⁹ ვ. სილოგავა. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, მრავალთავი, IX, 1981.

⁷⁰ იქვე, გვ. 88.

⁷¹ ვ. სილოგავა. ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაზი-დარულ წარწერებში, მაცნე, ისტორიის... სერია, 1972, № 4; ვ. თბ. მეზურია, XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაზი-დარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981; გვ. 69—79, 84—86.

⁷² ვ. სილოგავა. ზემო სვანეთის გრაფიტები (წინასწარი ცნობები), კრ. „სვანეთი“, II, თბ., 1979, გვ. 112—121.

⁷³ მ. ბერძენიშვილი, მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა), ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965; მ. ქაჯთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977. „სამდივო წიგნებში“ დაცული ეპისტოლუებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით პერიოდულად აქვეყნებს ლ. ძოწენიძე.



კომისიის აქტებში და კრებულებისა თუ ცალკე საბუთების თარგმანის სახეზე მაგრამ ყოველივე ეს მოიცავდა ქართული ისტორიული საბუთების ძალზე მცირე რაოდენობას. უკანასკნელ დრომდე ქართული საბუთების რუსულად თარგმნის და გამოცემის საქმე დიდად არ წაწეულა წინ და შემოიფარგლებოდა ვ. დონდუხის ერთი პუბლიკაციით⁷⁴, მანამ არ გამოიცა საურმაჯ კაკაბაძის წიგნი. სადაც წარმოდგენილია სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ფონდებში დაცული IX—XV სს. 50 საბუთის თარგმანი შესავლითა და საბუთების დეტალური არქეოგრაფიული აღწერილობით, კომენტარებით და ბიბლიოგრაფიით. ეს წიგნი წარმოადგენს ქართული საბუთების რუსული თარგმანის პუბლიკაციას მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე და უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან მიღწევად ამ დარგში⁷⁵.

დიდი მუშაობა ჩატარეს რუსეთის არქივებში ვ. პაიჭაძემ, ვ. მაჭარაძემ, ვ. გამრეკელმა⁷⁶ რუსეთ-საქართველოს დიპლომატიკური ურთიერთობისა და საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონთან ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების მასალების გამოსავლინებლად და გამოსაქვეყნებლად.

ქართული დოკუმენტური წყაროების გამოსაცემად მომზადების და პუბლიკაციის თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება 60-იანი წლების მიწურულიდან, როდესაც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილებაში გაიშალა მუშაობა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ შედგენაზე. 1970 წლისათვის შემუშავებული იყო სათანადო წესდება და მუშაობის გეგმა. „კორპუსზე“ მომუშავე ძირითად დაწესებულებებად იმთავითვე განისაზღვრა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. მოიხაზა სარედაქციო კოლეგიის და კორპუსის ცალკეულ ნაკვეთებზე მომუშავე ჯგუფების შემადგენლობა. 1970 წლისავე სამუშაო განრიგით გათვალისწინებული იყო X—XVIII სს. ქართული დოკუმენტების მეტ-ნაკლებად სრული ნუსხის შედგენა და „კორპუსის“ I და II წიგნების (VI—XV სს.) გამოსაცემად მომზადება. ამისთვის ერთდროულად შემუშავდა „კორპუსის“ პროსპექტის პროექტი, რომლის საფუძველზედაც დაიწერა წინასიტყვაობაც. მასში აისახა კორპუსის მიზანდასახულობა, გამოსაცემი საბუთების სახეობანი, ქრონოლოგიური ფარგლები. სტრუქტურა, საბუთების გამოცემის წესი.

1971 წლისათვის მუშაობა „კორპუსის“ I წიგნის (VI—XV სს.) შედგენაზე ჩაითვალა დამთავრებულად, მაგრამ არსებითად შედგენილი იყო I წიგნის მაკეტი, რომლის საჯარო განხილვამ ხელნაწერთა ინსტიტუტში 1972 წლის დეკემბერში ცხადყო, რომ „კორპუსის“ გამოსაცემად მომზადება კიდევ საჭი-

74 В. Д. Дондух, Писание о вкладе Кахи Торели в Рконский монастырь, ქართული წყარომცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 50—76.

75 Грузинские документы IX—XV вв. в собрании Ленинградского отделения Института Востоковедения АН СССР, Перевод и комментарии С. С. Какабадзе, М., 1982.

76 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადდა ვ. გამრეკელის პუბლიკაცია: Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х — начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы, I вып., Материалы подобрал и подготовил к печати В. Н. Гамрекели, Тб., 1980 (შესავალი რუსულ ენაზე, ქართულ-რუსული მასალები).

5. მრავალთავი



როებდა შრომატევად მუშაობის ჩატარებას — საბუთების გამოცემის რეგულირებასა და წესების დაზუსტებას, მასალის საფუძვლიან რედაქტირებას, წინასიტყვაობის არსებით შეესება-გადამუშავებას, სამეცნიერო აპარატის საერთოდ და, კერძოდ, კითხვისხვაობათა შეესება-სრულყოფას.

„კორპუსის“ გამოსაცემად მომზადების საკითხი ამის შემდეგ არაერთგზის იყო განხილული ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილებაში და სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, ხოლო 1976 წლიდან მის მომზადებაზე ზრუნვა დაეკისრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილ (1975 წ. XII) საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის დიპლომატიკის სექციას⁷⁷. ამავ სექციას კომისიამ დაავალა კორპუსის შედგენის საბოლოოდ დადგენილი „წესების“ შემუშავება, რასაც ხელი უნდა შეეწყო ქართული ისტორიული საბუთების გამოცემისათვის და, კერძოდ, I წიგნის საბოლოოდ გამართვისათვის. „წესების“ პროექტი შეადგინა ნოდარ შოშიაშვილმა და რედაქციულად დამუშავდა ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილებაში. „წესების“ პროექტის განხილვას მიეძღვნა წყაროების კომისიის დიპლომატიკის სექციის არაერთი სხდომა (1977—1980 წწ.), რის შედეგადაც შემუშავდა „წესების“ საბოლოო ვარიანტი, მაგრამ კომისიამ საჭიროდ მიიჩნია „კორპუსის“ შედგენილობის პრინციპებში ზოგიერთი არსებითი ცვლილების შეტანა. ძალაში დარჩა მხოლოდ საბუთების გამოცემის ხერხები თუ მეთოდოლოგია, ხოლო „კორპუსის“ შედგენილობის საკითხი ახლებურად იქნა გადაწყვეტილი, რაც გატარდა კიდევ ქართული ისტორიული საბუთების „კორპუსის“ I ტომის (IX—XIII სს.) 1984 წელს განხორციელებულ პუბლიკაციაშიც და აღნიშნულია მის წინასიტყვაობაში⁷⁸. თუკი ადრე კორპუსის შედგენილობის პრინციპად აღებული იყო ყველა საბუთის, როგორც გამოცემულის, ასევე გამოუცემელის გამოქვეყნება, იმისდა მიუხედავად, თუ რა მასალაზე — ეტრატზე, ქაღალდზე, ქვასა თუ ხეზე იქნებოდა ის შესრულებული, ხელნაწერ წიგნის ამიებზე მინაწერი საბუთების ჩათვლით, ამჟამად „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“ აღარ ითვალისწინებს ეპიგრაფიკული საბუთებისა და მინაწერი საბუთების ერთად მოთავსებას. არამედ ეს უკანასკნელები უნდა გამოცემული იქნას სხვა სახის ეპიგრაფიკულ ძეგლებთან და მინაწერებთან შერევით „ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსში“ და „ქართული ანდერძ-მინაწერების კორპუსში“. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სპეციალისტებს შორის დავას იწვევს, რადგანაც ამით ირღვევა ყოველგვარი საბუთების ერთად და სრულად გამოცემის პრინციპი და თუ კი ეპიგრაფიკული საბუთების გამოცემა ცალკე კრებულად მაინც რამდენადმე შეიძლება ჩაითვალოს მისაღებ გამოსავლად, მინაწერი საბუთების „ისტორიული საბუთების კორპუსიდან“ ამოღება ჩვენ გაუმართლებლად გვეჩვენება, მით უმეტეს, რომ მინაწერი საბუთები სხვა და ანდერძ-მინაწერები სხვა.

77 „კორპუსის“ წესებისა თუ წინასიტყვაობის შეესება-დაზუსტებაზე, ტექსტების მომზადების ზოგადი პრინციპების შემუშავებაზე თუ კონკრეტული ხასიათის დეტალების დაზუსტებაზე ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობა გასწიეს კ. გრიგოლიამ, ნ. ჯანაშიამ, მ. შანიძემ, ზ. სარჯველაძემ (ამ უკანასკნელმა ინსტიტუტის სამუშაო გეგმით ორგზის გამართა ტექსტი ძველი ქართული ენის ნორმების თვალსაზრისით). „წესების“ დაზუსტებაში მონაწილეობდნენ კორპუსის გვიანდელი ნაკვეთების (XVII—XVIII სს.) შემდგენელი თანამშრომლებიც.

78 ქართული ისტორიული საბუთები (IX—XIII სს.). შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.



მიუხედავად აღნიშნულისა, „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ I წიგნის გამოცემა და მომდევნო ნაკვეთებზე მუშაობა, როგორც ვინმეა, ქართული საბუთების პუბლიკაციის საქმეში თვისობრივად ახალი ეტაპია.

საქმე ის არის, რომ მანამდე საბუთები იცემოდა შერჩევით, სხვადასხვა პრინციპით, ან თემატურად, ან კუთხოზობრივად, ხშირ შემთხვევაში არასრულად. სამეცნიერო-საცნობარო აპარატის გარეშე, „კორპუსი“ კი ითვალისწინებს საბუთების კრიტიკულად დადგენილი ტექსტის პუბლიკაციას მთელი სისრულით და ერთიანი პრინციპის დაცვით, მტკიცედ შემუშავებული ერთიანი წესების მიხედვით. რამდენად რთულია ეს ამოცანა, ნათლად ჩანს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული ისტორიული საბუთების რაოდენობა (X—XIX სს.) შეადგენს 75 ათასზე მეტს. აქედან კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია 40 ათასამდე საბუთი (დედანი და პირი), საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დედნების ფონდში 10 ათასზე მეტი საბუთია. პირების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 3 ათასს. საქართველოს უმაღლესი მმართველობის მიერ XIX ს.-ში გადაწერილი საბუთების ფონდი ითვლის 12 ათასამდე ერთეულს (55 დავთარში), ხოლო საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში დავთრებში (21) გადაწერილი საბუთების რაოდენობა აღწევს დაახლოებით 4 ათასს ე. ი. სულ არქივში აღრიცხულია 30 ათასამდე საბუთი. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ფონდებში 700-მდე ქართული საბუთია. ისტორიული საბუთების მნიშვნელოვანი რაოდენობა ინახება როგორც მოსკოვის არქივებში (ძველი აქტების, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ისტორიული არქივის), ასევე საქართველოს სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში (მაგ., ქუთაისის მუზეუმში 2500-მდე ერთეულია).

„ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ მომზადებასთან დაკავშირებით ზღვება ყველა ამ საბუთის მეტ-ნაკლებად ზუსტი აღრიცხვა-კატალოგიზაცია, პირებისა და დედნების მიმართების გარკვევა და სხვა. ამის საფუძველზე დგება ქართული ისტორიული საბუთების ერთიანი შეჯერებული კატალოგი. XVII ს. ჩათვლით ეს სამუშაო ამჟამად უკვე შესრულებულია. (სამუშაო შესრულდა ხელნაწერთა ინსტიტუტში საქ. ცენტრ. საისტორიო არქივის ქმედითი ხელშეწყობით).

ბალერინა ზაბაშვილი

ბალდადი IX—XI საუკუნეების ქართულ წყაროებში

IX საუკუნემდელი ქართული საერო საისტორიო ნაწარმოები ჩვენ არ მოგვეპოება. ჯერჯერობით სამოქალაქო ისტორიის უძველეს ნიმუშს ქართულ ენაზე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წარმოადგენს, რომელიც X ს. შატბერდის კრებულშია მოთავსებული: დანარჩენი კი XI საუკუნეს განეკუთვნება (სუმბატ დავითის ძე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი...).

წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით თითოეული მათგანი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა...). მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასადგენი და გამოსარკვევი. აღნიშნულია დასახელებული საისტორიო ნაწარმოებების არაერთი შეცდომა, ანაქრონიზმი, სხვადასხვა რიგის შეუსაბამობა. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს IX—XI სს. საისტორიო თხზულებების დათარიღების საკითხშიც.

ქართველ მემატიანეთა „მსხვილ შეცდომებს“ მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი. ერთერთ ასეთ თვალსაზრისს და ყოვლად შეუწყნარებელ შეცდომად მას მიაჩნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თხზულებაში ბალდადის დასახელება იმ დროისათვის, როდესაც ეს ქალაქი ჯერ კიდევ არ არსებობდა. მისი გამოთქმით: „თვით ცნობებშიაც მემატიანეს მსხვილი შეცდომები შეჰპარვია“¹.

ივ. ჯავახიშვილი მიუღებლად თვლიდა ე. თაყაიშვილის მოსაზრებას, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ VII საუკუნეში იყო დაწერილი და ხაზგასმით აღნიშნავდა: „ე. თაყაიშვილი სცდება, როდესაც ამ მატიანის შეთხზვის თარიღად VII საუკუნეს აღიარებს“².

ამას ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ეს მატიანე შეუძლებელია IX საუკუნეზე უწინარეს იყოს შედგენილი იმიტომ, რომ, როგორც განსვენებულმა პროფ. ბოლოტოვმა სამართლიანად აღნიშნა, იქ ერთი მსხვილი ქრონოლოგიური შეცდომა მოიპოვება და სასაწინააღმდეგობის დედაქალაქად ბალდადია დასახელებული (სამი ისტ. ხრ. გვ. 26 და Опис, II, 725), რომელიც იმ დროს ჯერ არ არსებობდა, რადგან მის აგებას მხოლოდ 762 წელს შეუდგენენ (იხ. Христианское чтение, 1898 წ., № 4, გვ. 255). ეს ვარკვეობა მემატიანეს აღარ სცოდნია, ხოლო მას რომ თუნდ VIII საუკუნეში ეცხოვრა, უნდა სცოდნოდა, როდის ააგეს ქ. ბალდადი, როგორც ეს იცოდა; მაგალითად, იოანე საბანის ძემ (წმიდა მოწამე აბო ტფილელი, გვ. 15) ამის გამო ჰკუთხებ უფრო ახლოს იქნება ვიფიქროთ, რომ მოქცევაჲ ქართლისაჲს

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 114—116.

² იქვე, გვ. 114.

მატიანე IX საუკუნეშია შედგენილი. ამ ჩვენს დასკვნას ის გარემოებაც
სტურებს, რომ მემატიანეს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შუშანიკისა და
ვარსკენისა (ვგონებ აგრეთვე ათსამამეტ ასურელ მამათა) შესახებ მიძე ქრო-
ნოლოგიური შეცდომა მოსვლია (იხ. იქვე, გვ. 52—53). ასეთი შეცდომა VII—
VIII საუკ. მწერალს არ მოუვიდოდა³.

სხვაგანაც ერთხელ კიდევ ნათქვამია: მემატიანეს „ბაღდადიც შეცდომით
ისეთ დროს აქვს მოხსენებული, როდესაც იგი ჯერ არ არსებობდა“⁴.

უნდა ითქვას, რომ ასეთი „შეცდომა“ მოსდის არა მარტო „მოქცევაჲ
ქართლისაჲ“-ს ავტორს, არამედ XI ს-ის ყველა ქართველ მემატიანეს (სუმ-
ბატ დავითის ძე, ლეონტი მროველი, ჟუანშერი...).

ამიტომ ბაღდადის მოხსენიების მიზეზის გამორკვევა IX—X სს. ქარ-
თულ წყაროებში არ შეიძლება არ იქცეს სპეციალური კვლევა-ძიების საგნად.

ქვემოთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოგვაქვს ყველა ის ცნობა,
რომელიც IX—XI საუკუნეების ქართულ წყაროებში მოიპოვება ბაღდადთან
დაკავშირებით.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი ბაღდადს სასაწური ირანის ქალაქად
მიიჩნევს, მირდატ მეფის შესახებ იქ ნათქვამია: „და მისა შემდგომად მე-
ფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა ბიტიანშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკვდა“⁵.

თბილისში ჰერაკლე კეისარმა „დაუტოვა ჯიბლო ერისთავი ბრძოლად. და
თუთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა“⁶.

ჰერაკლემ სასტიკად დაამარცხა სპარსელები, შემუსრა ბაღდადი და შე-
იპყრა სპარსთა მეფე: „წარვიდა ჰერაკლე და შემუსრა ბაღდადი და შეიპყრა
ხუასრო მეფეც და მოღებად სცა ძელი ცხორებისაჲ“⁷.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ბაღდადში სასაწელთა დედაქალაქი კტე-
ზიფონია ნაგულისხმევი. ბაღდადის ე. ი. კტეზიფონის დაპყრობა არაბთა მიერ
შემდგენიარად არის გადმოცემული: „და ჰამბავი მოკდა, ვითარმედ ბაღდადი
აგარეანთა დაიპყრესო და ამისთვის ბერძენთა ქუეყანა ჯორსა აპკიდეს და წა-
რიღეს საბერძნეთს“⁸.

საინტერესოა რომ ქართველი მემატიანენი ბაღდადს უკავშირებენ არა
მარტო სასაწელ მეფეებს, არამედ ომაელ ხალიფებსაც. მაგრამ ცნობილია, რომ
ბაღდადი არც ომაელთა სახალიფოში არსებობდა.

სუმბატ დავითის ძის ისტორიაში ბაღდადელად არის დასახელებული ხა-
ლიფა მერვან II (ქართველების მურვან-ყრუ), ისეთ დროს, როდესაც ბაღდა-
დი ჯერ არ არსებობდა.

არმენიის ვალი და შემდეგ ხალიფა მერვანი იყო არა ბაღდადელი, არა-
მედ დამასკელი.

საქართველოს რბევა-აოხრება მურვან ყრუს მიერ სუმბატ დავითის ძეს
შემდგენიარად აქვს აღწერილი: „ხოლო კევი შავშეთისა უშენებელი იყო მა-
შინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა

3 ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, გვ. 114.
4 იქვე, გვ. 116.
5 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, შატბერდის კრებული, თბ., 1979, გვ. 325.
6 იქვე, გვ. 326.
7 იქვე.
8 იქვე, გვ. 327.

აოქრდა, ოდეს-იგი ყრუმან ბაღდადეღიან შემუსრნა ყოველი ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ლადონი“⁹.

და კიდევ: „და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოქრებული იყო ბაღდადეღისა მის ყრუობითგან“¹⁰. რატომ უნდა მიეჩნია სუმბატ დავითის ძეს ომაელი მურვან-ყრუ ბაღდადეღად? ალბათ იმიტომ, რომ მის წინამორბედ ისტორიკოსებს ბაღდადი დასახელებული ჰქონდათ სასანური ირანის დროიდან მოყოლებული.

თავის დროზე ე. თაყაიშვილიმა აღნიშნა, რომ სუმბატ დავითის ძე იყენებდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს. ეს დასტურდება ბაღდადის მაგალითზეც. სუმბატ დავითის ძე თითქოს სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რაც ბაღდადთან დაკავშირებით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს აქვს ნათქვამი: „და დაუტევა ტფილისს ჯიბლუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისასა, და თუთ წარემართა ბაღდადს“¹¹.

ასევე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვითაა ნაამბობი ჰერაკლე კეისრის მიერ ბაღდადის დაპყრობა: „და წარვიდა ბაღდადს, და გამოიღო ბაღდადი, და შეიპყრა ხუასრო მეფე, და მოაღებინა ძელი ცხოვრებისა. და იწყო შენებად იერუსალემისა“¹².

ბაღდადის ასეთნაირად ხშირად ხსენების ვითარებაში XI ს-ის ქართველ ისტორიკოსს ადვილად შეეძლო დამასკელი მერვან II გაეიგივებინა ბაღდადეღთან, რადგან დამასკელიც და ბაღდადეღიც აღმოსავლელი იყო, აღმოსავლელ მბრძანებლად ითვლებოდა. ამას გარდა მის დროს უფრო ბაღდადი იყო ცნობილი, ვიდრე დამასკო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ ამ ნიადაგზე შემუშავდა აღმოსავლურ ისტორიოგრაფიაში ბაღდადის დასახელება თვით ისეთ დროს, როდესაც ეს ქალაქი ჯერ არ არსებობდა. არაბ და სპარსელ ისტორიკოსებს, ჩანს, მხედველობაში ჰქონდათ ბაღდადის განსაკუთრებული მნიშვნელობა IX—X საუკუნეებში.

ბაღდადის ამგვარად დასახელებას ქართულ ისტორიოგრაფიაში ეტყობა ისეთივე მტკიცე ტრადიცია გააჩნდა, როგორც აღმოსავლურ ისტორიოგრაფიაში.

ამიტომ მოულოდნელი არაა, რომ ლეონტი მროველიც, რომელსაც ყველაზე ვრცლად აქვს აღწერილი სასანური ირანის ისტორიის და საქართველო-ირანის ურთიერთობის ამბები, ბაღდადს მის დაარსებამდე ასახელებს.

ლეონტის თხზულებაში ვკითხულობთ: „ხოლო ვითარ იქმნა მირიან წლისა ორმეოცისა, მაშინ მოკუდა მამა მისი, სპარსთა მეფე, და დაჯდა შემდგომად მისსა მეფედ სპარსეთს ძმა მირიანისი უმრწემესი, რომელსა ერქუა ბარტამ. და ვითარცა ესმა ესე მირიანს, მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა. შეკრიბნა და წარემართა ბაღდადს, რათამცა დაჯდა საყდართა მამისა მისისათა“¹³.

ლეონტი მროველთან, სხვა ქართველი მემკვიდრეებისაგან განსხვავებით, გვხვდება ერთი მეტად საყურადღებო დეტალი: მისი სიტყვით, ბაღდადი იყო სასანური ირანის სატახტო ქალაქი — „საყდარი მამისა მისისა“. ეს გარემოება

⁹ სუმბატ დავითის-ძე, გვ. 376 (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955).

¹⁰ სუმბატ დავითის-ძე 377.

¹¹ სუმბატ დავითის-ძე, 375.

¹² იქვე.

¹³ ლეონტი მროველი, გვ. 67 (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955).

მირიანს ხაზგასმით აქვს აღნიშნული: „მაშინ მირიან იტყოდა სარჩლად: „მშო შვილი ვარ მე მამისა ჩემისა და საუფლისწულოდ ებოდნეს ქუეყანანი უცხონი მკლავითა წახმულნი, და მუნ ყოველნი ღლენი ჩემნი დამიყოფიან ბრძოლასა შინა ხაზართასა, და მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიკავს სპარსეთი ხაზართაგან. ამისთვის ჩემი არს საყდარი მამისა ჩემისა“¹⁴.

როგორც უკვე ვთქვით, ბაღდადში ფაქტობრივად ნაგულისხმევია სასანური ირანის დედაქალაქი — კტეზიფონი. ამგვარი მნიშვნელობა მკაფიოდ ეტყობა ჯუანშერის მიერ დასახელებულ ბაღდადაც: „ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა წყობასა შინა, და წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკულა“¹⁵. ბაღდადში ანუ კტეზიფონში დიდის ამბით მიეგებნენ ვახტანგ გორგასალს სპარსელი წარჩინებულნი. „და მივიდეს ბაღდადს, და მოეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სპარსეთისანი სიხარულითა დიდითა“¹⁶.

რატომ დასახელებენ ქართველი ისტორიკოსები ბაღდადს ისეთ დროს, როდესაც ეს ქალაქი ჯერ არ არსებობდა?

ამ გარემოებას ჩვენ ერთხელ უკვე მივაქციეთ ყურადღება და აღვნიშნეთ, რომ ბაღდადში ფაქტობრივად ნაგულისხმევია კტეზიფონი, რადგან ბაღდადიც იქ დაარსდა, სადაც თავის დროზე კტეზიფონი და უფრო ადრე ბაბილონი არსებობდა¹⁷.

გაკვრით ბაღდადის და ბაბილონის (უკეთ ბაბილოვანის) ურთიერთდამოკიდებულებას შეეხო პ. ინგოროყვაძე. მან ბაღდადი მიიჩნია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ხელნაწერის გვიანდელ გლოსად, თავდაპირველ ტექსტში კი „ბაბილოვანი“ იგულისხმა.

პ. ინგოროყვაძე აღნიშნავდა: „საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ, როგორც გამოირკვა ქელიშური ხელნაწერის აღმოჩენის შემდეგ, „ბაღდადი“ წარმოადგენს შემდეგ დროინდელ გლოსას, და — მოქცევაჲ ქართლისაჲს“-ის თავდაპირველ ტექსტში ყოფილა „ბაბილოვანი“¹⁸. მაგრამ ეს არ დასტურდება ქართული და აღმოსავლური საისტორიო თხზულებების ცნობებით.

ყველგან, ქართულშიც და აღმოსავლურშიც, ბაღდადიც და ბაბილოვანიც სრულიად გარკვეული მნიშვნელობით იხმარება და, რაც მთავარია, ერთმანეთისაგან გათიშული არ არიან.

იმდროინდელი ქართველი მწერლები კარგად ერკვევიან „ბაბილონის“ და „ბაღდადის“ სინონიმურ მნიშვნელობაში. „ბაღდადი“ მათ ნაწერებში ისტორიულ სინამდვილესთან ჩანს დაკავშირებული, „ბაბილონი“ მწიგნობრულ ტრადიციასთან.

„ჰაბო ტვილელის მარტვილობის“ ავტორი ბაბილოვანს სარკინოზთა ანუ არაბთა სამფლობელოდ თვლის, ხოლო ბაღდადს ბაბილოვანის დიდ ქალაქად აცხადებს.

14 იქვე.
15 ჯუანშერი, გვ. 139 (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955).
16 იქვე, გვ. 187.
17 ვ. გაბაშვილი. საქართველო და აღმოსავლეთი, თბ., 1984, გვ. 26—32.
18 პ. ინგოროყვაძე, თხზულებათა კრებული. ტ. IV, თბ., 1978, გვ. 352.

იოანე საბანის ძე, რომელმაც კარგად იცოდა ბაღდადის დაარსების დრო-
ერთმანეთს უკავშირებს ბაღდადს და ბაბილონს. ქართლის ერისთავი
„მოწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა“ და ეახლა ხალიფას, „რომელი
იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშენა“¹⁹. რა თქმა
უნდა, „ბაღდადი“ არ შეიძლება მივიჩნიოთ გვიანდელ გლოსად, ხოლო „ბაბი-
ლოვანი“ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ხელნაწერის ადრინდელ კუთვნილებად.

„ბაღდადი“ და „ბაბილოვანი“ სინონიმური მნიშვნელობითაა ნახმარ.
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს როგორც შატბერდისეულ, ისე ჭელიშურ ვარიანტ-
ში. შატბერდისეული ფრაზა — „და შემუსრა ბაღდადი და შეიპყრა ხუასრო
მეფე“, ჭელიშურში შემდეგნაირად არის გამართული: „მოვიდა ერეკლე მეფე
ბაბილოვანს და შეიპყრა ხუასრო მეფე და შემუსრა ბაღდადი და ბაბილონი“.
ბაღდადის და ბაბილონის ცალ-ცალკე დასახელება ხელს არ უშლის იმის მტკი-
ცებას, რომ ერთიც და მეორეც ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ. ოღონდ
„ბაბილონი“ მწიგნობრული ჩანს, „ბაღდადი“ კი კონკრეტულ-ისტორიული ვი-
თარების ამსახველი. ეს გარემოება მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს,
როდესაც „ბაბილონის“ და „ბაღდადის“ ურთიერთდამოკიდებულებას ვარკვევთ.

მწიგნობრული ელფერი გადაჰკრავს ბაბილონს, როგორც ქრისტიანულ,
ისე მუსლიმანურ მწერლობაში.

ბაბილონის ზოგადი მწიგნობრული მნიშვნელობა უცხო არ იყო არც ყუ-
რანისათვის. ბაბილონი ზოგადი მნიშვნელობით იხსენიება მერმინდელ მაჰმად-
დიანურ მწერლობაშიც. ასევეა ქრისტიანულ (ქართულ, სომხურ, ბიზანტიურ)
ლიტერატურაშიც. ამავე დროს, V—X სს. ბაბილონი წარმოადგენს ცოცხალ
გეოგრაფიულ ტერმინს და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, მას
ხშირად უკავშირებენ მერმინდელ ბაღდადს.

„ბაბილონი“ და „ბაღდადი“ სინონიმური მნიშვნელობით იხმარება ევ-
როპულ წყაროებშიც²⁰.

ევროპულ წყაროებში „ბაბილონის მეფე“ ნიშნავს „ბაღდადის მეფეს“
(შდრ. ქართული წყაროების „ბაბილოვანის მეფენი“).

„ბაბილონელთა მეფე“ (იგულისხმება ხალიფა ალ-მუთავაქალი) იგივე
„ბაღდადელი მეფეა“.

„ბაბილონის“ (და, ალბათ აქვე შეიძლება დავიხიოთ, „ბაღდადის“²¹) ზო-
გადი მნიშვნელობა სავსებით აშკარაა.

ნეტარი ავგუსტინესათვის რომი იყო დასავლეთის ბაბილონი, ბაბილონი —
აღმოსავლეთის რომი.

¹⁹ წამებაჲ ჰაბოსი..., ძველი ქართული აგეოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, თბ., 1964, გვ. 56.

²⁰ ბაბილონისა და ბაღდადის ურთიერთდამოკიდებულებას ამსახველი ქართული, აღმო-
სავლური და ევროპული წყაროების ცნობები მოტანილია ჩვენს ნაშრომებში: საქართველო
და აღმოსავლეთი, გვ. 26—32 და ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობანი (X ს.),
„მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1983, გვ. 42—44. წინამდებარე წერილში ვა-
სახელებთ მხოლოდ ახალ მასალებს და ადრე გამოუყენებელ ლიტერატურას.

„ბაბილონისა“ და „ბაღდადის“ სინონიმური მნიშვნელობის დადგენამ ვის დროზე ჩვენ საფუძველი მოგვცა გვეთქვა: „ბაბილონი ეწოდება სასაზღვაო და დედაქალაქ კტეზიფონსაც (არაბ. მადაინი, ტაისაფუნი) და არაბთა დედაქალაქ ბაღდადსაც. ასეთ ვითარებაში ადვილი უნდა ყოფილიყო ბაბილონ-კტეზიფონის და კტეზიფონ-ბაღდადის ერთმანეთში აღრევა“²². რა თქმა უნდა, დასავლურ და აღმოსავლურ წყაროებს მხედველობაში აქვთ არა ძველი ბაბილონი (ახლანდელი ჰალისის მიდამოებში, რომელიც ბაღდადიდან ასი კერსით არის დაშორებული), არამედ არაბთა დროინდელი ბაბილონი ანუ ბაღდადი.

ამის საჩვენებლად და დასამტკიცებლად ჩვენს განკარგულებაშია კიდევ უფრო ძლიერი არგუმენტი. საქმე ისაა, რომ ბაღდადს მის დაარსებამდე ასახელებენ აღმოსავლელი მწერლებიც. ამ მხრივ ქართული წყაროები სრულიად არ წარმოდგენენ ერთადერთ გამონაკლისს. ამიტომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ბაღდადი არ შეიძლება მივიჩნიოთ არქექტიბიდან გადაწერის დროს დაშვებულ შეცდომად.

ვ. მინორსკიმ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ბაღდადი იხსენიება გურგანის „ვისრამიანში“ ბაღდადის დაარსებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე. ამასთან „ვისრამიანის“ გმირების მოქმედების სარბიელად იგი მიიჩნევდა არა სასანურ ირანს, არამედ პართიის სახელმწიფოს (მის ამ მოსაზრებას ბევრმა მკვლევარმა დაუჭირა მხარი). ივ. ჯავახიშვილის მსგავსად ვ. მინორსკიც გოცებული იყო იმის გამო რომ ძველი, ისლამამდელი ირანის ქალაქებს შორის დასახელებული იყო ბაღდადიც („ვისრამიანში“ უმთავრესად ძველი ირანის რაიონები და ქალაქებია წარმოდგენილი). „ვისრამიანის“ გეოგრაფიულ გარემოს შესწავლისას ყველგან, სადაც კი ბაღდადი იხსენიება, ვ. მინორსკი ფრჩხილებში კითხვისა და ძახილის ნიშნებს სვამდა. კიდევ მეტი: „ადრინდელი“ და გვიანდელი ბაღდადის ერთმანეთისაგან განსასხვავებლად იგი იყენებდა „მუსლიმურ ბაღდადს“ („Muslim Baghdad“). ამრიგად, წყაროთა ჩვენების საფუძველზე ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული „არამუსლიმური“ და „მუსლიმური ბაღდადი“. მაგრამ ბაღდადი ამგვარადაა დასახელებული არა მარტო XI ს-ის სპარსულ მხატვრულ ნაწარმოებში, არამედ X ს-ის საისტორიო თხზულებაშიც — ტაბარის „მოციქულთა და მეფეთა ცხოვრებაშიც“.

ვ. მინორსკიმ ყურადღება მიაქცია ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც. ქრონოლოგიური შეუსაბამობის თვალსაზრისით მოულოდნელია ვისრამიანში ბაღდადთან ერთად სხვა ადრე არარსებული ქალაქების დასახელება. ძველ დროს არ არსებობდა არც კაირუვანი (ტუნისის სამხრეთით) და არც შირაზი

21 „ბაღდადს“ აშკარად ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება შუა საუკუნეების როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმანურ მწერლობაში (სამისო მაგალიტები ქვემოთ იქნება მოტანილი). გაცილებით უფრო რთულია იმის დადგენა, თუ რატომ უწოდებს ქართველი მწერალი ომაელ ხალიფა მურვან II-ს „ბაღდადელს“, რადგან მისი დამასკელობა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. საფიქრებელია, რომ რაკი აბასელების დროინდელი „ბაღდადიც“ და ომაელის დროინდელი „დამასკოც“ ერთნაირად უკავშირდებოდა არაბულ-სარკინოზულს, ქართველმა მწერალმა „ბაღდადელში“ არაბი მბრძანებელი ივულისხმა.

22 ვ. გაბაშვილი, საქართველო და აღმოსავლეთი, გვ. 29.

(სამხრეთ ირანში). მაგრამ ამას არ მოუხდენია არსებითი გავლენა „ვისრამიანის“ გეოგრაფიულ ვარემოს ნიშანდობლივ თავისებურებაზე. ეს ხაზგასმით აქვს აღნიშნული ვ. მინორსკის. მისი სიტყვით, „შეიძლება არსებობდეს ზოგიერთი ბუნდოვანება ვისრამიანის ტოპონიმიაში, მაგრამ სხვა მხრივ, მთლიანად აღებული, მისი გეოგრაფიული სისტემა („its geographical frame“) საკმაოდ მტკიცეა. თუმცა, რასაკვირველია, ზოგან ტექსტში გვხვდება დასახლებულ პუნქტთა ანაქრონისტული მინიშნებანი ბაღდადისა და კაირუვანის მსგავსად“²³. ვ. მინორსკის არ მოუცია იმის ახსნა-განმარტება, თუ რატომ ასახელებს „ვისრამიანი“ პართიის სახელმწიფოს არარსებულ ქალაქებს (ბაღდადს, კაირუვანს, შირაზს...). „ვისრამიანის“ თითქმის უზადო გეოგრაფიულ სისტემაში მას უბრალო შეუსაბამისობად მიაჩნდა ბაღდადის, კაირუვანის და შირაზის ძველ ირანულ ქალაქებს შორის დასახლება, მაგრამ თუ ეს შეიძლება ვთქვათ კაირუვანისა და შირაზის მიმართ, ამასვე ვერ ვიტყვით ბაღდადზე, რომელიც როგორც ვნახეთ ბაბილონთან იყო გაიგივებული. ბაღდადი „ვისრამიანის“ სათანადო კონტექსტებში ირანის მთავარ პროვინციებს შორის იხსენიება²⁴ (უნდა ითქვას, რომ ეს კონტექსტები ვ. მინორსკის არსად არ მოუხმია).

„ვისრამიანში“ ბაღდადთან დაკავშირებით ნათქვამია: „და ისპაანი სახლად დაიჭირა. ჯორჯანი, რე, [აპვაზი] და ბაღდადი მისი იყო. მისგან უყეთესნი და უფროსნი ლაშქარნი არავის ჰყვნეს“²⁵.

მეორე მაგალითი: „და შენ თუ ჩემი სახელი არ იცი, მე კულა შენი დიდად კარგად ვიცი. შენ რამინ ხარ, შაჰინშას ძმა და ვისის მიჯნური, რომელ მისსა გამზრდელსა მოუჩხიბავ და იგი სულსა და გულსა გირჩევნია. თუ ბაღდადისაგან ეგების, რომელ დიჯლასა ელიოს, მაშა შენგანცა თურე ეგების უვისოდ“²⁶.

მესამე მაგალითი: რამინ „ზოგჯერ დარბისტანს იყვის და ზოგჯერ ხუზისტანს და ბაღდადსა“²⁷.

დამოწმებულ კონტექსტებში ბაღდადი ქვეყანასაც ნიშნავს და ქალაქსაც („რომელ დიჯლასა ელიოს“).

სამი მაგალითიდან ერთი გარკვეულ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული („თუ ბაღდადისაგან ეგების, რომელ დიჯლას ელიოს“), ორი კი რამინის სამფლობელოსთან („ჯორჯანი, რე, [აპვაზი] და ბაღდადი მისი იყო“, რამინა „ზოგჯერ დარბისტანს იყვის და ზოგჯერ ხუზისტანს და ბაღდადსა“). რატომაა „ბაღდადი“ (ქვეყანაც და ქალაქიც) ძველ ირანში ნაგულისხმევი? ალბათ იმიტომ, რომ ბაღდადი ისევე ცნობილი იყო, როგორც თავის დროზე ბაბილონი.

²³ V. Minorsky, *Vis u Ramin, Iranica*, p. 175. „ვისრამიანის“ გეოგრაფიული თავისებურებანი შენიშნა ჯერ კიდევ ნულდეკემ, *Nöldeke, Persische Studien*, II, S. 27. „fast ganz klar sind dagegen die geographischen Verhältnisse in Vis und Ramin“.

²⁴ წყაროებშია „ბაბილოვანი“ და „ბაბილონი“. ბაბილოვანი რაიონია, პროვინცია, ბაბილონი — ქალაქი. ჩანს ამგვარივე ცნების შემცველი იყო ბაღდადი, რომელიც კონტექსტების მიხედვით ქვეყანასაც ნიშნავდა და ქალაქსაც. ქალაქის და ქვეყნის ერთი სახელწოდებით წარმოდგენა ჩვეულებრივი იყო შუასუკუნეების მწერლობაში.

²⁵ ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ, თბ., 1962, გვ. 187.

²⁶ ვისრამიანი, გვ. 189.

²⁷ ვისრამიანი, გვ. 296. იხ. აგრეთვე „ვისრამიანის“ თეირანის გამოცემა ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით, გვ. 22 (იხსენიება ორიგინალის შესავალში, გამოტოვებულია ქართულ ვისრამიანში), გვ. 299 („ქვეყანა მშვენიერი იყო ბაღდადით...“, ქართულში არ არის), გვ. 325, 330, 526 (ვისისა და რამინის თავდადასავლის აღწერილობაში, ქართულ ვისრამიანში ამის მიხედვითაა დასახელებული ბაღდადი).

ამასთან, ბაღდადის მოცილება დიჯლადან (ტიგროსიდან) ისევე შეუძლებელი იყო, როგორც რამინის ვისისაგან მოშორება.

ფაზრ ად-დინ გურგანის, XI ს-ის მუსლიმან პოეტს, ვერ დავაბრალებთ იმას, რომ მან არ იცოდა თუ როდის იყო დაარსებული ბაღდადი. მას ალბათ მხედველობაში ჰქონდა ისლამის ამ მეტროპოლიის არსებობა იქ, სადაც თავის დროზე ბაბილონი და კტეზიფონი არსებობდა. ერთი სიტყვით, გვიან დაარსებული ბაღდადი წარსულში უნდა გადაეტანა მხოლოდ იმის გამო, რომ ახალი და ძველი ქალაქები ერთსადაიმავე ადგილზე, შუამდინარეთში იყვნენ განლაგებული. ამავე დროს „ვისრამიანის“ მკითხველებისათვის ამათგან ყველაზე ნაცნობი და მახლობელი ბაღდადი იყო. გურგანის თანამედროვე აღმოსავლეთში, მაგალითად, დასახლებულია აფხაზი მემშვილდენი, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაეუკავშიროთ არც სასანურ ირანს და არც პართიის სახელმწიფოს.

არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს იმანაც, რომ ბაღდადი რამინის სამფლობელოშია წარმოდგენილი, კიდევ მეტი: რამინის სამფლობელო ჩინეთიდან ბერბერეთამდე ვრცელდება. ესაა უზარმაზარი ტერიტორია, რომელსაც მუსლიმანური დინასტია მხოლოდ ომაელების დროს ფლობდა, მუსლიმანურ სამყაროს გავრცელება-გაფართოებით გურგანი აშკარად გამოხატავდა სელჩუკური ექსპანსიის მისწრაფებებს (ამ ექსპანსიის მთავარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზანი იყო ბაღდადის დაპყრობა, რაც განხორციელდა კიდევ 1055 წელს). ვისრამიანი ხომ სწორედ სელჩუკთა სამხედრო წარმატებების დროს იწერებოდა. ამავე მიზნითაა დასახლებული კაირუვანი, რომელსაც წარმოადგენდა მტკიცე ციხე-სიმაგრეს მუსლიმანურ სამყაროს დასავლეთ ნაწილში.

ქრისტენსენის აზრით, ვისრამიანი წმინდა წყლის ფიქციაა და ის განხილულ უნდა იქნას დროისა და სივრცის გარეშე. ვ. მინორსკის აზრით, ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ შეიცავს ჰეშმარტების მარცვალს. თუმცა მხატვრულ ნაწარმოებში საცესებით შესაძლებელია არა მარტო მოვლენების, არამედ ქრონოლოგიური ხასიათის გადაადგილება. ამას გვედასტურებს ვისრამიანში ბაღდადის, კაირუვანის და შირაზის დასახლება. მაგრამ, ეს აშკარა ანაქრონიზმი სრულიადაც არ ამცრებს მის მხატვრულ ღირსებას. მხატვრული ნაწარმოები ერთია (გავიხსენოთ შექსპირის ინგლისური ქრონიკების მიხედვით შექმნილი ტრაგედიები), ხოლო საისტორიო მეორე, სულ სხვა რიგისა, რომელშიც, მატთანისებური თხრობის მიუხედავად, საკმაოდ ზუსტად არის დაცული ქრონოლოგიური და გენეალოგიური თანამიმდევრობა. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს შუა საუკუნეების მატთანეები, რომლებიც ჩვენ გვაწვდიან წარსულის ცოდნას და არა გადასულ დროთა მოვლენების მეცნიერულ გააზრებას.

ამდენადვე ბაღდადის დაარსებამდე მისი მოხსენიების მიზეზის გამოსარკვევად ჩვენ უნდა მივმართოთ არა მხატვრულ, არამედ საისტორიო ნაწარმოებს.

ასეთ საისტორიო ნაწარმოებებს წარმოადგენენ XI ს. ქართული წყაროები (სუმბატ დავითის ძის, ჯუანშერის, ლეონტი მროველის თხზულებები). მაგრამ მათ მიერ ბაღდადის დასახლება 762 წლამდე ანაქრონიზმად, „მსხვილ ქრონოლოგიურ შეცდომად“ არის მიჩნეული, მაშინ როდესაც, ნამდვილად, ეს შეცდომა ქართულ წყაროებში აღმოსავლური წყაროებიდან მომდინარეობს.

აღმოსავლური (არაბული, სპარსული) საისტორიო მწერლობის სათანადო მონაცემების შესწავლა ჩვენ სრულს საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ

ბაღდადის მის დაარსებამდე მოხსენიება მხოლოდ IX—XI სს. ქართული ისტორიო-გეოგრაფიისათვის არ არის დამახასიათებელი.

ბაღდადი მის დაარსებამდე იხსენიება ისეთ საისტორიო თხზულებაში, როგორცაა ტაბარის მსოფლიო-ისტორიის ტიპის ნაწარმოები: „მოციქულთა და მეფეთა ცხოვრება“.

ტაბარის თხზულებაში ბაღდადი იხსენიება ჰიჯრის 12/633 წელს. ისტორიკოსი აღწერს ხალიდ იბნ-ვალიდის საომარ ოპერაციებს ერაყში. აღწერილია ირანელი სარდლების ზარმიჭრის და რუზბაჰის მოქმედებაც, მათი ბრძოლა არაბების წინააღმდეგ. სათანადო კონტექსტში ნათქვამია: „გამოვიდნენ ზარმიჭრი და რუზბაჰი ბაღდადიდან ალ-ანბარზე و (فخرج ذرأهم من بغداد)“²⁸ როგორც ვხედავთ, სპარსელი სარდლები გამოდიან (همه روزيه يريدان الانبار) ბაღდადიდან, რომელიც ჯერ არ არსებობს. ამრიგად, ბაღდადი მის დაარსებამდე ჩვენ გვხვდება IX—X სს. არაბულ ტექსტში. ამასთან, ბაღდადი სასანური ირანის ქალაქად არის გამოცხადებული. ასე რომ IX—XI სს. ქართველი ისტორიკოსები, ამ მხრივ, არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენენ.

ტაბარი (838—923) სარგებლობდა წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებებით (გამოყენებულია ალ-ვაკიდის, ალ-დინავარის, ალ-იაკუბის „ისტორიები“). დიდი რაოდენობითაა მის მიერ მოხმობილი არაერთი წყარო. ბევრი ტექსტი მას უცვლელად მოჰქონდა, ყოველგვარი შესწორების გარეშე. ამით მან არაერთი ისტორიკოსის თუ მწერლის თხზულების სახელი და სათაური შემოგვინახა. ფართოდ იყენებდა იგი აჰმედ იბნ აბუ თაჰერ თეიფურის მიერ IX ს-ში დაწერილი „ბაღდადის ისტორიას“. თვითონ ტაბარი ბაღდადში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ასე რომ კარგად, ზედმიწევნით იცნობდა ბაღდადს, მის ისტორიის პირველწყაროებს, თავადასავალს. მის, როგორც განთქმული ისლამური ქალაქის, მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა ისიც, ქართველი ისტორიკოსების მსგავსად, ბაღდადს ასახელებს ბაღდადის დაარსებამდე კარგა ხნით ადრე.

ბაღდადი 762 წლამდე იხსენიება ტაბარის საისტორიო თხზულების სპარსულ თარგმანშიც, რომელიც შესრულებულია 962 წელს სამანიანთა ვეზირის ბალამის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ბალამის თარგმანში წინაისლამური პერიოდის ბაღდადი უფრო ხშირად იხსენიება, ვიდრე ტაბარის თხზულების არაბულ ტექსტში. ეს საგანგებოდ აქვთ აღნიშნული სპარსული თარგმანის გამომცემლებს.

ბალამი სარგებლობდა ტაბარის საისტორიო თხზულების ვრცელი რედაქციით, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამდენად არ შეიძლება საყურადღებო არ იყოს ბალამისეული ინტერპოლაციები, რომელნიც ასე დამახასიათებელია მისი სპარსული თარგმანისათვის. სპარსულ ტექსტში მოიპოვება არაბული ტექსტისაგან განსხვავებული ფრაზები, ცნობები, განმარტებები. ერთი სიტყვით, ზოგიერთი ისეთი რამ, რაც არაბულ ტექსტში არ გვხვდება. ესეც საგანგებოდ არის აღნიშნული და მითითებული სპარსული ტექსტის გამოცემის ვრცელ კომენტარებში. გარკვეული თვალსაზრისით სპარსული ტაბარი ინაჩუნებს დამოუკიდებელი წყაროს მნიშვნელობას. ტაბარის თხზულების სპარსულ თარგმანში მრავალგან არის დასახელებული ბაღდადი მანამდე, სანამ ეს ქალაქი დაარსდებოდა.

²⁸ Tārīkh at-Tabarī, par Abī Jafar Moḥammad ibn Jarir at-Tabarī, t. III, Edition critique par Moḥammad Abūl Faẓl Ibrahim, al-Kahira, 1382/1962, p. 379.



მაგრამ, ისევე როგორც არაბულ ტექსტში, სპარსულ ტექსტშიც დასახელებულია არა მარტო ბაღდადი, არამედ სხვა გვიანდელი, ისლამის დოქტრინის ქალაქებიც: ქუთა, ბასრა, შირაზი, მოსული. წინაისლამური პერიოდის ისტორიის გადმოცემისას ვხვდებით თვით მხოლოდ და მხოლოდ ისლამისათვის დამახასიათებელ ყურანს, ამირ ალ-მუმინის და მისთანებს. სავსებით აშკარაა რომ ტაბარიმ და მისი თხზულების სპარსულად მთარგმნელმა კარგად იცოდნენ რომ არც ყურანი და არც ამირ ალ-მუმინი ისლამამდე არ შეიძლება ყოფილიყო. ასევე მათ კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ ადრე არც ბაღდადი არსებობდა (საამისო განმარტებანი თვით ტექსტებშია მოტანილი). მაშასადამე, ბაღდადს ისინი ასახელებდნენ იმ დროს, როდესაც აღწერდნენ ისეთ მოვლენებს, რომელთა მოქმედების სარბიელს ბაღდადი და მისი სანახები წარმოადგენდა²⁹.

ტაბარიმ და ბალამიმ, რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ, თუ რომელი ქალაქები არსებობდა იქ, სადაც გვიან ბაღდადი დაარსდა.

ბალამის სპარსულ თარგმანში ერთმანეთთანაა გაიგივებული ბაბილონი, ალ-მადანი, თალსაფუნი და ბაღდადი.

ყველა ეს სახელწოდება მხოლოდ სასაანური ირანის დედაქალაქს აღნიშნავდა და გულისხმობდა.

ბალამის სპარსულ თარგმანში ერთგან ნათქვამია: „სპარსთა სატახტო (სიტყვისიტყვით „სამეფო“ — ვ. გ.) მადანი იყო, სადაც ახლა ამირ ალ-მუმინის საჯდომად ბაღდადია, მაგრამ ბაღდადი იმ დროს არ იყო (არ არსებობდა)“³⁰.

მოგვაქვს სხვა მაგალითებიც.

ბაჰრამ გურის მეტოქე, არდაშირ ბაბაგანის შთამომავალი, მადანს მიიყვანეს, სამეფო ადგილზე დასვეს და თავზე გვირგვინი დაადგეს³¹.

ყოზადის გამეფების გამოც ნათქვამია: „ყოზადი მადანს მივიდა და ხელმწიფედ დაჯდა“³².

არდაშირი „მოსულს მოვიდა, ყველა მეფენი შეიპყრა და მოსულიდან სევადში მივიდა“³³. საინტერესოა რომ ამ ფრაზას შემდეგი შინაარსის გაგრძელება ახლავს: „იმ დროს ბაღდადი არ არსებობდა — روز بغداد نبود“. რაკი არაბული ტექსტის სპარსულად მთარგმნელმა საჭიროდ მიიჩნია აშკარად განმარტების დართვა, შეიძლებოდა გვეფიქრა რომ ბაღდადი იხსენიებოდა უფრო ადრინდელ თხზულებაში, რომლითაც მთარგმნელი სარგებლობდა. როგორც ცნობილია, ტაბარის არაბულ და სპარსულ ტექსტებში არაერთი აღ-

²⁹ ამგვარი მიხიზნება გამოყენებული ჩანს შირაზის ან სხვა, გვიან დაარსებული ქალაქის დასახელების დროსაც.

³⁰ ملوك عجم به مداین بود، چنانکه امروز نشست امیر المومنین به بغداد است و بغداد انگاه نبود. სპარსული ტაბარი, გვ. 826.

³¹ رو بیعت کردند و به مداین آوردند و بجای ملك بنشاندند و تاج بر سر او نهادند. სპარსული ტაბარი, გვ. 932.

³² باز مداین آورد و پادشاهی بنشست. სპარსული ტაბარი, გვ. 965.

³³ و از آنجا بموصل آمد، و همه پادشاهها بستند و از موصل بسواد بغداد شد. სქოლიოში ნათქვამია: „არაბულში ბაღდადი არ იხსენიება (بغداد را ندارد) იქ დასახელებულია მხოლოდ სევადი და ასურეთი“. იქვე, გვ. 883. შენ. 1. ამგვარი შენიშვნა სპარსული ტექსტის თეირანულ გამოცემას მრავალგან აქვს დართული.

რინდელი წყარო არის გამოყენებული. ბალამი ხშირად ასახელებს სპარსულ
ჯერისის (ტაბარის) ძველ ნუსხებს.

ყოველ შემთხვევაში, ბალამი ყველგან აღნიშნავს: „იქ სადაც ახლა ბალ-
დადია“, „იმ დროს ბაღდადი არ არსებობდა“ და, საზოგადოდ, ასეთ განმარ-
ტებებს იძლევა, როცა მოგვიტხოვს ირანის პოლიტიკური დაქსაქსულობის
(„მულუქ ალ-თავაიფ“), არშაკუნიათა და სასანიანთა ისტორიის ამბებს. ტა-
ბარის სპარსულ თარგმანში ბაღდადი ფიგურირებს ძვ. წ. III საუკუნიდან მო-
ყოლებულ ახ. წ. VII საუკუნემდე — სასანური ირანის არსებობის დასასრუ-
ლამდე.

ერთგან ნათქვამია:

„რომაელებს აქედან, სადაც ახლა ბაღდადია, (ტერიტორია) სირიამდე
ჰქონდათ“³⁴.

ზოგან კი ბაღდადი ყოველგვარი განმარტების გარეშეა დასახელებული.
არაბებმა ისარგებლეს შაბურ II-ის მცირეწლოვნობით „და პირწმინდად
გაძარცვეს ბაღდადი“³⁵.

საამისო მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ მო-
ტანილიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ რა აზრით არის დასახელებული
„არამუსლიმური ბაღდადი“ აღმოსავლურ საისტორიო თხზულებებში.

არავითარ ეჭვს არ იწვევს არც ის, თუ საიდან მომდინარეობს სასანური
ირანის დროინდელი მოვლენების ბაღდადთან დაკავშირება IX—XI სს. ქარ-
თულ წყაროებში. ქართველ ისტორიკოსებსაც, ცხადია, ბაღდადი იმ აზრით
აქვთ დასახელებული, რა აზრითაც ისლამის ამ განთქმულ ქალაქს აღმოსავ-
ლელი ისტორიკოსები ასახელებენ.

რა თქმა უნდა, ტაბარის და ბალამის არ შეიძლება არ სცოდნოდით თუ
როდის იყო დაარსებული ბაღდადი და რომ ამ ქალაქს არ შეიძლებოდა ეარ-
სებნა არც პართიის და არც სასანური ირანის სახელმწიფოებში. ისინი კარ-
გად იცნობდნენ „მუსლიმურ ბაღდადს“, მის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას
(„მრგვალი ქალაქი“), მუსლიმანურ სახელწოდებას („დარ ულ-სალამ“) ბაღდა-
დი იყო მუსლიმურ სამყაროს არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური,
არამედ კულტურული ცენტრიც. აქ მოღვაწეობდნენ ლიტერატურისა და ხე-
ლოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები. ბაღდადური კულტურის მიღწევე-
ბი გამოძახილს პოულობდა მუსლიმანურ სამყაროს ყველა ნაწილში, სირია-
შიც (არაბულ-მუსლიმანური კულტურის სირიული სკოლა) და ანდალუზიაშიც
(არაბულ-მუსლიმანური კულტურის ესპანური სკოლა).

ერთი არაბი ისტორიკოსის სიტყვით, ბაღდადი იყო „ბაზარი, სადაც მო-
ჰქონდათ მეცნიერებისა და ხელოვნების საქონელი, სადაც ეძებდნენ სიბრძ-
ნეს, ისევე როგორც ადამიანი ეძებს თავის ჩამორჩენილ აქლემებს, და რომ-
ლის ღირებულებათა შეფასებას აღიარებენ მთელ მსოფლიოში“.

ასეთ ვითარებაში „ქრონოლოგიურ შეცდომას“ ბაღდადთან დაკავშირე-
ბით ვერ დაუშვებდნენ ვერც აღმოსავლელი და ვერც ქართველი ისტორიკო-
სები.

762 წლამდელი ბაღდადი, როგორც ვნახეთ, სრულიად გარკვეული თვალ-
საზრისით არის დასახელებული.

³⁴ شام داشتندی بغداد است تا وو این رومیان از آنجا که اکنون სპარსული
ტაბარი, გვ. 726.

³⁵ و از سواد بغداد لغتی غارت کردند. 904. სპარსული ტაბარი, გვ. 904.



ამ თვალსაზრისით წინამუსლიმური, სასანური და წინასასანური ბაღდადი შუამდინარეთის ძველ პოლიტიკურ ცენტრთან არის გაიგივებული, ხარკულიად გარკვეული სინონიმური მნიშვნელობით ნახმარი (ბაბილონი-კტეზიფონი-ბაღდადი)³⁶.

ჩვენი კვლევა-ძიებების შედეგები ახლებურად აყენებს IX—XI სს. ქართული ისტორიოგრაფიის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს. ვგულისხმობთ არა მარტო თითოეული საისტორიო თხზულების დათარიღებას (რომლის გამოც გამოთქმული იყო ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრებანი), არამედ საზოგადოდ მათ უცხოურ წყაროებსაც. მაგრამ ამგვარი საკითხები სცილდება წინამდებარე წერილის ამოცანას.

В. Н. ГАБАШВИЛИ

БАГДАД В ГРУЗИНСКИХ ИСТОЧНИКАХ IX—XI ВЕКОВ

Резюме

В свое время акад. И. А. Джавахишвили утверждал, что автор «Обращения Грузии» («Мокцевай Картლისай») допускает «крупную хронологическую ошибку». Он имел в виду упоминание города Багдада при изложении событий Сасанидского Ирана. Такие же сведения о Багдаде за несколько веков до его основания находим в сочинениях и других грузинских историков XI века (Леонти Мровели, Джуаншер, Сумбат Давитисдзе). «Таким образом налицо, отмечал И. А. Джавахишвили, крупная хронологическая ошибка, так как постройку города Багдада начали лишь в 762 году». Но следует отметить, что доисламский Багдад фигурирует и в восточных источниках. При этом не только в художественных сочинениях («Висрамиани»), но и исторических произведениях («История» Табары и ее персидский перевод).

Восточные источники под «Багдадом» подразумевали столицу Ирана Ктезифон, а также Вавилон. Само собой разумеется, что в таком же значении упоминают доисламский Багдад и грузинские историки XI века, что не может квалифицировано как «хронологическая ошибка».

³⁶ აღმოსავლურ წყაროებში დასახლებულია ადრე არსებული სოფელი და ბაზარი ბაღდადის სახელწოდებით, მაგრამ ამ ბაღდადს არაფერი არა აქვს საერთო კტეზიფონთან. ი. ცქიტიშვილი, ქალაქ ბაღდადის ისტორიისათვის, 1968, გვ. 156—157.

ბაპარ ზიზინიოვილი

ძველი ქართული ენის გრამატიკიდან

1. ზმნისწინ-თანდებულები ძველ ქართულში

როგორც ცნობილია, ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქცია ძველ ქართულში ძირითადად მიმართულების გამოხატვა იყო. მიმართულება, სივრცობრივი ლოკალიზაცია გამოიხატებოდა არა მარტო ზმნური, არამედ სახელური ფორმებითაც. სახელთან ამ ფუნქციას ასრულებდა ან სპეციალური ბრუნვის ფორმა (მაგ., მიმართულებითი, მიცემითი), ან კიდევ თანდებულიანი და წინდებულებიანი ბრუნვა. მოსალოდნელია, რომ ზოგჯერ ერთი და იმავე გრამატიკული მნიშვნელობის გადმოსაცემად ზმნასა და სახელს გამოყენებინათ საერთო მასალა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ელემენტი ზმნასთანაც გვექნოდა და სახელთანაც. ეს შესაძლებლობა ქართულში რელიზებულია: გვაქვს ისეთი ენობრივი ერთეულები, რომლებიც ზმნისწინებადაც გამოიყენება და თანდებულებადაც. სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალურად მინიშნებულია შე- ზმნისწინისა და -ში (ძვ. ქ. -შინა) თანდებულის, გან- ზმნისწინისა და -გან თანდებულის, გარდა- ზმნისწინისა და -გარდა თანდებულის, მი-, მო+ ზმნისწინებისა და -მი, -მო თანდებულების გენეტიკური ერთიანობა. „ერთი და იგივე „სიტყვა“ (ოდესღაც დამოუკიდებელი) სახელთან თანდებულად არის გამოყენებული, ზმნასთან კი — პრევერბად“, — წერს ა. შანიძე¹. ამათ გარდა, თანდებულებად გამოყენებულია ზმნისწინის ფუნქციის მქონე სხვა ელემენტებიც: გამო, გარდამო² და ამო/აღმო. რადგან გან-ის ხმარება ზმნისწინადაც და თანდებულადაც საკმაოდ ჩვეულებრივია, საილუსტრაციო მასალას გან-ზე არ მოვიტანთ. შედარებით უფრო იშვიათია თანდებულებად სხვა ზმნისწინები.

-ში: რაათა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდა და მე შენდამი... (ი. 17,21).

... აღფრინდის მიქცეულად მაღალსა ქარსა მძაფრსა მზისთუალსა წყაროდ-მი... (შატბ. კრ. 179,10—11).

და ესე საზომი არს საკურთხეველისაჲ მის წყრთისა წყრთა და ციდა და წილად ღრმა წყრთადმი... (ეზეკ. 43,13(0)).

ხოლო მართალნი საუკუნოდმი ცხონდენ (სიბრძენ 5,15(0)).

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 267—268; იხ. აგრ. ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში. იკე, V, თბ., 1959, გვ. 81, 88; ჰ. ჯაჯანიძე, ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XI, 1952—53, გვ. 103—119.

2 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 211—212.

-**ამო**: რომელმან აღიაროს **ჩემდამო** წინაშე კაცთა, ქემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა (ლ. 12,8 C).

ვერ ქელ-ეწიფების არცა მაგიერ **ჩუენდამო** წიადმოსლვად (ლ. 16,26 D).

-**გამო**: ... **სიონით გამო** არს შუენიერებაჲ ჰაეროვნებისა მისისაჲ (ფს. 49,2).
 კმაჲ ხიყო **ღრუბლით გამო** და თქუა... (მთ. 17,5 X).
 და მელქულ, ასული იგი საულისი, იჭუირობდა **სარკუმლით გამო** (II მეფ. 6,16(0)).

ეჩუენა მას ანგელოზი ცეცხლითა აღისაჲთა **მაყულოანით გამო**... (გამ. 3,2(0)).

... და დაჯდა და ხასწავებდა **ნავით გამო** ერსა მას (ლ. 5,3 X).

... თქუენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალჴმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი **მადლით გამო** (ლ. 24,49 DE).

კმაჲ გურიტისაჲ ისმა ქუეყანასა ჩუენსა, კმაჲ გურიტისაჲ მის, რომელი-იგი **ცით გამო** იყო... (სინ. მრ. 226,29).

... მოიწია კმაჲ ზეციით **საკურთხეველით გამო** (სინ. მრ. 274,30—31).

და მიმადგინა მე კარსა ზედა და მესმოდა **შინაჲთ გამო** კმაჲ კაცთაჲ (ლიმ. 60,6).

ვფიქრობთ, სპეციალურ ილუსტრაციას არ საჭიროებს **გამო**-ს ხმარება ზმნისწინად, რადგან ის ჩვეულებრივია (გამოსვლა, გამობერვა, გამოდინება, გამოსხმა, გამოღება, გამოწოვა, გამოქსნა, გამოკვება და სხვა)³.

-**გარდამო**: კმაჲ იყო **ზეციით გარდამო** და თქუა... (მთ. 3,17 DE).
 ნათლის-ცემად იოვანესი **ცით გარდამო** იყო ანუ კაცთაჲან? (მრკ. 11,30 C).

მრავალთა განსაცდელთა ჰხედან **მით გარდამო** (მ. სწ. 117,21).

გარდამო- ზმნისწინად უფრო ხშირია (გარდამოსლვა, გარდამოთხევა, გარდამოტყორცვა, გარდამოხილვა, გარდამოწუეთა, გარდამოქლომა, გარდამოქსნა, გარდამოჭურობა და სხვა).

უნიკალურია თანდებულად **აღმო-/ამო-**, რომელიც ზმნისწინად ჩვეულებრივია. ფსალმუნში დადასტურებულია **ამო**-სა და **აღმო**-ს ხმარება თანდებულად.

ღრმითაღმო ვღაღადებ შენდამი, უფალო (ფს. 129,1 ACE).

ღრმითამო ღაღად-ვყავ შენდამი, უფალო (ფს. 129,1 ლ და B).

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში გვაქვს ერთი წყება ზმნისწინ-თანდებულებისა, რომლებიც საკმაოდ მწყობრ სისტემას გვაძლევენ:

| ზმნისწინი | თანდებული |
|------------------|------------------|
| მი- | -მი |
| მო- | -მო |
| გან- | -გან |
| გამო- | -გამო |
| გარდამო- | -გარდამო |
| აღმო/ამო- | -აღმო/-ამო |

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამათ რიცხვში იყო უფრო ადრე **წარ-** ელემენტიც, რომელიც ზმნისწინად ჩვეულებრივია და ზოგ ზმნისართში თანდებულად.

³ **გამო**- ზმნისწინთან პ. ჯაჯანიძეს გენეტურად დაკავშირებული აქვს **-გან** (და არა **გამო**) თანდებული (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 113—115).



ლის ფუნქციითაც უნდა გვეჩინოდა, თუ დავუშვებთ, რომ ეს ზმნისარსებით-
 მოშობით თანდებულადი სახელია. ვგულისხმობთ წინააღმართ ფორმას (ი.
 13,1 C; II კორ. 13,2; შატბ. კრ. 147,41; 149,3—4).

არაა აუცილებელი ყველა შემთხვევაში ზმნისწინ-თანდებულთა ზმნისარ-
 თებისაგან მომდინარეობა ვივარაუდოთ (მი-<მიმართ, მო-<მომართ, წარ/
 წა-<წარმართ/წამართ, და ა. შ.). სავსებით შესაძლებელია, პირიქითაც მომხდარ-
 იყო: ზმნისწინ-თანდებულებზე გარკვეული ელემენტების დართვით მიგველო
 ზმნისართები.

არის თანდებულთა მთელი წყება, რომელიც ზმნისწინებად არ გამოიყე-
 ნება და პირიქით: ზმნისწინები, რომლებიც თანდებულებად არ გვევლინება.
 მაგრამ არის ერთი და იმავე ელემენტის თანდებულად და ზმნური ფორმის
 წინ ხმარების შემთხვევები რთული შედგენილობის ზმნებში. თანა და ზედა
 თანდებულები ზმნისწინის წინ დასტურდება ცალკეულ ზმნებში: თანა-აღრე-
 ვით (I კორ. 5,10), თანა-გამოერთო (ივლ. 2,11(0)), თანა-განეყოფვოდის (ივაგ-
 ნი 9,24(0)), თანა-შეეზავა (ებრ. 4,2), თანა-დამიდგა (II ტიმ. 4,16), ზედა-
 გარდამქდეს (ფს. 41,8), ზედა-დაგერთოს (მრკ. 4,24 DE), ზედა-მოხლვა (ივაგ-
 ნი 3,25(0)), ზედამიწევნანი (ეკლ. 1,17(0)) და სხვა.

ზმნისწინ-თანდებულთა არსებობა ენის ისტორიის ზოგ საკითხსაც გვირ-
 კვეს. როგორც ცნობილია, დღევანდელი -იდან დაბოლოება სახელებში (სახ-
 ლიდან, ქალაქიდან, სოფლიდან) მიღებულია ძველი ქართული დაბოლოებისა-
 გან ით+გან, რომელშიაც -ით მოქმედებით-გამოსვლითი ბრუნვის ნიშანია, ხო-
 ლო -გან ზმნისწინ-თანდებული. ა. შანიძის აზრით, აქ ჯერ ადგილი ჰქონდა
 გ-ს წინ თ→დ გამჟღერებას, ე. ი. გულითგან ფორმისაგან მივიღეთ გულიდ-
 გან, ხოლო შემდეგ დაიკარგა გ და დაგვრჩა გულიდან. ეს -იდან მოტანილი
 ფორმაში დღეს განუყოფელია⁴. ეს აზრი დღეს გაზიარებულია ქართველოლო-
 გიაში.

მეორე მხრივ, ქართულში გვაქვს ერთი უცნაური დაბოლოება -დამ/-იდამ,
 რომელიც ა. ჩიქობავას, განსხვავებით -დან/-იდან დაბოლოებისაგან, მიჩნეუ-
 ლი აქვს დამოუკიდებელ თანდებულად⁵. ხსენებული დაბოლოება ა. ჩიქობავას
 ფიქსირებული აქვს ი. ჭავჭავაძის, დ. გურამიშვილის თხზულებებში. რამდენ-
 ადამე განსხვავებული -დამე და -დადმე/დადმა სახით ის წარმოდგენილია
 ვეფხისტყაოსანში, მე-17 საუკუნის საბუთების ენაში, ფეშანგის „შაჰნავაზიან-
 ში“, თეიმურაზ I-ის პოემებში და „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებში. ამ მონა-
 ცემების საფუძველზე ა. ჩიქობავა ასკვნის, რომ რამდენადაც -დამ უფრო
 ადრე ჩანს ქართულ ძეგლებში, ვიდრე -დან, -დან-ისაგან მისი მიღება, როგორც
 ამას დ. კარიჭაშვილი ვარაუდობდა, გამორიცხულია. თვით ავტორი კი ვარა-
 უდობს, რომ -დამ მიღებულია დადმა ზმნისართისაგან, რომელმაც გამარტი-
 ვების პროცესში გაიარა რამდენიმე საფეხური: დადმა||დადმე→დამე (||დამა)→
 დამ. ყველა ეს საფეხური ისტორიულად დასტურდება მეცამეტე საუკუნიდან
 მეთვრამეტემდის (ჩარიცხვით)⁶.

ყოველივე ეს გასაგები გახდებოდა, თუ თვით დადმე ზმნისართის აგე-
 ბულება აიხსნებოდა და თუ მისი დართვა მოქმედების ბრუნვაზე სადმე, თუნ-
 დაც ერთხელ, წერილობით დაგვიდასტურდებოდა. დადმე/დადმა ზმნისართის
 ფონემური შედგენილობა მის მეორეულ ხასიათს ამჟღავნებს. იგი ვერ იქნება

4 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1955, გვ. 74.
 5 ა. ჩიქობავა, ისტორიულ-შეღარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან, V,
 ერთი: უცნობი თანდებულ ახალ ქართულში. ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 62.
 6 იქვე, გვ. 62—63.



დამე-ს ადრინდელი საფეხური. უფრო პირიქით არის მოსალოდნელი, რადგან **ღ-**ს გაჩენა აქ **აღმა-**სთან ანალოგიას მიეწერება, ისევე როგორც **დაღმა-**ს სიტყვაში **ღ** **აღმართიდან** არის გადმოსული. როგორც ვიცით, **აღმართ** ზმნისართი შედგება **აღ** პრეფერბისა და **მართ** ელემენტისაგან, ასევე **დამართ** ზმნისართი — **ღა-** პრეფერბისა და იმავე **მართ** ელემენტისაგან. (ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა **დამართ** სცემდა და ცრემლითა მწართა იტყოდა... მარტ. შუშ. ილ. აბულაძის გამოცემა, ტფ., 1938, გვ. 5,16). მაგრამ უკვე ძველი ქართულის წიაღში ჩნდება **დაღმართ**, **წაღმართ** ტიპის ფორმები. რაც შეეხება მეორე საკითხს, რამდენად შესაძლებელია **დაღმა/დაღმე** ზმნისართის დართვა თანდებულის მსგავსად სახელის ბრუნვიან ფორმაზე, ეს თეორიულად სავსებით დასაშვებია, მაგრამ ფაქტობრივ ჩვენთვის უცნობია. პირიქით, კარგადაა ცნობილი შემთხვევები, როცა მოქმედებით ბრუნვას ერთვის **გამო** ზმნისწინ-თანდებული. სათანადო მასალა ზემოთ მოვიტანეთ. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ **-იღამ** დაბოლოება მიღებულია მოქმედებით ბრუნვაზე დართული **-გამო** თანდებულისაგან იმავე საფეხურების გავლით, რომელიც **-იღან-**თან იყო წარმოდგენილი? ე. ი. — **ით+გამო→*იღგამო→*იღგამ→-იღამ**. თუ კი **თგ→დგ→დ** დასაშვებია **-გან-**ის დართვის შემთხვევაში, იგივე პროცესი მოსალოდნელია **-გამო-**სთანაც. ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცვა გამოწვეული ჩანს **-გამო** ელემენტის სახელის ფორმისთან შერწყმის შემდეგ ახალი, ერთი სიტყვათმავლის მიღების საფუძველზე: **სრფლით გამო→სრფლიდგამო→სრფლიდამ**.

როგორღა უნდა აიხსნას **-იღაღმა/-იღაღმე** ტიპის დაბოლოებანი ვეფხის-ტყაოსანსა და მომღერო ხანის ძეგლებში? აქ ორგვარი შესაძლებლობა გვესახება: 1. ისინი მოწინააღმდეგე ***-იღ-გაღმო** შუალედური საფეხურისაგან, რომელშიაც **გაღმო** მიღებულია **გამო-**საგან **აღმო** ზმნისწინ-თანდებულის ანალოგიით; 2. მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე დართულ, თანდებულის ფუნქციის მქონე **გაღმა** ზმნისართისაგან. ეს უკანასკნელი თითო-ორიჯერ შემთხვევაში დასტურდება ჯერ კიდევ ძველ ქართულში (მ. ცხ. 177r. Ier.—36.8r). ძალიან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ **-(ი)ღაღმა-**ზე დამთავრებული ფორმების (ზედღაღმა, მუნღაღმა, ნავიღაღმა, ნათლიღაღმა, აქაღაღმა) გვერდით დადასტურებულია ერთი შემთხვევა მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე **გაღმა-**ს დართვისა:

მას აღარა შეესმოდა, **სოფლით გაღმა** გაებიჯა (მგმ,4). მიუხედავად ამისა, ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია **-იღაღმა** ტიპის ფორმების ახსნა ***-ით-გაღმო (<*-ით-გამო)-**საგან ამოსვლით **ღ-**ს კონტამინაციური განვითარების ნიადაგზე.

ამრიგად, „უცნობი თანდებული“ ახალი ქართულის **-იღამ** ფაქტიურად არ წარმოადგენს თანდებულს. იგი ისეთივე თანდებულია, როგორც **-იღან**, ე. ი. მიღებულია ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად. **-იღამ**, ჩვენი აზრით, მოდის **-ით-გამო** ფორმისაგან, ხოლო **-იღაღმა** — ***-ით-გაღმო-**საგან, რომელიც იმავე **-ით-გამო** ფორმის და **-ით-აღმო-**ს კონტამინაციის შედეგია.

2. ქრისტე და ფარაო

სახელი ქრისტე ძველ ქართულში ბრუნების თავისებურ პარადოქსს გვიჩვენებს: ბრუნვათა ერთ წყებასთან (მიც., მოთხ., ვით.) იგი საზოგადო. სახელთა მსგავსად იბრუნვის, ხოლო მეორესთან (ნათ., მოქმ.) — პირის სახელთა

მსგავსად⁷. საზოგადო სახელებთან მსგავსება ვლინდება შემდეგ თვისებებში: მიცემი ფორმის იგი დაირთავს -სა დაბოლოებას და არა -ს-ს, მოთხოვნის ფორმდება ყოველთვის -მან ფორმანტი, ხოლო ვითარებითში ჩვეულებრივად დაირთავს -დ სუფიქსს, განსხვავებით პირთა სახელთაგან. პირთა სახელებთან მსგავსების საბუთია ნათესაობითსა და მოქმედებითში -ის, -ით (და არა -ისა,-ითა) დაბოლოებების დართვა და ფუძის ბოლოკიდური ც ხმოვნის უკვეცელობა⁸. რაც შეეხება სახელობითი ბრუნვის ფორმას, იგი საკონტროლო საშუალებად ვერ გამოდგება, რადგან მ გრაფემა შესაძლოა, იხმარებოდეს როგორც დიფთონგის, ისე მონოფთონგის ფუნქციით. ამაზე სავესებით სამართლიანად მიუთითებს ი. იმნაიშვილი⁹. ჩვენი აზრით, არ გამოდგება საკონტროლოდ არც წოდებითი ბრუნვის ნულოვანი დაბოლოება, რადგან ასეთი ფორმა შესაძლოა, საზოგადო სახელებთანაც დავადასტუროთ. ხმოვანფუძიან და, კერძოდ, ე-ზე დაბოლოებულ საზოგადო სახელთაგან ასეთია მეფე, რომელიც წოდებითში ფუძის სახით გვევლინება:

მეფე, შენ უკუნისამდე ცხოვნი სახელითა ქრისტესითა (შატბ. კრ. 341,7). ხოლო აწ, მეფე, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა (შატბ. კრ. 341,26).

ამრიგად, სახელი ქრისტე შერეულ პარადიგმას გვიჩვენებს. ეს ფაქტი თუმცა აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში¹⁰, მიზეზი ამგვარი ვითარებასა მითითებული არაა. მიზეზი კი, ჩვენი აზრით, მარტივია: წარმოშობით ქრისტე არაა საკუთარი სახელი. ქართული ფორმა ბერძნული Χριστός-ის წოდებითი ბრუნვის ფორმით (Χριστη) გადმოღებას წარმოადგენს. თვით ბერძნული χριστη უკავშირდება χρῖσ („ცხება“) ზმნას და ნიშნავს „ცხებულს“, „მესიას“¹¹. ქრისტე-ს ბერძნულშიც და ქართულშიც შენარჩუნებული ჰქონდა თავდაპირველი მნიშვნელობა „მესიას“, „ცხებულისა“. ამასთანავე, თანდათან ის ამჟღავნებდა აშკარა ტენდენციას საკუთარ სახელად ქცევისა. ეს ტენდენცია გამოვლინდა ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში, რასაც ალბათ შესაფერი კონტექსტი განაპირობებდა, კერძოდ, მისი, ჩვეულებრივ, საკუთარ სახელ იესუ-სთან ერთად ხმარება (იესუ ქრისტეს შობაჲ ესრეთ იყო მთ. 1,18; მადლი და ჭეშმარიტებაჲ იესუ ქრისტეს მიერ იქმნა ი. 1,17), რაც ამ ბრუნვებში ჭარბობდა.

რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს სახელ ფარაო-სთან. ფარაო ეგვიპტელთა მეფის ტიტულია და, ამდენად, საზოგადო სახელი. მიუხედავად ამისა, ქართულში მისი ბრუნების პარადიგმა პირთა სახელების პარადიგმის იდენტურია:

| | | |
|-----------------|-----------|-----------|
| სახ. ფარაო | შდრ. ჰაბო | ნინო |
| მოთხ. ფარაო | ჰაბო | ნინო |
| მიც. ფარაო-ს | ჰაბო-ს | ნინო-ს |
| ნათ. ფარაო-მს | ჰაბო-მს | ნინო-მს |
| მიმ. ფარაო-მს-ა | ჰაბო-მს-ა | ნინო-მს-ა |

⁷ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 381.

⁸ იქვე.


⁹ იქვე.

¹⁰ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 41—42; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 381—382.

¹¹ W. Pape. Griechisch-deutsches Handwörterbuch. II B. Braunschweig. 1849. S. 1353.

მოქმ. ფარაო-მო-(ურთ)
წოდ. (ფიქსირებული არაა)

ჰაბო-მო(ურთ)
(ფიქსირებული არაა)

ნინო-მო-()
ნინო

მოვიტანთ რამდენსამე მაგალითს თითოეულ ბრუნვაზე.

მაგალითები ძველი აღთქმის თარგმანიდან, მეტწილად შესაქმისა და გამოსლვის წიგნებიდან, მოგვაქვს, რადგან ყველაზე ხშირად იქ გვხვდება სიტყვა **ფარაო**:

სახ. ბრუნვაში

ფარაო ჰრისხვიდა მონათა თუსთა და შემსხნა ჩუენ საპყრობილესა (შეს. 41,10(0)). რომელმან... დაათქა **ფარაო** და ერი მისი ზღლუასა მას მეწამულსა (ფს. 135,15).

ხოლო ლანკლასა მას ზედაკერძოსა იყო ყოვლისაგან სანოვავისა, რომელსა ჰამნ მეფე **ფარაო**... (შეს. 40,17(0)).

აღვა **ფარაო** ღამე და ყოველნი მსახურნი მისნი... (გამ. 12,30(0)).

და **ფარაო** მოვიდოდა... (გამ. 14,10(0)).

მოთხრ. ბრუნვაში

წარიჯადა **ფარაო** ბეჭედი კელისაგან თუსისა და შეაცუა კელსა იოსებისსა... (შეს. 41,42(0)).

და არა ძალითა დიდითა, არცა ერთთა მრავლითა ყოს მის თანა ბრძოლადა **ფარაო**... (ეზეკ. 17,17(0)).

აღავო **ფარაო** ეტლები თუსი და ყოველი ერი თუსი წარაყვანა მის თანა (გამ. 14,7(0)).

განიფიცვა გული თუსი **ფარაო** და არა ისმინა მათი (გამ. 9,12(0)).

და ვითარ ისმინოს ჩემი **ფარაო**, რამეთუ მე უტყუ ვარ? (გამ. 6,12(0)).

და ყავნ ესრეთ **ფარაო** და დაადგინენინ ადგილთა მთავარნი ქუეყანასა ზედა... (შეს. 41,34(0)).

უთხრა მათ **ფარაო** ჩუენებად იგი (შეს. 41,8(0)).

მოუწოლა **ფარაო** ბრძენთა მათ ეგვბტელთა და გრძნეულთა... (გამ. 7,11(0)).

მიც. ბრუნვაში

და უთხრა მოსე სიმამრსა თუსსა ყოველივე, რადაცა-იგი უყო უფალმან **ფარაოს** (გამ. 19,8(0)).

მოექსენოს **ფარაოს** სამთავროდ იგი ზენი (შეს. 40,13(0)).

და ნაყოფი მისი, რომელი იყოს, მოეციო მეხუთე ნაწილი მისი **ფარაოს** (შეს. 47,24(0)).

ძეო კაცისაო, არქუ **ფარაოს**, მეფესა ეგვბტისასა... (ეზეკ. 31,2(0)).

... და უშენენ ქალაქნი ძლიერნი **ფარაოს**: პითონი და ჰრამესე... (გამ. 1,11(0)).

შევედ და ეტყოდე **ფარაოს**, მეფესა ეგვბტისასა... (გამ. 6,11(0)).

და არავინ იყო, რომელმანცა უთხრა **ფარაოს** ჩუენებად იგი (შეს. 41,8(0)).



შეემთხვნეს მოსეს და აპრონს, მი-რა-ე-ვილოდეს მათა, ვითარ-იგი გამო-
ოდენ-ვილოდეს **ფარაოხგან** (გამ. 5,20(0)).

გამოვიდა მოსე გარე ქალაქით **ფარაოხგან** და განიპყრნა კელნი უფლისა
მიმართ (გამ. 9,33(0)).

გამოვიდა მოსე **ფარაოხგან** და ილოცა ღმრთისა მიმართ (გამ. 10,18(0)).

აჰა ესერა მე **ფარაოხ ზედა**, მეფესა ეგვიპტისასა (ეზეკ. 30,22(0)).

მიმართულებით-დანიშნულებითის ფორმა **ფარაო-ახ-ა** საკმაო რაოდე-
ნობით დასტურდება, მაგრამ რადგან საზოგადო სახელებსაც (სულიერთა კლა-
სისა) ასევე ეწარმოებათ ამ ბრუნვის ფორმა, ამიტომ მაგალითები არ მო-
გვაქვს. ნანათესაობითარი სახელობითის, ნანათესაობითარი მოთხრობითის, ნა-
ნათესაობითარი მიცემითისა და ნანათესაობითარი ნათესაობითის ფორმები
(**ფარაოხი** — შეს. 40,11; **ფარაოხმან** — შეს. 39,1; **ფარაოხსა** — შეს. 40,11;
ფარაოხისა — შეს. 41,46) კიდევ ერთხელ ადასტურებენ (თანდებულის ნა-
თესაობითთან ერთად), რომ ამ სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა **ფა-
რაო-ახ** (ემფატიკური ა-ს გარეშე).

სხვა ბრუნვის ფორმები თეორიულად მოსალოდნელია, მაგრამ ფიქსირე-
ბული არაა.

ქართულში **ფარაო** იბრუნვის საკუთარ სახელთა ყალიბის მიხედვით,
ბერძნულში იგი უბრუნველია და საკუთარ სახელებში ირიცხება ბიბლიის
ბერძნულ კონკორდანსში ფორმით *Φαραω*¹² სომხურში **ფარაო** წარმოდგენი-
ლია *ფარაონ* ფორმით, რომელიც თანამედროვე ქართულ **ფარაონ**-ს ჰგავს,
მაგრამ არა ძველ ქართულ **ფარაო**-ს. სომხურში ეს სიტყვა იბრუნვის, რო-
გორც ამას ძველი აღთქმის წიგნთა სათანადო ადგილები გვიჩვენებენ, და სა-
კუთარ სახელებში ირიცხება. ებრაულში ჩვენთვის საინტერესო სახელი *Phar'ō*
ფორმით გვაქვს, სირიულში — *Pher'un*, ხოლო ლათინურში *Pharao* ფორ-
მით¹³. თვით ეგვიპტურში იგი საზოგადო სახელი ყოფილა. ვ. ჰავერსი ა. ს. ია-
ჰუდაზე დამყარებით ამბობს, რომ ეგვიპტელთა მეფე არასოდეს იწოდება სა-
ხელით, არამედ ყოველთვის როგორც *Pharao* (= „დიდი სახლი“). წარმოშო-
ბით ეს სიტყვა „მეფის სასახლის აღმნიშვნელი იყო, რომელიც შემდეგ მმარ-
თველობაზე, და დასასრულ, მეფის პერსონაზე იქნა გადატანილი, როგორც
მუდმივი ტიტული¹⁴. მეფის სახელის წამდაუწუმ ხსენებას ერიდებოდნენ, რად-
გან ის ღმერთთა რანგში იყო აყვანილი¹⁵. ე. ლიტმანის მიხედვით, ეს სიტყვა
ეგვიპტურში ჟღერს როგორც *pereo*¹⁶.

ფორმით ქართული **ფარაო** ემთხვევა ბერძნულ *Φαραω*-ს და საკმაოდ გან-
სხვავდება სხვა ენებისაგან ამ მხრივ. ქართული **ფარაო**, განსხვავებით ბერძ-
ნულისაგან, ბრუნებადია, მაგრამ ის იბრუნვის საკუთარ სახელთა (პირის სა-
ხელთა) წესის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სახელი არაა. ყო-

¹² A Concordance to the Septuagint and the other versions of the Old Testament by late Edwin Hatch and Henry A. Redpath. V. II. Supplement. Graz-Austria. 1975, p. 153.

¹³ Bran Walton. Biblia Sacra polyglotta. T. I. Graz-Austria. 1963.

¹⁴ A. S. Yahuda. Die Sprache des Pentateuch in ihren Beziehungen zum Ägyptischen. 1929. S. 44.

¹⁵ W. Havers. Neuere Literatur zum Sprachtabu. Wien. 1946. S. 171,4—172.

¹⁶ E. Littmann. Morgenländische Wörter im Deutschen. 2. Aufl., Tübingen. 1924. S. 10.



ველივე ეს ამ სიტყვის ბერძნულის გზით შემოსვლაზე უნდა მიგვიითიბებოდეს ქართულში, რამდენადაც როგორც ფონემური აგებულება, ისე მორფოლოგიური ღირებულება ამ სიტყვას ბერძნულისებური აქვს. ამასთანავე ესაა ლიტერატურული გზით და არა ზეპირ შემოსული სიტყვა, რაც ვფიქრობთ, ფილოლოგიური ღირებულებების მქონეც არის.

3. სტატიკურობა-დინამიკურობის ზოგი სემანტიკური და მორფოლოგიური მახასიათებელი ძველ ქართულში

სტატიკურობა-დინამიკურობის მიხედვით ზმნათა დაპირისპირება ქართული ზმნისათვის არსებითია¹⁷. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა დეტალურ ანალიზს აქ არ შევუდგებით. განვიხილავთ სტატიკურ ზმნათა დეფინაციის საყრდენ კრიტერიუმებს და, შესაბამისად, ამა თუ იმ ტიპის ზმნათა ჩარიცხვის საკითხს „სტატიკურთა“ კლასში. ძირითადად ყველა მკვლევარი იმ აზრისაა, რომ სტატიკური ზმნები მდგომარეობას აღნიშნავენ. ა. შანიძე ოდნავ განსხვავებულ განსაზღვრას იძლევა: „სტატიკურია ფორმა, რომელიც მოქმედებას (ხაზი ჩვენია — ბ. გ.) ერთს ვითარებაში წარმოგვიდგენს“, „დინამიკა ეს არის მოქმედება მოძრაობის სახით, სტატიკა კი — „მოქმედება“ უძრავ მდგომარეობაში“¹⁸. როგორც ვხედავთ, ტერმინის „მოქმედება“ უხერხულობა თვით ავტორსაც უგრძენია და იგი ბრჭყალებში ჩაუსვამს. საინტერესოა სტატიკურობის მ. მაქავარიანისეული განსაზღვრა: „სტატიკურობა ისეთი ვითარებაა, რომელშიც ან არავითარი ცვლილება არ შეინიშნება, ან თუ ცვლილება დასტურდება, მისი ფაზები თანაბარია, ერთგვაროვანია“¹⁹. სტატიკურობაში დასაშვებად მიჩნეული „მოქმედება“ ან „თანაბარფაზოვანი ცვლილება“, აგრეთვე წმინდა სემანტიკურისა და მორფოლოგიურის გაუმიჯნაობა სხვა ავტორებთან, იწვევს იმას, რომ სტატიკურ ზმნათა კლასი გაზრდილია ან შეზღუდულია გარკვეული ტიპის ზმნების ჩარიცხვის ან ჩაურიცხავობის გამო. ა. შანიძე სტატიკურ ზმნებად მხოლოდ ისეთ ზმნებს მიიჩნევს, რომლებიც -ია-ზე ბოლოვდება (სწერია, აცხია, აფარია, არტყია), ხოლო ისეთი აშკარად მდგომარეობის გამომხატველი ზმნები, როგორცაა ძევს, წევს, დგას, ჰყავს და სხვა, გრამატიკული მნიშვნელობით სტატიკურ ზმნათა იდენტურად მიაჩნია, მაგრამ ფორმის მხრივ სხვაობის გამო ავტორი ყოყმანობს. ამასთანავე, იგი საკითხს სვამს, ხომ არ შეიძლება სტატიკური ზმნები გვარის თვალსაზრისით საშუალს მიეკუთვნოსო. მაგრამ, რადგან ამგვარი განაწილების შედეგად საშუალ გვარში გაერთიანდებოდა სულ სხვადასხვა ტიპის ზმნები, მკვლევარი სტატიკურ ზმნებს ვნებით გვარს აკუთვნებს²⁰. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: 1. სტატიკურობა-დინამიკურობა შესაძლოა არ იყოს

¹⁷ G. Deeters. Das kharthwelische Verbum. Leipzig. 1930. S. 116—119; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1953, გვ. 323—324; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 051. Г. А. Климов, Типология языков активного строя, 1977, გვ. 84; მისივე: Zur Geschichte der medioaktiven Verben in Kartwelsprachen. Georgica. H. 6. Jena-Tbilissi 1983. S. 12; მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში. თბ., 1976., გვ. 8; ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხი ქართულში, თბ., 1975. გვ. 23 და სხვა.
¹⁸ ა. შანიძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 323.
¹⁹ მ. მაქავარიანისი, მოქმედების, პროცესისა და მდგომარეობის ცნებების განსაზღვრისათვის, „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, ტ. V, თბ., 1981, გვ. 35.
²⁰ ა. შანიძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 324—329.



გამონათული მორფოლოგიურად, სპეციალური მორფემის საშუალებით, რამ ამ შემთხვევაშიც იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართულ ფორმაცვლილებისას. ამიტომ უპირველეს ყოვლისა ასეთ შემთხვევაში სემანტიკურ კრიტერიუმს უნდა დავემყაროთ. თუ ზმნა მდგომარეობის ამსახველია, იგი სტატიკურად უნდა ჩაითვალოს, ფორმათა რა სიჭრელეც არ უნდა მოჰყვეს ამას გამონათულების პლანში; 2. ვნებითობა და სტატიკურობა ურთიერთგამომრიცხავი ნიშნებია: ყოველი ვნებითი გვარის ზმნა უთუოდ დინამიკურია, რადგან მისი შინაარსი გადმოსცემს ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას, ცვლილებას, ან ამ ცვლილებათა საფეხურებს, მიმდინარეობას. შდრ. იმალვის, განწყნების, განმქნების, იქმნების, იზარდების, აღტყინების, განემარტების და სხვები, რომლებიც დინამიკური მნიშვნელობისაა. აუცილებელი არაა ყოველ დინამიკურ ზმნას შესაბამისი სტატიკური კორელატი ჰქონდეს, რადგან ასეთი სიმეტრია ერთი და იმავე მწკრივის ფარგლებში არცთუ ხშირია და ეს ხარვეზი შესაძლოა მესამე სერიის აღწერითი ფორმებით შეიცვას²¹. რა ნეგატიური ან პოზიტიური ნიშნებით შეიძლება დახასიათდეს სტატიკური კლასი ზმნებისა? 1. სტატიკური ზმნებისათვის უცხოა ვნებითი გვარი, რამდენადაც ვნებითობა უთუოდ დინამიკას გულისხმობს.

2. ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, სტატიკური ზმნები თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხასიათდება მეშველი ზმნების დართვით, რაც თითქოს ამ ზმნათა ფორმალურ ნიშნად შეიძლება გამოდგეს²². ამ თვალსაზრისის სამართლიანად უარყოფს ლ. ბარამიძე²³. მასვე მოაქვს მცალითები მეშველზმნიანი ფორმების განვითარებისა დიალექტებში არასტატიკურ ზმნებთანაც²⁴. ჩვენ ამას დაუშვებელით, რომ თვით სალიტერატურო ქართულში დღეს დამკვიდრებული მეშველზმნიანი ზოგი ფორმა (მაგ. მოვდი-ვარ, მოდი-ხარ, მოჰყავხარ და სხვ.), რომელიც შინაარსით აშკარად დინამიკურია, გამოირიცხავს მეშველზმნიანობის მიხედვით სტატიკური ზმნების გამოყოფას.

3. სტატიკურობა-დინამიკურობა და გვარი ცალსახად ვერ იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული. არ შეიძლება ითქვას, რომ საშუალო გვარის ზმნება ყველა ტიპისა უთუოდ სტატიკურია ან პირიქით.

ა) საშუალო გვარის ზმნათა ერთი წყება ნასახელარია. ამ ზმნების მნიშვნელობა მდგომარეობას ანუ სტატიკას ვერ ითავსებს: მეფობს, ბუდობს, ცხოვრობს, ვაჭრობს, თამაშობს და მისთანანი სტატიკური შინაარსისად ვერ ჩაითვლება. მეფობა, ვაჭრობა, თამაში, გარკვეულ საქმიანობაზე, მოღვაწეობაზე მიუთითებს და არა რაღაც უცვლელ მდგომარეობაში ყოფნაზე. მეფობს არ ნიშნავს იმას, რომ მეფეა, ხოლო ვაჭრობს იმას, რომ ვაჭარია. ასეთი იდენტიფიკაცია შეუძლებელია. -ობ თემის ნიშანი, წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, სწორედ დინამიკურობის შემომტანია. რაც შეეხება ცხოვრობს, თამაშობს ზმნებს, მათი სტატიკურად მიჩნევა ქართულ ენაზე მეტყველისათვის გაუგებარიცაა: ცხოვრება ცვლილების გარეშე, თამაში უმოძრაოდ წარმოუდგენელია.

ბ) საკმაოდ ხშირად სტატიკურად არის მიჩნეული გორავს, ცურავს და ზოგი სხვა -ავ თემის ნიშნიანი საშუალო გვარის ზმნა, რადგან მათ უპირისპირდება თითქოს, როგორც სათანადო დინამიკური, ვნებითი გვარის ზმნები

21 იხ. ბ. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.
 22 მ. სუხიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11—12.
 23 ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 140.
 24 იქვე, გვ. 128—129.

გორდება და ცურდება. ამ უკანასკნელთა დინამიკური შინაარსი ეჭვს ღირს. მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ გორავს ან ცურავს სტატისტიკური იყოს, რადგან ორივე მოძრაობაზე მიუთითებს. ასე რომ, წყვილები გორავს-გორდება, ცურავს-ცურდება სტატისტიკურობა-დინამიკურობის ნიშნით არ უპირისპირდება ერთმანეთს. აქ არსებითია მოქმედების ფაზების სხვაობა. პირველ წევრებს ისინი თანაბარი აქვს²⁵, მაშინ როცა მეორე წევრებში ამ პროცესის დასაწყისია მინიშნებული.

გ) ანალოგიური ვითარებაა წუხს, დულს ზმნებთან. რომლებიც ავრცევე უპირისპირდებიან ვნებითი გვარის წუხდება, დულდება ფორმებს. მკვიდრი ქართველის ცნობიერებაში წუხილი და დულილი არაა მდგომარეობა. ის გარკვეული თანაბარფაზოვანი პროცესის მათწყებელია, მაშინ როცა დულდება ტიპის ფორმები აშკარად ინგრესიული შინაარსისაა. საინტერესოა ამასთან დაკავშირებით ის, რომ მ. მაჭავარიანს შესაძლებლად მიაჩნია ერთმანეთისაგან განასხვავოს სტატისტიკურობა და მდგომარეობა. ამის შესაბამისად, სემანტიკურ ნიშანთა კომბინაციის გზით, ის გამოყოფს აგენტურ დინამიკურ პროცესს და აგენტურ სტატისტიკურ პროცესს, აგენტურ მდგომარეობას და არააგენტურ მდგომარეობას, მოქმედებას, ინაგენტურ პროცესს²⁶. ეს დაკვირვება ძალზე საყურადღებოა თავისთავად, მაგრამ გასაზიარებლად ერთობ ძნელი. „სტატისტიკურობისა“ და „მდგომარეობის“ გამიჯვნის საჭიროება არ ჩანს.

ძველი ქართული ენის მასალა რამდენადმე ამარტივებს იმ მდგომარეობას, რაც გვაქვს ახალ ქართულში. ამიტომ საანალიზოდ აქ წარმოდგენილი იქნება სწორედ ძველი ქართულის მასალა, რომელიც გვიჩვენებს თანამედროვე ქართული ზმნების ევოლუციის ხასიათს.

ძველ ქართულში მდგომარეობის ანუ სტატისტიკის მნიშვნელობის მატარებელია ძირითადად ათემატური აწმყოს მქონე გარდაუვალი ზმნები და ზოგადავ და -ი თემისნიშნისანი ზმნა. ეს ზმნები ჯერ კიდევ გ. დეტერსის ნაშრომში გვხვდება²⁷: ვჰავ (მე მას), ვდუმ, მაკლს, ვღირ, მიუღარს. მშურს, მძულს, მცალს, მძაგს, მრწამს, ვ-ა-ხ („ვახლავარ“), მაქუს, ძ-ე-ს, კამს, მყავს, ჩანს, ვდგა, ვჰმატ, ვარ, წევს, ზის, აბს და სხვები. ამათთან ერთად მოტანილია ზოგი ისეთი ზმნა, რომელთა სტატისტიკურობა ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. ესენია: დულა, თოვს, ქუსს, ვცაქუ, ვწით. ვცავ²⁸. ათემატურია მოქმედებითი გვარის ზმნების ერთი ნაწილიც (ვწერ, ვეძღ, ვპრეც და სხვა), მაგრამ აქ მხედველობაში გვაქვს გარდაუვალი ზმნები.

ძველ ქართულში გამოვლენილია რიგი -ავ თემის ნიშნისანი სტატისტიკური ზმნა (ახალი ქართულის ჰხურავს ტიპისა): მიძლავს „შემიძლია“, ჰკიდავს „ჰკიდი“, ჰხილავს „ჩინს“. მნებაგს, ჰშორავს და სხვა. ამათ ემატება -იე დაბოლოების მქონე აწმყოს ფორმები ზმნებისა მიფლიეს, სწერიეს, ჰგეეს და მისთანანი, რომლებიც უკლებლივ სტატისტიკური შინაარსისაა.

ერთეულ შემთხვევაში სტატისტიკური შინაარსისა შეიძლება აღმოჩნდეს -ებ თემისნიშნისანი ზმნაც. ასეთია ძველ ქართულში ჰმართებნ, რომლის მნიშვნელობაა „მიმართულია“. მოვიტანთ საილუსტრაციოდ ადგილს „სახისმეტყუელიდან“: მივიდის ძიებად ზღუდისა, რომელი აღმოსავალსა ჰმართებნ და შექ-

²⁵ შტრ. მ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.
²⁶ იქვე, გვ. 62.
²⁷ G. Deeters. Op. cit. S. 116—118.
²⁸ იქვე.

დის ნაპრაღსა ზღუდისასა, რომელი მზის აღმოსავლსა ჰხედვენ (შატა-
175,15).



-ი სუფიქსიანთაგან სტატიკურია ზმნები ჰსურის, სწყურის, ყუავის, ჰმში-
ის, შუენის, ჰრცხუენის, რომელთაც -ოდ მავრცობიანი ნამყო უწყვეტელი
აქვთ: ჰსუროდა, სწყუროდა, ყუაოდა, ჰმშიოდა, შუენოდა, ჰრცხუენოდა.

როგორც წესი, სტატიკური შინაარსის ზმნები გარდაუვალია. გამონაკლის
ქმნის ორი ზმნა — ვიცი და უწყი, რომლებიც სხვა მხრივაც თავისებურია.

სტატიკურობა-დინამიკურობის გასამიჯნად ძველ ქართულში შეიძლება
შემდეგი ნიშნები დავასახელოთ:

1) სტატიკური შინაარსის მქონეა ყველა ის ზმნა, რომელიც შეიძლება
აღწერითად წარმოდგენილი იქნეს ბრის, ბჰმს ზმნათა კომბინაციით:

ვღუმ=მღუმარე ვარ; ვზი=მჯღომარე ვარ; ძეს=მდებარე არის, ჯამს=
=საჭირთა; ვჰგავ=მისი მსგავსი ვარ; ვჰმატ=მასზე მეტი ვარ; მაქუს= ჩემი
არის; მნებაეს=სურვილი მაქვს; მიძლავს=შეძლება მაქვს, შემძლე ვარ; მი-
ყუარს=სიყვარული მაქვს; სწერიეს=დაწერილი არის; ჰმოსიეს=შემოსილი
არის; მიფლიეს=უფლება მაქვს; შეძლება მაქვს; სთესიეს=დათესილია და
ა. შ. ამგვარი აღწერის გზით დინამიკური ზმნების შინაარსის გადმოცემა შე-
უძლებელია. მაგალითად, ვიზრდები არ შეიძლება არის, აქვს ზმნათა მონაწი-
ლეობით აღიწეროს. ვნებით გვარის ზმნათა შინაარსი აღწერითად შეიძლება
გადმოვცეთ ქცევა. გახდომა ზმნათა მეშვეობით: ვიზარდები=დიდი ვხდები,
განკაცნა=კაცად იქცა და სხვა. საშუალო და მოქმედებითი გვარის დინამიკურ
ზმნებს (ტირს, ცხოვრობს, წვამ, აშენებს, წერს, ჰბრძავს, განჯდის და სხვა)
ამგვარი აღწერითი გადმოცემა არ უხერხდება.

2. სტატიკურობა გამორიცხავს ასპექტობრივ დაპირისპირებათა არსებო-
ბას, როგორცაა: წყვეტილი — უწყვეტელი, ერთგზისი — მრავალგზისი, სრუ-
ლი — უსრული.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სტატიკურ ზმნებს აკლია
დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები²⁹, რომ ნამყოში წყვეტა-უწყვეტობის
მიხედვით ოპოზიციის ნეიტრალიზაციის შედეგად წარმოდგენილია აორისტის
ფორმა, რომელსაც უწყვეტელის მნიშვნელობა აქვს. მ. მაჰავარიანს ეს ბუნებ-
რივად მიაჩნია, რადგან აორისტი, მისი აზრით, არამარკირებულა ფორმაა, ხო-
ლო უწყვეტლის მნიშვნელობის გამოვლენა გაპირობებულია თვით ზმნური
კლასის ზოგადი მნიშვნელობით³⁰. წყვეტილ-უწყვეტელის დაპირისპირების
მოსხნა ძირითადი მახასიათებელია სტატიკურ ზმნათა კლასისა, მაგრამ რაც
შეეხება იმას, თუ რომელი ფორმა ვლინდება ნეიტრალიზაციის შედეგად, ეს
ცალსახად ვერ გადაწყდება. სტატიკურ ზმნათა ერთი წყება მართლაც აორის-
ტის ფორმას წარმოადგენს (ღვა, წვა, ჯდა, ეწერა, ეგო, ემოსა, ება და სხვა),
მაგრამ მეორე წყება ნამყო უწყვეტელის ფორმას გამოავლენს (ღუმდა, აკლდა,
აქუნდა, უქმდა, ჰყვანდა, ჩნდა, ჰმატდა, შუენოდა, სუროდა, იცოდა. უწყოდა,
სწყუროდა მისთ.). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ შეიძლება შეიყუარა ტი-
პის ფორმები ჩავრთოთ უყუარს ზმნის პირადიგმაში და დაეასკვნათ, რომ
წყვეტა-უწყვეტობის ნეიტრალიზაციას აქ ადგილი არა აქვს ნამყოში (უყუარს —
უყუარდა—შეიყუარა). შეიყუარა ჰყუარობს ზმნის აორისტია და არა უყუარს

²⁹ ა. ჩ ი ქ ი ბ ა ე ა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებ.
ში, I, ნონინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქარ-
თული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1948, გვ. 111; მ. მაჰავარიანის
დასახ. ნაშრ., გვ. 50—51.

³⁰ მ. მაჰავარიანის, დასახ. ნაშრ., გვ. 51.



ზმნისა. ჰყუარობს დინამიკური საშუალი გვარის ზმნაა და მისთვის წყვეტა უწყვეტობის ნეიტრალიზაცია საეაღდებულო არ არის: ჰყუარობს—ჰყუარობ და (ი. 15,19) — შეიყუარა. ასევე, განიხარა არის არა უხარის სტატიკური ზმნის აორისტი არამედ იხარებს დინამიკური ზმნისა (იხარებს—იხარებდა—განიხარა). დაეუბრუნდეთ ნეიტრალიზაციის პირობებში ხან აორისტისა და ხან ნამყო უწყვეტელის ფორმის გამოვლენის საკითხს. ჩვენი აზრით, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, თუ „არქიფორმის“ წარმომადგენლად რომელი მწკრივის ფორმა გვექნება. აქ მთავარია ამ „არქიფორმის“ დახასიათება მისი სემანტიკური განსხვავებულობის მიხედვით. გრამატიკური მნიშვნელობით ესაა „ნამყო ზოგადად“, რადგან სახეობათა მიხედვით დიფერენცირებული ნამყო სტატიკურ ზმნათათვის უცხობა. მართალია, ზოგ ზმნასთან შეიძლება გვექონდეს I თურმეობითის ფორმებიც, მაგრამ ისინი, როგორც წესი აღწერილია ან სხვა ფუძეს ემყარება. გ. დეეტერსი აღნიშნავს რა ვკედ, ვღეგ ტიპის ფორმების საპირისპირო იმპერფექტის უქონლობას, მიუთითებს იმაზე, რომ ამ ზმნებზე პრევერბის დართვის შემთხვევაში ისინი ინტრესიულ მნიშვნელობას იღებენ და წარმოდგენილია როგორც იმპერფექტი, ისე აორისტი: დავკედ — დავკედ-ბოდე, აღვღეგ — აღვღეგბოდე³¹. თვით ვკედ, ვღეგ ტიპის აორისტი მას აშკარად იმპერფექტული ხასიათისად მიაჩნია³². მაგრამ არაა ახსნილი ის ფაქტი, სხვა შემთხვევებში უწყვეტელ-წყვეტილს შორის დაპირისპირების მოხსნის შემდეგ რატომ გვევლინება ერთადერთ ნამყოს ფორმად იმპერფექტი და რატომ არ შეიძლება მას ეწოდოს „ნამყო ზოგადი“. სძაგლა, აქუნდა, ჩნდა, ჰყვანდა ფორმებს არა აქვთ საპირისპირო აორისტის ფორმები. პრევერბის დართვას აქაც ინტრესიული შინაარსი შემოაქვს და ისინი დინამიკურ ზმნებად იქცევიან (შესძაგლა, მოაქუნდა, გამოჩნდა, მიჰყვანდა)³³. ამდენად, როგორც ჩნდა ტიპის, ისე ღგა ტიპის ფორმები „ნამყო ზოგადის“ კერძო გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, რომელთაგან თითოეულის მანიფესტაცია მორფემული ვარემოცვით არის შეპირობებული.

რაც შეეხება ერთგზისობა-მრავალგზისობას, ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება -ი სუფიქსიან ხოლმეობითის ფორმებს, რადგან ე. წ. „აწმყოს ხოლმეობითი“ ფაქტიურად აწმყოსავე ფორმაა და S₃ პირის -ნ და -ედ აფიქსების დართვა სტატიკურ ზმნებზე ჩვეულებრივია: ჩანნ, დგან(ნ) დგანედ, ზინ, ჰხილავნ, ჰრწამნ, არნ, ჰგიენ, ჰგონიენ, სწადინ, უწყინ³⁴ და სხვა. ხოლმეობითი მრავალგზისი ასპექტის ფორმაა: ა. შანიძე „ხოლმეობითის“ პარალელურად

³¹ G. Deeters. Op. cit., S. 140.

³² იქვე, გვ. 139.

³³ პრევერბიანობა მხოლოდ დინამიკური ზმნებისთვის როდია დამახასიათებელი. იშვიათად სტატიკურ ზმნასაც შეიძლება ჰქონდეს პრევერბი. მაგ.: შეჰგავს, გამოაზან (=გამოაბუთილი არიან) შეს. 44, 30(0), შეაშუს, მიუღვს, მოაც (შატბ. კრ. 136,14) და სხვა. მ. სუხიშვილის მიერ მოტანილი მასალა პრევერბიან სტატიკურ ზმნებზე (დასახ. ნაშრ., გვ. 53—56) მხოლოდ ორ ნამდვილად სტატიკურ ზმნას შეიცავს (მოაღვს/შეგვავს და შეჰგავს). ყველა ლანარჩენი პრევერბიანი ფორმა დინამიკურია.

³⁴ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იცინ და უწყინ ფორმები. უწყის ზმნა იცინ ზმნასთან ერთად, რელიქტის სახით შემორჩენილი ხოლმეობითად არის მიჩნეული, რომელმაც შეინარჩუნა ერგატიული კონსტრუქცია (ა. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა. გვ. 72—73). ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ II ხოლმეობითის ფორმა, არ იყენებს სუბიექტური მესამე პირის ნიშნად -ნ სუფიქსს. -ნ შეიძლება შეეწავდეს -ს-ს მხოლოდ აწმყოსა და პირველ თურმეობითში, ეს გარემოება ერთგვარად აბრკოლებს იცინ, იცინ, უწყის. უწყინ ფორმების ხოლმეობითად მიჩნევას.



ხმარობდა ტერმინებს „ნამყო მრავალგზითი“, „ნამყო ჩვეულებითი“³⁵ მანსივი“. უკანასკნელი ტერმინი გამოყენებული აქვს გ. დეეტერსსაც³⁶. ჩიქობავა ყველა ამ ტერმინთა შორის პერმანსივის ანიკებს უპირატესობას³⁷. მაგრამ მთავარია არა ტერმინოლოგია, არამედ თვით ამ ფორმის ნამდვილი შინა-არსი. შინაარსი კი დამოკიდებულია არა მხოლოდ აფიქსალურ მორფემაზე, არამედ იმაზე, თუ რომელ ფუძეს დაერთვის იგი: სტატიკური მნიშვნელობის მქონეს თუ დინამიკურისას. ეს გადამწყვეტია, რადგან ნამდვილი პერმანსიულობა მხოლოდ სტატიკურ ზმნას შეიძლება ჰქონდეს, დამოუკიდებელივ ხოლმეობითის -ი სუფიქსისაგან. საინტერესოა ხოლმეობითის გ. დეეტერსისეული შეფასება: „თუმცა პერმანსივი იტერატიული სახის გამოხატვას ემსახურება, ის მიანიც პერფექტულია; მისი იმპერფექტული კორელატი არის 93-ე პარაგრაფში განხილული აწმყო მე-3 რიგის პირის დაბოლოებებით“³⁸. სხვაგან დ. დეეტერსი წერს: „მე-3 რიგის დაბოლოებების მქონე აწმყოს მსგავსი ფუნქციები აქვს საგანგებო დროის ფორმას პერმანსივის (იგულისხმება II ხოლმეობითი — ბ. გ.). ორივე ეს ფორმა უმეტესად ერთად გვხვდება, განსხვავება მოქმედების სახეშია: აწმყო იმპერფექტულია, პერმანსივი კი, როგორც აორისტი, პერფექტული“³⁹. შემდეგ ავტორს მოაქვს ადგილი პალიმფსესტური სახარების ი. ჯავახიშვილისეული გამოცემიდან (H 999 ხელნაწერის მიხედვით), სადაც წარმოდგენილია ფორმა მოიღინ (-ნ II ხოლმეობითთან), რომელიც გ. დეეტერსს, სავსებით სამართლიანად, სრულიად უჩვეულოდ მიაჩნია და უთითებს, რომ უნდა იყოს მოიღებნ ან მოიღის⁴⁰. როგორც გაირკვა, ხელნაწერში ამ ადგილას სწორი ფორმაა — მოიღის⁴¹. გ. დეეტერსის კვალიფიკაციაში საყურადღებოდ გვეჩვენება ე. წ. „პერმანსივის“ ფორმაში იტერატიულობისა და პერფექტულობის ხაზგასმა, რაც თვით პერმანსიულობას ეწინააღმდეგება. ხოლმეობითი სტატიკური ზმნებისაგან არ იწარმოება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ისეთ გამონაკლისებს, როგორიცაა დგიან და წვიან, რომლებიც ამკარად გვიანდელი წარმოშობისაა. ამაში მუდგანდება ხოლმეობითის ანუ მრავალგზისობის, იტერატიულობის შეუთავსებლობა სტატიკურ ზმნებთან, რომელიც მდგომარეობას გადმოსცემენ. ის ფაქტი, რომ ხოლმეობითი (ე. წ. „პერმანსივი“) დინამიკურ ზმნებთან არის ფართოდ წარმოდგენილი, სწორედ იმის საბუთია, რომ ის გაწელილი სიტუაციის აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ მოქმედება ციკლური, განმეორებადი სახისა. ის მაგალითები, რომლებიც ა. ჩიქობავას მოაქვს „სახისმეტყუელიდან“ პერმანსივობის საილუსტრაციოდ, სწორედ განმეორებადობის, მრავალგზისობის (რომელიც ჩვეულებაშია გადასული) ილუსტრაციაა: „და რაჟამს იხილის და ივლტინ გუელი და შთაქდის კურელად, მივიდის ირემი იგი და აღივხნის ფერდნი თხსნი წყლითა წყაროხსათა და მივიდის კურელად, სადა-იგი გუელი დამალულ არნ, და დაახსის წყალი იგი და აღავხის კურელი იგი, ვიდრემდე გამოქდის, გუელი იგი და დათრგუნის ფერკითა და მოკლის“⁴². ამ მონაკვეთში ტექსტისა, წარ-

35 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფილისი, 1930, გვ. 123.

36 G. Deeters. Op. cit., S. 111—112.

37 ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 6—7.

38 G. Deeters. Op. cit., S. 112

39 იქვე, გვ. 53.

40 იქვე, გვ. 54.

41 ეს ცნობა მოგვაწოდა ხანმეტი ტექსტების გამომცემელმა და ხანმეტი პალიმფსესტებზე მომუშავემ ლამარა ქაჯაიამ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

42 ციტირებულია ა. ჩიქობავას ნაშრომიდან „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა...“



მოდგენილია ხოლმეობითის 10 ფორმა, რომელიც გარკვეულ თანამიმდევრობასა და დროითს განსაზღვრულობას გულისხმობს. ამის უდავო საბუთია მამხს კავშირის გამოყენება, რომელიც ყოველგვარ პერმანსივობას ეწინააღმდეგება. ამისთანა და სხვა ტიპის მავალითები საკმაოზე მეტიცაა და მსგელობაც მათზე ბევრჯერ ყოფილა. ჩვენ ამ საკითხის განხილვა გვინდა დავამთავროთ ერთი ძალიან სიმპტომური სტროფის დამოწმებით „ვეფხისტყაოსნიდან“. სადაც ქართული ენის დიდი მესაიდუმლე შოთა რუსთაველი ავთანდილზე გვეუბნება (სტრ. 41):

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
რა მოჰმორდის, ვერმჰკვრეტელმან ვარდი შექმნის ფერნაკლულად.
ნახის, ცეცხლი განუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად.
საბრალოა სიყვარული, ყაცსა შეიქმს გულმოკლულად.

აქ რუსთაველი იყენებს ხოლმეობითს სრულიად გარკვეული მიზნით: წარსულში მომხდარი მრავალგზისი მოქმედების საილუსტრაციოდ, უფრო ზოგადი დასკვნა კი სიყვარულის ბუნების შესახებ აწმყოს ფორმით აქვს მოცემული. თუმცა „პერმანსივზე“ ლაბარაკი არც აქ შეიძლება ზმნის დინამიკურობის გამო.

3. **სტატიკურ ზმნათათვის დამახასიათებელია სათავისო ქცევის ფორმათა უქონლობა**, რადგან სათავისო ქცევა უთუოდ პირდაპირი ობიექტის არსებობას გულისხმობს, ხოლო პირდაპირი ობიექტი გარდამავლობის მანიშნებელია. რიგ შემთხვევაში სტატიკურ ზმნებს აკლიათ სხვა ქცევათა ფორმებიც ან სრულიად არ განასხვავებენ ქცევას, მაგრამ ეს დეფექტი სხვა ხასიათისაა და სტატიკურობის ბუნებიდან არ გამომდინარეობს.

4. **დინამიკურობა შეიძლება ზმნის აგებულებაშიც აისახოს**. ვნებითი გვარის აფიქსებს მეტ-ნაკლებად დინამიკის თანმხლები მნიშვნელობაც აქვთ. მაგრამ ისინი „დინამიკურობის მორფემებს“ არ წარმოადგენენ.

გ. მაჭავარიანს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომლის მიხედვით -ენ- ელ სუფიქსებს, რომლებიც ვნებითი გვარის ზმნებში დასტურდება (ს-თნ-დ-ა, შე-წუნ-ნ-ა და მისთ.) ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე „მადინამიკურებელი“ ფორმანტების როლი ეკისრებოდათ⁴³. რამდენადაც დინამიკურია ი სეთ ივნებითებიც, რომლებიც პრეფიქსებით იწარმოება, და ე. წ. „უნიშნო ვნებითებიც“, შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს -დ სუფიქსის ფუნქციის შეზღუდვა. ვფიქრობთ, ასეთ გრამატიკულ მნიშვნელობად გამოდგებოდა „გარდაქცევითობა“. ერთის მხრივ, გარდაქცევითობა, როგორც ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, რაღაცად ქცევა, სავსებით მისადაგება -დ-იან და -ნ-იან პასიურ ზმნათა მნიშვნელობას, მეორე მხრივ, გარდაქცევითობა უთუოდ დინამიკური შინაარსის მატარებელია და, ამდენად, ჩვენი ვარაუდი არსებითად არ ეწინააღმდეგება გ. მაჭავარიანის მოსაზრებას. ამასთანავე, შესაძლებლად მიგვაჩნია „გარდაქცევითობა“ ზმნისა და სახელის ზიარ კატეგორიად დავსახოთ და ე. წ. „ვნებითის სუფიქსი“ -დ დავუკავშიროთ სახელთა ვითარებით — გარდაქცევითი ბრუნვის -დ/-ბდ დაბოლოებას. გარკვეული სიმწელებები ჩნდება ვითარებითი ბრუნვის ხმოვანი ნაწილის გამო, რომლის მსგავსი „ვნებითის სუფიქსი“ არა აქვს, მაგრამ ზმნურ სუფიქსში შესაძლოა ხმოვნის პოსტულირება, როგორც ამას გ. მაჭავარიანი მიუთითებს⁴⁴.

⁴³ გ. მაჭავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, შაცნე (ელს), № 1, 1973, გვ. 116.

⁴⁴ იქვე.

რაც შეეხება -ენ/-ნ ვარიანტს ამ მორფემისა, მას ქართულ ბრუნვათა სისტემაში შესატყვისი არ უჩანს.



„გარდაქცევითობის“ თვალსაზრისით, უგულებელსაყოფი არაა, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ სუფიქსური ვნებიტები ჩვეულებრივ ნასახელარ ზმნებში გვაქვს: განმდიდრდა, შეეჭულა, განკაცა, განმწუანდა, დაგლახაცა, განმართლდა, განქარდა, განფიცხა, შეორგულდა, დამძიმდა, მომედგარდა და სხვა. ამ ზმნათა ტოლფასია ფუნქციურად ის კონსტრუქციები, რომლებშიაც სახელი ვითარებით-გარდაქცევით ბრუნვაშია ზმნებთან იქცა, იქმნა (მდიდრად იქცა, კაცად იქცა, მწუანე იქმნა, გლახაკად იქცა|გლახაკ-იქმნა. ფიცხელ-იქმნა და ა. შ.).

Б. К. ГИГИНЕИШВИЛИ

ИЗ ГРАММАТИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

В статье освещены следующие вопросы грамматики древнегрузинского языка:

1. **Взаимоотношение превербов и послелогов.** Исследование показало, что использование одного и того же материала как для превербов, так и для послелогов было характерным для древнегрузинского языка, как это указывалось в специальной литературе относительно некоторых превербов. Восполнение этого инвентаря, данное в настоящей работе, дает возможность не только восстановления симметричной картины «превербов-послелогов», но и объяснения некоторых «послелогов» современного грузинского языка (напр., — *dam*).

2. **Парадигма склонения двух существительных (*kriste* и *ragao*), отклоняющихся от общей нормы.** Первый из них в именительном, повествовательном и дательном падежах имеет окончания, характерные для имен собственных, в родительном же и творительном — окончания, характерные для нарицательных имен. Это отчасти объясняется происхождением данного слова, которое вначале являлось нарицательным именем. В отличие от него, слово *ragao*, будучи нарицательным существительным, строго придерживается модели склонения имен собственных. Этот факт имеет место и в древнегреческом языке, откуда в грузинском указанное слово было заимствовано литературным путем.

3. **Некоторые семантические и морфологические характеристики статичности-динамичности в древнегрузинском.** В качестве таковых выделены: возможность описания статичных глаголов через конструкцию «причастие + вспомогательные глаголы *быть, иметь*»; нейтрализация видовых противопоставлений при статичных глаголах; отсутствие при них форм субъективной версии; наличие в некоторых динамичных переходных глаголах морфемы — *d*, имевшей инпрессивную семантику.

ლიანა ახოზაძე

„გრიგოლი აკრაკანტელის ცხოვრების“
ორი ქართული რედაქცია

S 384 ხელნაწერში (XI ს.), რომელიც წარმოადგენს მეტაფრასული საკითხავების კრებულს, 24 ნომბრის საკითხავად განკუთვნილია გრიგოლი აკრაკანტელის ცხოვრება, სათაურით: „ცხოვრება და საკურველებანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ეპისკოპოსისა აკრაკანტელთა ქალაქისაჲ, რომელი არს სიკილიისაჲ. აღწერა ლეონ ხუცესმან და მონაზონმან წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲს ლაერისა მამასახლისმან, რომელ არს ქალაქსა შინა დიდსა ჰრომსა, ხოლო თარგმნა ენასა ჩუენსა დავით ტბელის ძემან“: ეს თხზულება წარმოდგენილია S 382 (XII—XIII სს.) ხელნაწერშიც, რომელიც აგრეთვე მეტაფრასული საკითხავების კრებულია.

კ. კეკელიძეს ქართულ მეტაფრასულ თხზულებათა რიგში „გრიგოლი აკრაკანტელის ცხოვრება“ არა აქვს დასახელებული. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ თხზულება მეტაფრასულად არ მიაჩნია. მაგრამ კ. კეკელიძე ამ ნუსხებს (S 384, S 382) არ უთითებს არც იქ, სადაც ასახელებს „ცხოვრების“ კიმენურ რედაქციას¹. კიმენური რედაქცია წარმოდგენილია Ier. 3 (XI ს.) ხელნაწერში; თხზულების სათაური იგივეა, რაც ზემოთ დასახელებულ ნუსხებში (განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეტაფრასული თხზულების სათაურში არის „ტბელის ძემან“, კიმენური ტექსტისაში — „ტბელმან“).

S 384 ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი არ შეიძლება მივაჩნიოთ იმ სახის მეტაფრასულ თხზულებად, როგორსაც წარმოადგენენ კრებულის სხვა თხზულებები, ამისი თქმის უფლებას იძლევა მისი მიმართება კიმენურ ტექსტთან.

საქმე იმაშია, რომ S 384-ის ტექსტი ბერძნული მეტაფრასული თხზულების თარგმანს კი არ წარმოადგენს, არამედ ქართული კიმენური ტექსტის გადაკეთებულ-გადამუშავებულ რედაქციას. ამას სათაურების ჩვენებაც მოწმობს — ორივე შემთხვევაში მთარგმნელად დავით ტბელია დასახელებული.

მოსალოდნელი იყო გვეფიქრა, რომ ქართველ რედაქტორს ხელთ ჰქონდა ბერძნული მეტაფრასული რედაქცია, რომლის მიხედვითაც ამუშავებდა ქართულ კიმენურ ტექსტს. ასეთი შესაძლებლობა არ არის გამორიცხული, რადგან ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ასეთი ფაქტები. მაგრამ ის, რასაც აკეთებს რედაქტორი, არავითარ შემთხვევაში ბერძნულ ნიჟარაგზე არ აიხსნება². თხზულებათა განმასხვავებელი ნიშნები საპირისპირო

¹ კ. კეკელიძე, *ქართული თხზულებები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, V, თბ., 1957, გვ. 122.

² ბერძნული ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია P. G. 98 ტომში, ძალიან განსხვავებულია ქართულ რედაქციებთან მიმართებით.



პროცესზე უფრო მეტყველებენ: კიმენური ტექსტის ამკარად ბერძნულ-სომხურ რიგი კონსტრუქციები შეცვლილია ბუნებრივი ქართული შესატყვისობებით. ტექსტის სისრულის თვალსაზრისით სხვაობა არ ჩანს; ორიოდ შემთხვევა, როცა S 384-ის ტექსტი კიმენურთან შედარებით ნაკლებია (ასეთივეა S 382-ის ჩვენებაც), აიხსნება პასაჟების ბოლო სიტყვათა მსგავსებით და გადამწერის შეცდომას უნდა მიეწეროს. სხვაობა ნაკლებად ეხება ლექსიკის სფეროსაც. განსხვავებულია ძირითადად ენობრივი კონსტრუქციები, რაც, ჩვენი აზრით, რედაქტორის მიზანდასახული შრომის შედეგს წარმოადგენს.

ორ რედაქციას შორის, რომელთაგან ერთი კიმენურია და მეორეს, ამ შემთხვევაში პირობითად, მეტაფრასული უნდა ვუწოდოთ, განსხვავებანი სრულიად ჩამოყალიბებულ, სისტემურ ხასიათს ატარებენ, რედაქტორს ტექსტი გარკვეული მიზნით გადაუმუშავებია, ძირითადი ცვლილებები ტექსტის სტილურ მხარეს განუცდია.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც განსხვავებს მეტაფრასულ ტექსტს კიმენურისაგან, ეს არის სიტყვათა რიგის შეცვლა, პრინციპი, რის მიხედვით ცვლის რედაქტორი ამ რიგს, გაურკვეველია.

Jer. 3

S 384

„სასჯელი მონისად მის მიმეკადოს“. 283.

„სასჯელი მიმეკადოს მონისად მის. 382v.

„პოტამეონს, სულიერსა მამასა მისსა“. 285.

„სულიერსა მამასა მისსა პოტამეონს“. 383r.

„შემძლებელ არიან მადლითა ყოვლად წმიდისა სულისადათა“. 285.

„მადლითა ყოვლად წმიდისა სულისადათა შემძლებელ არიან“. 383r.

„ნეტარ თუმცა, შვილო, ცოდვანი შენნი მე მაქუნდეს“. 293.

„შვილო, ნეტარ, თუმცა მე მაქუნდეს ცოდვანი შენნი“. 386r.

„სწავლაჲ ჯეროანი მოუწურთიეს მას ზეპირით“. 315.

„ჯეროანი სწავლაჲ ზეპირით მოუწურთიეს მას“. 394v.

უმრავლეს შემთხვევაში სიტყვები ფორმებს ცვლის იმ შემთხვევაში, როცა მუშავებული რიგი:

ფორმაუცვლელადაა დატოვებული, ამას მოითხოვს სიტყვათა ახლად შე-

Jer. 3

S 384

„მართლისა ამის ყრმისათუს“. 290.

„ყრმისა ამისთუს მართლისა“. 385r.

„წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილის მოთმინებანი, შრომანი და ლუაწლნი“. 288.

„მოთმინებანი წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისნი, ლუაწლნი და შრომანი“. 384r.

„ხოლო მე აქა ყოფისათუს და განშორებისა თუსთავან არცა ერთი ზრუნვაჲ და გულისკლებაჲ მაქუს“. 297.

„ხოლო მე თუსთა განშორებისა და აქა მყოფებისათუს არცა ერთი ზრუნვაჲ და გულისკლებაჲ მაქუს“. 387r.

მეტაფრასულ ტექსტში ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია სხვა სინონიმური ერთეულით:

Jer. 3

S 384.

„მსგეფსიკა“ 291.

„შუდეულიკა“ 385r.

„მოიპოა“ 285.

„მოიგო“ 383r.

„ჰამისა“ 292.

„სერობისა“ 385v.

„სადგური“ 300.

„სამკვდრებელი“ 388v.

„ჰამეს“ 305.

„ისერეს“ 390r.

„მოწვენადთა“ 295.

„მომავალთათს“ 386v.

ამავე რიგში უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, როცა კიმენური ტექსტის მიუგო ბევრგან შეცვლილია ჰრქუა ფორმით:

Jer. 3

S 384

„მიუგო გრიგოლი“. 290.

„ჰრქუა მათ გრიგოლი“. 384v.

„მიუგო მენავეთმთავარმან“. 290.

„ჰრქუა მას მენავეთმთავარმან“. 384v.

„მიუგო მონაზონმან“. 309.

„ჰრქუა მათ მონაზონმან“. 391v.

„მიუგო ეპისკოპოსმან“. 292.

„ჰრქუა მას ეპისკოპოსმან“. 385v.

კიმენური ტექსტის მიერ ზმნიზედას მეტაფრასულში ხშირად ენაცვლება მუნ:

Jer. 3

S 384

„იხილა მიერ მოქალაქობაჲ კაცთაჲ“. 296.

„იხილა მუნ მოქალაქობაჲ კაცთაჲ“. 387r.

„მსხდომარე იყვენეს მიერ“. 297.

„მსხდომარე იყვენეს მუნ“. 387r.

„მიერ პოვეს მცირე ნავი“. 316.

„პოვეს მუნ მცირე ნავი“. 394r.

„მიერ დაყო წელიწადი ერთი“. 316.

„მუნ დაყო წელიწადი ერთი“. 394v.

მეტაფრასულ ტექსტში ზოგან ჩამოშორებულია სინონიმურ სიტყვათაგან ერთი:

Jer. 3

S 384

„იხილნა დიდ-დიდნი და საშინელნი და საკურველნი ხილვანი“. 296.

„იხილნა დიდ-დიდნი და საკურველნი ხილვანი“. 387r.

„განიფრთხვეს მშობელთა მისთა მრავლისა მისგან მწუხარებისა და გულსიკლებისა მათისა“. 315.

„განიფრთხვეს მშობელთა მისთა მრავლისა მისგან მწუხარებისა“. 394r.

„მოსწრაფებითა და მკურვალეებითა მრავლითა“. 316.

„მრავლითა მოსწრაფებითა“. 394r.

Jer. 3

S 384

„ყოვლადვე“ 286.

„ყოვლად“ 383v.

„სხვათაცა“ 293.

„სხუთა“ 386r.

„რომლითაცა“ 286.

„რომლითა“ 383v.

განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას კიმენურ ტექსტში ტემსების სიუხვე: მეტაფრასულში შესაბამისი ზმნების გამყოფი სიტყვა უმრავლეს შემთხვევაში ფუძის გარეთ არის გამოტანილი ან, საერთოდ, დაკარგულია:

Jer. 3

S 384

„მი-რამ-თულა იგი დამიანე“. 286.

„დამიანე მითულა რამ იგი“. 283v.

„მო-რამ-იკითხეს“. 286.

„მოიკითხეს რამ“. 283v.

„და წარ-რამ-ვიდეს, განვლეს მდინარე იგი“. 290.

„წარვიდეს და განვლეს მდინარე იგი“. 384v.

„მი-რამ-იწინეს ქალაქად“. 290.

„მიიწინეს რამ ქალაქად“. 385r.

„გან-მცა-ეხარა ამათ ყოველთა“. 311.

„განეხარამცა ყოველთა ამათ“. 392r.

კიმენური ტექსტის ინფინიტიურ კონსტრუქციას შეესაბამება მასდარული კონსტრუქცია, სადაც ინფინიტივის ადგილს იჭერს სახელობითსა და მიცემითში დასმული მასდარი:

Jer. 3

S 384

„გეგულების წარსლვად“. 290.

„გეგულების წარსლვაჲ“. 384v.

„უბრძანებნ... გამოთარგმანებად“. 301.

„უბრძანებნ... გამოთარგმანებასა“. 388v.

მიწევნის პუნქტის აღსანიშნავად კიმენური ტექსტი იყენებს ვითარებით ბრუნვას, მეტაფრასული — მიცემითს:

Jer. 3

S 384

„მიიწინეს კართაგენელთა ქალაქად“. 290.

„მიიწინეს კართაგენელთა ქალაქსა“. 384v.

„მიწევნულნი ჰასაკად სიჭაბუკისა“. 307.

„მიწევნულნი ჰასაკსა სიჭაბუკისასა“. 391r.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ რედაქტორი კიმენურ ტექსტს ბერძნული დედნის მიხედვით ასწორებს. ამ შემთხვევაში ძნელი ასახსნელი იქნებოდა სინონიმური ერთეულების ცვლა, ტემსების მოშლა... უფრო შეინიშნება საპირისპირო პროცესი: რედაქტორი ხვეწს, აქართულებს ტექსტს. რიგ შემთხვევებში, სადაც კიმენურ ტექსტში ბერძნული

კონსტრუქციის ბადალი შესატყვისობები გვაქვს, მეტაფრასულ ტექსტში ნებრივი ქართული კონსტრუქციები ენაცვლება:

Jer. 3

S 384

- „მისდა მიმართ იტყუედ“. 287.
- „თქუა თავისა თვისა მიმართ“. 290.
- „ჩუენცა მუნვე წარმავალ ვართ“. 293.
- „ყვეს შემსგავსებულად წესისა მათისა მუჭლმოდრეკაა ეპისკოპოსისა მიმართ“. 307.
- „გონებასა შინა იყო“. 288.
- „ვერ უძლეს პასუხისა მიგებად მისდა მიმართ“. 309.

- „ეტყუედ მას“. 383v.
- „თქუა გულსა შინა თვისა“. 385r.
- „ჩუენცა მუნვე წარვალთ“. 386r.
- „წესისაებრ მოუდრიკნეს მუჭლნი ეპისკოპოსსა“. 390v.
- „გონებნ“. 384r.
- „ვერ უძლეს პასუხის მიგებად მისსა“. 391v.

მეტაფრასულ ტექსტს ზოგან, სადაც კი ეს შესაძლებელია, გამოტოვებული აქვს ბერძნული $\chi\alpha\iota$ -ს შესატყვისი და კავშირი, ზოგჯერ სრულიად ზედმეტი რომ ჩანს ქართულისათვის, და უფრო ბუნებრივ, უკავშირო თანწყობას ქმნის:

Jer. 3

S 384

- „ყო ლოცვაჲ მის ზედა და მოჰპარა თხემი და კლირიკოს-ყო იგი“. 287.
- „მისცა იგი დონატონს მთავარდიაკონსა და წიგნთა ზედა უხუცესსა“. 287.
- „პრქუა ძმათა, რაათა შევიდენ ეკლესიად და რაათა აღასრულოს ეპისკოპოს-მან საღმრთოჲ და დიდებული საიდუმლოჲ“. 306.

- „ყო ლოცვაჲ მის ზედა, მოჰპარა თხემი და კლირიკოს-ყო იგი“. 383v.
- „მისცა იგი დონატონს მთავარდიაკონსა და წიგნთა ზედა უხუცესსა“. 383v.
- „პრქუა ძმათა, რაათა შევიდენ ეკლესიად, რაათა აღასრულოს ეპისკოპოს-მან საღმრთოჲ და დიდებული საიდუმლოჲ“. 390v.

ბევრგან არის გამოტოვებული კიმენტრის უკუე ნაწილაკი:

Jer. 3

S 384

- „ქეშმარიტად უკუე მონაჲ ღმრთისაჲ არს“. 290.

- „ქეშმარიტად მონაჲ ღმრთისაჲ არს“. 385r.

მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არის ისეთი სხვაობები ტექსტში, რომელთა შეპირისპირება არავითარ შესაბამისობას, არავითარ კანონზომიერებას არ ავლენს, მაგრამ ამ შემთხვევებში ქართული კიმენტური ტექსტის ბერძნული დედნის მიხედვით სწორებასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ რექტორის მიერ საკუთარი გემოვნებით, საკუთარი სტილით ტექსტის გადაამუშავების ფაქტთან, მაგ.:

„მიმწუხრებულს ოდენ უკუმოიქცეს მონაზონნი იგი წმიდად სიონად“. 301.

„ვითარცა მიუთხრა ნეტარმან მარკოზ მონაზონმან ყოველივე ესე და მოისმინეს ყოველთა ზოგად დიდმან და მცირემან, მამებით და დედებით“. 314.

„ჟანსა მწუხრისასა მოვიდეს მონაზონნი იგი წმიდად სიონად“. 388v.

„ვითარცა მიუთხრა ყოველი ესე ნეტარმან მარკოზ მონაზონმან და ზოგად ყოველთა მოისმინეს დიდითგან მცირედმდე მამათა და დედათა“. 393v.

ნუსხები (S 384, Jer. 3), რომლებშიც წარმოდგენილია ჩვენ მიერ განხილული რედაქციები, დაახლოებით თანადროულია, ორივე XI ს. მიეკუთვნება. მეტაფრასული თხზულება კი არ არის, არამედ ქართული კიმენური ტექსტის თუ დავუშვებთ, რომ S 384-ის ტექსტი ბერძნულიდან მომდინარე მეტაფრასული თხზულება კი არ არის, არამედ ქართული კიმენური ტექსტის განსხვავებული რედაქციაა, მაშინ ხომ არ შეიძლება გვეფიქრა, რომ S 384-ის ტექსტი კი არ წარმოადგენს ახალ რედაქციას, არამედ ის არის პირველადი და Jer. 3-ის ტექსტია გადამუშავებული ბერძნულთან შედარების საფუძველზე, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი, როგორც დავინახეთ, უფრო ამჟღავნებს ბერძნულთან სიახლოვეს.

თხზულების მთარგმნელი ცნობილია. მისი სახელი ორივე რედაქციის სათაურშია მოხსენიებული. რომელი რედაქციის ავტორად უნდა მივიჩნიოთ დავით ტბელი? ხომ აშკარაა, რომ ერთი ამ რედაქციათაგან სხვის მიერ არის დამუშავებული.

საჭირო ხდება შესწავლა და გამოვლენა იმისა, თუ ამ ორი რედაქციის განმასხვავებელი ნიშნებიდან რომელი შეიძლება მიეკუთვნებოდეს დავით ტბელს. აქ დახმარებას გვიწევს იმ თხზულებათა ენობრივი მონაცემების გათვალისწინება, რომლებიც უეჭველად დავით ტბელს მიეკუთვნებიან. ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ მეტაფრასული თხზულება „წამება წმიდისა და ყოველად ქებულისა მღვდელმოწამისა ელევთერი ჰრომისაჲ“, რომელიც ორი თარგმანითაა წარმოდგენილი — დავით ტბელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანებით³.

საყურადღებოა დავით ტბელის თარგმანში ტმესების სიუხვე, რაც აღარა გვაქვს თეოფილესთან. ეს ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია ზემოთ განხილულ რედაქციებს შორის. თავისთავად ტმესის არსებობა თარგმანის სიძველეზე მიუთითებს⁴ და, ამდენად, მისი მოწლა მეორად მოვლენად უნდა მივიჩნიოთ და არა პირიქით.

დავით ტბელის თარგმანს ახასიათებს უკუე ნაწილაკის ისეთი ხშირი ხმარება, როგორიც არ შეგვხვდება არც ერთ სხვა მთარგმნელთან. უკუე ნაწილაკს ნაკლებად ხმარობს თეოფილე ხუცესმონაზონი ამავე თხზულების მიხედვით თარგმანში, ისევე, როგორც „გრიგოლი აკრაკანტელის ცხოვრების“ რედაქტორი.

ამდენად, მეტაფრასულ კრებულში S 384 დაცული თხზულება „გრიგოლი აკრაკანტელის ცხოვრება“ წარმოადგენს დავით ტბელის თარგმანის (Jer. 3) გადამუშავებულ რედაქციას, რედაქტორი უცნობია. შესაძლებელია, რომ ეს იყოს S 384 კრებულის შემდგენელი.

Л. Т. АХОБАДЗЕ

ДВЕ ГРУЗИНСКИХ РЕДАКЦИЙ
«ЖИТИЯ ГРИГОРИЯ АКРАГАНТИЙСКОГО»

Резюме

На грузинском языке имеются две редакции «Жития Григория Акрагантийского». Одна содержится в рукописи XI в. Јег. 3, а другая — в метафрастическом сборнике XI в. S 384. На основе сопоставления текстов и особенностей языковых данных установлено, что текст, представленный в рукописи S 384, является не переводом греческого метафрастического сочинения, а переработанной редакцией текста сборника Јег. 3.

წინა მკვლელობა

ბასილი დიდის მარხვის საკითხავებზე ქართულ კრებულებში

ქართულ მეტაფრასულ კრებულებში მარხვის პირველი კვირის ორშაბათს საკითხავებად დაწესებულია ბასილი დიდის სახელით ცნობილი მარხვის რამდენიმე საკითხავი, მათ შორის მისი ორი ჰომილია „მარხვისათვის თავი ა“ (CPG 2845)* და „მარხვისათვის თავი ბ“ (CPG 2846)*.

ეს თხზულებები ქართულ ენაზე რამდენჯერმე ითარგმნა¹. პირველი ჰომილიის პირველი თარგმანი, შესრულებული ანონიმის მიერ, დაცულია უდაბნოსა² (A 1109, IX ს. 51V—64) და პარხლის³ (A 95, XI ს. 240V—247) მრავალთავეში. მარხვის ორივე საკითხავი, როგორც ბასილის „სწავლათა“ შემადგენელი ნაწილი, უთარგმნია ეფთვიმე ათონელს ამავე ავტორის სხვა ეთიკურ სიტყვებთან ერთად. ისინი შესულია ბასილის „სწავლათა“ და „ითიკის“ კრებულებში. აღსანიშნავია, რომ ათონური წარმოშობის (ათონზე გადაწერილი) „სწავლანის“ ბერძნული და მათგან მომდინარე ქართული ხელნაწერები, ვანსხვაგვარად სხვა ბერძნული კრებულებისაგან, სწორედ მარხვის საკითხავებით იწყება. XI საუკუნეში ეს ჰომილიები კიდევ ერთხელ ითარგმნა ეფრემ მცირემ მეტაფრასულ კრებულებში შემავალ სხვა თხზულებებთან ერთად.

სანამ დაწვრილებით განვიხილავდეთ ქართულ მეტაფრასულ კრებულებში შეტანილ ბასილის მარხვის საკითხავებს, უნდა შევეხოთ ამავე ავტორის საკითხავთა ბერძნულ მეტაფრასულ რედაქციებს (მათ შორის თხზულებას მარხვისათვის), რომლებიც უშუალოდ სვიმეონის მიერ არის შედგენილი.

სვიმეონ მაგისტროსი და ლოგოთეტი, ცნობილი მეტაფრასის სახელით, X საუკუნის ყველაზე გამოჩენილი ფიგურაა. მისი ავთოგრაფიული თხზულებების კორპუსი წარმოადგენს ბერძნულ „მენოლოგონს“ და დღემდე 700 ხელნაწერით არის მოღწეული.

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, თბ., გვ. 18, № 33—34.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A) კოლექცია. კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შეადგინა ქრ. შარაშიძემ, თბ., 1954, გვ. 93—101.

³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, შეადგინეს და დასაბუჟდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქეთათელაძემ ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 361—393.

⁴ Études sur la tradition manuscrite de saint Basile par Stig. Y. Rudberg, Lund, 1953, pp. 58—59; ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა. გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქუტციკიძემ, თბ., 1983.

* Clavis patrum graecorum, vol. II. Ab Athanasio ad Chrysostomum, Cura et studio M. Geerard. Brepols—Turnhout, 1974.



გარდა ამ მონუმენტური ნაშრომისა, სვიმეონ მეტაფრასი ცნობილია როგორც დიდ საეკლესიო მამათა ცალკეული თხზულებებიდან შერჩეული ადგილების ამომკრებელი და მათი კომპილატორი. ბასილი დიდისა და მაკარის შრომებიდან შერჩეული ფრაგმენტებით სვიმეონმა მორწმუნეთა დასამოძღვრავად შეადგინა ე. წ. „ეთიკური სიტყვები“⁵. როგორც ბერძნული ხელნაწერები მოწმობენ, სვიმეონს ამავე ტიპის კომპილაციური კრებული უნდა შეედგინა იოანე ოქროპირის თხზულებათა მიხედვითაც.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში იოანე ოქროპირის შრომათა კომპილაციაზე უმუშავია სვიმეონის თანამედროვეს, თეოდორე დაფნოპატესსაც. მის ნაღვაწს 33 თავად (CPG 4684), სვიმეონის მიერ ბასილის თხზულებებიდან ამოკრეფილ „ეთიკურ სიტყვებთან“ ერთად შეიცავს ბერძნული ხელნაწერი Paris, Gr. 509⁶.

გ. ბეკი და კ. კრუმბახერი ეჭვის ქვეშ აყენებენ სვიმეონის მიერ შედგენილი იოანე ოქროპირის კომპილაციური კრებულის არსებობას, მაგრამ ბერძნულ ხელნაწერთა მხოლოდ აღწერილობების ზედაპირული შემოწმებაც კი სრულიად საპირისპირო სურათს გვიჩვენებს.

ამ მხრივ სტიგ. ი. რუდბერგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ათონის მთის ლავრის მონასტრის ხელნაწერს № 351 (ΓΙΙΙ)—XII ს. მისი აღწერილობა მოწმობს, რომ ხელნაწერი შეიცავს სვიმეონ მეტაფრასის მიერ შედგენილ იოანე ოქროპირის თხზულებებიდან შერჩეული ფრაგმენტების კომპილაციას 30 თავად. ეს მასალა არ უნდა იყოს იდენტური თეოდორე დაფნოპატესის სახელით ცნობილი კომპილაციური კრებულისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ჩვენ მიერ დამოწმებული ს. ი. რუდბერგის სტატიის გამოქვეყნების დროს სვიმეონის ეს შრომა გამოუცემელი და შეუსწავლელი იყო. ამრიგად, მხოლოდ ხელნაწერთა კატალოგებზე დაყრდნობით ს. ი. რუდბერგი დამტკიცებულად მიიჩნევს სვიმეონის მიერ იოანე ოქროპირის თხზულებათა კომპილაციის შედგენის ფაქტს⁷.

რაც შეეხება ბასილის „ეთიკურ სიტყვებს“, შედგენილს სვიმეონ მეტაფრასის მიერ, ისინი კომპილატორს დაუღაგებია 24 თავად. წარმოდგენა რომ შეგვექმნას ამ კრებულის შედგენილობაზე, მოვიტანთ მათ სათაურებს: 1. სიტყვა სათნოებისა და ბიწიერებისათვის; 2. სწავლებისა და დამოძღვრისათვის; 3. სიყვარულისათვის ღვთისა და მოყვასისა; 4. მოწყალებისათვის; 5. სიმდიდრისა და სიგლახაკისათვის; 6. ვერცხლისმოყვარეობისათვის; 7. ცოდვისათვის; 8. სინანულისათვის; 9. ლოცვისათვის; 10. მარხვისათვის; 11. სიკვდილისათვის; 12. ურვისა და დახსნილობისათვის; 13. მოთმინებისა და სულგრძელებისათვის; 14. მომავალი სამსჯავროს შესახებ; 15. მთავრობისა და უფლებებისათვის (და მიუწვდომლობისათვის უფლისა); 16. ნაყოფანებისა და მომთვრელობისათვის; 17. მრისხანებისა და მტრობისათვის; 18. შურისა და ბოროტებისათვის; 19. კრძალულებისა და უკრძალულებისათვის; 20. სიმდაბლისა და ზუაობისათვის; 21. ბედნიერებისა და უბედურებისა და აგრეთვე კეთილგონიერებისათვის; 22. განგებულებისათვის უფლისა; 23. სულისათვის; 24. პატივისცემისათვის მშობელთა და აგრეთვე მსცოვანებისა და სიჭაბუკისათვის.

⁵ „Sermones „De moribus“ a Symeone Metaphrasta collecti“ (CPG 2908).

⁶ Stig Y. Rudberg, „Morceaux choisis“ de Basile sélectionnés par Syméon Métaphraste, E ranoš, 62 (1964), p. 101.

⁷ იქვე; გვ. 101—102.

ეს სათაურები თითქმის თანხედება თეოდორე დაფნოპატოსის მეფის მიერ დაწესებული ოქროპირის ნაწერებიდან შედგენილი კომპილაციის თავების სათაურებს. მისი მნიშვნელობა და თეოდორეც ერთ ეპოქაში მოღვაწეობდნენ, ამიტომ დღეს ძნელია გაარკვეს, რომელს უნდა მოეხდინა გავლენა თავის თანამედროვეზე. ყველაზე სავარაუდო ისაა, რომ ორივე მიჰყვება ზოგად, საერთო ტრადიციას. ორივე შემთხვევაში სათაურები ამ თხზულებებისა ეკვივალენტურია არისტოტელეს და განსაკუთრებით პლუტარქეს შრომებისა, რომელთაც უეჭველად კარგად იცნობდნენ კომპილატორები⁸.

ხელნაწერებს, რომლებიც შეიცავენ „ეთიკურ სიტყვებს“, არეზე აქვთ მინიშნებები თუ რომელი თხზულებიდან არის ამოღებული ესა თუ ის ფრაგმენტი. ამ მინიშნებების ანალიზი მოწმობს, რომ ისინი ხანდახან მდგომარეობას ასახავენ მცდარად და არასრულად. ხელნაწერისეული მითითებები შევნიშნა და ამ თხზულებების ადრეულ გამოცემაში. შემდეგში, 1730 წლის გამოცემლებმა რიგ შემთხვევაში დააზუსტეს ისინი. საკითხის ბოლომდე გადაჭრა გამოცემლებმა ვერ შეძლეს. დღეს ფრაგმენტების გარკვეული რაოდენობა დარჩენილია იდენტიფიკაციის გარეშე და ორ კატეგორიად იყოფა: 1. წყარომიუკვლევებში, როგორც მათ გამოცემლები უწოდებენ, და 2. ფრაგმენტები, რომელთა შესახებ გამოცემლები დუმილს ამჯობნიებენ. „ეთიკური სიტყვების“ შესწავლა ამ ასპექტში გადაჭრილი არ არის. მიუკვლეველი ფრაგმენტების გამოვლენა და შესწავლა დღესაც გრძელდება⁹.

ამრიგად, სვიმეონის მიერ შედგენილი ბასილის „ეთიკური სიტყვებიდან“ მეათე წარმოადგენს საკითხავს „მარხვისათვის“. მის მიმართ ზედწოდება მეტაფრასული კარგავს ზოგად შინაარსს და კონკრეტულს იძენს, რადგან ეს კრებული უშუალოდ სვიმეონის ხელიდან არის გამოსული.

სვიმეონის მიერ კომპილირებული მარხვის საკითხავი გამოცემის მიხედვით (PG 32, 1245—1256) 24 ფრაგმენტისაგან შედგება. აქედან 23 იდენტიფიცირებულია ხელნაწერთა მონაცემებზე დაყრდნობითა თუ თვითონ გამოცემელთა მიერ სქოლიოებში წყაროზე მითითებით. რაც შეეხება გამოცემის მიხედვით XXI ფრაგმენტს, რომელიც სულ ორი-სამი წინადადებისაგან შედგება, არც ხელნაწერები და არც გამოცემლები არაფერს ამბობენ მის მომდინარეობაზე.

ტექსტისა და სქოლიოების შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ მარხვის საკითხავის ერთ-ერთი, თანამიმდევრობის მიხედვით III ფრაგმენტი (დასაწ. Καὶ τοῦ μὲν τοῦ... დასასრ. ...τοῦ ἀξιωματοῦ) დარჩენილი იყო იდენტიფიცირების გარეშე. იგი აღმოჩნდა ბასილის ჰომილიის „მარხვისათვის“ II ს. მე-12 მუხლის ნაწყვეტი. დაზუსტება მოითხოვა XII ფრაგმენტმაც, რომელიც, გამოცემის მიხედვით, ბასილის ჰომილიის „მარხვისათვის“ I-ის მე-5 მუხლის ნაწყვეტს წარმოადგენს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, იგი უფრო ვრცელია და მეექვსე მუხლის ნაწილსაც მოიცავს. ფრაგმენტების შევსებისა და დაზუსტების შემდეგ მარხვის საკითხავის სქემამ ასეთი სახე მიიღო:

⁸ სტიგ. ი. რუდბერგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

⁹ იქვე, გვ. 111—117; P. J. Fedwick, The citations of Basil of Caesarea in the Florilegium of the pseudo-Antony Melissa, *Orientalia Christiana Periodica*, Roma, Pont. Ist. degli Studi Orientali, XLV, 1979, p. 32—44.



| | | |
|-------------------------------------|-------------------------|--------------------|
| I ფრაგ.—II მარხ. 10 ¹⁰ . | X—I მარხ. 5. | XVIII—III მარხ. 6. |
| II—II მარხ. 11. | XI—I მარხ. 2. | XIX—I მარხ. 6. |
| III—II მარხ. 12. | XII—I მარხ. 5—6. | XX—ეპ. 236, 363 |
| IV—I მარხ. 2. | XIII—I მარხ. 4. | XXI—I მარხ. 6 |
| V—I მარხ. 3. | XIV—I მარხ. 5. | XXII—? |
| VI—II მარხ. 15. | XV—I მარხ. 8. | XXIII—ეპ. 41, 124. |
| VII—II მარხ. 12. | XVI—ეპ. 2, 75. | XXIV—ეპ. 2, 74. |
| VIII—II მარხ. 13. | XVII—I მარხ. 8. | XXV—ექუსთა დღეთაჲ, |
| IX—II მარხ. 14. | | პომილია VIII, 79 |

სვიმეონის მიერ შედგენილი ზემოგანხილული მარხვის საკითხავი აგებულია ძირითადად ბასილის ორ ნაწარმოებზე — მარხვისათვის I და მარხვისათვის II (PG 31, 164—197). შეიცავს, აგრეთვე, ორ ფრაგმენტს ბასილის მეორე ეპისტოლიდან, თითო ფრაგმენტს ბასილის ორმოცდამეერთე და ორას ოცდამეათეექვსმეტე ეპისტოლეებიდან (PG 32, 220—1112), „ექუსთა დღეთაჲს“ ტექსტიდან (PG 29, 4—208) და ფსევდო-ბასილური თხზულებიდან „მარხვისათვის“ III (PG 31, 1508—1509).

ბუნებრივია ისმის კითხვა, რა მეთოდით ხელმძღვანელობდა სვიმეონ მეტაფრასი ამ 24 ეთიკური სიტყვის შედგენის პროცესში? თუ სვიმეონი მისდევს ზოგად ტრადიციას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ არის არც პირველი და არც უკანასკნელი, რომელმაც ხელი მოჰკიდა დიდი მამების შრომათა კომპილაციას. როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ იმ პერიოდში აწარმოებდა თეოდორე დაფნოპატესი ამავე მეთოდით იოანე ოქროპირის თხზულებათა ფრაგმენტების დამუშავებას.

სვიმეონის მიერ „ეთიკური სიტყვების“ შედგენის პრინციპები თანხვედბა თეოდორე დაფნოპატესის მიერ შემუშავებულ იოანე ოქროპირის თხზულებათა კომპილაციის მეთოდს, რომელიც მეცნიერებაში დაწვრილებით არის შესწავლილი. ს. პაიდახერის დაკვირვებით, მეთოდი, რომლითაც კომპილატორები მუშაობენ, არ არის სრულყოფილი. მათ მიერ შედგენილ სიტყვებს აქვთ ყველა ის ნაკლი, რაც საზოგადოდ კომპილირებულ სამუშაოებს ახასიათებთ. თუმცა თემის შერჩევა ბედნიერ გამონაკლის წარმოადგენს. ამგვარად შედგენილი სიტყვები თავისი გარეგანი ფორმით, მსმენელთადმი მიმართული დამრიგებლური ტონის მიხედვით, ქადაგებებს წარმოადგენენ, თავისი შინაგანი აგებულებით კი პომილიებისათვის დამახასიათებელ თვისებებს ამჟღავნებენ. საკითხავის თემაში პირველსავე წინადადებას შევყვართ. შემდეგ კი აზრს მოსდევს აზრი, ადგილს — ადგილი, განსხვავებული თანამიმდევრობით. ასე რომ მკითხველისათვის ძალიან მალე ნათელი ხდება ამ სიტყვების კომპილირებული ხასიათი. ხშირად შემკრებს შეუძლია რომელიმე წყაროს უფრო მეტად გამოყენება, მაგრამ თხრობას მოულოდნელად წყვეტს, რათა ახალ აზრზე გადავიდეს. ხანდახან იგი თავის თავს ძირითადი აზრიდან გადახვევის უფლებასაც აძლევს. თემის ამომწურავი მიმოხილვა გვხვდება იმდენად, რამდენად წყაროების სიმრავლე ამის საშუალებას იძლევა. მონაკვეთების დალაგება გეგმისა და წესის გარეშე ხდება. ამ შემთხვევაში მთავარ როლს მხოლოდ კომპილატორის სურვილი თამაშობს. წყარო უმეტეს შემთხვევაში სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი. ხშირია ამა თუ იმ ფრაგმენტის შემოკლება ან გადაადგი-

10 სქემაში ვუთითებთ იმ თხზულებასა და მუხლს, საიდანაც არის ამოღებული ესა თუ ის ფრაგმენტი. ასეთივე მითითებებს იყენებენ თვითონ გამომცემლებიც.

ლება. წყაროს სტილისტური გადამუშავება იშვიათია. საკუთარ შემოქმედებას კომპლატორები ჩვეულებრივ თავს არიდებენ, თუ არ ჩაეთვლით რიტორიკულ კითხვას, შესავალ წინადადებას ან დასკვნას. ისინი ყველა შემთხვევაში ეყრდნობიან წყაროს და დასკვნითი ფორმულებიც კი ამავე მამათა შრომების მრავალრიცხოვან ნიმუშებზეა აგებული¹¹.

კვლავ დაუბრუნდეთ ქართულ მეტაფრასულ კრებულებში შეტანილ მარხვის საკითხავებს. რაც შეეხება სვიმეონის მიერ შედგენილ ზემოაღნიშნულ თხზულებას „მარხვისათვის“ „ეთიკური სიტყვებიდან“, ჩვენ საერთოდ ვერ მივაკვლიეთ მის ქართულ თარგმანს. იგი ჩვენი დაწვრილებითი მსჯელობის საგანი გახდა იმის გამო, რომ ერთ-ერთ ქართულ კრებულში აღმოჩნდა ზუსტად ამავე მეთოდებით შედგენილი ბასილის სხვა მარხვის საკითხავი.

შესწავლამ ცხადყო, რომ ქართულ მეტაფრასულ კრებულებში A 5 (1756 წ.), A 272 (1817 წ.), A 276 (1788 წ.), A 680 (XII ს.), Q 114 (1800 წ.), Q 485 (1766 წ.), S 74 (XVIII ს.), ქუთ. 8 (XVI ს.), ქუთ. 89 (1771 წ.), ქუთ. 90 (1795 წ.) და ა. შ. შესულია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბასილის ორი ჰომილია „მარხვისათვის თავი ა“ და „მარხვისათვის თავი ბ“. ისინი უფრო ახლოს დგანან დედანთან, ვიდრე ექვთიმეს თარგმანები. ამიტომ ამ თხზულებათა მიმართ ზედწოდება მეტაფრასული პირობითია და თვით კრებულის სახელწოდებით არის განპირობებული.

ამ თხზულებათა გარდა ქართულ კრებულებში ბასილის სახელით შეტანილია კიდევ ორი საკითხავი: 1. ხელნაწერები Q 39¹², 1560—78 წწ. (293v—295); Q 652¹³, XVII ს. (120—121) და S 1513¹⁴, XVII ს. (202v—204v) შეიცავენ საკითხავს: „პირველსა ორშაბათსა მარხვათასა წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარებისკოპოსისაჲ მარხვისათსა“.

ეს თხზულება თემატურად შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. მისი მხოლოდ პირველი ნაწილი ეხება მარხვას და წარმოადგენს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბასილის მარხვის II საკითხავის დასაწყის ნაწილს. მეორე მონაკვეთი კი ღვთაებრივი სამსჯავროს მოახლოებას და სინანულს ქადაგებს. როგორც შემდგომმა კვლევამ ცხადყო, ეს მეორე მონაკვეთი წარმოადგენს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ეფრემ ასურის თხზულების „შაბათსა ყველიერისასა კსენება წმიდათა მამათასა—სიტყუაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა მამათა შესუენებულთა“-ს (დასაწ. „გული ჩემი მელმის...“¹⁵ (CPG 3921) ბოლო ნაწილს.

ყველიერის შაბათისა და მარხვის პირველი კვირის ორშაბათის საკითხავების ფრაგმენტების ამგვარ შეერთებას შეიძლება ორგვარი ახსნა მოექცნოს:

¹¹ S. Haidacher, Studien über Chrysostomos Eklogen, sitzungsberichte der Akademie der Wissenschaft in Wien, 1902, T. 144, 4. SS. 16—17.

¹² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, თბ., 1957, გვ. 46—53.

¹³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ხალი (Q) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, თბ., 1958, გვ. 100—108.

¹⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ელ. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ, ელ. მეტრეველის საერთო რედაქციით, თბ., 1961, გვ. 295—301.

¹⁵ კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 52, № 28.

რადგან ორივე თხზულება იკითხებოდა დროის მოკლე მონაკვეთში და ბამისად კრებულებში ახლოს იდგა ერთმანეთთან, ტექსტების აღრევის ნიშნად ზე გადაწერის დროს მოხდა ამ ფრაგმენტების მექანიკური შერწყმა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმავე კრებულებში ეფრემ ასურის ზემოაღნიშნული თხზულება სრული სახითაც გვხვდება შესაბამის დღეზე დაწესებული, მეორე ვარაუდი უფრო სარწმუნოდ მოგვეჩვენება: როგორც უკვე აღინიშნა, ეფრემის თხზულების ეს მონაკვეთი მსმენელს სინანულისაკენ მოუწოდებს და რადგან კვირის დღეებში ორშაბათი, ლიტურგიული პრაქტიკის მიხედვით, სინანულის დღეა, ეფრემის თხზულების ამ მონაკვეთის ორშაბათის საკითხავში შეტანა, შესაძლოა, ვითონ ამ დღის ლიტურგიულმა შინაარსმა განაპირობა. საზოგადოდ, ეს საკითხავი უფრო მოკლეა, ვიდრე ბასილის ჰომილიები და პრაქტიკულად უფრო ადვილი მოსახმარი იქნებოდა დღისმსახურებაში.

ხელნაწერი H 1737¹⁶, XVIII ს. (209v—211) შეიცავს ბასილის სახელით ცნობილ მარხვის საკითხავს სათაურით „წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ვასილის მიერ თქმულნი მარხვისათუს“. იგი თავისი სტრუქტურით ყველაზე ახლოს დგას სვიმეონ მეტაფრასის მიერ შედგენილ ბერძნულ ტექსტთან და აგებულია ბასილის ორი ჰომილიის (მარხვისათუს I და მარხვისათუს II) ფრაგმენტებზე დაყრდნობით. კომპლაცია გაკეთებულია ქართული რედაქტორის მიერ ეფთვიმე ათონელის თარგმანების საფუძველზე. სქემა თხზულებისა, რომელიც რვა ფრაგმენტისაგან შედგება, ასეთია:

| | |
|-------------------|--|
| I ფრაგ. | I მარხ. 1, გვ. 1, 14—16 ¹⁷ . |
| II — | I მარხ. 3, გვ. 2, 35—37. |
| III — | I მარხ. 2, გვ. 2, 15—19. |
| IV — | I მარხ. 6, გვ. 5, 6—14. |
| V ¹⁸ — | ? |
| VI — | I მარხ. 10, გვ. 10, 15—16, 19—20, 22—27. |
| VII — | II მარხ. 3, გვ. 13, 35—37, გვ. 14, 1—13. |
| VIII — | II მარხ. 7, გვ. 18, 7—19. |

ამგვარად, ბასილის ორი ჰომილია „მარხვისათუს თავი ა“ და „მარხვისათუს თავი ბ“ ქართულ ენაზე სხვადასხვა პერიოდში რამდენჯერმე ითარგმნა. I საკითხავის უძველესი თარგმანი დაცულია მრავალთავეებში. მეორე თარგმანი ბასილის სხვა თხზულებებთან ერთად შეუსრულებია ეფთვიმე ათონელს X საუკუნის ბოლოს. XI საუკუნეში კი, როგორც მეტაფრასული კრებულების შემადგენელი ნაწილი და მარხვის პირველი კვირის ორშაბათის საკითხავები, ისინი კიდევ ერთხელ ითარგმნა ეფრემ მცირის მიერ.

გვიანდელ ქართულ კრებულებში ბასილის სახელით დაცულია კიდევ ორი კომპილირებული საკითხავი. ერთი აგებულია ეფთვიმე ათონელის მიერ თარ-

¹⁶ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები: (H კოლექცია), შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ელ. მეტრეველის მიერ, IV, თბ., 1950, გვ. 164—167.

¹⁷ თხზულებას, მუხლს, გვერდს და სტრიქონს ვუთითებთ გამოცემის მიხედვით: „ბასილი კესარიელის „სწავლათა...“

¹⁸ მეხუთე ფრაგმენტს ვერ მივაკვლიეთ. შესაძლოა იგი რედაქტორის მიერ იყოს ჩამატებული.



გმნილ ამავე თხზულებათა ფრაგმენტებზე, მეორე კი ეფრემ მცირის მიერ
გმნილი ბასილისა და ეფრემ ასურის თხზულებათა კომპლაციას წარმოადგენს.

Н. Я. КАДЖАЯ

ПОСТНЫЕ ЧТЕНИЯ ВАСИЛИЯ ВЕЛИКОГО
В ГРУЗИНСКИХ СБОРНИКАХ

Резюме

Две гомилии Василия «О посте» I и «О посте» II в разные периоды были несколько раз переведены на грузинский язык. Древние переводы «О посте» I содержатся в Многоглавах Удабно (IX в.) и Пархали (XI в.).

В конце X в. Эквтиме Атонели перевел «Поучения» Василия, включая эти две гомилии «О посте» I и II. В XI в. эти произведения повторно перевел Ефрем Мцире. Более поздние грузинские сборники содержат два компилированных чтения, связанные с именем Василия.

I чтение состоит из фрагментов сочинения Василия «О посте» II и произведения Ефрема Асура «Об усопших», переведенных Ефремом Мцире. II чтение состоит из ряда фрагментов гомилий «О посте» I и II, переведенных Эквтиме Атонели.

მზია სურგულაძე

დროისა და სივრცის კატეგორიების ამსახველი ფორმულები პართულ საისტორიო საბუთებში

თანამედროვე თეორიული წყარომცოდნეობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წყაროთა ენის შესწავლას. საისტორიო წყაროს ენაში იგულისხმება მისი შინაგანი ფორმა, ანუ სტრუქტურა, ინფორმაციის გადმოცემის წესი, ანუ, ლოგიკურად ორგანიზებული ფორმა¹, რომლის გათიშვა მისივე შინაარსისაგან დაუშვებელია. მიზანი საისტორიო წყაროთა ენის ასეთი შეფასებისა ერთია: ისტორიული წარსულის ადეკვატური სურათის აღდგენა, გარკვევა იმისა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ წერილობით ძეგლს თვით მისი შემქმნელი საზოგადოებისათვის. ბუნებრივია, საისტორიო წყაროთა ენისადმი ასეთი გაფართოებული ინტერესი შეეხო დოკუმენტების ენასაც და მათ შემსწავლელ დისციპლინას, დიპლომატიკას. დიპლომატიკა სწავლობს იურიდიული აქტების ენობრივ სისტემას, როგორც გარკვეული ეპოქის სოციალური და იურიდიული აზროვნების, სოციალურ მიმართებათა ამსახველ დოკუმენტს, როგორც სინამდვილის ერთგვარ ასლს.

დიპლომატიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი კვლევის უფრო სრულყოფილი მეთოდების ძიებით ხასიათდება, რისი მიზანიც საბუთის მონაცემების მაქსიმალური ათვისებაა. საბუთის ენობრივი ანალიზის შედეგად მის სტრუქტურაში ვლინდება უცვლელი და ცვალებადი ელემენტები². უცვლელი ელემენტების არსებობა საბუთის შემქმნელი საზოგადოების გარკვეულ შეხედულებათა სიმყარეს, სტატიკურობას უჩვენებს. ცვალებადი ელემენტების გაჩენა სოციალური ცხოვრების ობიექტურ მდინარებას, მასში მიმდინარე პროცესებზე მიუთითებს. დიპლომატიკისათვის, რა თქმა უნდა, ორივე სახის ელემენტები თანაბრად საინტერესოა. საბუთის უცვლელი ელემენტები ქმნიან ე. წ. დიპლომატიკურ ფორმულებს, რომელთა შინაარსისა და ფუნქციის გარკვევის გარეშე საბუთის შეფასება თავისი ეპოქისათვის არ იქნება სრულყოფილი. საბუთის ტექსტის სტრუქტურულ ელემენტთა შორის გვხვდება დიპლომატიკური ფორმულები და ტერმინები, რომელთაც უკავშირდება დროისა და სივრცის კატეგორიების სოციალური გააზრება.

ცნობილია, რომ სივრცისა და დროის კატეგორიებისადმი ადამიანთა დამოკიდებულება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვაგვარი იყო. ა. გურევიჩი სამართლიანად უსაყვედურებს თანამედროვე ისტორიკოსებს, რომ ამ

¹ Л. Н. Пушкарев, Классификация русских письменных источников по отечественной истории, М., 1975, с. 107—121.

² К. Леви-Стросс, Структура и форма. Размышления об одной работе Владимира Проппа, კრებულში: Семиотика, М., 1983, с. 400.



კატეგორიებისადმი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ისტორიულ ბურებებს ისინი არ ითვალისწინებენ. „... დროისა და სივრცის კატეგორიებს ისტორიკოსები მიიჩნევენ მატერიის არსებობის ობიექტურ ფორმებად მხოლოდ და მხოლოდ. არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ეს კატეგორიები შეუძლებელია თანაბრად მიესადაგოს ბუნებასაც და საზოგადოებასაც. წარსულის მკვლევართ ავიწყდებათ, რომ დრო და სივრცე არა მარტო არსებობენ ობიექტურად, არამედ სუბიექტურად განიცდებიან და აღიქმებიან აღმინათა მიერ...“³.

შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოების დამოკიდებულების გასარკვევად მატერიალური სამყაროსადმი, სოციალური წესრიგისადმი, ისტორიული მოვლენებისადმი სივრცისა და დროის კატეგორიების ისტორიულ გააზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საუკეთესო წყაროდ ამ საკითხის შესასწავლად ებოსი და მითია მიჩნეული. მაგრამ არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ამ მხრივ წმინდანთა ცხოვრებანი, საისტორიო თხზულებანი, ქრონიკები და იურიდიული გარიგებები. ამ უკანასკნელთა ღირსებას ის განაპირობებს, რომ ისინი დოკუმენტურად ასახავენ სინამდვილეს. ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური ურთიერთმიმართებების, იურიდიული აზროვნებისა და პრაქტიკის საუკეთესო ამსახველია იურიდიული აქტები. იურიდიულ აქტებში ახლად დამყარებული უფლებრივი მდგომარეობის ხანგრძლივობა ამა თუ იმ წესით უსათუოდ იყო მინიშნებული. ივ. ჯავახიშვილი ისტორიული საბუთის ფორმულარის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ საბუთის „განგებულებაში ყოველთვის აღნიშნული იყო ხოლმე ახლად დამყარებული უფლებრივი მდგომარეობის თვისება და ხანგრძლივობა და, როდესაც ნაწყალობევი უცილობლად ჰქონდა გადაცემული და მარტო სიგელის მიმღებს კი არ ეძლეოდა პირადად, არამედ მის შთამომავლობასაც, ეს გარემოებაც საგანგებოდ იყო ხოლმე აღნუსხული“. იქვე ივ. ჯავახიშვილი საბუთებიდან გამოყოფს იმ ფრაზებს, რომლებიც უფლებების ხანგრძლივობას გამოხატავენ. ესენია: „კელმოსხლეტითა და მოუდევრად“, „ჰქონდეს... მკუიდრად“, „მოგეცით სამამულოდ და მკუიდრად“, „მოგეცით სამამულოდ“, „მკუიდრად და შეუცვალებელად“, „სამკუიდროდ, სამამულოდ და უცილობლად ყოვლის დაბადებულისაგან“, „მკუიდრად და შექუელებით“⁴, XI—XV სს. ქართულ იურიდიულ აქტებში ყველა ეს გამოთქმა გვხვდება, შეიძლება ისინი შევაესოთ კიდევ იმავე დანიშნულების რამდენიმე გამოთქმითა და დიპლომატიკური ფორმულით.

ჩამოთვლილ გამოთქმებში სიტყვები: „მკვიდრი“, „სამამულო“, კარგად ცნობილი იურიდიული ტერმინებია. ისინი გამოხატავენ უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობითობის ფეოდალურ უფლებას. „კელმოსხლეტით“ ნიშნავს სხვა კელების, ანუ უფლებების არცნობას გაცემულ უძრავ ქონებაზე. „შექუელებით“ — ესეც იურიდიული უფლების მახასიათებელი ტერმინია: „შექუელება“ საკუთრებისა ნიშნავს მის ხანგრძლივ ჰერას. ფეოდალური საზოგადოების იურიდიულ პრაქტიკაში საკუთრების ხანგრძლივად (შთამომავლობით) ჰერა მასზე უფლების კანონიერების საკმაო საფუძველი იყო.

ამავე ხანებში უფლებათა ხანგრძლივობის გამოსახატავად გვხვდება გამოთქმები: „არას ჟამსა შეგეცვალოს“, „მოუკუნისამდე ჟამთა“, რომლებშიც მომავალი დროისადმი მიმართება ისევ დროული ცნებებით: „ჟამი“, „უკუნი-

3. А. Я. Гуревич, Категории средневековой культуры. М., 1972, с. 26.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართული დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. 102.



სი“, გამოხატება. უფლებათა ხანგრძლივობის გამომხატველი დანარჩენი მოთქმების უმრავლესობა კი იურიდიული ტერმინების საშუალებითაა შედგენილი. ამ ტერმინთა დამოუკიდებელი ფუნქცია არის საკუთრების იურიდიული და სოციალური დახასიათება. ხოლო დიპლომატიკურ კონტექსტში ისინი აღნიშნავენ უფლების ხანგრძლივობას დროში. იგივე ითქმის XI—XV სს. გავრცელებულ ფორმულაზე: „აწ, ვინცა ჰნახოთ შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთა-ერისთავთა (და ა. შ. მოხელეთა ჩამოთვლა) და ყოველთა კელისუფალთა და საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ კელჰყოფთ შლასა და შეცვალებასა ამისსა“. ეს ფორმულა გამოხატავს საბუთის გამცემის მიერ დადებულ აკრძალვას მის მიერ დადგენილი წესრიგის შესაძლო დამრღვევების მიმართ მხოლოდ არა აწმყოში, არამედ — მომავალში. დრო, ამ შემთხვევაშიც, გააზრებულია, როგორც მომავალი ხელისუფლების უფლებათა გაგრძელება, უფლებათა უწყვეტობა. ეს უწყვეტობა გულისხმობს იმ სოციალური ურთიერთობების უცვლელ არსებობას მომავალშიც, რაც საბუთის შექმნის მომენტშია. მაშასადამე, დრო სოციალურ ცხოვრებას არ ცვლის, ამიტომ იგი მოიაზრება უცვლელი სამართლებრივი კატეგორიებით.

XIII ს-ის გასულიდან ჩნდება ადრესატთან დაკავშირებული ფორმულა „შვილთა და მომავალთა მისთა“, რომელიც ვარიანტული სახეცვლილებებით მტკიცედ მკვიდრდება ქართულ საბუთებში XVIII ს-ის გასულამდე. ამ ფორმულას ორმაგი დანიშნულება აქვს: ერთი, რომ აღნიშნოს საბუთით დამყარებული უფლებების გავრცელება არა ერთ პიროვნებაზე, არამედ — მთელ მის სახლზე, მეორე: ეს უფლებები გავრცელდება სახლის წევრებზე დღესაც და მომავალშიც. მემკვიდრეობითობის კანონის ძლევამოსილებამ დროის სამართლებრივი კატეგორიებით აღწერა გამოიწვია. მომავალი დრო აქაც გააზრებულია, როგორც იურიდიული უფლებების უცვლელი გაგრძელება. ადრესატის შემოყვანა საბუთში ასეთი დიპლომატიკური ფორმულით მისი მემკვიდრეობითი უფლებების საბოლოო აღიარებას, მის მარადიულად მიჩნევას ნიშნავს და არა რომელიმე კერძო მოვლენას. კერძო მოვლენა საბუთში სტერეოტიპული ფრაზით არ აისახება. ამ ფორმულის გაჩენა საზოგადოებრივ ცნობიერებაში სამამულო სისტემის კანონიერად შეფასებას მოასწავებს.

სოციალური წესრიგის მარადიულობას გამოხატავს აგრეთვე ფორმულა... ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა (II შეწირულების, ნასყიდობის, თარხნობის და ა. შ.) წიგნი და სიგელი...“

განსხვავებით უკვე განხილული დიპლომატიკური ფორმულებისაგან, ეს ფორმულა დროის კატეგორიისადმი მიმართებას გამოხატავს არა იურიდიული, არამედ რელიგიური ასპექტით. XV ს. ის ხანაა, როცა საზოგადოებრივ ცნობიერებაში დიდი ხანია წაშლილია კვალი სამამულე მფლობელობისათვის ბრძოლისა. არსებული სოციალური ურთიერთობანი მარადიულად, ღვთის მიერ დადგინებულად არის შეფასებული. იურიდიული საბუთი ახალ უფლებრივ მიმართებას კი არ ამყარებს, არამედ იმეორებს მამაპაპათაგან მიღებულს, რომელიც უცვლელად გადაეცემა მომავალ თაობებს. ამ ფორმულაში (ისევე როგორც მის წინამორბედ გამოთქმებში: „არას ჟამსა შეგეცვალოს“, „მიუკუნისამდე ჟამთა“) დროულ ცნებას გამოხატავს ისევე დროის აღმნიშვნელი სიტყვები: „ჟამი, ხანი, უკუნისი“. „ჟამი“ და „ხანი“, ქართულად ნათარგმნი უძველესი დოგმატიკური თხზულებების მიხედვით, ამქვეყნიური დროა, რომელ-

5 ყველაზე ადრინდელია დავით მეფის სიგელი გრიგოლ ჰარბაულ ჰაჰნისაშვილისადმი. იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 183.

საც უპირისპირდება მარადიულობა — უკუნისი. „უკუნისამდე უამთა და ხან-
თა გასათავებელი... წიგნი“ არის საბუთი, რომელსაც ვადა აქვს ამქვეყნიურ
დროის მთელ სივრცეზე, უკუნისამდე. „უამი“ და „ხანი“ დასრულებულია, „გა-
სათავებელია“. ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, ისტორია ღვთიური გეგ-
მით მიედინება და იგი უნდა დასრულდეს მსოფლიო კატასტროფით — მეორედ
მოსვლით⁶. ასეთი აღქმა დროისა სრულ ანალოგიას ჰპოვებს სხვა ქრისტიანი
ერების დროულ წარმოდგენებთან: ადამიანი ვერ გრძნობს ობიექტური დროის
არსებობას, რადგან იგი გაცნობიერებულად არც მონაწილეობს დროის მსვლე-
ლობაში, იგი უბრალოდ, ემორჩილება ღვთიურ წესრიგს, მოვლენები ერთმა
ნეთს მისდევენ, თაობები — თაობებს, მაგრამ ყოველი ახალი თაობა ძველის
ცხოვრების წესს იმეორებს. სოციალური ცხოვრება განმეორებადი მოვლენე-
ბისაგან შედგება. სწორედ ამ განმეორებებს შეესატყვისება განმეორებადი გა-
მოთქმები და ფორმულები იურიდიულ აქტებშიც (ისევე როგორც ქრისტიან-
ული მწერლობის სხვა დარგების ძეგლებშიც).

ისტორიული საბუთები, რომლებიც სამამულე ურთიერთობას აწესრიგე-
ბენ, მამულების (მიწის ნაკვეთების) დახასიათებისას არეკლავენ თანადროულ
სივრცობრივ წარმოდგენებსაც. ცნობები უძრავი ქონების (მიწის) საზღვრები-
სა და თვისებათა შესახებ საბუთის ტექსტის უცვლელ სტრუქტურულ ელე-
მენტს წარმოადგენს. ამას ივ. ჯავახიშვილი „რიანობას“ უწოდებდა⁷. ეს ცნობე-
ბი თუ თვისებები ერთიანდება ფორმულაში, რომელიც ყოველთვის მიჰყვება
ასეთ სინტაქსურ მოდელს: გქონდეს შენ (ადრესატი) სოფელი (დასახელება)
ყოვლითა მზღვრითა მისითა: მითა, ბარითა, წყლითა, ტყითა, კლდითა, საქე-
ბარითა და უძებრითა, სანადიროთი — უნადიროთი, სათიბითა — უთიბითა, სარ-
წყავითა და ურწყავითა, საქმარითა — უქმარითა, სამართლიანითა მზღვრითა მი-
სითა“. ამ ფორმულის სხვადასხვა ვარიანტთა შეჯერების შედეგად ასეთი ში-
ნარსი იკვეთება: აღწერილია სივრცე, რომლის უპირველესი ნიშანია „სა-
მართლიანი მზღვარი“ და არა ვთქვათ, მიწის ფართობი. ეს სივრცე დახასია-
თებულია, ერთი შეხედვით, ტოპოგრაფიული მახასიათებლებით. მაგრამ როცა
მრავალ საბუთს შევადარებთ ერთმანეთს, აღმოჩნდება, რომ დახასიათებული
ლანდშაფტი ყველგან ერთმანეთს ჰგავს. ე. ი. გეოგრაფიული გარემო ტიპურ-
ია და არა ინდივიდუალური. ამ ტიპურობაშია მისი ღირსებანი. გამოყოფილი
მახასიათებლების უმეტესობა ოპოზიციურ წყვილებშია გაერთიანებული. ამ
წყვილებში გვხვდება შესიტყვებანი, რომლებიც ენაში დადასტურებული სი-
ტყვებით ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებს გადმოგვცემენ (მთა-ბარი, ტყე-
ველი) და ისეთებიც, რომლებიც ხელოვნურად არიან შექმნილნი (სათიბი-უთი-
ბი, სანადირო-უნადირო). სივრცის დახასიათებისას ოპოზიციური წყვილების
გამოყენება იგივეა, რაც მისი დახასიათება დადებითი და უარყოფითი ნიშნე-
ბით. ქრისტიანულ თეოლოგიაში ეს მეთოდი ღმერთის სრულყოფილების
იდვის გადმოსაცემად არის მოხმობილი (კატაფატიკა და აპოფატიკა). ანალო-
გიის წესით იგივე ლოგიკური კონსტრუქციებია გამოყოფილი სივრცის სრულ-
ყოფილების გადმოსაცემად. მაინც რა სრულყოფილება შეიძლებაოდა მიეწერა
ადამიანს სივრცისათვის? ეს არის თ ვ ი თ კ მ ა რ ო ბ ა, ნატურალური მეურ-
ნეობისათვის საჭირო პირობები, რომლებიც საკმარისადაა მიჩნეული ფეოდა-
ლური ყოფისათვის.

⁶ Из научного наследия О. М. Фрейденберг. Труды по знаковым систе-
мам, VI, Тарту, 1973, с. 514. О. Л. Вайнштейн, Западноевропейская средневековая
историография, М.—Л., 1964, с. 68—69.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული დიპლომატიკა, გვ. 101.



ამ ფორმულით წარმოდგენილ ტიპურ ლანდშაფტში შემოიჭრება თანდათანობით წისკვილი, სასახლე, ჭურ-მარანი, სათევზაო, ეკლესია, სასაფლაოები ნიშნები, რომლებიც ფეოდალური გარემოს ასახვენ. ამრიგად, ამ ფორმულის მიხედვით, სივრცე წარმოიდგინება როგორც შემოსაზღვრული, ჩაკეტილი სამეურნეო და ადმინისტრაციული ერთეული. ფორმულისეული დახასიათება წარმოაჩენს არა მეურნეობის კონკრეტულ სახეებს, არამედ ადგილის სამეურნეო პოტენციალს. მინიშნებული საზღვრები ერთობ პირობითია; ფართობის ზუსტად ჩვენება არ არის საჭიროდ მიჩნეული. ადამიანი, მწარმოებელი მოსახლეობა, სივრცის ორგანულ ნაწილად არის ჩათვლილი. იგი არ გამოეყოფა გარემოს. XI—XV სს-ებში ეს ფორმულა თითქმის საკმარისია გასხვისებული მამულის დასახასიათებლად. XVI ს-დან საბუთებში სივრცის დახასიათების ახალი წესები ჩნდება, თუმცა ძველი ფორმულაც, ინერციის ძალით, განაგრძობს არსებობას.

კახურ საბუთებში შეიმჩნევა წესი გასხვისებული მიწის დახასიათების საკომლოების რაოდენობითა და ამ საკომლოებზე დამკვიდრებულ გლეხთა ჩამოთვლით. საკომლოს ცნება აერთიანებს სამეურნეო ერთეულს (მიწის ნაკვეთს) და თვით მეურნეს, (მიწის დამმუშავებელს). მაშასადამე, სივრცე იზომება ადამიანის მიერ ათვისებული სამეურნეო ფართობით და თვით ადამიანით. ამავე დროს, ჩანს აუცილებლობა ფეოდალური სივრცის ზუსტი ფიქსაციისა მასზე მოსახლე ყმა-გლეხების რაოდენობით.

სივრცის გაზომვა ადამიანის შრომითი უნარით სხვადასხვაგვარ საშუალებებში ვლინდება. „დღიური“ მიწა დროის ერთეულში დახარჯული შრომის შესაბამის ფართობს აღნიშნავს — ასევე „საქცევი“, მიწის ნაკვეთი, რომელიც ადამიანის მიერ მიწაზე გაწეული შრომით იზომება. სივრცის მახასიათებლებად ვხვდებით სამეურნეო იარაღებს: გუთანს, საკვეთელს, აჩაჩა, კაბდო, აღნუსხულია ურემიც ამავე ფუნქციით. მარცვლეულის დასათეს ფართობებს ზომავდნენ საწყაოებით: საწყაო, გრივი, კაბიწი, კოდი, ნაოთხალი. ხშირია მიწის დახასიათება მასზე დადებული ბეგარა-გამოსაღების ოდენობით. ყოველივე ეს უჩვენებს, რომ სივრცის კატეგორია, როგორც ობიექტური რეალობა, შუასაუკუნეების საზოგადოებრივ ცნობიერებაში არ აღიქმება. სივრცე შეფასებულია მისი სასარგებლო, სამეურნეო ღირებულებით და ამ ღირებულებათა შექმნელი ადამიანით.

ქართული ფეოდალური სინამდვილის მთელ მანძილზე, დოკუმენტური მასალა უჩვენებს, რომ ადამიანისა და სივრცის მჭიდრო კავშირი, მათი ერთიანობა, არ დარღვეულა. თუმცა ის ერთიანობა ყოველთვის უცვლელად არ გაიზარებოდა. თუ აღრე (XI—XV სს.) ადამიანის არსებობა იგულისხმებოდა სივრცეში, როგორც მისი ნაწილისა, მოგვიანებით, დაახლ. XVI ს-დან ეს ერთიანობა ხასიათდება ადამიანის წინ წამოწევით, მისი გარემოდან გამოკვეთის ნიშნით. სივრცე თვით მოიზრება ადამიანის უკან, როგორც მისი სოციალური არსებობის საფუძველი. ადამიანის შრომითი უნარი, მისი ინტერესი მეურნეობის სხვადასხვა ფორმისადმი თვით იქცევა სივრცის მთავარ მახასიათებლებად. ამ აზრს ადასტურებს სივრცის კომლობრივი და სამეურნეო ნიშნებით დახასიათების წესის გავრცელება, ამასვე მოწმობს მამულების სახელწოდებებად ანთროპონიმების ქცევის შემთხვევებიც (მაგ., უირიული მამული, პატატუნაური მამული და ა. შ.).

დაახლოებით ამგვარი ჩანს დროისა და სივრცის კატეგორიებზე ქართული ფეოდალური საზოგადოების წარმოდგენები ისტორიული საბუთების მიხედვით. მათში აირეკლება საერთოდ შუასაუკუნეებში შექმნილი საერთო შეგ.
8. მრავალთავი



М. К. СУРГУЛАДЗЕ

ФОРМУЛЫ, ОБОЗНАЧАЮЩИЕ ВРЕМЕННЫЕ И
ПРОСТРАНСТВЕННЫЕ КАТЕГОРИИ ПО ГРУЗИНСКИМ
АКТОВЫМ ИСТОЧНИКАМ

Резюме

В статье рассматриваются вопросы, касающиеся восприятия временных и пространственных категорий в феодальном обществе. Для этой цели автором привлечены актовые материалы, содержащие понятия, соответствующие временным и пространственным представлениям. По данным актовых источников, в восприятии времени и пространства в феодальную эпоху решительное значение имело социальное осмысление этих категорий.

მიხეილ ქავთარია

ყაფლანიშვილთა სახლის გენეალოგია

წერილი პირველი

აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიას ორბელიანთა გვარმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია. შესამჩნევად გაიზარდა მათი როლი XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ორბელიანებმა (ბარათაშვილებს გამოეყვნენ) დაასრეს დამოუკიდებელი ფეოდალური სახლი და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში დაიწყეს აქტიური მონაწილეობის მიღება. ჩამოყალიბდა ორბელისშვილთა (ორბელიანთა) დიდი ფეოდალური ოჯახი, რომელთა წარმომადგენელნიც ჩვენი კულტურისა და ქვეყნის ისტორიაში ყაფლანიშვილების სახელითაც არიან ცნობილი.

ორბელიშვილთა||ორბელიანთა||ყაფლანიშვილთა ოჯახის მამამთავარი და ფუძემდებელი იყო ყაფლანი, რომელიც 1670 წლის განჩინების წიგნში ჯერ კიდევ ბარათაშვილად იწოდება. დოკუმენტში ვკითხულობთ: „პატრონმან შაჰნავაზ... დავსხედით ბარათაშვილის ბატონის ყაფლანისა და მისის შვილების...“¹. როგორც ჩანს, პირადი თვისებებისა და ნიჭის წყალობით ყაფლანი ნათესაობაში ადრევე დაწინაურებულა. ძველი ოჯახების წარმომადგენლებთან ერთად ახლად დაწინაურებულ ოჯახს გარკვეული კონფლიქტიც კი ჰქონდა და ეს კონფლიქტი, ალბათ, არ არის გამორიცხული, პირველობისათვის (და, ცხადია, ქონებისათვისაც) იყო². როსტომ მეფემ საგანგებოდ განიხილა ძირძველი ოჯახისა და მისი განაყარის — ბარათაშვილ-ორბელიშვილთა დავა და გარკვეული განაჩენი გამოუტანა სახლთუხუცესი ყაფლანის (ორბელიშვილთა ახალი შტოს ფუძემდებლის) მომჩივნებს — პატასა და პაპუნას (საფიქრებელია, ყაფლანის უახლოეს ნათესავეებს, შესაძლებელია, ბიძაშვილებს)³.

ორბელიან||ორბელიშვილთა გვარს უპირატესად ატარებდნენ ახალი ოჯახის წარმომადგენლები, მაგრამ ძველი ოჯახის წევრებიც, როგორც ჩანს, ატარებდნენ ბარათაშვილ-ორბელიშვილის გვარს. დოკუმენტებში იწოდებოდნენ დიდი ორბელის ძეებად. მაგალითად, 1697 წელს ბესარიონი (შემდეგში ქართლის კათალიკოსი) ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერაშში წერს: „მე, ხუცესმონაზონი, ნათესავით ბარათაშვილი, ტომობით ორბელიშვილი ბესარიონ... ლოცვა

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქცია, ტფილისი, 1909 წ., გვ. 133, ქვემოთ ყველგან საქ. სიძველენი, II, შდრ. ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელიანოს ძეგლების წარწერები, ნაწილი პირველი, ამოღებულია კრებულიდან „კავკასიონი“ № 1—2, პარიზი, 1929, გვ. 89, ქვემოთ ყველგან ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელის...

² ცნობილ პოეტს ალ. ორბელიანს რამდენიმე შრომა აქვს თავისი წინაპრების შესახებ. ხელნაწერები დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. ცნობებს ამ შრომებიდან იყენებდნენ სპეციალისტები. ესენია: „ჩემი სახლის წინაპრანი (H 2412a), „ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდან“ (H 2490).

³ საქ. სიძველენი, II, გვ. 122—124.

ყავთ... მშობელთა ჩემთა ბეჟანისა და მარიაშისა...“⁴. ხელნაწერი A 100-⁵ ან-
დერში კი არაგვის ერისთავის შვილი ხუცესმონაზონი იოსები წერს: ^{არაგვის} ^{მონაზონი} ^{ხუცესი} ^{იოსები} ^{წერს}:
ცოდე ქელთა შინა სულერთა მათ მამათა... ვიკუც... ღირსსა მოძღუარსა
ჩუშნსა და მასწავლებელსა ბესარიონს, დიდის ორბელის ძესა...“⁶.

ყავლანი — ახალი ფეოდალური სახლის ფუძემდებელი — როსტომ მე-
ფესთან დიდად დაახლოებული პირი ყოფილა. როსტომი მას „ერთგულს, მრავალ-
ფერად თავდადებით ნამსახურს, დიდად მომჭირნეს და ძალის მომცემს“
უწოდებს⁶. მას რამდენიმე საპატოი სახელოც ჰქვია.

ყავლანი 1634 წლის 24 ღვინობისთვის საბუთში იწოდება მდივანბეგად
და ეს სახელო უჭირავს მას 1643 წლამდე, თითქმის მთელი 10 წლის განმავ-
ლობაში. პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, 1646 წლიდან ყავლანი მდივანბეგი-
ცაა და სახლთუხუცესიც (იხ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ის-
ტორიისათვის, 1952, გვ. 327). ყავლანს სახლთუხუცესის პატავიც ჰქონია.
1648, 1652, 1653, 1657 და 1658 წლების დოკუმენტებში იგი სახლთუხუცესად
იწოდება. მაგ., საბუთში ვკითხულობთ, „შემოვისხით ბარათაშვილის სახლის-
ხუცესის ყავლანისა...“⁸, ამავე საბუთის მეორე ადგილას „რადგან სახლის-
ხუცესი ყავლან ამას ამბობდა...“

ყავლანის დაბადების თარიღი ცნობილი არ არის. 1620-იან წლებში მო-
წაწილებს სახლისკაცებს შორის ატეხილ დავაში და შემდეგ სპარსეთში გა-
ზიზნულა (აღ. ორბელიანი, ცოტაოდენი... II 2480). ვახუშტიც ადასტურებს,
რომ ყავლანს აქტიური როლი უთამაშია სახლისკაცების დაქვევებაში: „ვითარ-
ცა მოსწყვიტა ბარათამ სახლეულნი თჳსნი და ყავლან ძმის-წული მისი ილ-
ტვოდა და მივიდა წინაშე შაჰ-აბასისა...“ (შდრ. გ. ჯამბურია, ქართული ფეო-
დალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955 წ.) გარდაცვლილა 1671
წელს. ეპიტაფიაში ვკითხულობთ: „ქრისტე, შეიწყალე პატრონი ყავლან. წყა-
ლობითა და შეწევნითა ღმრთისათა მე ორბელისშვილმა ყავლან მეორეთ შე-
ვაძვე მონასტერი ესე... დავემკვიდრე ამას შინა ქორონიკონსა ტმთ (359)“⁹.

⁴ თ. უოტდანი, ქრონიკები, II, გვ. 516; მისივე, Описание груз. рукописей цер.
музея, т. I, 122, შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის
(A) კოლექცია, ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით, გვ. 452.

⁵ ხელნაწ. A 100, გვ. 300—301, შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი სა-
ეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით, გვ. 452. ორბელი-
ანის შვილთა ოჯახების ისტორიით დაინტერესდით ჩვენ ვერ კიდევ 1959 წელს, მაგრამ, სამწუხარო-
ბოდ, ვერ მივაგენით ამ ოჯახების ურთიერთობის მუწყებელ დოკუმენტებს. მაგ., ვინ არის
ბესარიონ კათალიკოსის მამა ბეჟანი, დიდ ორბელად რომ იწოდება? ყავლანისშვილებში, რამ-
დენადაც ჩვენთვის ცნობილია, სახელი ბეჟანი ადრეულ პერიოდში არ დასტურდება. შდრ.
მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, დიბუქდა: ხელნაწერთა
ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959 წ., გვ. 77, სქოლიო 9. 1665 წლის ნასყიდობის წაგნში ნახსენა-
ნება ბეჟანი, ხომ არ არის იგი ბესარიონის მამა. „მოგვეთხვი ჩვენ მოშო-ბეგის შვილმან ყარა-
ბულახ... თქვენ ბარათაშვილის დმანელს ქრისტეფორეს, ძმასა თქუენსა სეხნისა და ბეჟანს,
შვილების პაპუასა და ავთანდილს...“, საქ. სიძველენი, II, გვ. 254.

⁶ საისტორიო მოამბე, № 1, გვ. 174, შდრ. გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლატ-ის
ისტორიიდან, I, 1949 წ., გვ. 4.

⁷ ე. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, II, გვ. 231.


⁸ იქვე, გვ. 135; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, 1913, გვ. 21. შდრ. ვ. გაბ-
შილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიკის მოამბე, XIII, 1943 წ.;
ივ. სურგულაძის აზრით, ყავლანი ორივე სახელის პარალელურად ფლობდა რადგან სახლ-
თუხუცესობა უფრო საპატოი იყო, ამიტომ დოკუმენტებში იგი ამ პტივით იხსენიება, იხ.
ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, 1932, გვ. 327.

⁹ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელის..., გვ. 89.

ყაფლანს ცოლად ჰყოლია ამილახვრის ასულ **თამარი**. ვახტანგ ორბელიანის ბრძანებით გადაწერილი ჟამნ-გულანის ანდერძში ვკითხულობთ, „მე, ფრიად ცოდვილმან პატრონის ყაფლანის ძემან ორბელმან, აღვაწერინე წმინდა ესე ჟამნი... მშობელთა ჩემთა პატრონის ყაფლანისა და მესხის ამილახორის ქალის პატრონის თამარის შესანდობლად“¹⁰. თამარი გარდაცვლილა მეუღლის გარდაცვალების მომდევნო წელს — 1672 წელს. ზემოთ დამოწმებული „ჟამნის“ ანდერძში ვახტანგ ორბელიანი დედას გარდაცვლილად მოიხსენიებს: „შეიწყალე სულნი მშობელთა ჩემთანიო“, — წერს¹¹ იგი 1672 წელს. მათი დაქორწინება უნდა მომხდარიყო XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, რადგანაც მათ პირველი შვილიშვილი ქალიშვილის მხრიდან შეეძინათ 1647 წელს (იგულისხმება ცნობილი პოეტი მეფე არჩილი), ამ დროს ყაფლანის ასული — როდამი 16 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. აქ იმის თქმაც აუცილებელია, რომ როდამი ან პირველი, ან მეორე შვილი იყო.

ყველა წყაროს ჩვენებით, ყაფლანსა და თამარს ჰყოლიათ ხუთი ვაჟი და ერთი ასული (სხვა ქალიშვილი ჩვენთვის ცნობილი არ არის).

ყაფლანი + თამარი ამილახვარის ასული




(იგივე ორგანი)

შვილების უფროს-უმცროსობაში მხოლოდ როდამის ადგილია გაურკვეველი. არც ერთ დოკუმენტში არაა მითითებული თუ მერამდენე იყო იგი. ჩვენი ღრმა რწმენით, როდამი ან პირველი, ან მეორე შვილი უნდა იყოს. ვაჟების თანმიმდევრობა ყველა საბუთში ერთნაირია და, ალბათ, ითვალისწინებს ასაკობრივ ფაქტორს. 1636 წლისათვის, Hd 1447 დოკუმენტის ცნობით, მას ჰყავს სამი ვაჟი: პაპუნა, ორბელი და ასლამაზი (ნაცვლად ასლანისა).

როდამი (პირობითად პირველ შვილად წარმოვადგენთ)

როდამი (ყაფლანის ასული) ცოლად გაჰყვა ქართლის მეფეს — ვახტანგ V-ს, შაჰნავაზად წოდებულს. ეს ქორწინება, არ არის გამორიცხული, განაპირობა ყაფლანისა და შაჰნავაზის მამობილის — როსტომ მეფის ურთიერთსიახლოვემ და თანშეზრდილობამ. როდამს და ვახტანგს, როგორც მემატრიანე აცხადებს, „ესხნეს ძენი შვენიერნი“¹².

¹⁰ იქვე, გვ. 94.
¹¹ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელოს..., გვ. 94.
¹² ს. ჩ ხ ე ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, ნ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854 წ., გვ. 303.



ამ დიდი ოჯახის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ცნობები მათ შესახებ გამოქვეყნებული გვაქვს სხვაგან¹³. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგ V-ს, მისი სურვილის წინააღმდეგ, ცოლად შერთეს როსტომ მეფის ქვრივი მარიამი, როდამი მონაზვნად აღიკვეცა **ეკატერინეს** სახელით. ეპიტაფიაში ვკითხულობთ: „საქართველოს მეფეთა მეფის ვახტანგის მეუღლე. და იმერთა და კახთა მეფის არჩილისა, საქართველოს მეფეთ-მეფის, ყანდაარისა, ქირმანისა და ზირშაკისა და ჰაილათის მპყრობელისა, სრულიად სპარსეთის სპასალარისა, მეფის გიორგის და ერანის მდივანბეგის ლევანის და ძმათა მათთა დედა, ორბელის ძე ყაფლანის ასული, დედოფალი როდამ ყოფილი, ცქემოსანი ეკატერინე, აწ მდებარე ვიქმენ მკვიდრსა ამას საფლავსა... ქრისტეს აქეთ ქკს ტომი (379)¹⁴, როგორც აქედან ჩანს, როდამი გარდაცვილია 1691 წელს¹⁵ და დაკრძალულია მცხეთას, სვეტიცხოველში.

პაპუნა

დოკუმენტებში ყაფლანის მემკვიდრეების სახელები ყოველთვის პაპუნათი იწყება. როგორც საბუთებიდან ჩანს, იგი ვაჟებს შორის უფროსი იყო. ეპიტაფიაშიც იხსენიება „უხუცეს ძედა“. ტანძირის მეორე ეკლესიის წარწერაში იგი პირდაპირ აცხადებს: „ხუთთა ძმათა უფროსი“. ამ დროს ყაფლანის განაყოფთა — ბართაშვილებშიც იხსენიება პიროვნება სახელით პაპუნა¹⁶. როგორც ჩანს, ამ დროისათვის პაპუნა ბართაშვილ-ორბელიშვილთა საოჯახო სახელია. (ეს სახელი შემდეგაც გვხვდება ორბელიანებში).

პაპუნას დაბადების თარიღი წყაროებში არ ჩანს. შემოვლის გზით შეგვიძლია დაახლოებით ვივარაუდოთ, რომ იგი დაიბადა XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს.

სამეფო კარზე პაპუნას ჰქონია რამდენიმე სახელო. ეპიტაფიის მიხედვით, იგი ყოფილა „სომხითის მოურავი, საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი“¹⁷.

პაპუნას მეუღლის სახელი ყოფილა **ბანგიჯასი**. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ხელმისაწვდომ საბუთებში და ნარატიულ წყაროებში თითქოს არ იხსენიება,

¹³ მ. ქავთარია, ბავრტიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის ვენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს.), I, მუხრან-ბატონთა შტო, მრავალთავი, V, 1975, გვ. 199.

¹⁴ A. Натроев. Мухет и его собор Свети-Цховели. Тбилиси, 1900, с. 319.

¹⁵ ჩვენს შრომაში ბავრტიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს.), მრავალთავი, V, 1975, გვ. 199, დაშვებულია კორექტურული შეცდომა, ნაცვლად 1691 წლისა წერია 1697 წელი.

¹⁶ ს. სიძველენი, II, გვ. 123. „...სახლის უხუცესი ყაფლან ამას ამბობდა: „ეიტარეთ თავს სასაფლაოსთან ქელი არა გაქუთო და რომელიც თქუენი ეკუდერი არის, იმას არას გეცილებითო, ამაში პატამა და პაპუნამ ასრე უპასუხეს...“

¹⁷ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს..., გვ. 90.



დადასტურებულია საფლავის ქვის წარწერაში და ტანძის მეორე ეკლესიაში წარწერაში: „ქ. ნებიტა და შეწვენიტა ლთისათა ჩვენ პატრონის ყაფლანის შვილმან ბატონმა პაპუნამან და თანამეცხედრემან ჩვენმა აბაშის ქალმა ბატონმა ბანგიჯასპიმ აღვაშენე წმიდა ესე ტაძარი...“¹⁸.

პაპუნა + ბანგიჯასპი

პაპუნასა და ბანგიჯასპს მემკვიდრე არ შესძენიათ. ეს ფაქტი საგანგებოდ აღუნიშნავს პაპუნას ეპიტაფიაში: „გარდავიცვალე და ძე არ მესვა, არცა ასული“. ამასვე იმეორებენ ცოლ-ქმარი ტანძის მეორე ეკლესიის აღმოსაქვლეთ კედელზე შესრულებულ წარწერაში: „...მრავლისა დიდებისა მქონებელი, ხუთთა ძმათა უფროსი, უძეო ვიქმენით...“¹⁹.

პაპუნას უშვილებია ძმისწული — ვახტანგის ძე **ერასტი**. იგი 1684 წლის 17 იანვრის დოკუმენტში წერს: „მოვიდა ბრძანება ღმრთისა და შვილი არ მოგვეცა და ჩვენდა შვილად ჩვენი ძმისშვილი ერასტი ვიშვილეთ“²⁰. როგორც ჩანს, ეს ამბავი ძმებსა და ძმათაშვილებს მაინცდამაინც არ გახარებიათ. პირიქით, სალაპარაკოდაც კი გამხდარა. ამის გამო ამავე დოკუმენტში პაპუნა და მისი მეუღლე საგანგებოდ ფიცსაც კი დებენ: „...ერასტი ვიშვილეთ და ამ მიზეზით ძმათში სამღურავი ჩამოგვივარდა და ლაპარაკი შეგვექმნა. და რადგან მდივანბეგისა (იგულისხმება ვახტანგი) და სარდლის (თამაზი) ქართული ერთი იყო, მეც თქვენკენ მოვიწიე. ჩემს ძმას ასლანს და ძმისწულებს დაველაპარაკეთ. თუ ამა პირობით ყაბული ქნან, რომ თქვენში საუფროსო და საუმცროსო აღარ იყოს, ჩემს საუფროსოს არავინ წამოეჭიდოს. და ძმანი ხართ და ჩემ წილად საუფროსო ყველა სასწორო იყოს...“²¹. რამდენადმე მოგვიანებით თამაზ სარდლის მემკვიდრისათვის — მამუქასთვის და ვახტანგის მემკვიდრისათვის — ერასტისთვის ვახტანგ VI-ს მიუწერია წერილი, რომელშიც კვლავ დაუდასტურებია პაპუნას გადაწყვეტილება. „როგორც თქვენს ბიძას, კურთხეულს პაპუნას, გაურიგებია თქვენში საუფროსოს აღუღებლობა, მეც იმის გარჩევას არ მოვშლი...“ (საქ. სიძველენი, II, გვ. 327).

პაპუნა გარდაიცვალა 1689 წელს. ეპიტაფიაში ვკითხულობთ: „გარდავიცვალე... ამ მცირეს საფლავს დავემკვიდრე, შეძრვად კელს ნუ მყოფთ, შენ-

18 იქვე, გვ. 95.

19 იქვე, გვ. 95.

20 საქ. სიძველენი, II, გვ. 96.

21 იქვე; ლევან ბატონიშვილს, ვახტანგ VI-ის მამას, მიუწერია წერილი, რომელშიც ვახუშტის გარდაცვალების სამძიმართან ერთად საგანგებოდ ეხება ამ საკითხსაც. როგორც ჩანს, ერასტის შიშინი ნდომია მამობლის კუთვნილი ქონების მიღება და ამიტომ ლევანისათვის ფარულად უთხოვია საუფროსოს დასტური, რის თაობაზეც ლევანი პასუხობს: „რაც მოგწერა, ყველა შეეიტყვე, თქვენის საუფროსოს წიგნის საქმეს შემოგვეგეწოდეთ. ამას რატომ არ გასინჯავთ, რომე მე რომ ჩემად წიგნი მოგცე, რას კელსა ყრი? ის საქმე სულ ქართველთ იციან. ბატონო, რას მალავ, რატომ ძალიან არ ელაპარაკები? ჩემი ჯანიშინი მანდა ზის, ილაპარაკეთ. ქართველთ ბერმა და ერმა ყველამ იცის. ვინც მოჟუდა, თვარემ ვინც ცოცხალან ხო მაშინ დაესწრენ, ტყვილ ხო ვერ იტყვიან? პირობა ასრე დაზუდვეს და წაგნი, რომე პაპუნას საუფროსო ყველამ სწორედ გავყოთო. ახლა თუ ჩემზედ მოაგდებენ და დამეკი თხვიან, მის ქართულს მე ეპოენი და მოვსწერ, თუ როგორ იყო. ჩემად მაგიერ ეგ არის ბატონი, მიდიო, იხილეთ და რა ქართული დასკუნაო, მომწერეთ, თვარემ მე რომ კიდევცა აქ ერთი ბარათი ჩუმაღ დაეაწერინო, რას კელსა ყრი? განა არვინ იცის? რა სამალავია? საჯაროდ გახადე, რომე რაც პირველ გავკერიგებინოს, ის უნდა იქნას“. საქ. სიძვ. II, 292—93.

დობას მიბრძანებდეთ, გვედრები. ქორონიკონს ტმზ (377)²², რაც 1636 წელს უდრის²³.



ქმრის გარდაცვალების შემდეგ პაპუნას მეუღლე... ბანგრაქსპი ბარბარეს სახელით მონაზვნად აღკვეცილა და, როგორც ჩანს, შემდგომ სქემა შეუმოსავს და მიუღია სახელი **ფებრონია**. გარდაცვლილა იგი 1701 წელს. საფლავის ქვის წარწერაში ვკითხულობთ: „მე — პაპუნა ორბელისშვილის მეუღლე ბანგრაქსპ ყოფილი, მონაზონი ბარბარე და სქემოსანი ფებრონია შენდობას ჰყოფდეთ, ქორონიკონს ტპთ (389), სეკდენბრის იზ (17) გარდავიცვალე²⁴, რაც როგორც ვთქვით, 1701 წელს უდრის. საბუთებიდან არ ჩანს პაპუნას პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომ საპატიო სახელოებს ფლობდა. ეპიტატიის ცნობით, პაპუნასა და მის მეუღლეს ტანძრავში აუგიათ ეკლესია.

ასლანი

ასლან ყაფლანიშვილი 1636 წ. დოკუმენტში (Hd 14476) ასლამაზადაც იხსენიება, ხოლო ზოგიერთ დოკუმენტში ასლანბეგადაც იწოდება. 1697 წლის 11 გიორგობისთვის სიგელში მოხსენებულია როგორც „სომხითის მოურავი“²⁵.

გ. ლეონიძის დაკვირვებით, ასლანის მეუღლე ყოფილა ერეკლე პირველის, ნაზარალი-ხანის, დედის — ელენეს და **თამარი** (ე. ი. ერეკლე პირველის დეიდა)²⁶. მაშასადამე, ასლანის მეუღლე თამარი იყო ევდემოს კათალიკოსის, დიასამიძის, ძმისწული. ვახუშტი ბატონიშვილი თეიმურაზ I-ის მეფობის აღწერისას ერთგან წერს: „ამ კათალიკოზის (იგულისხმება ევდემოს დიასამიძე, მ. ქ.) ძმისწული ცოლად ჰყვა ბატონის თეიმურაზის ძესა დავითს“²⁷. სიონის ტაძარში ოდესღაც ინახებოდა მიტრა, რომელზედაც იყო 1683 წელს შესრულებული წარწერა, საიდანაც აშკარაა, რომ დავითის (ერეკლე I-ის მამა) მეუღლე იყო დიასამიძე ელენე. „ბატონის მეფის დავითის ცოლმა ელენამ. მე დედოფალმა მესხთა, თვით დიასამიძის ასულმა შემოგწირე...“²⁸. ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან სახარების A 517 მინაწერი: „ჩვენ ბართიანთ-ორბელიშვილმან პატრონმან მოლარეთუხუცესმან ასლან და თანამეცხედრემან ჩვენმან დიასამიძის ასულმან — პატრონმან თამარ, ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ... აღწერად ესე სახარებაჲ, შემკობად და განსრულებად დღეთა ჩვენთა, ძეთაჲ და ასულთა ჩვენთა წარსამართებლად...“ (გვ. 242—243).

თამარის მამის სახელი ყოფილა ლეონი (ან ლევანი). 1652 წელს ერეკლე I და მისი დედა მოსკოვს გაემგზავრნენ, რუსეთის მეფეს მოახსენეს, რომ უფლისწული და დედამისი ელენე ლეონის ასული გზაზე ყუმიკებმა გაძარცვეს. რუსეთში ცხოვრების ამსახველ დოკუმენტებში ხშირად გვხვდება ელენე ლეონის

²² ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელის..., გვ. 90.

²³ იასე ლორთქიფანიძე პაპუნას გარდაცვალებას ვარაუდობს 1699—1701 წლებში, რადგანაც „ამ წლებში პაპუნას სახელი დოკუმენტებში აღარ გვხვდება. საყაფლანიშვილოს მამულების გამგებლობა უჭირავს მის შემდეგ მომდევნო ძმას ასლანს“ (იხ. ქვემო ქართლი, ნაწილი III და IV, 1938, გვ. 339).

²⁴ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელის..., გვ. 90—91.

²⁵ საქ. სიძველენი, II, გვ. 119.

²⁶ გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1949, გვ. 75.

²⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. VI, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 441.

²⁸ М. Ткемаладзе, Тифлисский кафедральный собор Сиони, с. 55.

ნის ასულის სახელი. (იხ. ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, 1959, გვ. 118, 119, 120, 121 და ა. შ.).


თ. ენუქიძის ცნობით, თითქოს ასლანი 1733 წ. იხსენიება მდივანწიგ-ნობრად. წყაროდ ასახელებს თ. უორდანიას წიგნს („ქართლ-კახეთის ეკლესიებისა და მონასტრების ისტ. საბუთები, 1903, გვ. 93). თ. ენუქიძე არ ამბობს, რომ ეს ასლანი ორბელიანია.

სიგელ-გუჯრებში ასლანი მამასთან ერთად იხსენიება 1636, 1653, 1657, 1670 წლებში. 1671, 1677 წლებში კი თითქოს იხსენიება მოლარეთუხუცესად²⁹.

გ. ლეონიძემ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ერეკლე პირველის ეპისტოლეს, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის შემოსარიგებლად გასცა გამაჰმადიანებულმა ერეკლემ. წერილში ვკითხულობთ: „დედიდაც ბატონო თამარ! თქვენის პატიოსნის თავის სიკეთის მდომი მეფე ნაზარალიხან ვიკადრებ... ჩვენგან მშობლის ალაგს საგულვებელო დედიდაც, ბატონო თამარ!


მრავალი თქვენის მღთის მოყვარულისა და ჩვენგან დაუვიწყარად სახსოვარისა კაის თავის მოკითხვა მოგვიხსენებია. მერმე თქვენის მაზლიშვილის სულხანის შემორიგების საქმეზედ წიგნი მოგეწერათ და ოთარი გეახლებინათ...“³⁰. ამ დოკუმენტს გ. ლეონიძე 1696 წლის პირველი თვეებით ათარი-ლებს³¹.

1696 წლის 15 სექტემბრის საფიცრის წიგნის მიხედვით ასლანს და თამარს ჰყოლიათ შემდეგი შვილები — „... პატრონმან ასლან, შვილმან ჩემმან პატრონმან ყულარაღას სარდალმან ლუარსაბ, პატრონმან ქაიხოსრომ, ბაზიერთუხუცესმან პატრონმან ოთარ, მოლარეთუხუცესმან მანუჩარ, მეჯინბეთუხუცესმან რევაზ...“³² ამ ცნობის მიხედვით გამოდის:



1694 წლის საბუთით³³, ასლან-ბეგ ორბელიშვილს ჰყავს შემდეგი შვილები — დომენტი თბილელი, ლუარსაბ სარდალი, ოთარი ბაზიერთუხუცესი, ქაიხოსრო, მანუჩარი მოლარეთუხუცესი და რევაზი მეჯინბეთუხუცესი. Sd 759 საბუთის მიხედვითაც ასლანის შვილად არის დასახელებული დომენტი თბილელი. ამ საბუთში შვილების თანმიმდევრობა ასეთია — ლუარსაბი, დომენტი, ოთარი, ქაიხოსრო, მანუჩარი, რევაზი³⁴. ამავე თანმიმდევრობას იძლევა 1695 წლის 21 იანვრის დოკუმენტი³⁵. მაშასადამე, საბუთების მონაცემების მიხედვით, ასლანის შვილებია

29 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწილი III და IV, თბილისი, 1938 წ., გვ. 340.
 30 საქ. სიძველენი, II, გვ. 190—191.
 31 გ. ლეონიძის დასახელებული წიგნი, გვ. 75.
 32 საქ. სიძველენი, II, გვ. 170.
 33 ცსსა ფონდი 1450, დ. 51, № 177.
 34 ეს საბუთი გამოქვეყნებულია. იხ. საქ. სიძველენი, II, გვ. 430.
 35 ცსსა ფონდი 1450, წ. 15, № 115 (3).



მართალია, 1694 წ. საბუთში პირველად დომენტია დასახელებული, მაგრამ სხვა დოკუმენტებში პირველ შვილად ლუარსაბია დასახელებული, ხოლო მეორე ადგილზეა დომენტი. ამიტომ, ჩვენი ფიქრით, ასლანის პირველი ვაჟი არის ლუარსაბი, ხოლო დომენტი მეორე ვაჟი უნდა იყოს. A 517 სახარების ანდერძიდან თითქოს ივარაუდება, რომ ასლანსა და თამარს ქალიშვილებიც ჰყავდათ. „ძეთა და ასულთა ჩვენთა წარსამართებლად“. ჩვენ ვერ დავადსტურეთ ვერცერთ დოკუმენტში ქალიშვილთა არსებობა. ამიტომ ჩვენ დანადვილებით ვერ ვიტყვით ჰყავდათ თუ არა მათ ქალიშვილი (სახარების მინაწერი სტერეოტიპული გამოთქმა ხომ არ არის?!). 1702 წლის 15 აპრილის საბუთში ასლანის შვილებში აღარ იხსენიება ქაიხოსრო და ეპისკოპოსი დომენტი. არიან

ასლანი + თაგარი



ამ დროისათვის დოკუმენტებში იხსენიება ქაიხოსროს ვაჟი ქაიხოსრო ი. ლორთქიფანიძის სიტყვით, ასლანი უნდა გარდაცვლილიყო 1701—1702 წლებში³⁶. მართლაც, 1702 წლის ნასყიდობის წიგნში³⁷ მხოლოდ შვილები არიან დასახელებული. ასლანი აღარ იხსენიება, ასლანის ყველა ვაჟს დიდი სახელო ეჭირა.

ლუარსაბი

ასლანის შვილებში ყველაზე უფროსი ჩანს ლუარსაბი, რომელსაც სამეფო კარზე რამდენიმე დიდი სახელო ეჭირა. იგი იყო სარდალი, ყულარალასი, ანტრაფის მოურავი, სომხით-საბარათიანოს სარდალი გაცილებით უფრო დიდი გავლენის მქონე იყო, ვიდრე სათავადოს თავადი³⁸.

ჩვენთვის უცნობია ლუარსაბის დაბადების ზუსტი თარიღი. ლუარსაბი დაქორწინებულა ქსნის ერისთავის ბაინდურის ასულზე ანაზე. შემონახულია ანა ერისთავის მზითვის წიგნი, რომლის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ე. თაყაიშვილს³⁹. ეს უკანასკნელი საბუთს 1692—1703 წლებით, ერეკლე I მეფე-

36 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწილი III და IV, გვ. 340.
 37 საქართველოს სიძველენი, II, გვ. 445.
 38 შტრ. ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წიგნი III და IV, გვ. 341.
 39 საქ. სიძველენი, II, გვ. 430—43, ბოლო პუბლიკაცია ეკუთვნის მზია იაშვილს, იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, 1980 წ.



ბით, ათრიღებს. ლუარსაბი ქორწინების დროს, როგორც მზითვის წიგნშია ჩანს, ყოფილა ყულარაღასი და სარდალიც. დოკუმენტში კვითხლობა „... შეიღსა თქუენსა, ჩვენს სიძეს ყულარაღას, სარდარს ბატონს ლუარსაბს“. გ. ჯამბურია იმეორებს ი. ლორთქიფანიძის დაკვირვებას⁴⁰ და წერს, რომ ლუარსაბი პირველად სარდლად იხსენიება 1696 წლის დოკუმენტში (ცენტრარქივი, ფ. 229, დ. 16, ს. 59)⁴¹. ხოლო დოკუმენტი, რომელშიც კვლავ სარდლად იხსენიება, არის 1718 წლისა (საქ. სიძველენი, III, № 177, გვ. 154)⁴². თუ ლუარსაბი პირველად სარდლად იხსენიება 1696 წელს, მაშასადამე, იგი დაქორწინებულა 1696 წელს, ან მის მახლობლად და მზითვის წიგნის ქვედა თარიღი 1696 წ. უნდა განვსაზღვროთ და არა 1692 წლით, როგორც ე. თაყაიშვილი აკეთებს: ი. ლორთქიფანიძე დოკუმენტს 1696—1701 წლებით ათარიღებს კიდევ⁴³, მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოს. ლუარსაბი სარდლად იხსენიება 1694 წლის საბუთში (იხ. ცენტრარქივი, ფ. 1550, დ. 51, № 177)⁴⁴.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთი საბუთი Qd 2150 (პირია) თითქოს 1690 წლისაა და მასში იხსენიება სარდალი თამაზი. საბუთის დედანი შეიძლება, მართლაც, 1690 წლის ყოფილიყო, მაგრამ ამ თარიღით ლუარსაბის სარდლობას ვერ დავიწყობთ. ლუარსაბი ბეჭდით ამტკიცებს ამ საბუთს. ბეჭდის ადგილას დღეს მართკუთხედიან მოხაზული, ადვილი მოსალოდნელი იყო დამტკიცება მოგვიანებით მომხდარიყო. ამიტომ სიმართლესთან ახლოს ვიჭნებით, თუ მზითვის წიგნის ქრონოლოგიის ქვედა ზღვარს 1694 წლით განვსაზღვრავთ. ზედა საზღვრისათვის გამოდგება თამაზ სარდლის ცოცხლად მოხსენიება. თამაზი, დიდი ყაფლანის ძე, 1701 წელს დაიღუპა ირანში⁴⁵, სადაც იგი რამდენიმე წლით ადრე გაემგზავრა. მაშასადამე, მზითვის წიგნი უნდა დაეთარიღოთ 1694—1701 წლებით⁴⁶. ამ დროისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ ლუარსაბი 18—20 წლის მაინც იქნებოდა. თუ ეს ვარაუდი მისაღები ჩანს, მაშინ იგი დაბადებულა 1676—1678 წლებში. თითქოს ამ თარიღს ხელს უშლის ვახუშტის ცნობა — ერიკლე I ნაზარალიხანმა 1688 წლისათვის, როდესაც იგი მოვიდა და „დაჯდა ტფილისს მეფედ“ „კუალად დაადგინა კარისა თვისისა გამგედ მსაჯულთუხუცესად ბარძიმ, ძმა გიორგი ერისთვის... ყულარაღასად ყაფლანის-შვილი ლუარსაბ და მათ მოაგდო საქმენი ყოველნი ქუეყანისანი...“⁴⁷. 10—12 წლის ყმაწვილისათვის ასეთი დავალების მიცემა წარმოუდგენელია.

ლუარსაბი დაქორწინდა ანა ქსნის ერისთავის ასულზე.

40 გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955 წ. გვ. 143.

41 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წიგნი II და IV, 1935 წ., გვ. 8.

42 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წიგნი III და IV, გვ. 342.

43 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წიგნი I და II, გვ. 8.

44 ვახუშტისთან, როდესაც იგი 1692 წლის ამბებს ყვება, ლუარსაბი იხსენიება, მაგრამ არა როგორც სპასპეტი (იხ. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 471). 1696 წლის ამბებში ვახუშტი წერს — „კუალად დასუ... სპასპეტად ლუარსაბ ყაფლანისშვილი“. იხ. იგივე გამოცემა, გვ. 475, 1696 წლის 15 სექტემბრის დოკუმენტში ლუარსაბი იხსენიება სარდლად და ყულარაღასად, იხ. საქ. სიძველენი, II, გვ. 170.

45 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 478—479; ს. ჩხეიძე, საქ. ცხოვრება, ზ. ქიქინაძის გამოცემა, 1913 წ.

46 ზედა თარიღად 1701 წელი მიიღო ი. ლორთქიფანიძემაც, იხ. ქვემო ქართლი, I და II, გვ. 68.


47 ვახუშტი, დასახელებული გამოცემა, გვ. 465.



ზოგიერთი საბუთის მიხედვით, ლუარსაბსა და ანას ჰყავდათ ორი შვილი: ელენე და იოანე. ე. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს ერთი ეპიტაფიის ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც იგი ფიქრობს, რომ ლუარსაბსა და ანას ელენეს გარდა ჰყავდა ასული **თამარი**. ეპიტაფიის ფრაგმენტში ვკითხულობთ:

„... ლისა ამის მსწრაფლ...
 ... რულისგან დაკლებულ...
 ... ლ უარსაბის(ა) თამარი შ...“⁴⁸.

სხვა საბუთებში თამარის სახელი დადასტურებული არ არის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივაგენით. თუ ე. თაყაიშვილს ვარაუდს გამოვუცხადებთ ნდობას, მაშინ ლუარსაბისა და ანას ოჯახის სურათი ასეთი იქნება



წარმოდგენილ სქემაზე, ცხადია, უფროს-უმცროსობა დაცული არ არის. თამარი (თუ მისაღებია მისი ლუარსაბის ასულობა), ჩანს, მცირეწლოვანი გარდაცვლილა, ყოველ შემთხვევაში, ალბათ, დაოჯახებამდე. იგი დაუტოვალავთ ორბელიშვილთა საგვარეულო სასაფლაოზე.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთი 1727 წლის 1 აგვისტოს საბუთით (Ad 1060, ამ ბოლო დროს გამოაქვეყნა ე. ცაგარეიშვილმა — პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 13). ლუარსაბი მონაზვნად აღკვეცილა, მონაზვნობის სახელად მიუღია **ლავრენტი**. დოკუმენტში ვკითხულობთ — „ორბელიანმან სარდალ ლუარსაბ ყოფილმან, ბატონმან ლავრენტიმ“⁴⁹. ი. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ლუარსაბი 1721 წლის ახლო უნდა გარდაცვლილიყო⁵⁰. ა. ბაქრაძე შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ლუარსაბი ცოცხალია 1721 წელსაც. იგი საბუთებს (Hd 2639, 2929, 1753), რომლებიც სარდალ ლუარსაბის ბეჭდითაა დამტკიცებული, ზოგადად 1692—1721 წლებით ათარიღებს⁵¹. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ლუარსაბი 1727 წელსაც ცოცხალია, მაგრამ მონაზონია და იწოდება ლავრენტად. ვახუშტი 1728 წლის ამბებში იძლევა ასეთ ცნობას — „კჟალად განადიდა მელიქი ტფილისისა აშხარბეგ ისაყ ფაშამან. რამეთუ მოვიდნენ დარბაზობად მისა სპასპეტი ლუარსაბ და მთავარნი ქართლისანი ყოველნი. არამედ მან არა მიხედნა, არცა იხილნა და გამოუტყვენა“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 510). ეს ცნობა ორი თვალსაზრისითაა საინტერესო. ერთი, 1728 წელს ცოცხლადაა დასახელებული სპასპეტი ლუარსაბი, მეორეც, ლუარსაბი იხსენიება საერო სახელით და საერო სახელოთი და არა მონაზვნის სახელით. გაიხადა კვლავ ანაფორა? საფიქრებელია, ლუარსაბი გარდაიცვალა XVIII საუკ. 30-იან წლებში.

⁴⁸ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს..., გვ. 10.
⁴⁹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 13.
⁵⁰ ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წიგნი III და IV, გვ. 342.
⁵¹ ა. ბაქრაძე, მასალები ქართული საფარგისტიკის ისტორიისათვის, 1976 წ., გვ. 91.




გ. ჯამბურია ფიქრობს, რომ ლუარსაბი ვახტანგ VI-მ იძულებით აღკვეცილა მონაზვნად. ავტორი თვით წყაროს არ ასახელებს, უთითებს გ. ლეონიძის შრომაზე. სამწუხაროდ, არც გ. ლეონიძე უთითებს წყაროს. ეხლა უკვე გაირკვა, რომ გ. ლეონიძის ცნობის ერთი ნაწილი მართალი ყოფილა, მაგრამ რამდენად მართალია ვახტანგის აქტიური მონაწილეობა, არ ჩანს. მოულოდნელი თითქოს არაფერია, ერთი ფაქტია, მიუხედავად მონაზვნობისა, ლუარსაბი|| ლავრენტი მაინც აქტიური პირი ჩანს.

ელენე

ელენე ლუარსაბის ასულის არც დაბადებისა და არც გარდაცვალების ზუსტი თარიღები ჩვენ არ ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ მოგვიანებით ელენე თავისი ოჯახით ვახტანგ VI-ის ამაღლაში ყოფილა და მოსკოვს გადაჰყოლია მას 1724 წელს. ეს ფაქტი შეიძლება იმაზეც მიუთითებდეს, რომ არ ვივარაუდოთ ვახტანგ VI-ისა და ლუარსაბს შორის მტრობა (ცხადია, დამოწმებული ფაქტი კატეგორიულად ვერ უარყოფს მტრობის ვერსიას).

ელენე გაუთხოვებით ვახტანგ ავთანდილის ძე ამილახორზე, რომელთანაც შესძენია ქალიშვილი ანა. ხოლო ამ უკანასკნელის მემკვიდრეა ავთანდილი⁵².



თუ ვინ იყო ანას მეუღლე, არ ჩანს. ერთი კია, რომ იგი, საფიქრებელია, ვახტანგის კოლონიიდან უნდა ყოფილიყო.

ავთანდილ ამილახორი (დიდი) ისტორიულ საბუთებში არა ერთგზის იხსენიება. იგი სამეფო კართან დაახლოებული პირი ჩანს. მაგ., ემოწმება ნაზარალიხანის მიერ გაცემულ საბუთს. მისი ბეჭედი ზის თვით ნაზარალიხანისა და კათალიკოზ ევდემოზის ბეჭდების გვერდით⁵³. 1715 წლის ამბებში იხსენიებს მას მეფე იესე.

იოანე

იოანეს სახელი მრავალ დოკუმენტშია დამოწმებული. აქ უნდა ითქვას, რომ არის ერთი საშიშროება. ზუსტად ამ პერიოდში ცხოვრობს იოანე ელიზბარისძე. არ არის გამორიცხული მათი აღრევა, ერთის ამბის მეორეზე მიწერა. ლუარსაბის მემკვიდრე იგულისხმება შემდეგ დოკუმენტში: ცენტრარქივი, ფ. 1450, 15—92; 1732 წლის 27 მარტის.

თამარი

ლუარსაბის ასულად უნდა ვიფიქროთ, როგორც ზემოთაც ვთქვით, ეპიტაფიის მიხედვით. სხვა ცნობა მის შესახებ ჩვენ არა გვაქვს.

⁵² ს. ყუბანეიშვილი, დ. გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, გვ. 122.
⁵³ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 80.



სიგელ-გუჯარებში და საისტორიო ძეგლებში თბილელი ეპისკოპოსის დომენტი გვხვდება ორბელიშვილის გვართაც და ბარათაშვილის გვართაც. მისი ერისკაცობის თავგადასავალი ჩვენთვის ცნობილი არ არის. ისიც არ ვიცით, მას თავდაპირველად დომენტი ერქვა, თუ ბერად აღკვეცის შემდეგ დაარქვეს ეს სახელი. როდის ან სად აღიკვეცა იგი ბერად, ჩვენთვის არც ეს ფაქტია ცნობილი.

საეციკლოპედო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ყაფლანიშვილი დომენტი თბილისის საეპისკოპოსო კათედრაზე აღვიდა იოსებ სააკაძის შემდეგ. ეს დასკვნა ემყარება ვახუშტის ცნობას „ამან (ე. ი. ერეკლე პირველმა) შესცვალა და დასხნა თუსნი კათალიკოსად დიასამიძე იოანე, მთავარეპისკოპოსად ნაცვლიშვილი; თბილელად ყაფლანიშვილი დომენტი...“ ეს უნდა მომხდარიყო 1688 წლის შემდგომ, ყოველ შემთხვევაში, 1690 წელს დომენტი ამტკიცებს ანანია ქიტუასვილის სახლის ნასყიდობის წიგნს⁵⁴. დომენტის მიტროპოლიტის პატივი ჰქონია (იხ. სიძველენი, II, გვ. 430).

გ. ჯანდიერი ვარაუდობს, რომ 1690 წელს თბილელი იყო დომენტი ყაფლანიშვილი, ხოლო 1695—1701 წლებში დომენტი ორბელიშვილი (იქვე წერს, რომ 1694 წლიდან თბილელად გვხვდება ასლანბეგ ორბელიშვილის შვილი დომენტი, ასახელებს ც. ს. ს. ა. ფ. 1450 და 51, ფ. 177). საქმეში ჩაუხედავ კაცს, ერთი შეხედვით, გ. ჯანდიერის წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნეს, რომ ავტორი თბილელ ეპისკოპოს ყაფლანიშვილსა და ორბელიშვილს სხვადასხვა პირად მიიჩნევს (საგანგებოდ არ წერს ამის შესახებ). ფაქტიურად, დომენტი თბილელი ორივე შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ერთი პიროვნებაა, გვარტომობით ყაფლანიშვილ-ორბელიშვილი, და იგი ასლანის ძეა.

დიდი ყაფლანის უშუალო მემკვიდრეებში სახელი დომენტი არ გვხვდება (ყველა მათგანის სახელი ცნობილია). საბუთებში ყაფლანის შთამომავალი იწოდებიან ორბელიშვილებადაც და ყაფლანიშვილებადაც. ამიტომ 1960 წლის საბუთში დასახელებული დომენტი რომ მართო ყაფლანიშვილად იწოდება, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ იგი გავმიჯნოთ მომდევნო პერიოდის საბუთებში დადასტურებულ ორბელიშვილი დომენტისაგან და სხვა პიროვნებად აღვიქვათ.

მართალია, დომენტი თბილელად პირველად 1690 წლის საბუთშია მოხსენებული, მაგრამ მისი თბილელობა, ყოველ შემთხვევაში 1688 წლის ახლო ხანით უნდა დავიწყოთ, რადგანაც ერეკლე პირველმა, ვახუშტის ცნობით, სწორედ 1688 წელს ჩაატარა რეფორმა, შეცვალა სამღვდლო პირნი და თავისი ერთგული ხალხი ააღზევა, სწორედ ამის შესახებ საგანგებოდ წერს ვახუშტი ბატონიშვილი⁵⁵.

დომენტი ორბელიშვილ-ყაფლანიშვილი, 1688 წლიდან მოყოლებული, დოკუმენტებში სისტემატურად არ იხსენიება. იგი, როგორც გ. ჯანდიერის გამოკვლევიდან ჩანს⁵⁶, დამოწმებულია 1690, 1695, 1696, 1697, 1701 წლების საბუთებში. ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი დაუსახელებელ წლებში აღარ განა-

⁵⁴ გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული კრონოლოგიის საკითხისათვის, მრავალთაგი, ტ. I, გვ. 338—339.

⁵⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973 წ., გვ. 464.

ამავე თარიღს იძლევა თ. ყორღანის „ქრონიკების“ მესამე წიგნში გამოქვეყნებული ცნობაც. იხ. გვ. 20.

⁵⁶ გ. ჯანდიერი, დასახელებული წერილი, გვ. 339.



გებდა კათედრას. მით უმეტეს, 1693 წლის ერთ-ერთ საბუთში თბილელად მოხსენიებულია არაგვის ერისთავის შვილი **ონოფრე**. საბუთში ვკითხულობთ: „შეგიწყალეთ ჩვენ, ერისთავი პატრონი გიორგიმ... ხარჭაშენელმა გრიგოლ, თბილელმა **ონოფრემ**...“⁵⁷. ფაქტი ჩვენთვის გაუგებარი და აუხსნელია. ერეკლემ 1688 წელს თბილისის კათედრაზე ახლად დაადგინა ნათესავი, დეიდაშვილი დომენტი, 1693 წელს გადააყენა და 1694 წელს კვლავ აღადგინა? ჩვენთვის აუხსნელი მოქმედებაა⁵⁸.

დომენტი XVIII საუკ. პირველი ათეულის შემდეგ აღარ ჩანს საბუთებში. ამ დებულებას თითქოს ეწინააღმდეგება 1727 წლის 1 აგვისტოს სიგელი Ad 1060, რომელშიც ჩამოთვლილი არიან ორბელიანები, მათ შორის ნახსენებია დომენტი თბილელიც. ამ დროისათვის დომენტი სხვა დოკუმენტებიდან აღარ ჩანს, თბილისის ეპარქიის განმგებლადაც სხვა პირი გვხვდება.

ქაიხოსრო (ასლანის ძე)

ქაიხოსრო ასლანის მესამე ვაჟი უნდა იყოს. Sd 759 გუჯრის მიხედვით, ქაიხოსრო რიგით მესამე შვილია. დასახელებულია ლუარსაბისა და დომენტის შემდეგ. 1696 წ. 15 სექტემბრის დოკუმენტში (Sd 563) იგი ლუარსაბის შემდგომ არის დასახელებული. ექ. თაყაიშვილის ცნობით, ქაიხოსროს უნდა ჰყოლოდა ორი ცოლი. ორივეს ეპიტაფია გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა. სწორედ ამის წყალობით ვიცით სახელებიც. ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ქაიხოსრო პირველად დაქორწინებულა **ლელა ამირაჯიბის** ასულზე. საფლავის ქვის წარწერაში ვკითხულობთ — „... მივიცვალე სოფელსა ამისგან ამირაჯიბის ასული და ორბელისშვილის ქაიხოსროს მეუღლე ლელა ყოფილი, მონაზონი ელისაბედ და ცქემოსანი ეკატერინე, შენდობას იტყოდეთ, ქკს ტშ (1702 წ.) ღვინობისთვის ცხრასა“. მეორედ **თინათინზე** — „მოიხსენე, უფალო, ორბელისშვილის მოლარეთუხუცესის ქაიხოსროს თანამეცხედრე თინათინ ამ სამარხს დაემკვიდრა. ვინც წაიკითხოთ, შენდობა ყავთ“. ამ ეპიტაფიას თარიღი არა აქვს.

ჩვენი ფიქრით, ქაიხოსრო პირველად თინათინზე უნდა დაქორწინებულიყო და მეორედ ლელაზე. ამაზე ის უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ლელა გარდაიცვალა 1702 წელს, თვით ქაიხოსრო 1701—1702 წლებში გარდაიცვალა. ლელა გარდაცვალებამდე მონაზვნად აღკვეცილა. ეს, ალბათ, მოხდა ქმრის გარდაცვალების შემდეგ.

ძნელი სათქმელია, რომელ ცოლთან ჰყავდა ქაიხოსროს შვილები. 1684 წლის ახლო პერიოდის ერთი დოკუმენტის (Sd 1927) მიხედვით, ქაიხოსროს ჰყოლია ორი ვაჟი — **ქაიხოსრო** და **ვახტანგ**. ამასვე ეთანხმება XVII ს. საბუთი Hd 403, 1637 წ., 12/XII.

⁵⁷ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 91.
⁵⁸ 1692—1703 წწ. (ჩვენი ფიქრით, 1694—1701 წწ.) დათარიღებულ საბუთში — ანაქსნის ერისთავის მზითვის წიგნში, ძმებთან ერთად დასახელებულია დომენტი თბილელი მიტროპოლიტი.

ქაიხოსრო + დედა (2 ქორწინება)

ქაიხოსრო + X

ჰანტანა

ქალიშვილი ჰყავდა თუ არა საბუთებიდან არ ჩანს.

ქაიხოსრო (ქაიხოსროს ძე, ასლანის შვილიშვილი)

ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე, როგორც ჩანს, ადრევე გამოჩნდა ასპარეზზე. მამის სიკვდილის შემდეგ, 1701—1702 წწ., იგი იხსენიება საბუთებში. ერასტის გარდაცვალების შემდეგ სახლისკაცებს — ყაფლანისშვილებს მისთვის მიუტიათ თავიანთი სახლის ბატონობა, ყმა და მამული. გ. ჯამბურიას ცნობით, ერასტის გარდაცვალების შემდეგ იგი სარდალიც გამხდარა. ეს უნდა მომხდარიყო 1731 წელს. ამ დროისათვის ქაიხოსრო უკვე სარდალიცაა და სამეფო კართან დაახლოებული პირიც. 1732 წლის აპრილის დოკუმენტით, ჰყავს შვილები: დავით, რევაზ, ნიკოლოზ. „თქვენ, ორბელისშვილს ბატონს ქაიხოსროს, შვილთა თქუენთა: დავითს, რევაზს და ნიკოლოზს...“⁵⁹. ამასვე ადასტურებს ცენტრარქივის 1732 წ. ივნისის საბუთი (№ 1450—15—107). 1736 წლის 2 თებერვლის დოკუმენტში ქაიხოსროს შვილებად დასახელებულია მარტო დავითი და რევაზი. — თქვენ, ორბელისშვილს სარდალს ქაიხოსროს, შვილსა თქუენსა დავითს და რევაზს და მომავალთა სახლისა თქუენისათა...“⁶⁰. ამ საბუთებიდან გამომდინარე, ქაიხოსროს მემკვიდრეები არიან:

ქაიხოსრო + X

დავით

რევაზ

ნიკოლოზ

ასყლი


დასახელებული დოკუმენტებით წარმოდგენილ ამ სურათს სწვა საბუთებიც ადასტურებენ. მაგ., 1745 წლის 20 ივნისის დოკუმენტი, რომელშიც ეკითხულობთ — „საქართველოს დიდათ გამოჩენილს თავადს ჩვენს მეწინავე სარდარს ორბელიანს ქაიხოსროს შვილსა თქუენსა რევაზს, დავითს, ნიკოლოზს და მომავალთა სახლისა თქვენისათა...“ (სცია ფონდი 1450, დ. 15, ს. № 147 პირი), მაგრამ გვგონია, რომ ამ დოკუმენტის მონაცემები არ უნდა იყოს მართალი. დოკუმენტებში შვილები და შვილიშვილები, ვფიქრობთ, ყველა შვილებადაა დასახელებული. ამის თქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი მონაცემები: 1745 წლის 10 აპრილის ნასყიდობის დოკუმენტი (სცია, ფ. 1449, ს. 1002,

⁵⁹ დოკუმენტები საქ. სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 233.

⁶⁰ იქვე, გვ. 251.


* გ. ჯამბურია, დასახ. წიგნი, გვ. 147.

ს. № 58, პირი). ამავე წლის 1 დეკემბრის დოკუმენტი (სცია, ფ. 1448, ს. № 2989 დედანი), 1746 წლის 13 დეკემბრის საბუთში ვკითხულობთ: „სიველადგინებულ და მოგართვი მე — თაყაშვილმა როსტომ... თქვენ, ორბელიანს სარდალს ბატონს ქაიხოსროს, შვილსა თქვენსა რევას, შვილისშვილთა თქვენთა დავით და ნიკოლოზს...“ (სცია, ფ. 1450, დ. 15, ს. № 90, პირი. საბუთი იესე ოსეს შვილის მიერაა დაწერილი) სარდლის შვილადა დასახელებული მხოლოდ რევასი 1745 წ. 15 აპრილის საბუთში (სცია, ფ. 1450 და 15, № 89 პირი), 1747 წლის 8 მაისის დოკუმენტში (სცია, ფ. 1450, დ. 33, ს. № 280). ამ დოკუმენტების მონაცემების მიხედვით, გამოდის



ჩვენ ეს მონაცემები უფრო მართალი გვეჩვენებს, რადგანაც ქვემოთ ვნახავთ, როდესაც რევასის ოჯახურ მდგომარეობაზე ვისაუბრებთ, დოკუმენტები რევასის ვაჟებად ასახელებენ დავითს და ნიკოლოზს — „ყაფლანიანთა არზაში“ დავითის პაპადა დასახელებული ქაიხოსრო. „მამა ჩემმა უსუფ ბეგის ბრძანებით შვიდი სოფელი გამოართო პაპა მაგის და მე ერთი მეცხვარე ვერ დამიხსნია მაგის კელიდამ თქვენისთანა მალის კელმწიფის ბრძანებით“⁶¹.

ქაიხოსროს უნდა ჰყოლოდა ასულიც, რომლის სახელი არ ჩანს. ყაფლანიანთ არზაში მოთხოვნილია იმის შესახებ, რომ ქაიხოსრო აღუდგა თავის სახლსკაცებს, განიზრახა ყაფლანიანთა დაწიოკება. ამისთვის იგი დაუჟავშირდა აბდულაბეგს, რომელიც ანანურში იყო დაბანაკებული და მის ერთ-ერთ ვაჟს მიათხოვა ასული. „ახალდაბას სარდალმა ქაიხოსრომ შეიტყო, ყაფლანმა ქვეყანა გაიმაგრაო, შურმა აღძრა. წამოვიდა ახალ-დაბიდან და ანანურს მოვიდა. აბდულა-ბეგიც იქ იყო, ქალი მისცა იმის შვილსა და ყაფლანზე შემწეობა სთხოვა“. საბუთიდან არ ჩანს, აბდულაბეგის თუ რომელ ვაჟს მიათხოვა ასული. ჩვენი ფიქრით ქაიხოსროს ოჯახური მდგომარეობა ასე გამოიყურება.



ოსმალთა-ყიზილბაშობის პერიოდში ქაიხოსროს აქტიური პოზიცია ეკავა. ეს დასტურდება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ყაფლანიანთა არზითაც“, ერასტის მდივანბეგის სიკვდილის შემდეგ ქაიხოსროს უბოძეს მდივანბეგის პატივი. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1741 წელს ხელმწიფემ, ირანის შაჰმა, „განუახლა ყველას ჯამაგირი... ორბელიანს მდივანბეგს ქაიხოსროს ორასი თუმანი და ქართლის ვეჟილობა“, „რადგან ქაიხოსრო ორბელიანს მდივან-

⁶¹ საქ. სიძველენი, II, გვ. 535.

ბეგობა ჰქონდა და ვეჟილობაც ახლა უბოძა⁶². 1742 წელს დომენტი კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის გამგებელმა იმამყულიხანმა მცხეთის საეკლესიო ქონების კონფისკაცია გადაწყვიტა და ახლად არჩეულ კათალიკოსს, ნიკოლოზს, ყველა მოატანინა. ამ საქმეში სარდალი ქაიხოსრო და გივი ამილახვარი „გულსმოდგინებით გაისარჯნენ, — ამბობს ისტორიკოსი, — ისევ დაიხსნეს და მიაბარეს უკლებლივ კათალიკოსს საქონელი მცხეთისა⁶³. სარდალმა ქაიხოსრომ მონაწილეობა მიიღო თეიმურაზ II-ის კურთხევის ცერემონიაში. „ბრძანა მეფემ დროშათა გაკეთება. გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო. დროშა ოთხი ჯვართა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს⁶⁴. ამ დროშაზე ყოფილა წარწერა: „ჩვენ, კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ეს წინამძღოლსა ჩვენსა ამირსპასალარს ქაიხოსრო ორბელიანს, ოდეს ცხებულ ვიქმენით საცხებელთა სამეფოთა. თვესა ოკტონბერსა ა (1) დღესასწაულსა კათოლიკე ეკლესიისა სვეტიცხოვლისასა, ქრისტეს აქეთ ჩემე (1745), ქორონიკონს ულგ (433)⁶⁵.

ქაიხოსრო უნდა გარდაცვლილიყო 1748 წელს. პაპუნა ორბელიანი წერს: „სარდალი ქაიხოსრო მეფეს თეიმურაზს ერანის ქვეყანაში გაყოლოდა, მრავალჯამ ემსახურა და იქავ დამარცხებულიყო⁶⁶. იმავე პაპუნას ცნობით. თეიმურაზი სამშობლოში მობრუნდა 1749 წელს. „ბატონი შემობძანდა ქალაქში თვესა აპრილსა კ (20), ქორონიკონსა ულგ (1749 წ.)“.

ქაიხოსრო ცულად ყოფილა განწყობილი საკუთარ სახლისკაცებთან. ეს უკანასკნელნი ბევრი სიძნელისა და უბედურების მეთაურად მიიჩნევენ მას. ეს დასტურდება „ყაფლანიანთა არზიდან“.

ვახტანგ (ქაიხოსროს ძე) ასლანბეგის შვილიშვილი

ქაიხოსროს მეორე ვაჟის ვახტანგის შესახებ დაწვრილებით ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. XVIII საუკ. 40—50-იანი წლების რამდენიმე საბუთში გვხვდება სახელი ვახტანგი, რომელიც ჩვენი ფიქრით უნდა იყოს ვახტანგ ქაიხოსროს ძე. 1749 წლის 11 მაისის საბუთში ვკითხულობთ — „ჩვენ ორბელიანთ სარდალმა რევაზ, დივანბეგმა იოვანემ, ვახტანგ თვანგჩიადსმა ზაალ...“⁶⁷. როგორც ჩანს, ვახტანგს რაიმე გამორჩეული თანამდებობა არ ჰქონია. მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ ვერ დავადგინეთ რამე.

რევაზ (დიდი ქაიხოსროს შვილიშვილი)

რევაზ ქაიხოსროს ძე აღრევე ჩაება საქვეყნო საქმეებში. პაპუნა ორბელიანი წერს: „უბოძა მეფე ერეკლემ სარდლობა სომხით-საბარათაშვილოს რევაზ ორბელიანს, ვითაც ძველთავან მკვიდრად ამათი სახლის სახელო ყოფილიყო... და მერმე ამ რევაზის მამა — სარდალი ქაიხოსრო მეფეს თეიმურაზს ერანის ქვეყანაში გაყოლოდა, მრავალჯამ ემსახურა და იქავ დამარცხე-

62 პაპუნა ორბელიანი, გვ. 49.

63 პაპუნა ორბელიანი, გვ. 53.

64 იქვე, გვ. 102.

65 დასტურდომალი, პ. უმიკაშვილის გამოცემა, გვ. 168—169. შდრ. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 145.

66 პაპუნა, იქვე, გვ. 153.


67 სტია, ფონდი 1450, დ.10, ს. № 182 ბირი.



ბელიყო. ამანაც არა უგულებელს ჰყო შრომა მისი და თავისივე ხარისხი და პატივი შეილთავე უვისსა მიანიჭა⁶⁸. დაახლოებით ამასვე იმეორებს პაპმა მეორე ადგილას (იხ. გვ. 155). ეს უნდა მომხდარიყო 1748 წელს. 1749 წლის 11 მაისს დიმიტრი ორბელიანს ორბელიშვილები და მათ შორის სარდალი რევაზიც აძლევენ სახლისკაცობის რიგის წიგნს⁶⁹. ხელნაწერი S 1400 (49v)-ის ცნობით, რევაზი სარდალი მიიცივალა 23 ნოემბერს 1769 წელს. იგი, როგორც არქივის საბუთიდან ჩანს, სიკვდილამდე ფლობდა სარდლის სახელოს.

შედარებით ადრე, 1741—1742 წწ., რევაზს ნადირშაჰის მიერ ებოძა ეს სახელო. პაპუნათან ვკითხულობთ: „რადგან ქაიხოსროს მდივანბეგობა ჰქონდა და ვეჭილობაც ახლა უბოძა, სომხით-საბარათაშვილოს ჯარი მის ძეს რევაზს მიბარა და ასი თუმანი ჯამაგირი განუწესა“⁷⁰.

რევაზის ოჯახური მდგომარეობა შედარებით კარგად ჩანს. მართალია, მეუღლის სახელს ჩვენ ვერ მივაგენით. როგორც ზემოთაც დავიმოწმეთ, 1745 წლისათვის მისი ორი ვაჟის სახელი ჩანს. 1751 წლის 9 იანვრის საბუთშიც ორი ძე იხსენიება: „მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმა თეიმურაზ... საგელი გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა დიდათ ერთგულსა და ნამსახურსა... ჩვენის კარის მეწინავეს სარდარს, დიდებულს თავადს ორბელიანს რევაზსა და შვილთა თქვენთა დავითს და ნიკოლოზს, შვილთა და მომავალთა თქვენთა...“ (დოკუმენტები ოსმალეთის ისტორიისათვის (XVI—XIX სს., გვ. 277). 1766 წლის 3 ივლისის მამულის გაცვლის წიგნიდან თითქოს სამი ვაჟის სახელია: „თქვენს ორბელიანს სარდალს ბატონ რევაზს, შვილსა თქვენსა — სახლბუნტესს ბატონს დავათს, შვილსა თქვენსა — ბატონს ნიკოლოზს და პატარას ქაიხოსროს, შვილიშვილსა თქვენსა მეფის ასულის წულს იოანეს და კვალად შვილისშვილთა თქვენთა გიორგის, ზურაბს, ასლანს და მომავალთა სახლისა თქვენისათა...“⁷¹ აქედან განოდის:



დავით რევაზის ძე 1745 წლის საბუთში უკვე მოხსენიებულია (სკია, ფ. 1449, ხ. 1002, ს. 586, პირი და სხვ.). იგი მ. ტყემალაძის ცნობით, დაიბადა 1739 წლის 11 იანვარს (იხ. Тифлисский кафедральный собор Сиони, 1904, გვ. 161). კ. კეკელიძე დავითის დაბადების თარიღად 1716 წელს უჩვენებს, რაც არ უნდა იყოს მართალი (იხ. ტ. II, გვ. 309). მამის გარდაცვალების შემდეგ (1769 წ.) სარდლის სახელო მემკვიდრეობით მიუღია.

⁶⁸ პაპუნა, გვ. 153. ე. ცაგარეიშვილის გამოცემა.
⁶⁹ გ. ჯამბურია, დოკუმენტები ქართლის სათავადოების ისტორიისათვის XVII—XVIII სს. (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 23, 1962 წ., გვ. 144, სქ. 3.
⁷⁰ პაპუნა, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 49; შდრ. გ. ჯამბურია, გვ. 144, სქ. 3.
⁷¹ დოკუმენტი თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX), წიგნი I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, 1962 წ., გვ. 297, დაახლოებით ამავე შინაარსის საბუთია (1766 წ. აგვისტო), აქვე გამოქვეყნებული, გვ. 300.

დავით ორბელიანი მწერლობით დაინტერესებული პირი ყოფილა. ამა-
ბათ, ამანაც განაპირობა მისი ბესიკთან დიდი მეგობრობა. ბესიკსა და
ლექსი აქვს მიძღვნილი მისდამი). მას ქართულად უთარგმნია „ქარამანიანი“. არქივული
წიგნი
ხელნაწერთა ერთი ჯგუფის მიხედვით, თარგმანი შესრულებულია სპარსული-
დან (H 78, 280, 1041, 2118), ხოლო ზოგიერთი ნუსხა მიუთითებს, რომ „თურქ-
თა ენისაგან ქართულსა ენსა ზედა თარგმნილი“ (H 57, 331, 1376, 2364,
S 174). თხზულება თარგმნილია 1762—1774 წლებში (კ. კ-ე, ტ. II, 1941,
გვ. 310).

დავით ორბელიანს ლექსების წერაც ეხერხებოდა. მას ეკუთვნის ლექსი
„პირზედ გაქვს ხალი და შავი თვალი“ (ე. თაყაიშვილი, Описание, II, 178).

დავითი დაქორწინებულია ერეკლე II-ის ასულზე **თამარზე**. ერეკლე II-ს
თამარი და გიორგი (შემდეგში მეფე გიორგი XII) შეეძინა მეორე მეუღლისა-
გან — ანა ზაალის ასული აბაშიძისაგან. ანა აბაშიძე ერეკლემ შეირთო 1745 წ.
ხოლო გარდაიცვალა იგი 1749 წ. 6 დეკემბერს⁷². მაშასადამე, თამარი 1747—49
წლებში დაბადებულია. მ. ტყემალაძის წიგნში⁷³ გამოქვეყნებული აქვს „Мо-
гилы царственных особ“ მ. ტყემალაძის წიგნის ცნობით (წყაროს არ მიუ-
თითებს, არც ეპიტაფიის წარწერა მოაქვს), თამარი დაბადებულია 1749 წლის
11 ივლისს, ხოლო გარდაცვლილა 1786 წ. 4 აგვისტოს (გვ. 101).

დავით სარდალი პირველ ხანებში მეფის დიდი მხარდაჭერით სარგებლობ-
და, იგი იყო ასანიძის გმირი, მაგრამ შემდეგ, როგორც პლ. იოსელიანი წერს:
„აგრილებდნენ გულსა მისსა (ე. ი. მეფის)“. სწორედ ამის გამო მიუთითებს
პლ. იოსელიანი: „არაკლი მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ სიძესა მის-
სა სარდალსა და სახლთხუცესსა დავით ყაფლანიშვილსა, თამარის მეუღლეს,
მიუღო მეფემან სახლთხუცობა...“⁷⁴ მეფეს ნდომია სარდლობის ჩამოართმევაც.
მაგრამ მაშინ მოახსენა დავით სარდალმა — „სახლთხუცესობა თქვენი ნაბო-
ძებია და მიირთვიით, მაგრამ სარდლობას კი ვერ ჩამომართმევით, ყაენის ნა-
ბოძებია და რაყამი შინ მიძევსო“⁷⁵. მაშ გამოდის:

დავითი + თამარი ერეკლე II-ის ასული

საინტერესოა, რომ მეფის სიძე, გამოჩენილი სარდალი ზშირად მატერია-
ლურ ხელმოკლეობასაც უჩივის. შემორჩენილია 1776, 1777 წ. ჩანაწერები: „ამ
წელს (1776 წ.) დავით სარდალს ვასესხე პური კოდი კ (20)“ 1777 წელს უსეს-
ხია 27 კოდი პური⁷⁶.

თამარი გარდაიცვალა 1786 წელს. იგი მშობიარობას გადაჰყოლია. დავითი
გარდაიცვალა 1796 წლის 29 მაისს. ანტონ I, თამარის გარდაცვალებასთან და-
კავშირებით, სამძიმრის წერილი მიწერა ერეკლე II და მის მეუღლეს დარე-
ჯანს. წერილში იგი ახსენებს ობლებს: „ეს საწყალი კაცი სარდალი თქვენიც

72 პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი მეათსამეტისა, აკ. გაწურელის შე-
სავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936 წ., გვ. 3.

73 Тифлисский кафедральный собор Соини. 1904.

74 პლ. იოსელიანი, იქვე, გვ. 14.


75 ციტატი ამოღებულია გ. ჯამბუტიას წიგნიდან, ქართული ფეოდალური ურთო-
ერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 145.

76 მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით,
1953, გვ. 135).

შესამატია და ქვეყნისაც და ამასა და იქ თქვენის ქალის ობლებს
თქვენგან ნუგეში ეცემოდათ“⁷⁷.

ობლების სახელები A 1118 ხელნაწერის (148r) მიხედვით შემდეგია: ივანე, ყაფლან, მარიამ, ანა, ბარბარე, თინათინ, ეკატერინე, ქეთევან. მარიამი გათხოვილა როსტომ ერისთავზე; ანა — აბელ ანდრონიკაშვილზე; ბარბარე — ივანე ანდრონიკაშვილზე; ეკატერინე — გიორგი ამილახვარზე; ქეთევანი — ციციშვილზე.

ს. კაკაბაძემ 1929 წ. გამოაქვეყნა წერილი „წვრილი შენიშვნები და მასალა“⁷⁸. აქ დასტამბულია პლ. იოსელიანის ცნობები ერეკლე II-ის ოჯახის ცალკეულ წევრთა შესახებ. აქ დაბეჭდილი ცნობებით, დავით-თამარის ოჯახი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა. მათ ექვსი ქალი და ორი ვაჟი ჰყოლიათ.



იონე

დავითის შვილებიდან უფროსი ვაჟი, იგი იხსენიება 1766 წ., 1794 წ. 1 აპრილს, 1800 წლის 31 მაისის, 1802 წ. 4 ნოემბრის საბუთებში⁷⁹. იონეს მემკვიდრეობით მიუღია სარდლობა. გატაცებული ყოფილა მწერლობით. დავით რექტორის ცნობილ ანთოლოგიაში შეტანილია ერთი ლექსი სათაურით: „თავადის იონე სარდლის ორბელიანისაგან თქმული“.

„ჭმუნვისა ბაღნაროვანთა ვჰსწყევ ვპირვარდთა ხებული“ (S 1512, 93r—94v).

იონეს სარდლის სახელო უნდა მიეღო 1796 წელს, მამის — სარდალ დავითის გარდაცვალების შემდეგ. იგი ორბელიშვილთა გვარიდან უკანასკნელი სარდალია, რომელსაც ამ თანამდებობაზე დიდხანს არ უმოღვაწია. 1801 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ იგი უჯარო სარდალდ დარჩა⁸⁰. რუსეთის მთავრობამ მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა. იონე ივანე რუსების მომხრე ყოფილა⁸¹. ალექსანდრე ორბელიანი მას კარგად არ ახასიათებს (ალბათ, რუსეთის მომხრეობისათვის), „დავით სარდლის შემდეგ რაღაც

77 მ. ქავთარია, XVIII ს. ქართული საზოგ. აზროვნების ისტორია, 1971, გვ. 127.

78 იხ. საისტორიო კრებული, წიგნი IV, 1929, გვ. 115—119.

79 იქვე, გვ. 116.


80 გ. ჯამბურია, დასახელებული წიგნი, გვ. 144.

81 Акты, I, ст. 325, 330.



ზარახურა ხალხი დარჩა ჯამბაკურ-ორბელიანები... დავით სარდღის შვილი ივანე სარდღლი რაღაც უბრალო ლეში იყო, მეითარ თარხნიშვილის შვილი...


იოანეს ცოლის სახელს ჩვენ ვერ მივაგენით. ოჯახური მდგომარეობა ასეთია — ჰყავდა ორი ვაჟი და ქალები: **ლუარსაბი**, **დავითი**, **სალომე**, **ეკატერინე** და*. იოანე ოსესძის ცნობით, „1800 წ. 20 დეკემბერს ს. ჭალაში შეიყარნენ ბატონიშვილები — იულონ, ვახტანგი, ფარნაოზ. აფიცებდნენ ხალხს იულონის მეფობისათვის. გიორგი ამილახვარი თბილისში გაერიდა გრამოტის მოსასმენათ, ამის ცოლმა ეკატერინემ და მისმა დამ-თუმანიშვილის ცოლმა, არ დიფიცეს, ამიტომ იულონმა დაატუსაღა... ეკატერინე 19 წ. ირაკლის ასულ თამარის შვილის ივანე სარდღის ორბელიანის ქალი იყო (†1813 წ. 15/III) (იხ. ა. ი. ო. ს. ე. ლ. ი. ა. ნ. ი., საქართველოს ქრონიკები, გვ. 219). სალომეს ივანე ორბელიანის ასულად ასახელებს АКТЫ-ში გამოქვეყნებული საბუთი (ტ. VIII. შდრ. გრ. ორბელიანის წერილები, ტ. I, გვ. 230).



სალომე ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ჭავჭავაძეს და, როგორც ცნობილია, შეეძინათ ოთხი შვილი: ნინო, ეკატერინე, სოფიო და დავითი.


ლუარსაბი

ლუარსაბ იოანეს ძე იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. გამოძიების აქტებში მის შესახებ დაცულია საინტერესო ცნობები. სწორედ ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ იგი დაბადებულა 1793 წელს (1832 წლისათვის იგი ყოფილა 39 წლის) ლუარსაბი დაქორწინებულა თამაზ ორბელიანის ასულზე ანაზე. ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის ცნობით, ანა თავისი სილამაზით ყველასაგან გამოირჩეოდა... „მე მისი მსგავსი მშვენიერი ქალი არ მინახავსო“ აცხადებს იგი (იხ. S 1659, გვ. 21). „ამ დროებაში სარდღის ივანეს შვილის ლუარსაბისა და ეშვიკაბაშის თამაზის ქალის ანას (ორივე სახლი ორბელიანები) ქორწილი მოხდა თავად სულხან ბეგთა ბეგის დიდ სახლს დარბაზში“ (იხ. S 1662, გვ. 1) შეეძინათ ორი ასული, ელენე (რომელსაც ზედმეტ სახელად ცაქალოსაც ეძახდნენ) და მარიამი.



82 ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები..., 1914, გვ. 35.


ელენე გაუთხოვებით ზაქარია ერისთავზე, ხოლო მარიამი ნიკოლოზ ლავანდიშვილზე⁸³.



ლუარსაბი გარდაცვლილა 1834 წლის ივლისში⁸⁴.

დავითი

დავითი იოანეს მეორე ვაჟია, რომელიც ივ. ლოლაშვილის ცნობით, დაბადებულია 1801 წელს⁸⁵, გარდაცვლილა 1830 წლის 2 იანვარს⁸⁵. 1824 წელს დაქორწინებულა იგი მანანა მირმანოვის ასულ ქსნის ერისთავზე, რომელიც ჩვენი კულტურის ისტორიაში კარგად ცნობილი ქალია (1807 წ. 15 აგვისტო—1870 წ. 1 ივნისი). მანანას დედა იყო დავით აბაშიშვილის ასული თამარი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა (19 წლის) გარდაცვლილა 1809 წელს. (ამ თამარის დედა სალომე მუხრანბატონების შტოს ეკუთვნოდა, იყო ასული სვიმონ მუხრანბატონისა)⁸⁶. დავითსა და მანანას ჰყოლიათ სამი შვილი: ივანე, ანასტასია და ალექსანდრე.



ყაფლანი

ყაფლან დავითის ძეს ოჯახური მდგომარეობა კარგად არ ჩანს. არც მისი მეუღლის სახელი ვიცით. ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, ყაფლანი უმემკვიდროდ გადასულა⁸⁸. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ მას ქალიშვილები არ შეიძლებოდა ჰყოლოდა.

⁸³ შდრ. მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკ. პირველი ნახევრის ქართულ-საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, 1983 წ., გვ. 152—153.

⁸⁴ ვრ. ორბელიანის წერილები, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო აკ. გაწერელამ. იხ. 22—23 წერილები.

⁸⁵ ივ. ლოლაშვილი, ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან, 1980 წ., გვ. 104.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ ე. თაყაიშვილი, იკორთის ნაქარგობანი, აკადემიის მოამბე, X, № 1, 1949, გვ. 62.

⁸⁸ შდრ. მ. ბერძენიშვილის წიგნი, გვ. 154.

⁸⁸ მ. ბერძენიშვილი მასალები, II, გვ. 151.

ყაფლან დავითისძეს გარდაცვალებაზე პ. ლარაძეს უთქვამს გამოსათრ-
ვარი ლექსი, რომელიც დავით რექტორის ცნობილ ანთოლოგიაშია შემოსული.
„მოდით დასად, სისხლის ცრემლთა მდენელნო,
საყვარელნო, ტოლნო, ვერ დამომენელნო...“ (S 1512, 282r).


თინათინი

დავითის ერთ-ერთი ასულის სახელი ყოფილა თინათინი, რომელიც სო-
ლომონ თარხნიშვილის მეუღლე გამხდარა.


თინათინი + სოლომონ თარხნიშვილი

ნიკოლოზ

ნიკოლოზ რევაზის ძე, ნარატიული წყაროების მიხედვით, არ ჩანს ისეთი
აქტიური როგორც მისი უფროსი ძმა. მ. ტყემალაძის წიგნის მიხედვით, იგი
დაბადებულია 1742 წლის 29 მარტს⁸⁹. როგორც ზემოთაც დავიმოწმეთ, 1745
წლიდან საბუთებში მისი სახელი ჩანს. მისი სახელი გვხვდება 1766 წლის 1
ივლისის დოკუმენტში. ვიმოწმებთ ამ საბუთს კიდევ: „თქვენ, ორბელიანს
სარდალს ბატონს რევაზს, შვილსა თქვენსა სახლთუხუცესს ბატონს დავითს,
შვილსა თქვენსა ბატონს ნიკოლოზს და პატარას ქაიხოსროს, შვილიშვილსა
თქვენსა მეფის ასულისწულს იოანეს და კვალად შვილისშვილთა თქვენთა გი-
ორგის, ზურაბს, ასლანს და მომავალთა სახლისა თქვენისა...“⁹⁰ ამ საბუთიდან
გამოდის:



დასახელებული ვაყები რომ ნამდვილად ნიკოლოზის მემკვიდრეები არიან,
თვით საბუთის ტექსტიდან ჩანს. დავითის ვაჟის სახელი დედასთან ერთად
ცალკეა, ქაიხოსრო კი მითითებულია, როგორც თვით პატარა. ეს ფაქტი სხვა
საბუთებთანაც დასტურდება. ალ. ორბელიანი დასახელებული ვაყების გარდა
ნიკოლოზის შვილებად ასახელებს: იოსებს, სოლომონს, სამარადლოს და
იაკობს (S 1654, გვ. 2—4). ქალები ჰყავდა თუ არა ნიკოლოზს, საბუთებიდან
არ ჩანს. მაშასადამე:



ნიკოლოზი გარდაიცვალა 1803 წ. 28 აგვისტოს (იხ. მ. ტყემალაძის წიგნი).

⁸⁹ М. Ткемаладзе, დასახელებული წიგნი, გვ. 102.

⁹⁰ დოკ. თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), 1962, გვ. 297.

გიორგი ნიკოლოზის ძის შესახებ ალ. ორბელიანი წერს: „ამ ივანე სარდალს (დავითის ძე) ბიძაშვილი გიორგი ცარიელი ლაპარაკი იყო. დასომდით, უცხოთ, შუშნიერის სიტყუტბით ილაპარაკებდა, რაც უნდა ყოფილიყო და ამაზე მეტი კი აღარაფერი“ (ხელნაწერი S 1654, გვ. 4). გრ. ორბელიანი, რომელიც თავის წერილებში თითქმის ყველა ორბელიანს ახსენებს, გიორგი ნიკოლოზის ძეს იშვიათად მოიხსენიებს.

ზურაბ

გრიგოლ ორბელიანის ერთი წერილის მიხედვით, ვფიქრობთ, რომ ნიკოლოზის შთამომავლები უნდა იყვნენ გრიგოლ ორბელიანი და მისი ძმები. იგი ძმას, ზაქარია ორბელიანს, წერს: „გეთაყვა, ზაქარიაე! ნულარ მარჯალე, მომწერე მალე შენი ამბავი დაწვრილებით. ბიძია ასლანს, იაკობს, სამარადლოს უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ, აგრეთვე ძალუებს ერთობლივ“⁹¹. დასახელებული პირები მხოლოდ მაშინ იქნებოდნენ ბიძები, თუ გრიგოლს დასახელებული პირების ძმის ვაჟად ვიფიქრებთ. ი. მეუნარგიას ცნობით, ზურაბის ძმები იყვნენ ასლანი და იოანე (ცხოვრ. გრ. ორბელიანისა, 1905 წ., გვ. 4).

ზურაბი დიმიტრის სახელითაც გვხვდება. ჩვენ ვერ ვხსენით ამ ორმაგი სახელის გაჩენის ფაქტი. ზურაბის სახელი გვხვდება პირველად 1766 წლის 8 ივლისის დოკუმენტში⁹². მამასადამე, დაბადებულა იგი XVIII საუკ. 60-იან წლებში (მის მომდევნო ძმის ასლანის დაბადების თარიღად ჩვენ ვიღებთ 1766 ან 1765 წლებს).

ზურაბი იხსენიება 1802 წლის 3 მარტის საბუთში⁹³. ალ. ორბელიანი თავის ჩანაწერებში მას დიდად არ აქებს: „ზურაბი იყო მყვირალა კაცი, თუ არ ყვირილით, არას იტყოდა და ძალიან ქაღალდის მოთამაშე. ოღონდ ქაღალდი ეთამაშა ამხანაგებთან, თორემ ცა ქუჭყანას დასცემოდა, არ შეიძრვოდა ადგილიდამ, მინამ არ წააგებდა, ან არ მოიგებდა“⁹⁴.

ზურაბი დიმიტრი დაქორწინებულია ერეკლე II შვილიშვილზე — ხორეშან ანდრონიკაშვილზე. ერეკლეს ასული ელენე (დაიბადა 1754 წ.) პირველად გაუთხოვებიათ იმერთა ბატონიშვილზე არჩილზე (ალექსანდრე V-ის იმერთა მეფის ძე). 1765 წელს მიიცვალა არჩილი⁹⁵ და ელენე გაუთხოვებიათ მეორედ ქიზიყის მოურავ ზაქარიაზე⁹⁶. მათი შვილი ხორეშანი შეურთავს (1784—1833 წწ.) ზურაბ დიმიტრი ორბელიანს. დაქორწინებულან მ. ბერძინშვილის სიტყვით 1799 წელს, როდესაც ხორეშანი 15 წლის იყო. მეუნარგიას ცნობით, 13 წლის გაუთხოვებიათ. შეეძინათ სამი ვაჟი — გრიგოლი, ზაქარია, ილია და ერთი ქალი ეფემია.

⁹¹ გრ. ორბელიანი, წერილები, I. ავ. გაწერელის რედ. წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 16.


⁹² დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVII—XVIII სს.), 1962 წ. I, გვ. 297.

⁹³ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, გვ. 144.

⁹⁴ S 1654, გვ. 4.

⁹⁵ ქრონიკები, III, გვ. 293.

⁹⁶ მ. ბერძინშვილი, მასალები... II, გვ. 135. შდრ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XI, გვ. 44.



ზურაბ||დიმიტრის მიიჩნევს ზაალ (ზაქარია) ორბელიანის შვილად ტრ. რუხაძე. მისი აზრით, დიმიტრი (გრიგოლის მამა) იყო ბეგლარის (იგივე პეტრეს) ძმა⁹⁷. მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი. ზაალ ორბელიანს მართლაც ჰყავდა ვაჟი დიმიტრი, რომელიც დაქორწინებული იყო ანა ჩოლოყაშვილზე. იგი იყო უშვილო (მ. ბერძნიშვილი, მასალები, გვ. 179).

გრიგოლ

გრიგოლ ორბელიანი (1804—1883 წწ.) არ დაოჯახებულა და, ცხადია, მემკვიდრეებიც არ ჰყავდა. გრიგოლი ბავშვობაში დაუნიშნავთ ზაალ ორბელიანის ვაჟის — ყაფლანის ასულ სოფიოზე. სოფიო ამ დროს სამი წლის ყოფილა. ეს ქორწინება არ შედგა. სოფიო გაჰყვა რუსის ჩინოვნიკს ბეზაკს (ი. მეუნარგია, ცხ-ბა გრ. ორბელიანისა, 1904, გვ. 20).

ზაქარია

ზაქარია დაბადებულია 1806 წელს. სამხედრო სამსახური დაუწყო 1824 წელს. გარდაცვლილა 1847 წ. 11 ივნისს⁹⁸.

ზაქარია დაქორწინებულია 1835 წ. 10 თებერვალს ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი მესხიშვილის ასულზე, ქეთევანზე (1812—1895 წწ.)⁹⁹.

ზაქარია + ქეთევან

↓
სანდრიკო ხშირად იხსენიება გრ. ორბელიანის წერილებში.

ილია

უმცროსი შვილი ზურაბ||დიმიტრი და ხორეშან ორბელიანებისა. დაბადებულია იგი 1814 წელს. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1834 წლიდან. 1852 წელს გახდა გენერალ-მაიორი.

1842 წელს ტყვედ ჩაუვარდა შამილს. ტყვეობაში დაჰყო 8 თვე¹⁰⁰. დაიხსნა მ. ზ. არღუთინსკი-დოლოგორუკოვმა. 1853 წ. 8 დეკემბერს გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქაშვეთის ეკლესიაში (ცხოვრება გრ. ორბელიანისა, გვ. 1).

1852 წლის აპრილში დაქორწინდა გიორგი XII-ის შვილიშვილზე, ილიას ასულ ბარბარეზე. იგი იყო ქვისლი დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის (იულონ ბატონიშვილის ასული ანა ჰყავდა ცოლად დავითს).


⁹⁷ ტრ. რუხაძე, ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 169.

⁹⁸ გრ. ორბელიანის, წერილები, I, გვ. 220—221.

⁹⁹ იქვე, გვ. 231—232.

¹⁰⁰ მ. ბერძნიშვილი, მასალები..., გვ. 150.

ილიას შესძენია ტყუბი ვაჟი¹⁰⁰. გრ. ორბელიანი 1853 წლის 28/IV სწერდა ბაბაღე საგინაშვილს: „მოვედი ზაქათალას და დამხვდა სამხიარულო ამბავი: ილიკოს ორი ვაჟი...“¹⁰¹



ეფემია

ეფემია ნიკოლოზ ბარათაშვილის დედაა, გარდაცვლილა 1849 წელს. იგი ცოლად ჰყავდა მელიტონ ბარათაშვილს (გარდაიცვალა 1860 წელს). საკმაოდ დიდი ოჯახი ჰქონდათ. წვრილშვილები იყვნენ.

იოსებ (ნიკოლოზის ძე)

იოსებ ნიკოლოზის ძეს შესახებ ვრცელი ინფორმაცია არ გვაქვს. მისი სახელი გვხვდება გრ. ორბელიანის წერილებში, იგი პოეტის ბიძა იყო. ჰყავდა სამი ვაჟი გიგო, ივანე, სანდრო¹⁰².


სოლომონ (ნიკოლოზის ძე)

სოლომონ ნიკოლოზის ძის სახელი XIX საუკ. დოკუმენტებში გვხვდება.

სამარადლო (ნიკოლოზის ძე)

სამარადლოს ცოლად ჰყოლია გიორგი ავალიშვილის ძმის, სოლომონ ავალიშვილის, ასული ელისაბედი (Q 553, მინ. 1r). 1829 წელს გიორგი ავალიშვილი სამარადლოს ულოცავს სამხედრო ოპერაციებიდან მშვიდობით დაბრუნებას. 1829 წელს მის ქალიშვილს ბარბარეს ასაჩუქრებს ხელნაწერით.

სამარადლო + ელისაბედი სოლომონის ასუდი ავადიშვიდი



იაკობ (ნიკოლოზის ძე)

იაკობი დაქორწინებულია ნინოზე. გრ. ორბელიანი ძალუა ნინოს ეძახის მას. შესძენიათ ქალიშვილი სოფიო, რომელიც გაუთხოვებიათ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლ-მირსკიზე. გრიგოლი წერს: „ძალუა ნინოს სიძე კნიაზი

¹⁰¹ ი. მეუ ნ ა რ გ ი ა, ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა, 1904 წ., გვ. 153.
¹⁰² იქვე, გვ. 114.



მირსკი მოვიდა დღეს ჩემთან. მიკვირს, როგორც მომხდარა ეს საქმე. მირსკი უცხო, ჭკვიანი ყმაწვილი კაცია და ძალიანაც მიხარის სოფიკოსათვის“¹⁰³.

იაკობი + ნინო

↓
სოფიამ + დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლ-ვირსკი

დაბადებულია სოფიო 1824 წ. 1 დეკემბერს, გარდ. 1850 წ. 14 ივნისს¹⁰⁴.

ასლანი

ასლან ნიკოლოზის ძე ფლობდა ეშიკალასბაშის სახელოს. Hd 13004 საბუთში, რომლის თარიღია 1766 წლის 8 ივლისი, იგი იხსენიება. დაბადებულა იგი 1766 წელს ან 1765 წელს. ასლანს თანამედროვენი ძალიან კარგად ახასიათებენ. იოანე ბატონიშვილის ცნობით, მან იცოდა თათრული, სპარსული, არაბული¹⁰⁵. ალ. ორბელიანის სიტყვით, „ამათ ძმას ასლანს უნდოდა მითამ დავით სარდლის როლი ეთამაშა საქართველოში, იმისთანა გულფიცხელი კაცი იყო, მაგრამ არც ტანი ჰქონდა იმისი, არც სახე, არც იმის გონება და არც იმისი მოხერხება. ის იყო გამხდარი, არც მაღალი ტანისა. გული კი წრფელი ჰქონდა“ (S 1654, გვ. 4).

ასლანს ცოლად ჰყოლია გიორგი ციციშვილის (ხათა გიორგის) ასული მამასადამე, იგი გიორგი XIII ქვისლი ყოფილა.

ასლანი + X (გიორგი ციციშვილის ასული)

↓
ეკატერინე

↓
ანა

↓
ყაფლანი

ასლანი დოკუმენტებში იხსენიება 1800 წლის 11 იანვარს, 1802¹⁰⁶, 1807 წ. 1810 წ. მარტის 6¹⁰⁸. ეკატერინე ცოლად გაჰყოლია შალვა რევაზის ძე ერისთავს. ეკატერინა გარდაცვილია 1877 წ.

ეკატერინა + შალვა რევაზისძე ერისთავი
ანა ცოლად გაჰყოლია ზურაბ მეღქისედექ ჭავჭავაძეს
ანა + ზურაბ მეღქისედექის ძე ჭავჭავაძე

ყაფლანი

ყაფლან ასლანის ძე გარდაცვილია 69 წლის ასაკში 1878 წლის 13 აგვისტოს. მამასადამე, დაბადებულა 1813 წელს. დაქორწინებულა იგი ელისაშედ

¹⁰³ გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 199.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 303.

¹⁰⁵ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, გვ. 169.

¹⁰⁶ კალმასობა, წ. I, 1936 წ., გვ. 233.

¹⁰⁷ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, გვ. 144.

¹⁰⁸ იქვე, წიგნი III, გვ. 145.



ბარათაშვილზე. საფიქრებელია, რომ ყაფლანისათვის ეს იყო მეორე ქორწინება, რადგანაც 1839 წელს გრიგოლ ორბელიანი მას ქვრივად იხსენიებს. „ყაფლან ჯერ ისევ ქვრივად არის“¹⁰⁹. ეს ფაქტი ელისაბედს არ უნდა ეხებოდეს, რადგანაც ყაფლანსა და ელისაბედს შეეძინათ ვაჟი 1845 წლის 25 მაისს. ელისაბედი 67 წლის ასაკში გარდაცვლილა 1892 წელს, მაშასადამე, დაბადებულა 1825 წელს. შვილი **დავით** გარდაცვლიათ 17 წლის ასაკში, 1862 წლის 19 აგვისტოს¹¹⁰. მაშასადამე, დაბადებულა 1845 წელს.

ყაფლან ასლანის ძე უნდა იყოს მოხსენებული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ღამე ყაბაჩხედ“ (ასე ვარაუდობენ გამომცემელი):

„სთქვი რამ, გეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,
თუ თავსა უფლად ახლა პრანჭვას ნუკი მოჰყვები,
ყაფლანც, სულდგმული აშოკობით დაილიღენებს
გულის სკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს“.

ნიკ. ბარათაშვილის თხზულებების 1945 წლის აკადემიური გამოცემის კომენტარში ვკითხულობთ, რომ „ყაფლანი — ასლან ორბელიანის შვილი, პოეტის მახლობელი. მეგობარი და ნათესავი (დედის მხრით)... გარდაიცვალა 1837 წლის 13 ივნისს“¹¹¹. ეს თარიღი არ შეიძლება მართალი იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ გრიგოლ ორბელიანი მას 1839 წელს ცოცხლად ასახელებს.

ყაფლანი + ელისაბედ ბარათაშვილი
|
დავით

ნიკ. ბარათაშვილის 1841 წ. 18 ოქტომბრის წერილი გვაფიქრებინებს, რომ ყაფლანს სხვა ვაჟიც უნდა ჰყოლოდა. პოეტი წერს: „ყაფლანს ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანურად, თუმცა ხანება ნათლობა არ იციან“¹¹².

ქაიხოსრო

ქაიხოსრო რევაზის ძე 1766 წლის ზემოდამოწმებული საბუთის მიხედვით, ძმებში ყველაზე უმცროსია.

ოთარი

ასლანის მესამე ვაჟია ოთარი, რომლის დაწვრილებითი თავგადასავალი ჩვენთვის უცნობია. 1702 წლის 15 აპრილის დოკუმენტში იგი ბაზიერთუხუცესის ტიტულით გვხვდება. „... თქვენ — ორბელიძეთ ასლან-ბეგის შვილს, სარდარ სახლთ-უხუცესს ლუარსაბს, ძმათა თქვენთა: ბაზიერთუხუცესს ოთარს...“¹¹³ ეს სახელო მას გაცილებით ადრე მიუღია. იგი ჯერ კიდევ მამის საცოცხლეში, 1696 წლის 15 სექტემბერს იხსენიება ბაზიერთუხუცესად. „ჩვენ, ბიძათქვენმა

¹⁰⁹ გრ. ორბელიანის წერილები, I, გვ. 51.
¹¹⁰ ივ. ლოლაშვილი, ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან, 1980, გვ. 105.
¹¹¹ იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 99.
¹¹² იქვე, გვ. 80.
¹¹³ საქ. სიძველენი, II, გვ. 445.

პატრონმა ასლან, შვილმა ჩემმა... ბაზიერთუხუცესმა პატრონმა ოთარი¹¹⁴ ბაზიერთუხუცესად იხსენიება ანა ქსნის ერისთავის მზითვის წიგნში¹¹⁵ თვლილ პირთა შორისაც¹¹⁵. ეს ოთარი იხსენიება ერეკლე I-ის მიერ სულხან-საბა ორბელიანის შემორიგების წიგნში: „წიგნი მოგეწერათ და ოთარი გეახლე-ბინათ“. ოთარის ოჯახური მდგომარეობა ჩვენთვის უცნობია. ოთარი ძმებთან ერთად დამოწმებულია Sd 1239 (XVII ს.); Hd 1253 საბუთის მიხედვით, ოთარს სახლთუხუცესის სახელოც ჰქრია. ამავე საბუთით ოთარს ჰყავდა ვაჟიშვილი ოთარი.

ოთარი + X
↓
ოთარი

მანუჩარ

ასლანის მეოთხე ვაჟი. მას ჰქონია მოლარეთუხუცესის პატივი. ყველა ზემოთ დამოწმებულ საბუთში, მოყოლებული 1696 წლიდან, იგი ძმასთან ოთართან ერთად მოხსენებულია როგორც მოლარეთუხუცესი. ამიტომ საბუთების კვლავ დამოწმების აუცილებლობა არ არის. მანუჩარი მოწმედ არის დასახელებული 1736 წლის ნასყიდობის წიგნში: „ესე უტყუარი და მიუცი-ლებელი წიგნი მოგეცით ჩვენ, ზაზუნასშვილმა ზაზამ... თქვენ, ორბელიანს ვახუშტის შვილს... არის ამისი მოწამე... კაცთაგან — სარდალი ბატონი ჯაი-ხოსრო, მოლარეთუხუცესი მანუჩარ...“¹¹⁶. არც მანუჩარის ოჯახური მდგომარეობის შესახებ ვიცით რამე.

1723 წლის დოკუმენტით (სცია, ფ. 1450, ფ. 38, № 121) მანუჩარის შვილად დასახელებულია ბარძიმ, ორბელისშვილი ბარძიმ. ეგევე ბარძიმი უნდა იგულისხმებოდეს 1734 წლის 1 მარტის საბუთში Ad 581-ში.

მანუჩარი + X
↓
ბარძიმ

ეს ბარძიმი უნდა იყოს ელისბარ და ვახტანგ ორბელიანების 1735 წლის 22/III ნასყიდობის წიგნში რომ იხსენიება მოწმეთა შორის (სიძველენი, III, გვ. 381). ბარძიმს ჰქონია ბექედი, რომლის ლეგენდა ასეთია: „მონა ღვთისა ბარძიმ ორბელიანი“. ამ ბექედით ამოწმებს იგი 1736 წლის 8 სექტემბრის ნასყიდობის წიგნს (სიძველენი, II, გვ. 385).

¹¹⁴ იქვე, გვ. 170, Sd 563.

¹¹⁵ იქვე, გვ. 430, Sd 759.

¹¹⁶ იქვე, გვ. 388, 384.


ასლანის მეხუთე ვაჟი. იგი ძმებთან ერთად იხსენიება საბუთებში. ფლავიუსი და მეჯინიბეთუხუცესისა და ეშიკადასბაშის სახელს. 1721 წლის აღწერაში ცოცხალი ჩანს¹¹⁷. არც ამის ოჯახური მდგომარეობის სურათია ჩვენთვის მთლად ნათელი. Hd 15052 საბუთით, რევაზი სახლთუხუცესის ძეა და ჰყავს ვაჟი ოთარო.

რევაზი + X



ოთარო

1732 წლის მარიამობის თვის გასულის ნასყიდობის წიგნით (Hd 9452) ვგებულობთ, რომ მას ჰყოლია ასული მარიამი, რომელსაც სამი ვაჟი ჰყოლია. სამწუხაროდ, ვისზე იყო გათხოვილი მარიამი, არ ჩანს, დოკუმენტში ვკითხულობთ: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეციო ჩვენ, გერმანოზიშვილმა ლუარსაბ და შვილმა ჩემ[მა] გიორგიმ და სახლისა ჩემისა მამავალმა თქვენ, ყაფლანისშვილის რევაზის ქალს მარიამ, შვილს თქვენს თამაზს, როსტომს და ნიკოლოზს და სახლისა თქვენისა მამავალს, ასე რომე დამეჭირა და ჩემის ნება-წადინითა მოგყიდე აბელისშვილი მამულა, ზუზიაურითა, მითითა, ბარითა, შესავალითა, გასავალით, წყლითა, წისქვილითა, სახლითა, კართა, ვენაჯითა...* ამ ძუნწი ცნობების მიხედვით:




117 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წიგნი IV—V, გვ. 343. თითქმის ყველა ცნობა ძმების შესახებ დამოწმებულია ამ წიგნში.

* საბუთს ახასიათებს ამეტობა.




ყაფღანენი + თაგარე ვანიღანეჰილ ესუღი




ვანუჰენა + ზანცენეზი

ანღენი + თაგარე დონის ესუღი დინსაგოჰა




დონისეზი -
ვანიმსეჰი

დინსაგოჰა + ანღენი ვანიმსეჰილ ვანიღენეჰილ ესუღი




ანღენი + ვანცენეზი ვანუჰენიღილ ან ვანიღანეჰი



დინსაგოჰა + x

ვანიმსეჰი + თინათინი (I ქოჩინეჰა)

ვანიმსეჰი + ანღენი (II ქოჩინეჰა)



ჩვევებ + X

უსუბი + უბეზრებელი ვაჟი

ღვთობა

ნიკოლოზ

ქაიხოსრო

ღვთობა

+ თამარი

ოქანა

ყაფლანა

მარიაში

ანა

ბარბარა

თინათინი

ქათავანი

ოქანა + X

ვახტანგა

დუარსაბ

ღვთობა

სამეა

ვახტანგა

X + თუმანიშვილი

(ვიოჩგი ვიღახვაჩი)

დუარსაბი + ანა (თამარ ტრეპიანიის უსუბი)

ანანა (სამეა) + მარია ვიღახვაჩი

მარიაში + ნიკოლოზ

ფადვანელიშვილი

ღვთობა + მანანა ვიღახვაჩის უსუბი ქაიხოსრო

ოქანა

ანასტასია

ანდრეასედი

ნიკოლოზ + X

ვიოჩგი

ფურაბ

ანდანი

იოსაბი

სოლომონი

სამეაშვილი

იანაბი

ვიოჩგი - X

ფურაბი // დიმიტრი + სოლომონ ანდრონიკაშვილი

ვიოჩგი

მარია

იანა

ანანა

გეოგრაფია + ქართული ლიტერატურის შესანიშნავი

საგეოგრაფო

ილია + გარეგანად ილიას შესანიშნავი პოეტური

პეტი

პირველი

ფილოსოფია + მატერიალური პოეტური

ილია + X

პირველი

ილია

საგეოგრაფო

სამედიცინო + ჯანდაცვითი სტრუქტურის შესანიშნავი

გარეგანად

ილია + ილია

სტრუქტურა + ლიტერატურა ილიას და სპინდორტო-პირველი

ესენი (ნოტოლოგიის და) + X პირველი სტრუქტურის შესანიშნავი

გარეგანად

ილია

ესენი



სჲნი + ზჲსჲნი მადჲნი სჲნი სჲნი

სჲნი + სჲნი სჲნი სჲნი



სჲნი


სჲნი (სჲნი) + სჲნი

სჲნი

სჲნი (სჲნი) + სჲნი

სჲნი

სჲნი (სჲნი) + სჲნი



М. Н. Кавтария

ГЕНЕАЛОГИЯ ФЕОДАЛЬНОГО ДОМА ОРБЕЛИАНИ (КАПЛАНИШВИЛИ)

СТАТЬЯ ПЕРВАЯ

Резюме

Генеалогия феодального дома Каплианишвили (Орбелиани) в грузинской историографии в основном изучена, однако, многое требует уточнения. На основании анализа исторических документов и нарративных источников автор прослеживает родственные связи в фамилии Орбелиани.

ნანა გვზილოვაძე

ქართული საისტორიო საბუთების კატალოგიზაციისათვის

ქართული საისტორიო წყარომცოდნეობის დღევანდელი დონე აყენებს ქართული საისტორიო საბუთების ერთიანი, ცენტრალური, შეჯერებული კატალოგის შედგენის საჭიროებას. ერთიანი კატალოგის მიზანია საქართველოს სხვადასხვა სიძველეთსაცავებსა და ფონდებში დაცული ქართული საისტორიო საბუთების სრული აღრიცხვა, დედნებისა და მათი პირების გამოვლენა და დადგენა, ცალკეული საბუთის გამოცემისა და მასზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მითითება. ფონდების ურთიერთშეჯერება, საბუთების გამოცემათა სრული აღრიცხვა გამოავლენს საბუთებს, რომელნიც დღეს მხოლოდ პირების ან გამოცემის სახით არის შემონახული. ცალკეული ფონდის შექმნის, მისი ჩამოყალიბების პირობებისა და ისტორიის შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ ცალკეული ფონდის შედგენილობა, მისი ხასიათი, ფონდების ურთიერთმიმართება, დავადგინოთ მათ შორის არსებული მჭიდრო ორგანული კავშირი. ეს ქმნის პირობებს, საქართველოს სხვადასხვა სიძველეთსაცავებში დაცული ქართული საისტორიო საბუთების ერთობლიობა განვიხილოთ მთლიანობაში, ხოლო სიძველეთსაცავების ცალკეული ფონდები — როგორც ამ ერთი მთლიანობის შემადგენელი ნაწილები. საბუთების ამ ერთობლიობას განეკუთვნება სსრკ აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული მ. ბროსეს ქართული საისტორიო საბუთების კოლექციაც, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ქართული საისტორიო საბუთების კოლექციებთან. ცალკეული ფონდის შექმნით განპირობებული ნიშან-თვისება თვით ფონდის მახასიათებლად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ფონდი თავისი ნიშან-თვისებითა და შედგენილობით ის ზოგადია, რომელიც მიგვანიშნებს, რა ხასიათის საბუთი შეიძლება იყოს დაცული ამ ფონდში. როდესაც ცნობილია ფონდების შედგენილობა, ხასიათი და მათ შორის ურთიერთმიმართება, იქმნება შესაძლებლობა დავქებნოთ და გამოვავლინოთ საბუთის დედანი, მისი პირი ან პირები, დავადგინოთ რა სახით არის მოღწეული საბუთი — დედნისა თუ მხოლოდ პირის ან მისი რუსული თარგმანის სახით.

ქართული საისტორიო საბუთებისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსული მმართველობის შემოღებას საქართველოში. რუსეთის ცარიზმი პოლიტიკურად და უფლებრივად საქართველოს რუსეთის შიდა გუბერნიის რანგში აყენებდა. ეს კი ნიშნავდა, რომ უნდა შეცვლილიყო ათასწლობით ჩამოყალიბებული პოლიტიკური წყობა. გარდაქმნები ეხებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყოველ მხარეს. მანიფესტი ქართველ თავდაზნაურობას რუსეთისას უთანაბრებდა და აღუთქვამდა ქართველობას, საზოგადოების ყოველ კლასსა და ფენას, ყოველ-



გარი საკუთრებისა და უფლებრივი პრივილეგიის შენარჩუნებას. საქართველოსა და კავკასიაში რუსეთის მმართველობის გატარება დამთხვა ალექსანდრე I ცნობილ რეფორმებს, რომელთა მიზანი იყო სახაზინო ქონების დაცვა-განმტკიცება და ყმობისაგან თავისუფალ მიწის მუშაკთა, მიწათმოქმედთა ფენის გაზრდა. ცხადია, ხაზინის ინტერესები გათვალისწინებული იყო ახლად შემოერთებული ტერიტორიის მოსახლეობის ყოველი საზოგადოებრივი კლასისა და ფენის საკუთრებისა და უფლებრივი ნორმების დადგენის დროს. მაგრამ წოდებას, საკუთრების მფლობელობას თუ უფლებას დამტკიცება ესაჭიროებოდა. ცარიზმი წოდების ღირსებისა თუ საკუთრების უფლების დასადგენად წერილობით საბუთს მოითხოვდა. მის ადმინისტრაციულ ორგანოებში დაგროვდა წოდების ღირსების, უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელობისა თუ საკუთრებაზე უფლების დამამტკიცებელი უამრავი წერილობითი საბუთი — ქართული სიგელ-გუჯრები. საბუთების განხილვა — წოდების მაძიებლის ღირსებისა და უძრავ-მოძრავ ქონებაზე უფლებისა, თუ თვით საბუთის ნამდვილობა-ნატყუარობის დასადგენად, სახელმწიფო საქმედ იქცა. რუს მოხელეთა მიერ ქართული სიგელ-გუჯრების კვლევა ყალბი საბუთების გამოვლენის მიზნით ჩვენს ისტორიოგრაფიაში ქართული დიპლომატიკის საწყისად ითვლება¹.

საქართველოს პირველი მმართველები თანდათანობით იმუშავებდნენ საბუთების კვლევა-ძიების ხერხებსა და მეთოდებს. განსაზღვრული იყო, რომ ძალა ექნებოდა მხოლოდ საქართველოს უკანასკნელ მეფეთა — ერეკლე II და მისი ძის გიორგის მიერ გაცემულ ან დამტკიცებულ საბუთებს (კრონიკი)². პ. დ. ციციანოვმა შეიმუშავა სახელმძღვანელო წესები საბუთის განხილვის, მისი ნამდვილობის დადგენისა მაძიებელთა პრეტენზიების გასარკვევად (წინადადება № 1661, 1803.IX.15)³. საქმე სასამართლო გამოძიების გზით წარმოებდა. თხოვნის შეტანა, რომელსაც დამამტკიცებელ საბუთად სიგელ-გუჯრები ერთვოდა, შეიძლებოდა ყველგან, ადგილობრივ სასამართლო და საპოლიციო ორგანოებში. ადგილზე უნდა გარკვეულიყო წარმოდგენილი საბუთის მოქმედება და „გამოცხადება“ — მისი საჯაროობა, ე. ი. მოსახლეობის დაკითხვისა და მოწმეთა ჩვენების საფუძველზე უნდა დაედგინათ ცნობილი იყო თუ არა მოსახლეობისათვის სიგელის მოქმედება. აქვე, მფლობელის თანდასწრებით, დგებოდა საბუთის აღწერილობა. აღწერილობაში აღნიშნული იყო საბუთების დაცულობა, გადაკეთებანი ტექსტში, საბუთის ჩასწორებანი, ნამდვილობა-ნატყუარობა. აღწერილობაზე ხელი უნდა მოეწერა საბუთის მფლობელსაც (გუდოვიჩი)⁴. იღებდნენ ასლს საბუთიდან და თარგმნიდნენ ზუსტად, რუსულ ენაზე. პოლიციის ან სასამართლოს მთავარი მოხელე ადგენდა მოხსენებით ბარათს, „რაპორტს“, აღმასრულებელ ექსპედიციაში წარსადგენად. „რაპორტში“ დაწვრილებით იყო მოხსენებული საბუთის შემოტანის გარემოებანი, მაძიებლის პრეტენზიები, საბუთის აღწერილობა, მისი რუსულ თარგმანი. „რაპორტს“ ერთვოდა სიგელი, როგორც დამამტკიცებელი წერილობითი საბუთი. ამგვარად დგებოდა ცალკეული საქმეები საკუთრების მფლობელობის თუ საკუთრებაზე უფლების ყოველ მაძიებელზე. სამუშაოებს წარმართავდა და ხელმძღვანელობდა აღმასრულებელი ექსპედიცია. მას უნდა

¹ А. А. Введенский, Подлог и фальсификация исторических документов в Грузии в первой половине XIX в. Тр. Тбилис. гос. ун-та, т. XV, 1940, с. 53.

² Акты, I, № 537, с. 421.

³ სსცსა, ფ. I, სს. 25, 27, 29, 31, 38, 39, 59, 129, 150.

⁴ სსცსა, ფ. I, სს. 85, 99, 105.

უზრუნველყო საქმეთა მომზადება საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრებაზე წარსადგენად.

საბოლოო გადაწყვეტილებისათვის საქმეებს განიხილავდა საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრება — მმართველობაში შემავალი ექსპედიციების უმაღლესი ინსტანცია. წოდებისა და საკუთრების მფლობელობის უფლებათა გარდა, საერთო კრება განიხილავდა სააპელაციოდ შემოსულ საჩივრებსაც, რომელთა შორის მრავალი იყო საკუთრებაზე დავის საქმეები. კრებაზე საქმეებს არჩევდნენ სპეციალურ სხდომაზე კოლეგიალურად, ექსპედიციების აუცილებელი მონაწილეობით. საქმეების განხილვაში მონაწილეობდნენ ქართველი მდივანბეგები, რომელნიც მრჩეველებად მუშაობდნენ ექსპედიციებში. ქართული ენისა და სიგელების შედგენის წესების ცოდნა, მათი ძალა და მოქმედების პირობები, სიგელებიდან ასლების გადაღება, სიგელების თარგმნა, თარგმანისა და ასლის სიზუსტის შემოწმება და დამოწმება აუცილებელს ხდიდა რუს მოხელეებთან მათ თანამშრომლობას. ისინი იძლეოდნენ განმარტებებს საქართველოში მეფეთა დროს არსებული წეს-წყობილების შესახებ და საკითხებზე, რომლებიც საბუთის კვლევა-ძიების დროს წამოიჭრებოდა. მათვე უნდა მიეცათ თავიანთი წერილობითი დასკვნაც („ზჩრ“ — мнение, განცხადება — отзыв) საბუთის ნამდვილობაზე, რომელსაც ხშირად გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის მსვლელობისათვის. ამ დასკვნას ურთავდნენ საქმეებში. სხდომებს თავმჯდომარეობდა მთავარმართველი ან, როცა ის ადგილზე არ იყო, მისი მოადგილე, რომელნიც ერთპიროვნულად წყვეტდნენ საქმეებს. საქმეთა დადებითად გადაწყვეტისა და სიგელის დედნობის დადგენის შემთხვევაში სიგელი უბრუნდებოდა მის მფლობელს. ხოლო თუ საკითხი უარყოფითად გადაწყდებოდა, სიგელს საქმეში ტოვებდნენ როგორც გამოუსადეგარს, მფლობელი კი უნდა დაერწმუნებინათ, რომ სიგელს ძალა და მოქმედება არა აქვს. წოდების ღირსებისა და საკუთრების უფლების დასამტკიცებლად შემდგარი საქმეების განხილვა, საქმეებში ჩართული სიგელების ნამდვილობა-ნატყუარობის დადგენა საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო მის გაუქმებადღე. საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრების ფონდში დაცული საქმეების შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ როგორ გროვდებოდა ძველი ქართული საბუთები რუსეთის მმართველობის სხვადასხვა ორგანოებში.

მმართველობის პირველ წლებში ცარიზმის ადმინისტრაციამ ქართველ მოხელეთათვის ჩამორთმეული სახელოების შემოსავლის ასანახად ურებლად, მეფეთა მიერ ბოძებული სიგელების მიხედვით, ჯამაგირების დანიშვნა და სახაზინო და საეკლესიო ქონების აღრიცხვისათვის დასახული ღონისძიებები ვერ განახორციელა. მაგრამ ამ ღონისძიებათა გატარებისათვის გაწეული საკანცელარიო საქმეთა წარმოება და მასთან დაკავშირებული მიმოწერა სასამართლო ორგანოებს, ექსპედიციებსა და საერთო კრებას შორის, რომელიც დაცულია საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრების ფონდში, შეიცავს მეფეთა მიერ სახელოების ბოძებისა და სახელოსათვის კუთვნილი ულუფის და სარგოს გაჩენის საბუთის 50-მდე პირს⁵, აგრეთვე 40-მდე პირს, რომელთა შორისაა ბეგარა-გადასახადებისაგან განთავისუფლების, ალაპის

5 Путьеводитель ЦГИА Груз. ССР. Тб., 1976, с. 15—16.
6 საქ. სახ. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი № 1.
7 სსცსა, ფ. I, სს. 160—208.

გაჩენის, ეკლესია-მონასტრებისათვის ყმათა შეწირულებისა და საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლების წიგნების პირები⁸.

ვერ ხორციელდებოდა მანიფესტით აღთქმული სხვა დაპირებებიც. საქმეს აფერხებდა მოსახლეობის უნდობლობა ახალი მთავრობისადმი, თვით რუს მოხელეთა მოუქნელობა. ირანთან და თურქეთთან, ხოლო შემდეგ ნაპოლეონთან ომების გამო, რუსეთის მთავრობა სამოქალაქო მმართველობისათვის ვერ იცლიდა.

ქართული საისტორიო საბუთების ბედისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვის მიერ წამოწყებულ ღონისძიებებს: 1. კერძო და სახაზინო მიწის მფლობელობათა გამიჯვნა, რომლის მიზანი იყო სახაზინო და კერძო სამამულო საკუთრებათა დაზუსტება; 2. კერძო მფლობელთა უფლებრივი ნორმების დადგენა; 3. თავადთა და აზნაურთა წოდებების პერსონალური შედგენილობის დამტკიცება⁹.

სახაზინო ქონების აღრიცხვა ამ ქონების დაცვა-განმტკიცებისა და შემოსავლის ინტერესების შესაბამისად უნდა გადაჭრილიყო. ეს ინტერესები მოითხოვდა სახაზინო და კერძო მიწისმფლობელობის გამორკვევასა და გამიჯვნას. რუსეთის მთავრობა თავიდანვე შეუდგა საქართველოს ეკლესია-მონასტრების უფლებებისა და ქონება-შემოსავლის გამორკვევა-დადგენასა და აღრიცხვას, რათა სახაზინო საკუთრებად გადაექცია ეკლესიის ქონება-მამულები და შემოსავალი და სამღვდელთა მთლიანად თავისი უფლების ქვეშ მოექცია. საქართველოს საეკლესიო მრავალი საეკლესიო და სამონასტრო სიგელ-გუჯარი წარმოადგინა თავისი უფლება-მოვალეობების, სამამულო მკვლობელობისა და შემოსავლის დასამტკიცებლად. მათი კვლევა-ძიება, ნამდვილობა-ნატყუარობის დადგენა არსებული წესის მიხედვით, სახაზინო უწყების საელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმოებდა. შედეგად უამრავი საეკლესიო და სამონასტრო სამამულო მფლობელობისა და ქონება-შემოსავლის დამამტკიცებელი წერილობითი საბუთი დაგროვდა საქართველოს საეკლესიოს უწყ. სინოდის არქივში. სასამართლო ორგანოებში, საგუბერნიო მმართველობის გამიჯნავი განყოფილების, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს არქივებში. სახაზინო და კერძო მიწის მფლობელობათა გამიჯვნამ მრავალი სამამულო დავა გამოიწვია. სასამართლო ორგანოები გაივსო სადაო საქმეებით. მოდავე მხარეები თავიანთ ქონებრივ თუ მფლობელობით უფლებებს მიწაზე სიგელ-გუჯრებით ამტკიცებდნენ. ხაზინის ინტერესები მოითხოვდა აგრეთვე ბეგარა-გადასახადების მოწესრიგებას, ყმებზე საკუთრების უფლების გარკვევას, მემამულეთათვის მათ ჩამორთმევასა და ხაზინისა და ეკლესია-მონასტრების კუთვნილებაში გადაცემას, ცალკე წოდებათა საკუთრების უფლების, ყმათა მფლობელობის, ქართულ ბატონყმურ ურთიერთობათა, საბაჟო გადასახადების, ყმა-გლეხთა თავისუფლების მაძიებლობა-თავდახსნის, სამოურავოების გაუქმების, სამხედრო ვალდებულება-გადასახადებისა და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადაჭრას. ჩამოთვლილი უფლებრივი ნორმები სიგელ-გუჯრებზე დაყრდნობით შეისწავლებოდა და განიხილებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალური განხილვის საგანს კერძო მფლობელთა უფლებრივი ნორმების დადგენა წარმოადგენდა. ყოველგვარი მფლობელობითი უფლება, სწორედ ძველი საბუთების, სიგელ-გუჯრების სა-

⁸ სსცსა, ფ. I, ს. 57, ფრ. 6, 7, 8, 9, 10, 11.

⁹ В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем. Тифлис. 1901, с. 103—106.

ფუძველზე უნდა დამტკიცებინა მფლობელს. ა. პ. ერმოლოვმა შემოიღო საკუთრების დამტკიცების წესი, რომელიც გულისხმობს საკუთრებაზე უფლების დამამტკიცებელი წერილობითი საბუთის დამოწმებას, სასამართლო ორგანოებში სანოტარო აქტით მის კანონიერ გაფორმებას. ე. ი. სასამართლო ორგანოებში ხდებოდა ყოველგვარ გარიგებათა რეგისტრაცია. საბუთების რეგისტრაცია ხდებოდა თბილისში და სამაზრო ქალაქებში: გორში, თელავში, ქუთაისში, სიღნაღში. ერმოლოვმა სამგზის გამოაცხადა „მთელ საქართველოში“, რომ მოსახლეობას უძრავ-მოძრავ ქონებაზე უფლების დასამოწმებლად წარმოედგინა ყოველგვარი ძველი წერილობითი საბუთი. მხოლოდ რამდენჯერმე გადავადების შემდეგ, როცა მოსახლეობას ნდობა გაუჩნდა და დაარწმუნდა, რომ ამ გზით თავის უძრავ-მოძრავ ქონებას დამტკიცებდა, სასამართლო ორგანოებში წარმოდგენილ იქნა დიდძალი რაოდენობის საკუთრებისა და საკუთრებაზე უფლების დამამტკიცებელი წერილობითი საბუთი. სასამართლო ორგანოებში დაგროვდა უმარავი სიგელ-გუჯარი. მხოლოდ „სულა ი რასპრავას“ ექსპედიციაში 1827 წლისათვის 14000 მეტმა სიგელ-გუჯარმა მოიყარა თავი. მათი განხილვა, ა. პ. ერმოლოვის შემოღებული წესის მიხედვით, იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო დარგის მმართველმა ველიამინოვმა ნება დართო საბუთების ნამდვილობა ადგილზევე, ე. ი. ადგილობრივ სასამართლო ორგანოებში დადგენილიყო, თუ კი საბუთის ხელრთვა რაიმე განსაკუთრებულ ეჭვს არ აღძრავდა¹⁰. ამ განკარგულებას ის ნაკლი ჰქონდა, როგორც აღნიშნავს ვ. ნ. ივანენკო, რომ იგი ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ყალბი საბუთების შედგენისა და გამოყენებისათვის — სასამართლო ორგანოებში ყალბი საბუთების დამოწმებისა და მისი რეგისტრაციის შემდეგ, მაძიებელს, მიიღებდა რა იგი მოწმობას საკუთრების უფლებაზე, შეეძლო საერთოდ გაენადგურებინა ყალბი საბუთი და ამით მოესპო ყოველგვარი კვალი. ამიტომ იყო, რომ პასკევიჩმა 1827 წ. გააუქმა ერმოლოვის განკარგულება, რომ საკუთრების დამტკიცება ხდებოდა ძველი საბუთების წარმოდგენისა და მათი აუცილებელი დამოწმების გზით და აღადგინა ციციანოვის წესი ადგილზევე გარკვეულიყო სამამულო მფლობელობა¹¹.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიება ვერ განხორციელდა, მისი გატარებისთვის გაწეული მუშაობის შედეგები ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული საისტორიო საბუთებისთვის. სასამართლო ორგანოებში დაგროვდა და სარეგისტრაციო დავთრებში გადაიწერა საკუთრებისა და საკუთრებაზე უფლების დამამტკიცებელი მრავალი საბუთი: მეფეთა მიერ ბოძებული ყმა-მამულის წყალობანი, უძრავ-მოძრავი ქონების დამტკიცებანი, სახელოების ბოძების, სარგოსა და ულუფის გაჩენის, ყმათა მფლობელობის, სამამულო და ყმათა მფლობელობაზე დავისა და განჩინების წიგნები თუ სასამართლო გადაწყვეტილებანი, ყმა-მამულის ნასყიდობანი, ყმა-მამულის გაცვლილობის წიგნები, წილის ბარათები, ფიცის წიგნები ერთგულებაზე, ერთგულებისთვის ქონების დაცვის პირობის, სითარხნისა და აზატობის წიგნები, არზათხონგები მეფეთა ოქმებით ქულობაქის ან სახლის აგებისა და ყმათა მფლობელობაზე, ყმების შექმნაზე, არხის გაყვანაზე და სხვა. დავთრები, რომლებშიც რეგისტრირებული საბუთების პირები „სულა ი რასპრავას“ ექსპედიციაში არის გადაწერილი, შეადგენენ საქართველოს სახ. ცენტრალური საისტორიო არქივის № 1450 ფონდს, რომელიც შედგება 57 დავთრისგან. დავთარში გადაღე-

¹⁰ Акты, VI, №№ 8, 32, 107, 118, 151.

¹¹ В. Н. Иваненко, Гражданское управление..., с. 104—105.

ბულია პირი 11487 საბუთისა და ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს 1401 წლიდან XIX საუკუნემდე¹². დავთრებში გადაწერილი საბუთების პირების დიდ უმრავლესობას დედნები არ ეძებნება. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის მთავარმართებლის ბრძანებით გადაწერილი პირების მნიშვნელობას — მრავალი რეგისტრირებული საბუთი დღეს მხოლოდ ამ პირების სახით გვაქვს შემონახული.

ეკლესია-მონასტრებისადმი შეწირულების არც ერთი სიგელი დავთარში შეტანილი არ არის, დავთარში გადაწერილი პირები შეწირულებათა: ივრუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი. 1586 წ. (ფ. 1450, დ. 51, ს. 80); ეჩმიადინის მონასტრისადმი 1660 წ. (ფ. 1450, დ. 21—47); სევანის მონასტრისადმი. 1711 წ. (ფ. 1450, დ. 25, ს. 33) და სხვა. ვფიქრობ, ეს შეწირულებანი სარეგისტრაციო დავთრებში მოხვდნენ იმის გამო, რომ აღნიშნული მონასტრები არ ექვემდებარებოდნენ ქართულ ეკლესიას. მათ ისევე უნდა დაემტკიცებინათ თავისი ქონებრივი და საშემოსავლო უფლებები რუსული ადმინისტრაციისთვის, როგორც კერძო მფლობელებს.

სარეგისტრაციო დავთრის ფურცლები დაყოფილია გრაფებად. რომლებშიც ჩაწერილია რეგისტრირებული საბუთის სათვალავი, საბუთის პირი, პირს ერთვის სარეგისტრაციო ტექსტი, რომლიდანაც ჩანს, რომ ეს წესი დაკანონებულია მთავარმართებლის 1817 წლის IV.15 განკარგულების საფუძველზე, ე. ი. ა. პ. ერმოლოვის მმართველობის დროს და საკუთრებაზე უფლების დამტკიცების ზემოთ მოტანილ წესს უკავშირდება. პირის სისწორე დედანთან დამოწმებულია მოხელის მიერ. აქვე, საჭიროების მიხედვით, მიწერილია მოკლე, განმარტებითი ხასიათის შენიშვნები საბუთის დაცულობა-შენახულობისა თუ ტექსტში გაუგებარი ან გადაკეთებულ-გასწორებული ადგილებისათვის. ბოლოს ხელს აწერს მფლობელი საბუთის მისთვის დაბრუნების შესახებ. ცალკე გრაფებია რეგისტრაციის თარიღისა და საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა შენიშვნებისთვის. სარეგისტრაციო ტექსტი გადატანილია თვით საბუთზედაც თავისუფალ ადგილას, უმეტესად სიგელის ტექსტის ბოლოს. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივამჩნევთ სარეგისტრაციო ტექსტს. იგი მიგვანიშნებს, რომ: 1. მოცემული საბუთი რუსეთის ადმინისტრაციას დედნად უცენია; 2. საბუთის პირი გადაწერილია სარეგისტრაციო დავთარში. ამიტომ ყველა რეგისტრირებული საბუთის პირი საძიებელია მთავარმართებლის ბრძანებით გადაწერილი დავთრების ფონდში, თუ რა თქმა უნდა, დავთარი დაკარგული არ არის. არის შემთხვევები, როცა დავთრებში გადაწერილ პირებს სარეგისტრაციო ტექსტს არ ახლავს. ცხადია, ამის გამო სარეგისტრაციო ტექსტი არ არის საბუთზეც. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულ ფონდში საბუთის პირი უნდა დაიძებნოს თავისი რაობის მიხედვით — შეიძლებოდა თუ არა მოცემული საბუთი წარედგინათ საკუთრების უფლების დასამტკიცებლად, და 3. სარეგისტრაციო სათვალავი საბუთის შიფრის დღევანდელი სათვალავია. შიფრში ის მესამე ადგილზე ზის ფონდისა და დავთრის სათვალავის მომდევნოდ. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ სხვაობა სარეგისტრაციო ნომერსა და საბუთის სათვალავს შორის, დაკავშირებულია თვით ფონდში ჩატარებულ სამუშაოებთან, მის დამუშავებასთან. ცალკეულ დავთარში ნუმერაცია შეცვლილია იმის გამო, რომ ზოგ შემთხვევაში სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საკუთრებაზე უფლებები თუ საკუთრების დამამტკიცებელი წერილობითი საბუთი, რამდენიმე საბუთისგან შედგებოდა. უფრო სწორედ, სიგელზე არის გვიან-

¹² Путеводитель ЦГИА Груз. ССР, с. 259—269.

დელი მიწაწერი საბუთები ან დამტკიცებანი. ასლის გადაღების დროს სიგელი და მისი გვიანდელი დამტკიცებანი ან მიწაწერი საბუთები ერთმანეთს უმეორეობით არის გადაწერილი, რომელთაც საერთო რეგისტრაცია გაიარეს და ამიტომ სარეგისტრაციო ნომერიც ერთი ჰქონდათ დასმული. დამუშავების დროს, საბუთები ცალ-ცალკე გადაინომრა, რამაც სათვალავი გაზარდა და წინ წასწია. განსხვავებანი დიდი არ არის და საბუთის დაძებნას ხელს არ უშლის. სამწუხაროდ, სარეგისტრაციო ტექსტი, ისევე, როგორც სხვა შენიშვნები, ვერ გვშვლის შიფრში დავთრის სათვალავის ამოცნობაში. მართალია, რეგისტრირებულ საბუთებს ძალიან ხშირად აქვთ შენიშვნა „ჩაიწერა კნლაში“, დავთრის ნომერიც მითითებულია, ეს მაინც ვერ გვეხმარება დავთრის სათვალავის დადგენაში. დავთრები ხელახლა გადანომრილი, ხოლო ძველი სათვალავის აღდგენა და ახალთან შეფარდება ვერ ხერხდება, რადგან დავთრების უმეტესობაზე სათვალავი ან გაუქმებულია და გადაშლილია, ან შემორჩენილი არ არის. თუმცა გამოსავალი აქაც არის — რეგისტრირებული საბუთების გაერთიანება დავთრის აღნიშნული სათვალავის ქვეშ, თუკი ასეთი შენიშვნა საბუთს აქვს. და მისი მიყენება დავთრის დღევანდელ სათვალავთან.

საკუთრებაზე უფლება უნდა დადგენილიყო საგვარეულო მფლობელობითი უფლებების გამორკვევის და გათვალისწინების გზით. ამიტომაც არის, რომ უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელობის უფლების დამამტკიცებელი წერილობითი საბუთები სარეგისტრაციო დავთრებში გვარების მიხედვით არის დაჯგუფებული. დავთრების მე-2 გრაფაში აღნიშნულია ვისი საკუთრების დამამტკიცებელი საბუთებია გადაწერილი დავთარში სარეგისტრაციოდ: „ციციანოვის გივისა“ (სსცსა, დ. 51, ფრ. 1. წინ უძღვის საბუთებს №№ 1—28; „მირიამანაანთ დანარჩენები საბუთები“ (ფრ. 29, საბუთები №№ 29—40); „თულაშვილებისა არის“ (ფრ. 32, საბუთები №№ 41—62); „ბარათაშვილი კნენა ქავთარიშვილებისა“ (ფრ. 49, საბუთები №№ 69—142) და ა. შ. ამავე წესით 1450 ცონდის დავთ. № 1-ში ერთად არის დაჯგუფებული მარტიროზიშვილების, ყორღანაშვილების, ბარათაშვილების, ციციშვილების უფლებათა დამამტკიცებელი საბუთები. დავთრებში №№ 3, 4 თუმანიშვილების საგვარეულო საბუთებია გადაწერილი. მე-5 დავთარში მოქალაქეთა, კერძოდ, მირიამანიშვილების, გოგებაშვილების და სხვათა საბუთები. №№ 9, 17 დავთრებში თავმოყრილია ბარათაშვილებისა და ამ გვარის განყოფების გერმანოზიშვილების, ორბელიშვილების, აბაშიშვილების და მათი ყმების: ყორღანაშვილების, იაგულაშვილების, გოგებაშვილების და სხვათა საბუთები და ა. შ.

ასეთი დაჯგუფებანი აადვილებს ცალკეული საბუთის პირის დაძებნასა და გამოვლენას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სათვალავების, ცალკე საგვარეულოთა ისტორიის შესწავლის, გვარების წარმოქმნის, გვარების ბუდეების დასადგენად და სხვა.

ასევე ცალკეა გამოყოფილი იერუსალიმისა და სომხეთის საპატრიარქო ეკლესიების ქონება-შემოსავლის ამსახველი საბუთები (იხ. სსცსა, ფ. 1450, დავთ. 51, სს. 158—229; ფ. 1450, დ. 21, სს. 28—62).

ცნობილია, რომ წოდების ღირსების მინიჭების, თავადთა და აზნაურთა წოდებების პერსონალური შედგენილობის, ცალკე წოდებათა უფლებრივი ნორმების დადგენა ა. შ. ერმოლოვმა დააკისრა თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს. ქართველი თავად-აზნაურების კორპორაციის ცენტრს, რომელიც მან 1818 წლის გაზაფხულზე დააფუძნა. ადრე, ამ საკითხს საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრება იხილავდა და თავის გადაწყვეტილებას უმაღლესად დასამტკიცებლად გეროლდიის დეპარტამენტში

აგზავნიდა. წოდებათა ღირსების დამტკიცება ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე შემთხვევით ხასიათს ატარებდა. უფრო მეტიც, პირები, რომელთაგანაც უმეტესად რუსეთში გადასახლებულ უფლისწულებთან დაკავშირება, სრულიად უმტიყენეულოდ იმტკიცებდნენ ქონებრივსა თუ წოდებრივ უფლებებს, იღებდნენ მოწმობებს უფლისწულებისგან თავიანთი ქონებრივი თუ უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და უშუალოდ სენატში იმტკიცებდნენ ამ უფლებებს. სრული აუცილებლობით დადგა საკითხის დროულად და სწორად გადაწყვეტის საჭიროება. ერმოლოვმა შეიმუშავა წესები წოდებრივი ღირსების, ცალკე წოდებათა ქონებრივ უფლებების, თავადთა და აზნაურთა წოდებების პერსონალური შემადგენლობის დადგენისა. ამ წესების მიხედვით, მთავარი პირობა თავადთა თუ აზნაურთა წოდებისა თუ ქონებრივი უფლების დასამტკიცებლად მეფეთა მიერ ბოძებული სიგელების წარმოდგენა იყო¹³. წოდების მაძიებელთა „პროშენიების“ განხილვა, საქმის წარმოება, სიგელ-გუჯრების კვლევა, მათი დედნობა-ნატყუარობის დადგენა, წოდების ღირსების მინიჭებაზე დადგენილების გამოტანა თავად-აზნაურთა დებუტატების საკრებულოს დავალა. ა. ბ. ერმოლოვის წინადადების (1818 წ. V.29) საფუძველზე შემუშავებული უკაზის (1818.IX.23) თანახმად საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილება თვით საკრებულოს წევრთა მიერ საქმის მიყვრებით წარმოებისა თუ სხვა დარღვევების თავიდან ასაცილებლად, მათი ადგილზევე გარკვევის მიზნით უნდა განეხილა საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა საქმეთა გაგზავნა „უმაღლესად დასამტკიცებლად“ გეროლდიის დეპარტამენტში¹⁴. დებუტატების საკრებულოს მიერ საერთო კრებაზე განსახილველი წოდების ღირსების მაძიებელთა საქმეები შეიცავდა თვით საკრებულოს დადგენილებას წოდების მინიჭების თაობაზე, წოდების დამამტკიცებელ საბუთებს — მეფეთა მიერ ბოძებულ წყალობის სიგელებს, მათ პირებს და რუსულ თარგმანებს, აგრეთვე დამატებით დამამტკიცებელ საბუთებს — 12 კეთილშობილი პირის მოწმობას, რომ მაძიებელი სწორედ იმ გვარის წარმომადგენელია, რომელიც შეტანილია 1783 წლის საქართველო-რუსეთის ტრაქტატზე დართულ მეფე ერეკლეს მიერ შედგენილ ნუსხაში, აგრეთვე გვართწარმომავლობისა (родословная) და ოჯახის წევრთა (посемейная) ნუსხებს (ропись, списки). საერთო კრებაზე საქმის განხილვის დროს წამოჭრილ სხვადასხვა საკითხებზე განმარტებებს იძლეოდნენ ქართველი მდივანბეგები — მრჩეველები, რათა ადგილზევე შეესწავლათ და განემარტათ საქმის წარმოების დროს დაშვებული რაიმე დარღვევები ან გაუგებრობანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მრჩეველთა განმარტებანი შეიცავენ მრავალ საინტერესო მასალას როგორც ქართული დიპლომატიკის, ასევე საქართველოს შინა პოლიტიკური და სოციალური ყოფის შესასწავლად. საქმის განხილვის შედეგად კრება შეიმუშავებდა აზრს (мнение) და მიიღებდა გადაწყვეტილებას. მაგრამ საერთო კრება, ერმოლოვის იმავე წინადადების თანახმად, ვერც თავად-აზნაურთა დებუტატების საკრებულოს დადგენილებას შეცვლიდა და არც თავისი გადაწყვეტილების განხორციელების უფლება ჰქონდა. მას უნდა დაერთო თავისი გადაწყვეტილება საქმისათვის და უმაღლესად დასამტკიცებლად სენატთან არსებული გეროლდიის დეპარტამენტში გადაეგზავნა¹⁵. გაგზავნილი საქმეები იგივე დამამტკიცებელ საბუთებს შეიცავდა¹⁶.

¹³ В. Н. Иваненко. Гражданское управление..., с. 105—107.

¹⁴ სსცსა, ფ. I, ს. 304, ფრ. 3.

¹⁵ В. Н. Иваненко. Гражданское управление..., с. 105—107.

¹⁶ სსცსა, ფ. I, სს. 393, ფრ. 3rv; 395, ფრ. 1r და სხვ.

ქართულენოვან სიგელებს კი ერთვოდა რუსული თარგმანები. ცნობილია, რომ აქ საქმეთა განხილვა სასამართლო ორგანოებში დადგენილი წესით ხდებოდა. სად წარმოებდა. ვფიქრობ, გვეძლევა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სენატთან არსებული გეროლდიის დეპარტამენტის კანცელარიის ფონდში, რომელიც ლენინგრადში სსრკ სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული, ინახება ქართული საისტორიო საბუთების პირები ან მათი რუსული თარგმანები. ამ ვარაუდს მხარს უჭერს სარეგისტრაციო დავთრებში ზოგიერთი საბუთის პირის სარეგისტრაციო ტექსტის ბოლოს დართული შენიშვნა „ამისი დედა დეროლდიაში არის“.

თავადთა და აზნაურთა წოდებრივი ღირსების მინიჭების, მათი ქონებრივი უფლებების საკითხმა, ბუნებრივია, წამოჭრა ცალკე წოდებათა უფლებრივი ნორმების დადგენასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი და მოითხოვა განსაზღვრულიყო ვაჭარ-მოქალაქეთა, სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურთა, საქართველოში მოსახლე სომეხ და მამამადიან აზნაურთა წოდებანი, მათი ქონებრივი უფლებანი. საგანგებოდ დაისვა საკითხი: უფლებათა დასამტკიცებლად საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ ვახტანგ VI და მისი ძის, ბაქარის, მიერ რუსეთში ყოფნის დროს გაცემული საბუთები. მათ მიერ გაცემულ საბუთებს აუქმებდნენ თბილისში საქართველო-იმერეთის სამეფო სიგელების განხილვისათვის დაფუძნებული სპეციალური კომისიის დადგენილების თანახმად (1837.V.17). ჩვენ ხელთა გვაქვს ბაქარ მეფის მიერ ყაზიბეგ ჩოფიკაშვილისათვის 1733.IX.29 მიცემული ყმა-მამულებისა და სახელოების მოუშლულობისა და სიმტკიცის წიგნი. საბუთი გაცემულია მოსკოვში და ინახება საქართველოს სახ. ცენტრ. საისტორიო არქივში (ფ. 1448, ს. 10). საბუთზე, სტრიქონებს შორის, ჩაწერილია კომისიის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საბუთი გაცემულია მაშინ, როდესაც საქართველოში სხვა მეფენი მეფობდნენ და მას არა აქვს ძალა და მოქმედება. ვახტანგ VI და ბაქარ მეფის მიერ გაცემული სიგელების ძალა და მოქმედება კავკასიის კომიტეტმა მხოლოდ 1844 წ. სცნო, რადგან მათი მომდევნო საქართველოს მეფეების დროსაც სრული ძალით მოქმედებდნენ საქართველოში¹⁷.

საქართველოს თავად-აზნაურთა წოდების პერსონალური შედგენილობის დასადგენად რუსული ადმინისტრაცია მოითხოვდა ცალკე საბუთების მიხედვით გარჩეულიყო ცნობილ საგვარეულოთა საქმეები. რათა გაერკვია, ეკუთვნოდნენ თუ არა ეს საგვარეულოები მალალ წოდებას. ცნობილია, რომ საქართველოში მეფეთა მიერ წოდებათა ღირსების მინიჭების ტრადიცია არ არსებობდა. დიდებულება განისაზღვრებოდა მეფისათვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ სახელოს ბოძების, სახელოს შესაბამისად გაჩენილი ჯამაგირის და ულუფის, დამსახურებისათვის ყმა-მამულის ბოძებისა თუ წყალობის მიხედვით. დიდგვარიან აზნაურთა სახელოების ბოძების ან ყმა-მამულის წყალობის სიგელები ამავე დროს იყო მათი საკუთრებაზე უფლების, მფლობელობისა და შემოსავლის დამამტკიცებელი საბუთები, რომელთა რეგისტრაცია-დამაოწმება ეროლოვის მიერ დადგენილი წესის თანახმად წარმოებდა. ვფიქრობ, ამით აიხსნება, რომ დეპუტატების საკრებულოში წოდების ღირსების დასამტკიცებლად წოდების მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საბუთების დიდი ნაწილი რეგისტრირებულია, ე. ი. აღნიშნული საბუთების პირები გადაწერილია მთავარმართებლის ბრძანებით სარეგისტრაციო დავთარში (шнурованные кни

¹⁷ В. Н. Иваненко, Гражданское управление..., с. 109.

თავდაზნაურობის უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრი-
სათვის მუშაობის დროს გამოვლინდა ფაქტი, რომელმაც დიდი ხნით შეაჩერა
სამუშაოები და დაემუქრა თავად-აზნაურობის პრივილეგიებს. 1830 წ. მაისში
აზნაურ გაბაშვილის დასმენით გამოძეაენდა, რომ თბილისში წარმოებდა
ყალბი სამეფო სიგელების ფაბრიკაცია.

გაბაშვილის დასმენით დაკავებული იქნა ყალბი საბუთების შედგენის 16
მონაწილე, მათ შორის არაერთი თავადი და აზნაური. მონაწილეთა შორის იყო
თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს წევრი თავადი დავით ბარათა-
შვილი. ძიების დროს იპოვეს მიწაში ჩაფლული ქართველ მეფეთა ბაქარის,
თეიმურაზის, ერეკლე II, გიორგი XIII და სახლთუხუცეს კოსტანტინე მუხ-
რანბატონის 7 ბეჭედი. 1830 წ. 29 ნოემბერს დადგინდა უმაღლესად დამტკი-
ცებული აზრი მინისტრთა კომიტეტისა ქართული სიგელებისა და საბუთების
გარჩევისათვის კომისიის შექმნისა და ყველა იმ საქმეთა შეჩერების შესახებ,
რომლებიც ემყარებოდნენ მეფეთა სიგელებს. ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული
წოდებისა თუ საკუთრების დამამტკიცებელი ყოველი სიგელი. ასეთი სიგელი
კი კომისიას ათითასობით დაუგროვდა. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი რაო-
დენობის სიგელის შესწავლა ყოვლად შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ
კომისიის წევრებმა არა თუ ქართული სიგელების შედგენის წესები, ქართუ-
ლი ენაც კი არ იცოდნენ. ამიტომ სენატორ მეჩნიკოვის წინადადებით, რომე-
ლიც იმხანად აწარმოებდა სარევიზიო მუშაობას საქართველოში, სიგელების
დედნობის, მისი უტყუარობის დასადგენად მიმართეს უბრალო ზერხს: ყალბი
საბუთების ფაბრიკაციაში ეჭვიტანილ პირებს ეკითხებოდნენ, მათი შედგენი-
ლია თუ ნამდვილია ესა თუ ის საბუთი. მაგრამ ყალბისმქმნელებმა არავითარი
სურვილი არ გამოამჟღავნეს კომისიასთან თანამშრომლობისა. ორწლინახევ-
რის უშედეგო მუშაობის შემდეგ სენატის კომისიამ კავკასიის მთავარმართებ-
ლის ბარონ როზენის თანხმობით თავისთან შექმნა 10 წევრისაგან შემდგარი
ქვეკომისია. კომისიაში შევიდა 7 „ქართველი“ (ქართლ-კახეთის წარმომადგე-
ნენი) და 3 იმერელი, რომელთა ობიექტურობაც ფიცით განამტკიცეს. ქვე-
კომისიამ სამი წელი იმუშავა და სულ 14 ყალბი საბუთი გამოამჟღავნა. კომი-
სიისა და ქვეკომისიის მუშაობის შედეგები ის იყო, რომ ქართველ მეფეთა
სიგელებმა საერთოდ დაკარგეს ძალა წოდებისა თუ საკუთრებაზე უფლების
დასამტკიცებლად. სადაო საქმეები, რომლებიც შეჩერებული იყო 7 წლით,
გაგრძელდა, ხოლო თავადობისა და აზნაურობის ძიების უფლება ნებადართუ-
ლი იყო დეპუტატთა საკრებულოს საშუალებით. დადგენილი წესების მი-
ხედვით¹⁸.

ამგვარად, რუსული მმართველობის დაწესებულებებში, რომელთაც წო-
დების ღირსების, უძრავ-მოძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების, სამამულო
მფლობელობის, სახაზინო და საეკლესიო მიწათმფლობელობისა და საკუთრე-
ბის გამორკვევა და დადგენა ევალებოდათ, თავი მოიყარა საქართველოს შინა-
პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ამსახველმა უმდიდრესმა
დოკუმენტურმა მასალამ ქართული სიგელ-გუჯრების, მათი პირებისა და რუ-
სული თარგმანების სახით. აღნიშნული მასალა რუსული ადმინისტრაციის ორ-
განოებში გროვდებოდა მათი დაარსების დღიდან. ამ ბაზაზე იქმნებოდა და
ყალიბდებოდა ცალკეულ დაწესებულებათა სახელმწიფო არქივები: ესაა სა-

¹⁸ В. Н. Иваненко. Гражданское управление..., с. 180—895; Акты, VII, № 61.

ქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრება. კავკასიის მეფის ნაგებობის კანცელარია, საქართველოს მთავარმართველის კანცელარია, აღმასრულებელი (შემდეგში თბილისის საგუბერნიო სამმართველო), სახაზინო და „სულდა ი რასპრადას“ (თბილისის სასამართლო პალატა) ექსპედიციები, სახელმწიფო ქონებათა სამმართველო, საქართველოს თავდა-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო, საქართველოს საეგზარქოსოს სინოდალური კანტორა და სხვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წოდებისა და საკუთრებაზე უფლების დასამტკიცებლად წარმოებულ საქმეებში შემონახული ქართული საბუთების რუსული თარგმანების მნიშვნელობა. ამ საქმეებიდან არის ამოღებული ჩვენს ფონდებში დაცული ქართული საისტორიო საბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი. ბუნებრივია, რომ ამავე საქმეებში ჩართულია აღნიშნული საბუთების სრული რუსული თარგმანები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული საისტორიო საბუთების დიდ უმრავლესობას დაეძგნება რუსული თარგმანი. მეორე მხრივ, საქმეებში შემონახული რუსულ ენაზე თარგმნილი საბუთების წინასწარმა შეჯერებამ ქართულ საისტორიო საბუთების ფონდებთან გამოავლინა, რომ მოიპოვება საბუთები, რომელთაც არ ეძებნებოდა ქართული დედნები და მხოლოდ რუსული თარგმანების სახით გვაქვს შემონახული. მაგალითად, ვერ მივაკვლიეთ ლუარსაბ მეფის მიერ ჯვანშერ შალიკაშვილისათვის 1611 წელს სოფელ აბანოს წყალობის წიგნს (სსცსა, ფ. I, ს. 399, ფრ. 3rv), გიორგი მეფის შეწირულების განახლების წიგნს აჩაბეთის ზევის წმ. სამების ეკლესიისადმი. 1682 წ-ისა. (ს. 337, ფრ. 3rv). გიორგი მეფის მიერ პაპუა საგინაშვილისათვის 1688.IX.10 მიცემული სითარხნის წყალობის წიგნს (ს. 430, ფრ. 4rv). როსტომ მეფის მიერ 1637.III.27 მროველ იოანესადმი მიცემულ ყმა-მამულის წყალობის წიგნს (ს. 430, ფრ. 4rv) და სხვა. ამასთან დაკავშირებით დგება რუსულად თარგმნილი საისტორიო საბუთების ცალკე კატალოგიზაციის საკითხი, რაც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ და აღვრიცხოთ, საკუთრივ რომელი ქართული საისტორიო საბუთის თარგმანი არსებობს, და რომელი დოკუმენტი შემოგვრჩა მხოლოდ რუსული თარგმანის სახით.

საჭიროა იმ დანაკარგის გათვალისწინებაც, რაც რუსული მმართველობის სახელმწიფო არქივებმა განიცადეს. 1914 წ., პირველი მსოფლიო ომის დროს, კავკასიის ფრონტზე საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით, მთავრობამ იზრუნა სახელმწიფო არქივების გადასარჩენად და საქარველოდან გაიტანა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უმნიშვნელოვანესი საარქივო ფონდები. ევაკუაციის ბედი ცნობილია. 1923 წ. რევოლუციის დროს აღმოჩნდა, რომ 60% მთავარი სამმართველოს არქივის უმდიდრესი ფონდებისა დაიღუპა, რის გამოც ხსენებული არქივი ფრაგმენტურადაა მოღწეული¹⁹. 1920 წ. სტანიცა კავკასიაში დაიღუპა თბილისის საგუბერნიო მიწათმოქმედების სამმართველოს არქივი, რომელშიც ინახებოდა ქართლის „მონასტრების სიგელ-გუჯრები, დაწყებული მე-11 საუკუნიდან“, დაახლ. 3000 საბუთი. 1919 წ. თითქმის მთლიანად გაიყიდა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს არქივი, ხოლო 1921 წ. თებერვალ-მარტში, ხელისუფლების შეცვლის დროს, მთლიანად დაიღუპა თბილისში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დიდი არქივი. ამავე წლის აპრილში გამოიჩვენა, რომ დაიკარგა „ძველი საბუთების ქართული პირის შემცველი წიგნები“ — 12 დავთარი, დაცული თბილისის საგუბერნიო სამმართველოს არქივში. 69 დავთარის ნაცვლად საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივს

¹⁹ М. В. Ключков, Судьба Кавказского наместничьего архива, 1925, I, 133—145.

ნაბარდა 57 დავთარი²⁰. ს. კაკაბაძის ამ ცნობაში საუბარია „სულა ი რასპრა-
ვას“ ექსპედიციის სარეგისტრაციო დავთრებზე, რომლებშიც მთავარმართველთა
ლის ბრძანებით იწერებოდა საბუთების პირები.

1925 წ. რუსეთიდან საქართველოს განძეულობათა რევვაკუაციის შედეგად
საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივს შეემატა რუსეთის საისტორიო მუზეუმისა
და ლენინის სახ. საჯარო წიგნთსაცავის ნივთები და ხელნაწერები, ლენინ-
გრადის ყოფილი სააზიო მუზეუმისა და საჯარო წიგნთსაცავის ხელნაწერები,
მოსკოვის ყოფილი ლაზარევის ინსტიტუტში დაცული ალ. ხახანაშვილის კო-
ლექცია, რომლის დიდ ნაწილს ქართული სიგელ-გუჯრები შეადგენდა²¹.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის ძველი
ქართული საისტორიო საბუთების კოლექციების ფონდები დაკომპლექტებუ-
ლია თვით არქივში დაცული რუსული ადმინისტრაციის იმ დაწესებულებათა
სარქივო ფონდებიდან ამოღებული ქართული საისტორიო საბუთების ბაზაზე,
რომელთაც შემოთავანხილულ ღონისძიებათა გატარება-განხორციელება ევა-
ლებოდათ. სსცს არქივის ძველი საბუთების კოლექციებში საბუთები დანაწი-
ლებულია გარეგნული ნიშნით. ფონდი № 1448 წარმოადგენს დედნების ფონდს,
ფ. № 1449 პირების ფონდია, ხოლო ფ. № 1450 საქართველოს უმაღლესი
მმართველობის ბრძანებით გადაწერილი პირების შემცველი დავთრების ფონ-
დია²².

რუსული მმართველობის სახელმწიფო არქივების მნიშვნელობა მხოლოდ
აღნიშნულით არ ამოიწურება. ქართული სიძველეების მოამაგენი თავიანთი
მოღვაწეობისათვის იყენებდნენ რუსული მმართველობის სახელმწიფო არქი-
ვებს როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ასევე კოლექციების გასამიღ-
რებლად. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1847—48 წწ. მ. ბროსე საქართველოში
მოგზაურობის დროს თვით გაეცნო სინოდალური კანტორის არქივს და ჩაი-
ნიშნა აღრეული ხანის ქართული ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები, რათა
დაეკვეთა მათი ასლები. მ. ბროსეს მიერ სააზიო მუზეუმისათვის შეკრებილი
ქართული საისტორიო საბუთების კოლექციაში დაცული საბუთების პირები
გადაწერილია და მოპოვებული თბილისში, საქ. საეგზარქოსოს უწმ. სინოდის
კანტორაში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ოჯახებსა და ეკლესია-მო-
ნასტრებში მისი კორესპონდენტების დ. მეღვინეთხუცისშვილის, ად. ბერყეს,
პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის მიერ. ამიტომ არის, რომ მ. ბროსეს კოლექ-
ციაში დაცული საბუთების პირებს, მცირე გამოწაკლისის გარდა, დედნები
ეძებნებათ საქართველოს სიძველეთსაცავების საისტორიო საბუთების ფონ-
დებში.

1864 წლიდან კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს არქივში
მუშაობა დაიწყო კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ ად. ბერყეს თავმჯდო-
მარეობით. კომისიამ გამოსცა 12 ტომი „Акты, собранные Кавказской ар-
хеологической комиссией“. „აქტებში“ დამატებათა სახით ქვეყნდებოდა
ქართული საისტორიო საბუთები რუსული თარგმანებით. საბუთები შერჩეუ-
ლია სინოდის კანტორის არქივში, რომელიც საეკლესიო და სამონასტრო ქო-
ნებათა სახაზინო საკუთრებად გამოცხადებასთან დაკავშირებით 1852 წლი-

²⁰ ს. ნ. კაკაბაძე, საარქივო საქმის შესახებ საქართველოში. ს. მ. 1924, 1, გვ. 267—272.

²¹ შ. ჩხეტია, რუსეთიდან საქართველოს განძეულობათა რევვაკუაციის შესახებ. ს. მ. 1925, 1, გვ. 270—274.

²² Путеводитель ЦГИАГ, Тбилиси, 1976.

დან მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს არქივს გადაეცა. „აქტებში“²² გმოსაცემად საბუთების შერჩევაზე, გამოსაცემად მომზადებასა და თანამართლებაზე მუშაობდნენ ნ. ბერძენიშვილი და დ. ბაქრაძე²³. დ. ბაქრაძის მიერ სინოდის კანტორის არქივში გადაწერილი საბუთების კრებული დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში (ფ. Sd; №№ 2801—2854; 2855—3037)²⁴. მაშასადამე, დ. ბაქრაძის კრებულში გადაწერილი საბუთების პირების დედნები საძიებელია ფონდებში, რომლებიც დაკომპლექტებულია და შევსებული სინოდის კანტორის და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის საარქივო ფონდებით. ეს ფონდებია ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილი საეკლესიო მუზეუმისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდები, აგრეთვე საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივის ძველი საბუთების დედნების (ფ. 1448) და პირების (ფ. 1449) კოლექციები.

სინოდის არქივშია მომზადებული თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ გამოქვეყნებული საბუთების დიდი უმრავლესობა, ალ. ხახანაშვილის „გუჯარები“. ამავე სინოდის არქივში მუშაობდა მ. ჯანაშვილი. თბილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს არქივით სარგებლობდა ე. თაყაიშვილი.

1879 წ. არსდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა ქართულ სიძველეთა, წერილობით თუ მატერიალური კულტურის ძეგლების შეგროვება-შეკრება და დაცვა. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ შეგროვებული სიგელ-გუჯართა კოლექცია მრავალფეროვანია. გარდა დ. ბაქრაძის კრებულისა, საზოგადოების თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ცალკე კოლექციების სახით შემოსული სავგარეულო საბუთები — რეგისტრირებული დედნები, რომლებიც თავის დროზე საკუთრებაზე უფლების დასამტკიცებლად წარუდგენიათ მფლობელებს და მათი პირები მთავარმართველის ბრძანებით გადაწერილი პირების ფონდში უნდა ვეძებოთ (სსცსა, ფ. 1450).

1888 წ. დ. ბაქრაძის ინიციატივით გაიხსნა „საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი“. საეკლესიო მუზეუმში დაცული საბუთების ნაწილი მოპოვებულია საქართველოს საეგზარქოსოს უწყ. სინოდის კანტორასა და ეკლესია-მონასტრებში. XIX საუკუნის ბოლოს საეკლესიო მუზეუმმა მიიღო 1000-მდე საეკლესიო-სამონასტრო საბუთი, რომელიც სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს არქივში ინახებოდა²⁵. სინოდის არქივი და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს არქივის ფონდი ინახება სსცს არქივში. ამ არქივებში დაცული საეკლესიო საბუთები, დედნების, პირებისა და მათი რუსული თარგმანების სახით, დაგროვილი საეკლესიო ქონებისა და სახაზინო საკუთრების დაცვისა და გამორკვევასთან დაკავშირებით, გადატანილია საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივის ფ. №№ 1448 დედნებისა და პირების 1449 ფონდში. ამგვარად, საეკლესიო მუზეუმისა და საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივის ფონდები, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის ნაწილებს წარმოადგენენ.

1907 წ. ე. თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამ საზოგადოების საისტორიო საბუთების

²² Акты, т. I, 1866, с. VII.

²³ მ. დუშაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, გვ. 68.

კრებული თავის დროზე დ. ბაქრაძის არქივთან ერთად ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის გადაუცია ექ. თაყაიშვილს, იხ., მნათობი, 1959, № 2, გვ. 173.

²⁵ С. С. Какабадзе, ГДИНА, 1967, с. 9—10.



კოლექცია, ისევე როგორც ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ძველი საბუთების კოლექცია, შექმნილია სახელოვან ქართველ მოღვაწეთა ისტორიკოსთა ერთი მიზანდასახულებით გაწეული საქმიანობის, ერთობლივი თავდაუზოგავი შრომისა და ზრუნვის შედეგად. საბუთების მოპოვების ერთი და იგივე წესი — შეწირულებანი, შესყიდვა; საბუთების ძიება და მოპოვება სამეცნიერო არქეოლოგიურ მოგზაურობათა დროს ოჯახებსა თუ ეკლესიამონასტრებში და სხვა, რომელსაც ერთი და იგივე მოღვაწენი ახორციელებდნენ, აპირობებს ხსენებულ საზოგადოებათა კოლექციების შედგენილობას და აახლოვებს მათ ერთმანეთთან. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ საქ. სიძველეთა I ტომში გამოქვეყნებული საბუთები მთლიანად ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ძველი საბუთების კოლექციაშია შერჩეული, ხოლო საქართველოს სიძველეთა II ტომის გამოსაცემად მომზადების დროს გამომცემელს უსარგებლია თბილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს არქივით, რომელშიც წოდების ღირსების და საკუთრების უფლების დამამტკიცებელი მრავალი ძველი საბუთი ინახებოდა. შესავალში იგი მიმართავს ქართველ საზოგადოებას: „მზადდება შემდეგი ტომიც და ვთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელსაც სიგელ-გუჯრები მოეპოვებათ, წარმოადგინონ ტფილისის საზნაურო დეპუტატთა კანცელარიაში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის. დაბეჭდვის შემდეგ სიგელ-გუჯრები უკანვე დაუბრუნდებათ, ხოლო თუ ისურვებენ, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში შეინახება“²⁶. 1918 წ. დროებითი მთავრობის დადგენილების თანხმად, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს არქივი თბილისსა და ქუთაისში, აგრეთვე საქართველოს საარქეოგრაფიო კომისიის მასალები და კომისიის ფონდში დაყული საისტორიო საბუთები²⁷. ამგვარად, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველი საბუთების კოლექცია გამდიდრდა როგორც წოდების ღირსებისა და საკუთრებაზე უფლების დამამტკიცებელი ძველი საბუთებით, ასევე საეკლესიო-სამონასტრო სიგელ-გუჯრებით, მათი პირებით, რუსული თარგმანებით, რამაც საზოგადოების კოლექცია მჭიდროდ დაუკავშირა საქ. სახ. ცენტრ. არქივის ძველი საბუთების ფონდებს.

საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმის, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სიძველეთსაცავებში დაცული ძველი საბუთების კოლექციები დღეისათვის შეადგენენ კ. კეკელიძის სახ. ბელნაწერთა ინსტიტუტის უმდიდრეს ფონდებს:

- ფ. Ad ყოფილი საქართველო. საეგზარქოსოს საეკლ. მუზეუმის ფონდი.
- ფ. Hd საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის ფონდი.
- ფ. Sd ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ფონდი, რომელთაც დაემატა ახალი Qd ფონდი, შექმნილი 1929 წელს.

არქივის ფონდებთან ახალ Qd ფონდს აკავშირებს ფონდში შემოსული თბილისის გუბერნიის გამმიჯნავი კომისიის არქივიდან ამოღებული ძველი საბუთები (№№ 1670—3629), წარმოდგენილი საზაზინო და კერძო სამამულო საკუთრებათა დასადგენად და სამამულო მფლობელობათა დასამტკიცებლად, ყოფილი აღმასრულებელი ექსპედიციის — თბილისის საგუბერნიო მმართვე-

²⁶ საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. VIII.
²⁷ რ. შ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, 1982, გვ. 111; სსცსა, ფ. 1935; ს. 9.



ლობის არქივი, საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან ჩამოტანილი დამატებითი საბუთები²⁸.

ქართული საისტორიო საბუთების კატალოგიზაციის დროს ვლინდება კავშირი სხვადასხვა სიძველეთსაცავებში დაცული ქართული საისტორიო საბუთების ცალკეულ ფონდებს შორის. მაგალითისათვის შეიძლება ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალ Qd ფონდში დაცული თუმანიშვილების საბუთების შემოკლებული პირების კრებულის Qd 9037 განხილვა. კრებული წარმოადგენს თუმანიშვილების ქონების ვრცელ რეესტრს, რომელშიც მათი საკუთრების უფლების დამამტკიცებელი საბუთების პირები შეტანილია შემოკლებულად. საბუთიდან ამოწერილია არსებითი ცნობები: მიმღები, მიმცემი, ვარიებების პირობები, ობიექტი და თარიღი. კრებულს აქვს სათაური: „სუდა ი რასპრავას ექსპედიციასა შინა დამტკიცებულის ჩვენისა მამულებისა წერილებიდან გამოკრებილი ძალა, რომელიც ექსპედიციის მეოთხე და მეხუთე დავთრებშია ჩაწერილი“. სათაურიდან ჩანს, რომ კრებულში შეტანილი საბუთები წარუდგენიათ „სუდა ი რასპრავას“ ექსპედიციაში საკუთრების უფლების დასამტკიცებლად და მათი სრული პირები გადაწერილია სარეგისტრაციო დავთრებში, ე. ი. უნდა ვეძებოთ საქ. სახ. ცენტრალური საისტორიო არქივის მთავარმართებლის ბრძანებით გადაწერილი დავთრების ფონდში № 1450. კრებულში შეტანილი საბუთების პირების დედნები კი მოცემულ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს და კიდევ ვპოულობთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა (Sd) და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების (Hd) ფონდებში: ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში თუმანიშვილების ცალკე კოლექციაა დაცული, ხოლო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში დეპუტატების საკრებულოს საბუთები გვაქვს, რომლებშიც მრავლადაა საკუთრებაზე უფლების დამამტკიცებელი ძველი საბუთები — რეგისტრირებული დედნები.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდში ინახება ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი შეწირულებათა საბუთების პირების კრებული — Ad 2251. საბუთები გამოცემული აქვს ს. კაკაბაძეს: დას. საქ. საეკლ. საბუთები (I. 1921). წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ ხსენებული საბუთები ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში ინახებოდა²⁹. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს არქივი, ცნობილია, რომ მეფის ნაცვლის კანცელარიის არქივში იყო დაცული. ამიტომ Ad 2251 კრებულში გადაწერილი საბუთების პირების დედნები პირველ რიგში უნდა დაიძებნოს საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივის ძველი საბუთების დედნებისა ფ. 1448 და პირების 1449 ფონდებში, რომელნიც დაკომპლექტდა მეფის ნაცვლის კანცელარიის არქივში დაცული საბუთებით, და არა მთავარმართებლის ბრძანებით გადაწერილი საბუთების პირების ფონდში — ფ. 1450, რომელშიც კერძო საკუთრების უფლების დამამტკიცებელი საბუთები იწერებოდა. მართლაც, კრებულში გადაწერილ პირებს დაეძებნათ დედნები საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივის ძველი საბუთების დედნების ფონდში. მაგ.: 1664 წ. შეწირულების სიგელი გიორგი გურიელისა ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი. დედანი: სსცსა, ფ. 1448—ს. 3991. პირი: ხ. ი. ფ. Ad 2251, 6.

²⁸ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი. ობ., 1951, გვ. 231.

²⁹ ს. ნ. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლ. საბუთები, I. ობ., 1921, გვ. 1.



1661 წ. შეწირულების წიგნი ვამეყ დადიანისა ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი. დედანი: სსცსა ფ. 1448. ს. 2154. პირი: ხ. ი. ფ. Ad 2251 (18); ბუთის ორი პირი ინახება სსრკ აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების მ. ბროსეს კოლექციაში: H 8 -14, ფრ. 49—52 და H 90—15, ფრ. 48—51; 1557—1562 წწ. როსტომ გურიელის შეწირულების წიგნი ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი. დედანი: სსცსა, ფ. 1448. ს. 1052. პირი: Ad 2251 (15); იქვე არქივში ინახება საბუთის ორი პირი: ფ. 1449—ს. 1573 და ს. 1676 და ა. შ.

იმავე საეკლესიო მუზეუმის ფონდში (Ad) ინახება 1212 წლის ლაშა-გიორგის შეუვალობის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი. საბუთის სრული პირი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში — ფ. Ad 477. საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივში, ძველი საბუთების დედნების კოლექციაში ინახება საბუთის ბოლო ნაწილი ფ. 1448, ს. 1723 და სრული პირი — ფ. 1449, ს. 1474.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერთა ინსტიტუტში, ყოფილი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების საისტორიო საბუთების Sd ფონდში, ინახება ცალკე კოლექციების სახით შემოსული საგვარეულო საბუთები, რომელთა დიდი ნაწილი რეგისტრირებული დედნებია. მათ პირები მთავარმართებლის ბრძანებით გადაწერილი სარეგისტრაციო დავთრების ფონდში ექებნებათ:

მამულის წყალობის წიგნი შაჰნავაზ მეფისა, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილისადმი. 1664.VI.7. დედანი. ხ. ი., ფ. Sd—ს. 1; საბუთის პირი გვაქვს სსცსა მთავარმართებლის ბრძანებით გადაწერილი სარეგისტრაციო დავთრების ფონდში 1450. დ. 15, ს. 35.

მამულებზე დავის გარიგების წიგნი ვირშელიშვილებისა და ყაფლან ბატონიშვილისა 1670 წ. დედანი: ხ. ი., ფ. Sd 534. საბუთის პირი: სსცსა, ივივე ფ. 1450. დ. 22—ს. 20.

მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მანუჩარ იარალისშვილის მიერ მდივანბეგ ვახტანგისათვის. 1684.VI.27. დედანი: ხ. ი., ფ. Sd 542; პირი: სსცსა, ფ. 1450 დ. 22—ს. 33 და სხვა.

ანალოგიურია თუმანიშვილების, სააკაძეების, ბარათაშვილებისა და სხვათა საგვარეულო საბუთები, რომელთა პირები იმავე დავთრების ფონდში იქებნება.

იმავე ქ. შ. წ. კ გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცულია დ. ბაქრაძის ცნობილი კრებული (Sd 2801—54 და Sd 2855—3037). კრებულში სხვა საბუთებს შორის გადაწერილია:

შეწირულების წიგნი სვიმონ მეფისა დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი 1586. საბუთის პირი დ. ბაქრაძის კრებულში Sd 2855, i დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში: ფ. Ad 2233.

წყალობის წიგნი გიორგი, ლევან და სვიმონ ბატონიშვილებისა ზაპუნა ორბელიშვილისადმი — 1667 წ., პირი დ. ბაქრაძის კრებულში: Sd 2855; დედანი: ხ. ი. Ad 1357.

კათალიკოსის სამწყსო სამცხეთ-საათაბაგოსი, პირი დ. ბაქრაძის კრებულში: Sd 2858(3); დედანი: ხ. ი. ფ. Ad 91.

კახა თორელის შეწირულების წიგნი — საქართველოში მხოლოდ დ. ბაქრაძის კრებულში გადაწერილი პირის სახით არსებობს — ხ. ი. ფ. Sd 2859 (3), რომელიც დ. ბაქრაძეს ნაკლული დედნიდან გადაუწერია. საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივის ძველი საბუთების პირების ფონდში დაცულია მხოლოდ, ხელრთვების შემცველი ფრაგმენტი: სსცსა, 1449—852. საბუთის მეორე პირი

რი კი — ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში: H 6 (G 26, H 46) — 59, გადაწერილი გვიანდელი პირიდან. საბუთის დედანი ხელთ ჰქონდა დანიასაც.

კათალიკოს მეღქისედეკის დაწერილი, რომლის პირი ინახება საქ. საბ. ცენტრ. საისტორიო არქივის დედნების ფონდში, 1448—5018 ა და ბ. ამ საბუთის პირი გადაწერილია დ. ბაქრაძის კრებულში: Sd 2857.

სასისხლო სიგელები: კოტრიძეთა დ. ბაქრაძის კრებულში Sd 2886 (პ); მეორე პირი ინახება სსცსა, ფ. 1449—16; ფაჩულიძეთა Sd 2888 (პ). დედანი — სსცსა 1448—5025.

გიორგი იმერთა მეფის შეწირულება გელათის ხახულის ღვთისმშობლისადმი 1568.VIII.30. პირი: ხ. ი. Sd 2901, იმავე საბუთის პირი დაცულია სსცსა — ფ. 1449—ს. 267 და ა. შ.

„სიგელი და იადგარი“, მიცემული ლევან დადიანის მიერ ხოფის ტაძრისათვის, თარიღდება 1628—47 წლებით. საბუთის სრული პირი გადაწერილია დ. ბაქრაძის კრებულში Sd 2921, დედანი — ხელნაწერთა ინსტიტუტის საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში Hd 1551.

ალექსანდრე მეფის შეწირულება მცხეთის სვეტიცხოვლისადმი. 1428.I.21. პირი: ხ. ი. Sd 2883. დედანი: სსცსა, ფ. 1448—2243; მეორე პირი დაცულია საქართველოს სსს არქივის პირების ფონდში და ა. შ.

კატალოგში აღნუსხულია ყველა ქართული საისტორიო დოკუმენტი, დაცული საქ. სსრ სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, გორისა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების, სომხეთში მატენაძარანის, ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის (მ. ბროსეს კოლექცია) ინსტიტუტის ფონდებში.

კატალოგზე მუშაობის დროს ვეყრდნობოდით საქ. სსრ აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში შედგენილ ქრონოლოგიურ (შემდგენლები: თ. ენუქიძე, ნ. შოშიაშვილი, გ. ჯანდიერი) და შიფრობრივ (შემდგენელი დ. ჟღენტი) კატალოგებს, გ. აკოფაშვილის მიერ შედგენილ საბუთების ბიბლიოგრაფიულ კატალოგს, ვაწყობილს ქრონოლოგიურად, საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივის ქრონოლოგიურ-კუთხობრივ კატალოგს. მ. ბროსეს კოლექციაში დაცული ქართული საისტორიო საბუთები აღნუსხულია ს. ს. კაკაბაძის ნაშრომის მიხედვით³⁰. საბუთების გამოცემებში გათვალისწინებულია საბუთების ყველა გამოცემა. მ. ბროსეს, ე. თაყაიშვილის, თ. ყორღანაის, ა. ხახანაშვილის, ს. კაკაბაძის და სხვათა პუბლიკაციებში, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გამოიცა, აუცილებელი გახდა გამოცემული საბუთებისათვის დღევანდელი შიფრის დადგენა, რომელსაც ავტორი გამოცემის დროს ემყარებოდა. ამას რამდენადმე აადვილებს ცალკეული ავტორის მოღვაწეობის ხასიათისა და ადგილის გათვალისწინება: მაგ. მ. ბროსეს კოლექციაში დაცული საბუთების პირებს — დედნებისა და პირების უმრავლესობა საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივში იძებნება, ნაწილი საბუთებისა კი — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტის ფონდებში. თ. ყორღანაის, ა. ხახანაშვილის, ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული საბუთები დაცულია ძირითადად საქ. ცენტრ. არქივის და კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტის Ad ფონდში. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული საბუთები გვაქვს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-

³⁰ С. С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии АН СССР, М., 1967.



ტიტუტის ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და გამცემელი ქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა Sd და Hd ფონდებში.

კატალოგის შედგენისათვის ვხელმძღვანელობდით ბიბლიოგრაფიაში ცნობილი მეთოდებით. კატალოგი გაწყობილია ფონდების მიხედვით აღმავალი სათვალავით. საბუთები წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი ბარათების სახით. ძირითადი ბარათი დგება დედნებსა და იმ საბუთების პირებზე, რომელნიც მხოლოდ ამ პირების სახით არის მოღწეული. ძირითად ბარათზე აღნიშნულია საბუთის შიფრი — საბუთის დაცულობის ადგილი და სათვალავი. აქვეა ნაჩვენები, რა სახითაა ჩვენამდე მოღწეული საბუთი, დედანია ის თუ პირი, მისი დაცულობა. შიფრთან მითითებულია მოცემული საბუთის პირი ან პირები, თუ კი ასეთი გვაქვს, აგრეთვე შიფრის ჩვენებით. საბუთების პირებისათვის, რომელთაც ეძებნებათ დედნები ან სხვა პირები, ვიყენებთ დამატებით ბარათებს. დამატებითი ბარათი მარტივია. მასზე აღნიშნულია მოცემული საბუთის პირის შიფრი და მითითება ძირითად ბარათზე. ძირითად ბარათზე ვუჩვენებთ საბუთის თარიღს, საბუთის გამოცემებს, ლიტერატურას საბუთზე. საბუთის რაობა ბარათზე მოცემული არ არის, რადგან კატალოგში მოცემულია ცნობები ერთეულზე, რომელსაც ვეძებთ და ვპოულობთ საფონდო შიფრისა და სათვალავის მიხედვით. რაობის დანაკლისს რამდენადმე ავსებთ ბარათის მეორე გვერდზე საბუთიდან ამოწერილი საბუთში მოხსენიებული პირები, ტოპონიმები, შეძლებისდაგვარად ამოკითხულია ხელრთვები, ბეჭდის ლეგენდები, რასაც პირობითად შეიძლება საბუთის „შინაარსი“ ეწოდოს. ასე რომ, ბარათის პირველ გვერდზე გვაქვს ცნობები საბუთის შესახებ, ხოლო მეორე გვერდზე — საბუთის „შინაარსი“.

ამგვარად, ქართული საისტორიო საბუთების ცენტრალურ შეერთებულ კატალოგს აქვს საცნობარო ბიბლიოგრაფიული და შემამოწმებელი საკონტროლო დანიშნულება. იგი მოწოდებულია, სრულად აღრიცხოს საქართველოს სხვადასხვა სიძველეთსაცავებში დაცული ქართული საისტორიო საბუთები და მოგვეცეს ერთიანი ცნობები ცალკეულ საბუთზე.

Н. А. МШВИДОБАДЗЕ

К ВОПРОСУ КАТАЛОГИЗАЦИИ ГРУЗИНСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ ДОКУМЕНТОВ

Резюме

Изучение каталогов фондов грузинских исторических документов показало, что между отдельными фондами существует тесная, органическая связь. Уровень развития источниковедения на сегодняшний день вызывает необходимость создания центрального, сводного каталога грузинских документов различных древнехранилищ.

Составление сводного каталога обеспечивает полный учет дошедших до нас исторических документов, способствует выявлению и уточнению оригиналов, копий отдельных документов и их местонахождения. Каталог носит контрольный и справочно-библиографический характер и ставит целью предоставить исследователям краткие сводные данные об исторических документах Грузии.

დოდო ლომიძე

უცხოეთიდან მიღებული ზოგიერთი მასალა საქართველოს
ისტორიის შესახებ

კალიფორნიის შტატის (აშშ) ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და არქეოლოგიის კათედრის გამგემ, პროფ. ვახტანგ ჯობაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს გამოუგზავნა უცხოეთის სხვადასხვა სიძველეთსაცავებში დაცული ქართული მცირე ხელოვნების ნიმუშების (გარდამოხსნები, ტრიპტიხი, დაფარნა, კვარცხლბეკის შემკულობა, სახარების ბუდე, მინაწქრის ხატი, ჯვარი და სხვა) ფოტოსურათები.

აღნიშნული ნივთები ქართული მატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლებია. გარდამოხსნა, შეწირული გიორგი და ასთანდარ ბატონიშვილების მიერ იერუსალიმის მონასტრისათვის, და ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმის გოლგოთის ტაძრისათვის ბოძებული ჯვრის კვარცხლბეკის შემკულობა წარმოადგენს საქართველოს იერუსალიმთან კულტურული ურთიერთობის დამადასტურებელ კიდევ ერთ საბუთს. ზემოაღნიშნულ ნივთებზე შესრულებული წარწერები შეიცავს ახალ ცნობებს XV—XVIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიისა თუ ისტორიულ პირთა გენეალოგიისათვის. ეს მასალა მეტად საინტერესოა როგორც ისტორიკოსებისათვის, ასევე ხელოვნებათმცოდნეებისათვისაც.

აღნიშნული ძეგლები დიდი ხანია უცხოელ მკვლევართა დაკვირვების საგანს წარმოადგენს. ზოგიერთ მათგანს სპეციალური შრომები უძღვნეს და მათზე შესრულებულ წარწერათა პირველი პუბლიკაციები განახორციელეს ზ. ავალიშვილმა, ა. კ. ვეიბელმა, მ. ბრიერმა, ა. ფროლოვმა და სხვებმა. ხოლო იერუსალიმის კვარცხლბეკის შემკულობის ფოტო გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა. ზემოხსენებული ძეგლები (გარდა № 1, № 6, № 9-სი) სპეციალური ლიტერატურისა და წყაროების გათვალისწინებით შესწავლილია პროფ. ვ. ჯობაძის ნაშრომში Notes on Georgian Minor Art of the Post-Byzantine Period, The Journal of the Walter Art Gallery, XXIII, 1960. ძეგლების მხატვრულ-სტილისტური, პალეოგრაფიული და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე ავტორი გვთავაზობს უთარიღო ძეგლების დათარიღებას და წარწერათა მისეულ წაკითხვას.

ქართველ მკვლევართაგან, ტრიპტიხი 1920 წელს გამოაქვეყნა აკად. ექ. თაყაიშვილმა. 1983 წელს აკად. ვ. ბერიძემ გამოსცა დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტში დაცული გარდამოხსნა, რომლის ფოტოს მიაკვლია გ. ჩუბი ნაშვილის პირად არქივში.

წინამდებარე წერილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვადგენთ უცხოეთიდან მიღებულ ფოტო-მასალას და განვიხილავთ ზოგიერთ მათ-



ვანზე შესრულებულ წარწერებს, რომლებიც ქვეყნდება პროფ. ვ. ჯობაძის და ზ. ავალიშვილის წაკითხვითა და ჩვენი მცირე კორექტივით. ზოგიერთი ძეგლის აღწერილობა ფოტოსურათის მიხედვით არ ხერხდება, ამგვარ შემთხვევებში ჩვენ ვემყარებით ისევ და ისევ ვ. ჯობაძის ნაშრომს.

ტექსტში გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები: ქარავმების გახსნა (); აღდგენილი ადგილები []; დედნისეული სტრიქონის გამოყოფა |, აქვეა ნაჩვენები მომდევნო სტრიქონის რიგითი ნომერი.

№ 1

[XII—XV სს.] ჯვარი

ვერცხლისა, მოოქრული, მინანქრით, მცენარეული ორნამენტითა და ძვირფასი თვლებით შემკული. პამპურგის ხელოვნების მუზეუმი. ზომა: სიმაღლე — 34,3 სმ, სიგანე — 17,7. ჯვრის წინა პირზე მკლავები ბოლოვდება მედალიონში ჩასმულ მოციქულთა: მათე, მარკოზ, ლუკა და იოანეს გამოსახულებებითა და ბერძნული განმარტებითი წარწერებით. შუაში ჯვრის ფორმის ოქროს მინანქრიანი ფურცლებია ჯვარცმის გამოსახულებით. მკლავების ქვემოთ ბერძნული წარწერები: „აჰა ძე შენი“ და „აჰა დედა შენი“ (სურ. 1). ჯვარცმის ქვემოთ ქართული ნუსხური შვიდ სტრიქონიანი წარწერა. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი.

გამოცემა. H. Schlunk, Kunst der Spatantike und Mittelalter, Berlin, 1939, S. 47. (აქვეა ქართული წარწერის გერმანული თარგმანი).

ტექსტი:

ყოვლად შემძლვე დმერთო, დაჰისენ გახრწნის |⁴და წარწყმედისა|⁵-
[გან ძე ერისთავი|⁶სა ვახტანგ⁷, ამი|⁷ნქ.

№ 2

[XV ს.] დაფარნა

ინახება ნიუ-იორკში (აშშ) მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში. ჯვრის ფორმის, ოქრომკედლი ნაქარგი აბრეშუმში, ბარძიმზე გადასაფარებელი. ზედა და ქვედა მხარეზე გამოხატულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზი, მარჯვენა და მარცხენა მხარეს ექვსფრთიანი ქერუბიმები, ცენტრში ქრისტე. ქრისტეს გამოსახულების ზევითა და ქვევით ბერძნული წარწერები: „იესო ქრისტე“ და „ნიკა“. ბერძნული წარწერაა აგრეთვე ქრისტეს გამოსახულების ირგვლივ წრიულად. დაფარნის კიდეებზე ქართული ასომთავრული წარწერაა, რომელსაც განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებული არ არის (სურ. 3).

გამოცემა. Z. Avalishvili, A Fifteenth-Century Georgian Needle Painting in the Metropolitan Museum of New York, Georgia, October, 1935, vol. 1, pp. 67—74.

წარწერა იკითხება ასე:

ი(ეს)უ ქ(რისტე)|

* წარწერაში მოხსენიებული ერისთავის ძის ვახტანგის იდენტუფიკაცია ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში მოხსენიებულ ვახტანგ ერისთავის ძესთან არ ხერხდება.



ციო პ(ა)ტრ(ო)ნი ვი(ო)რგი). შეიმზ(ა)და წ(მი)და ესე ცხოვე(ე)ლსმყ(ო)ფელ(ო) ვნ(ებ)ა მ(ა)ცხ(ო)ერისა ჩ(ვე)ნისა ნ(ი)ვითა და ს(ა)ფ(ა)სითა² დ(ი)დისა აღმოსავლეთისა ს(ა)ხელო(ვა)ნისა, აღმოს(ა)ვლეთისა და ჩრდილოთ მ(ე)ფ(ე)თ მპყრ(ობ)ე(ლი)სა, მ(ე)ფ(ე)თ-მ(ე)ფ(ი)ს კოსტ(ა)ნტ(ინ)ე-ყ(ო)ფ(ი)ლისა კირ(ი)ლეს ძესა პ(ა)ტრ(ო)ნ(ი)ს ვი(ო)რგი)ს, ხ(ო)ლო კ(ე)ლოვნ(ე)ბითა დისა მათის³ ასთანდარის, რ(ომ)ელმან ვ(ი)გ(უ)ლსმოდგინე და წარმოვზავენე წ(მი)და ესე გარდამოქსნა წ(მი)დად ქ(ა)ლ(ა)ქ(ა)დ იეროს(ა)ლიმს, ს(ა)ფლავსა ქ(რი)ს(ტე)საქ⁴ ს(ა)ქს(ე)-ნ(ე)ბლ(ა)დ ც(ო)დვილისა სულის ჩ(ვე)ნისა და მშობე(ლ)თა ჩ(ვე)ნთა. ქ(რისტ)ე ღ(მერთ)ო, შეიწყალე ორთ(ა)ვე შინა ცხორე⁵ ბათა პ(ა)ტრ(ო)ნი ვი(ო)რგი დ(ა) მ(ა)რჯვე(ნ)ეთა შენ(თ)ათა აღრაცხენ, ოდეს მოხვიდე და დასჯდე განქ⁶ ითხვ(ა)დ ს(ა)ყდ(ა)რთა დ(ავი)თისთა, და მიაგებდე კ(ა)ც(ა)დ-კ(ა)ც(ა)დ დასა საქმეთა მ(ა)თ-თაებრ ღ(მრ)თისათ(ვი)ს. გვედრე⁷ ბი, შენ(დ)ობა ყავთ ცოდ(ვი)ლი ვ(ი)ორ-გის(ა)თვის⁸, რათა ლოცვათა⁹ თქვე(ნ)თა მიერ ღირს ვი(ქ)მნი¹⁰ მიმთხვევ(ა)დ სასუფეველ¹¹სა ცათ¹²ა¹³, ა(მი)ნ.

ქვემოთ წარმოვადგენთ დამატებით ცნობებს მოხსენიებული ისტორიული პირების მეფე კონსტანტინე-ყოფილი კირილესა და ასთანდარის შესახებ.

მეფე კონსტანტინე II-ის ბერად შედგომის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. დოკუმენტებში კონსტანტინე მეფე შემდეგნაირად იწოდება: „მეფე ღმრთივ-გვირგვინოსანი, ღმრთივალმატებული, ღმრთივდამყარებული, იესიან-დავითიან ბაგრატიონი, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა. აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფე შანშე და შარვანშა, აღმოსავლეთისა დასავლეთამდე ფლობით-მპყრობელი“.

ამგვარად, დოკუმენტური მონაცემები ეთანხმება წარწერაში კონსტანტინე მეფის „დიდისა და სახელოვანის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოთ მეფედ მპყრობელისა და მეფედ-მეფედ“ მოხსენიებას.

1505 წლის შემდეგ კონსტანტინე მეფის მიერ გაცემული საბუთები აღარ გვხვდება. წყაროები მეფედ ასახელებენ მის ძეს დავითს (1505—1525 წწ.), ბერობაში დამიანედ წოდებულს.

როგორც წარწერიდან ვიკვებთ, კონსტანტინე მეფე ბერად შემდგარა კირილეს სახელით. წარწერის ცნობას მხარს უჭერს XI საუკუნის სვიანქსარის (A 97) ერთ-ერთი გვიანდელი მინაწერი³, რომელიც წარმოადგენს კონსტანტინე მეფის მოსახსენებელს: „სულსა მეფის კონსტანტინე ყოფილი კირილეს შეუნდნენ ღმერთმან“⁴.

ამგვარად, ეპიტაფიის და A 97 ხელნაწერის გვიანდელი მინაწერის საფუძველზე ირკვევა დღემდე უცნობი ფაქტი, საქართველოს მეფის კონსტანტინე II-ის კირილეს სახელით ბერად შედგომისა, რაც XVI საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

ჯ. ოდიშელის აზრით, კონსტანტინე II-ის გარდაცვალებისა და მისი ძის დავით X-ის გამეფების თარიღის შესახებ წყაროებში განსხვავებული ცნობებია (1503 წ., 1504 წ., 1505 წ.). არც ერთი ინდიქტონიანი სიგელი არ არის

² ცსსა (საქ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი). ფონდი 1448, საბ. № 5027; ხელნაწერთა ინსტ., Ad 1669; Sd 480.

³ ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნ. კანდიდატი ვ. სილოგავა, ხელის მიხედვით, მინაწერს ათარიღებს XV ს-ის მიწურულთა და XVI ს-ის დასაწყისით.

⁴ ხელნაწერთა ინსტ., A 97, გვ. 184v—185r.

ცნობილი დავით X-ისა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მიღებულია დავით X 1505 წელს გამეფდა.

ეპიტაფიისა და სვინაქსარის A 97-ის გვიანდელი მინაწერის ცნობა კონსტანტინე მეფის ბერად შედგომის შესახებ ეჭვქვეშ აყენებს მემატანეების — ბერი ეგნატაშვილისა (1503 წ.)⁶ და ვახუშტი ბაგრატიონის (1505 წ.)⁷ ცნობას, კონსტანტინე მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ.

კონსტანტინე-ყოფილი კირილეს გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენა ამჯერად არ ხერხდება და საკითხს ღიად ვტოვებთ.

კონსტანტინე მეფის ასულ ასთანდარის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. მის შესახებ ერთადერთი ცნობა მოგვეპოვება ეპიტაფიაში. როგორც ეპიტაფიიდან ირკვევა, მისი ხელოვნებით შექმნილა ამჟამად იერუსალიმში დაცული გარდამოხსნა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია ხელნაწერი H 972, რომელიც წარმოადგენს XVII საუკუნის კრებულს. მასში არის ცნობა ვინმე ასთანდარის შესახებ: „ღმერთო და წმიდაო მოწამეო ქრისტესო მარინა, დამიცევე მონა-მოსავი შენი მეფეთ-მეფის ასული, ფრიად სულით საწყალობელი ასთანდარ და მეცხედრე ჩემი, ბატონი მანუჩარ და ძმანი ჩემნი და ამ სოფლით მიცვალებულთა ჩემთა შეეწიე წმიდაო მარინა“⁸.

კრებული, როგორც ვხედავთ, გვიანდელია, რაც გამორიცხავს ეპიტაფიაში მოხსენიებული ასთანდარის გაიგივებას მინაწერში მოხსენიებულ ასთანდართან. ასთანდარ ბატონიშვილის შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ საკვლევია. ძალაში რჩება ვ. ჯობაძის აზრი, რომ იგი უცნობია და პირველ ცნობას მის შესახებ ვხვდებით ეპიტაფიაში.

№ 4

[1577—1582 წწ.] ტრიპტიხი

ჭედური. ვერცხლი მოოქრული, შემკული ძვირფასი თვლებით. ინახება პეტსბურგში. გ. რ. ჰანის კერძო კოლექციაში. ზომა: სიმაღლე — 6 ფუტი, სიგრაძე — 10 ფუტი. სიგრაძე დახურულ მდგომარეობაში — 5 ფუტი, სწორკუთხა ფორმის ზემოთ მომრგვალებული. 1920 წლამდე ინახებოდა საქართველოში, ქვემო ქალის ეკლესიაში, ვახტანგ VI-ის ასულ ანუკას მზითვეთან ერთად. შემდეგ ის დაკარგულა და რამდენიმე ხნის შემდეგ აუქციონზე შეუქენია ცნობილ კოლექციონერს გ. ჰანს. წინა პირზე, ცენტრში ქრისტეს გამოსახულებაა. იგი ზის ტახტზე მაკურთხებელი მარჯვენით. მას მარცხენა ხელში უჭირავს გადაშლილი წიგნი. ქრისტედან მარჯვნივ ღვთისმშობელია, მარცხნივ კი იოანე ნათლისმცემელი. მეორე მხარეზე მარჯვნივ წმინდა დემეტრეა, მარცხნივ კი წმინდა გიორგი. თითოეულ მათგანს ახლავს ასომთავრული განმარტებითი წარწერა (სურ. 5, 6).

⁵ ვ. ო. დ. შ. ე. ლ. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII სს.), კრებული XIV—XVII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 85.

⁶ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი... ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 486.

⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქარილის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი... ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 392.

⁸ ხელნაწერთა ინსტ., H 972, გვ. 222r.



ცენტრში ჯვარია გამოსახული, რომლის ზევით მცენარის სიმეტრიული გამოსახულებაა, რაც ვ. ჯობაძის აზრით, წარმოადგენს სიციცხლის ხეს. დარჩენილი ცარიელი ადგილი შევსებულია ასომთავრული წარწერათ. წარწერას განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი — ტეხილი ხაზი (სურ. 7). ეს ხატი მოხსენიებულია ანუკა ბატონიშვილის მზითვის სიაში, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა⁹.

გამოცემები, 1. E. Takaišvili, Древние предметы, принадлежащие Земо-Чалской церкви, Материали по Археологии Кавказа, XII, М., 1909, стр. 132—135; 2. W. Z. Djobadze., pp. 107—109, 116.

აკად. ე. თაყაიშვილი და პროფ. ვ. ჯობაძე წარწერაში მოხსენიებული პირების მიხედვით ძველს ათარიღებენ 1577—1582 წლებით.

ტექსტი:
ქ. ქ(რისტე), შ(ეიწყალ)ე ო²რთ(ა)ვე შინა³ ცხოვრე⁴ბ(ა)სა და⁵დი(ა)ნი გ(იორგი), დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი თ(ა)მ(ა)რ დ(ა)⁶ ძე მ(ა)თი ლ(ე)ონ, რომლისა ბრძ(ა)ნ(ე)ბითა შე(ი)მკო ხ(ა)ტი ესე მ⁸აცხოვრისა, ა(მ)ინ.

№ 5

[XVI ს-ის 80-იანი წწ.—XVII ს-ის I მეოთხედი] გარდამოხსნა მეფე ხოსროს ასულ ელენე-ყოფილი ეკატერინესი

ინახება ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტში.

ცენტრში ზეწარზე დასვენებულია ქრისტეს ფიგურა. მის გარშემო არიან ანგელოზები და წმინდანები. ყოველ პირს ახლავს ასომთავრული განმარტებითი წარწერა: „დედა(ა) ღ(მრ)თისა, წ(მიდა)ა მიქაელ, წ(მიდა)ა გაბრიელ, წ(მიდა)ა მართა და მარიამ, წ(მიდა)ა იოსებ, წ(მიდა)ა იოვანე მახარებელი, წ(მიდა)ა არს გარდამოხსნა ღ(მრ)თისა ჩ(ვე)ნ(ი)სა, დედანი მენ(ე)ლსაცხ(ებ)ლ(ე)ნი, ანგ(ე)ლ(ო)ზი ლოდსა ზე(და) ზის“ (სურ. 8).

გამოცემები: 1. A. C. Weibel, An Embroidery of the Eastern Orthodox Church, Bulletin of the Detroit Institute of Arts, XXXIV, no. 1, 1954—1955, pp. 6—8; 2. M. Brière, Une broderie georgienne à Detroit, Cahiers archéologiques, VIII, 1956, pp. 245—248. (ბრიერი აქვეყნებს წარწერის ინგლისურ თარგმანს); 3. W. Z. Djobadze..., pp. 113—114; 4. ვ. ბერიძე, ქართული ნაქარგობის ისტორიიდან, თბ., 1983, გვ. 18—19*.

წარწერის დათარიღება გამოცემებში: 1. გ. ჩუბინაშვილი გარდამოხსნას ათარიღებს 1574 წლის შემდეგი დროით. 2. ვ. ჯობაძე 1574—XVI საუკუნის მიწურულით. 3. ვ. ბერიძე, XVI საუკუნის ბოლო მეოთხედით.

⁹ გაზეთი ივერია, 1899 წ., №№ 234, 235; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიმედიანი III, 1910, გვ. 477—491; ნ. მანაბელი, ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 178—190; მ. იაშვილი, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1974, გვ. 42—59.

* აკად. ვ. ბერიძის ცნობით, ა. კ. ვეიბელსა და მ. ბრიერს აღნიშნული გარდამოხსნის თაობაზე წერილით მიუმართავთ აკად. გ. ჩუბინაშვილისათვის და უთხოვიათ მათთვის გაუგებარი წაკითხვებისა და მოხსენიებულ პირთა ვინაობის გარკვევა. აკად. გ. ჩუბინაშვილის არქივში ინახება მისი პასუხი ვეიბელისადმი, რომელშიც დაზუსტებულია როგორც ტექსტის წაკითხვა, ასევე ისტორიულ პირთა ვინაობა. გ. ჩუბინაშვილის წერილი გამოაქვეყნა აკად. ვ. ბერიძემ, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 93—95.

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: წარწერის შინაარსი
ში მოხსენიებული ისტორიული პირები.

ტექსტი:

ქ. შეწ(ე)ენითა ღ(მრ)თისათა კელ-ყყ(ა)ვ მე, ფ(რ)იად ც(ო)დვილმ(ა)ნ კახ-
თა** მეფისა პ(ა)ტრ(ო)ნის ხოსროს ას(უ)ლმან ელენე-ყ(ო)ფილმან¹² ეკატე-
რინე, თ(ან)ამ(ე)ცხედრ(ე)მან ფანასკერტლისა***, პ(ა)ტრონისა ფარს(ა)დანი-
ს(ა)მან¹³, შემკობ(ა)დ წმიდისა ამის ქრისტ(ე)ს ღ(მრ)თისა ჩ(ვე)ნისა გ(ა)რდა-
მ(ო)კსნ(ი)სა, საქსრ(ა)დ და მ(ე)ოხად სულისა ჩ(ვე)ნთასა. სადღეძქელოდ (sic)
ძ(ე)თა და ასუ[ლ]თა ჩ(ვე)ნთათვის. ასულმან ჩემ(ა)ნ.¹⁴ მონაზ(ო)ნმან ანასტა-
სია, კელ-ყო ხატე(ა)დ და შემკ(ო)ბად ამისა, შე(ე)წ(ი)ე და შეიწყალ(ე), ა(მ)ინ.

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ წარწერაში
მოხსენიებული მეფე ხოსრო არის კახეთის მეფის ლევანის ვაჟი. ხოსრო მე-
ფედ პირველად მხოლოდ ეპიტაფიაში გვხვდება. სხვა წყაროები მას ამ ტი-
ტულით არ იხსენიებენ. როგორც ცნობილია, ლევანს პირველი მეუღლისაგან
თინათინისაგან ჰყავდა ძე ალექსანდრე, ხოლო შამხლის ასულისაგან ვაჟები
ხოსრო, ელმურაზი (var. ელმირზა) და ვახტანგი. ლევან მეფის გარდაცვალე-
ბის შემდეგ (1578 წ.)¹⁰ ძმებს შორის ტახტისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლა
ვაიმართა. თორღასთან ბრძოლაში ალექსანდრე მეფემ დაამარცხა თავისი ძმე-
ბი ელმურაზი და ხოსრო და დახოცა ისინი. ამ საზარელი ამბის შესახებ ნარა-
ტიული წყაროები კონკრეტულ თარიღს არ აღნიშნავენ¹¹. ამ წყაროებში მი-
ნიშნებულია მხოლოდ არაპირდაპირი, ამასთან ერთმანეთისაგან განსხვავებუ-
ლი თარიღები. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია
საბუთი, რომელიც წარმოადგენს 1580 წლის ყმების შეწირულობის წიგნს,
ბოძებულს ლეონ მეფის ძე ელმირზას მიერ მცხეთის სვეტიცხოველისათვის.
საბუთს აქვს ელმირზას ხელრთვა¹². ვფიქრობთ, აღნიშნული საბუთი იძლევა
უფლებას, ალექსანდრე მეფესა და მის ძმებს შორის ბრძოლა და ხოსროს
მოკვლა 1580 წლის შემდგომი დროით დავათარილოთ.

წარწერიდან ირკვევა, რომ ელენე-ყოფილი ეკატერინე იყო მეუღლე ფარ-
სადან ფანასკერტელისა. მას თავის ასულ ანასტასიასთან ერთად მოუქარგავს
გარდამოხსნა. მოგვებოვება საბუთი, რომლის მიხედვითაც ელენე 1612 წელს,
თავის მეუღლესთან ერთად, აძლევს ბააკა ბუნიათისშვილს მამულის წყალო-
ბის წიგნს: „უამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ
და გიბოძეთ ჩუენ. ფანასკერტელმან-ციციშვილმან პატრონმან ფარსადან და
თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონის შვილმან პატრონმან ელენე და შვილთა
ჩუენთა ბატონმან ციცი, ბატონმან ნოდარ შენ, ბუნიათასშვილსა ბააკასა და
შენთა შვილთა და შვილისშვილთა. ასე და ამა პირსა ზედა. რომე უწინაც ბა-
ტონის მამის ჩუენისაგანც გქონდა წიგნი და აწე ჩუენც გაგიახლეთ და გიბო-
ძეთ. რაც ან ამას წინეთ მამული გქონდა და ან ახლა ჩუენგან წყალობათ ბო-
ძებული გაქუს, ასრე შენთვის გვიბოძებია. რომე არა შენი ნათესავი და [სხვა]

** წარწერაში მცდარად არის ამოქარგული „იკახთა“. ამის შესახებ იხ. ვ. ჯობაძის დასაწ.
ნაშრ., გვ. 98—102.

*** უნდა იყოს ფანასკერტ(ე)ლისა.

¹⁰ ქ. ოღიშელიძე, გვ. 104.

¹¹ ბერი ეგნატაშვილი, გვ. 369; ვახუშტი, გვ. 576.

¹² ცსსა, ფ. 1448, საბ. 5527.

გუარის კაცი და არც შენი ბიძასშვილი არ შემოგეცილოს, არც რას მოგედევბოდეს და არც რას გესარჩლოს, ისრე შენთვის მო[გვიცემია].

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან, ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არა მოგეშალოს, ხ(ოლო) ვიდრე ეამთა აღსასრულამდე.

დაიწერა ქ(რონი)კ(ონ)სა ტ (1612).

ხელრთვა (ხვეულად): ††† ფარსადან¹³.

ამგვარად, როგორც ზემომოყვანილი საბუთიდან ირკვევა, 1612 წელს ელენე ჯერ კიდევ არაა ქვრივი და არც მონაზონი. ის საბუთებში იხსენიება ქმარ-შვილთან ერთად საერო სახელით.

ზემოაღნიშნული საბუთები იძლევა საფუძველს გარდამოხსნა დავათარილთ XVI ს-ის 80-იანი წლებითა და XVII საუკუნის I მეოთხედით.

№ 6

1702 წ. ფილონი

დაცულია ათენში ბენაკის მუზეუმში. ფოტოსურათები პროფ. ვ. ჯობაძემ მიიღო ბენაკის ბიზანტიური ხელოვნების მუზეუმის დირექტორის პროფ. მ ხაძიდაკისაგან. ფილონის წინა პირზე, ზემოთ, გამოსახულია ოთხი მხარე-ბელი, ქვემოთ ეკლესიის ოთხი მსახური (სურ. 9). მეორე მხარეზე, ზემოთ, ცენტრში გამოსახულია ქრისტე, მისგან მარჯვნივ იოანე ნათლისმცემელი, მარცხნივ ღვთისმშობელი და წმინდა პეტრე. ქვემოთ წმინდანები: ნიკოლოზი, ბასილი, გრიგოლი და იოანე, რომელთაც ახლავთ ბერძნული განმარტებითი წარწერები (სურ. 10). ირგვლივ ქართული ასომთავრული წარწერაა. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი, გვხვდება ქარაგმა — განივი ტეხილი ხაზი. სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებულია. ახასიათებს გრაფემების რ—ო, ე—თ, ლ—ო, გ—ჯ, ლიგატურა.

ზოლისებური წარწერა ამჟამად ნაკლულია. ფილონს უკან ორივე გვერდზე და წინ საპირეზე აკლია წარწერის ტექსტი. პროფ. ვ. ჯობაძის დაკვირვებით, ნაქარგი თავდაპირველად სხვა ჩასაცმელზე ყოფილა დაკერებული. სამოსელის ვაცვეთის შემდეგ ამოურღვევიათ და ახალ ჩასაცმელზე დაუკერებიათ, ჩანაქერ ადგილებში კი ტექსტი დაიმალა*.

წარწერას ახლავს თარიღი: ქრონიკონი ტუ (390 = 1702 წ.).

ტ ე ქ ს ტ ი:

ჩ(ვე)ნ, შეწვენისა თქ(ვე)ნისა² [მსასოებელმა ქიზიყის მ]ო(ტ)რ(ა)ვმა ენდრონიკეს შვილმა რ(ე)ვ(ა)ზ, შ(ე)ვ(ა)კ(ე)|³რვინეთ ფილონი ესე|⁴ [საბუ]** კროთურთ და შემოგწირ(ე)თ ქ(ა)რთვ(ე)ლთ(ა) ნ(ა)თ(ე)ლმყოფ(ე)ლსა წ(მ)ი-(და)ს[ა ნი]|⁵ნოს ს(ა)გ(ა)რ(ე)ჯოს დღ(ე)თა ჩ(ვე)ნთა⁶ სამწირველოდ***. და სულთა ჩვენთა საოხად|⁷... [შესა]ნდ(ობ)ლად იყოფოდა?

ქ(რონი)კ(ონ)ს ტუ.

¹³ ხელნაწერთა ინსტ., Hd 820ა.

* პროფ. ვ. ჯობაძის გამოგზავნილ ამ წარწერის წაკითხვაზე ჩვენ დამატებით გარკვეული სამუშაო ჩატარებთ, სტრიქონების დალაგებისა და დაზიანებული ადგილების აღდგენისას კონსულტაცია გავკოფია დოც. ნ. შოშიაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

** აღდგენა ეკუთვნის ვ. სილოგავას.

*** დედანშია სწლმრველოდ.

1707 წ. სახარების ოქროს ქედური ყდა მინანქრით

დაცულია ვალტერის გალერეაში (აშშ), № 44 269; ზომა (დახურულ მდგომარეობაში) 150×75×25 მმ.

ბუდის წინა პირზე გამოსახულია ჯვარცმა, მეორე მხარეს კი „ჯოჯოხეთის წარტყვევნა“ (სურ. 11). ირგვლივ, ოთხივე მხარეს, არის ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი, გვხვდება ქარავმა.

გამოცემები: A. Frolov, *Les émaux de l'époque postbyzantine et l'art du cloisonné*, Cahiers archéologiques, II, 1947, pp. 147—150; 2. W. Djobadze., p. 111.

ტექსტი:

ქ. ნებითა და შეწვევითა მღთისათა ჩვენ, ფრიად ცო²ღვილმ(ა)ნ დიდისა და ზემთა აღ³მატებულისა ქართლისა მეფეთ-მეფისა, სრულაად ერ⁴ანისა სპასალარისა, ყანდარის და ქირმ(ა)ნ⁵ისა ბეგლ(ა)რბევისა, გიორგი-ყოფილისა, პატრონისა შ(ა)ჰან(ა)გაზის⁶ მონამ(ა)ნ, მდივანმა კვინიხიძემა⁷ ვითრგმ, მ(ო)ვაქედინეთ პატიოსანი სახარება ეს⁸ სულთა და ხორცთა საოხად, ამინ.

ქრონიკ(ონ)ს ტყე.

წარწერაში მოხსენიებული მეფე გიორგი-ყოფილი, შაჰნავაზ II არის ქართლის მეფე გიორგი XI (1676—1688 წწ., 1703—1709 წწ.), როგორც ცნობილია, 1703 წელს შაჰმა ქართლი ჩამოართვა ერეკლე I-ს და ისევ გიორგი XI-ს დაუბრუნა. ქართველი მეფე, როგორც ყანდარის მბრძანებელი და ირანის ჯარების მთავარსარდალი, დატოვებულ იქნა ავღანეთში. გიორგი მეფის თხოვნით ქართლის ჯანიშინად დაინიშნა მისი ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე. გიორგი მეფემ აღკვეთა ირანზე ავღანელთა თავდასხმები. დააპატიმრა მირვეისი და ირანში გააგზავნა. 1709 წელს მირვეისი პატიმრობიდან დაბრუნდა. მან ნადიმზე მუხანათურად მოაკვლევინა გიორგი მეფე.

გიორგი მეფის მდივან-მწიგნობრის, გიორგი კვინიხიძის, შესახებ მოგვეპოვება დოკუმენტური მონაცემები. ასე, მაგალითად, 1706 წელს შაჰნავაზ მეფის მიერ ალავერდი არეშაშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნი¹⁴ დაწერილი ყოფილა გიორგი კვინიხიძის მიერ.

გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ გიორგი კვინიხიძე მეფე ვახტანგ VI-ის მდივან-მწიგნობრად ჩანს. ამაზე მიგვითითებს 1712 წელს მეფე ვახტანგ VI-ის მიერ ინდო გაბაშვილისათვის ბოძებული სიგელი, რომელიც გიორგი კვინიხიძის მიერაა დაწერილი¹⁵.

№ 8

1710 წ. ღვთისმშობლის ოქროს ხატი (მინანქრიანი)

ინახება აშშ, ვალტერის ხელოვნების გალერეაში, № 44. 176, ზომა: 89×75 მმ.

¹⁴ ცსსა, ფ. 1448, საბ. 96.

¹⁵ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, თბ., 1910, გვ. 151.



ხატის წინამხარეზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით (სურ. 12). მერ-
 რე მხარეზე გამოსახულია ჯვარი, რომელიც დვას სამ საფეხურიან დასა-
 ზე. ჯვრის აქეთ და იქით ქრისტეს მარტილობის ინსტრუმენტებია. ჯვრის ზე-
 მით ქართული ასომთავრული წარწერაა: ი(ესო) ნ(აზარეველი) მ(ეფევე) ჰ(უ-
 ჩიათა). ცარიელი ადგილი დაფარულია მცენარეული ორნამენტით (სურ. 13).
 ხატის წინა მხარეს, ქვედაკიდებზე და გვერდებზე, ორსტრიქონიანი მხედრული
 წარწერაა (სურ. 14). განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი, გვზდება
 ქარაგმა.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: 1. A. Frolov..., pp. 147—150; 2. W. Djobadze...,
 pp. 111—112, 117.

წარწერას ახლავს თარიღი: ქრონიკონი ტუ, (398 = 1710 წ.).

ტ ე ქ ს ტ ი:

ქ. ჩვენ, ბატონისშვილმა ხვარამზემა, მოვაჭედინეთ¹² ხატი ესე და შე-
 მოვწირე თფილისის სიონთა¹³ ღ(მრ)თისმშობელს, ვითაცა ჩვენი სასურველი
 შვილი თამარ¹⁴ თქვენ ტაძარში ემარხა, მისის სულის საცხრად, ცოდვ¹⁵ათა
 ჩვენთა შესანდობლად შეიწირე შენ, ყ¹⁶(ოვ)ლად სანატრელო ქალწულო.

ქ(რონი)კ(ონ)ს ტუ.

წარწერაში მოხსენიებული ხვარამზე ბატონიშვილი და იყო მეფე ვაზ-
 ტანგ VI-ისა. ამაზე მიგვიითთებს ბატონიშვილ ხვარამზეს მიერ პაატა მახა-
 რობლიშვილისათვის ბოძებული სითარხნის წიგნი¹⁶. ის ლევან მეფესა და დე-
 დოფალ თუთა ქაიხოსროს ასულს შესძენიათ 1678 წელს.

ხვარამზე ბატონიშვილს ოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაცვლია ასუ-
 ლი თამარი, რომელიც თბილისის სიონის ტაძარში დაუსაფლავებიათ. გარდა-
 ცვლილი შვილის სულის საოხად ხვარამზე ბატონიშვილს სიონის ტაძრისათვის
 შეუწირავს ზემოაღნიშნული ღვთისმშობლის ხატი. (დღეისათვის თამარ ბა-
 ტონიშვილის საფლავი შემონახული არ არის).

№ 9

1724 წ. დედოფალ ელენეს მიერ იერუსალიმის გოლგოთის
 ტაძრისათვის ბოძებული ჯვრის კვარცხლბეკის შემკულობა

ინახება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. წრის ფორმის ნაქარგი, სვე-
 ტებით გაყოფილია ექვს ნაწილად. სვეტების თავზე მცენარეული ორნამენ-
 ტია. სვეტები შევსებულია „გარდამოხსნის“, „დედანი მენელსაცხებლენის“,
 „ჯვარცმის“, „ამალღების“ კომპოზიციებით და მცენარეული ორნამენტით
 (სურ. 15). კიდებზე წრიულად ქართული ასომთავრული წარწერაა. განკვეთი-
 ლობის ნიშანი არ ახლავს, გვზდება ქარაგმა.

კვარცხლბეკის შემკულობის ფოტო გამოქვეყნებულია: M. Tamarati,
 L'Eglise Georgienne..., Rome, 1910, p. 314.

წარწერას ახლავს თარიღი: ქრისტეს აქეთ ჩღკგ—1723 წელი.

ტ ე ქ ს ტ ი:

ჩ(ვე)ნ, მ(ე)ფ(ე)თ-მ(ე)ფის ერეკლეს¹² ას(უ)ლმ(ა)ნ ელენე[მ], შევ(ა)მკე
 კუ(არ)ცხლ¹³ბეკი ესე ადგილისა წ(მიდი)სა გოლგოთ¹⁴ისა, რ(ომე)ლსა ზ(ე)და

¹⁶ ხელნაწერთა ინსტ., Sd 679.



აღიმა(რ)თა ძელი ჯ(უარ)ისა⁵, რ(ათ)ა მ(ეო)ხ და მვ(არ)ვ(ელ) გ(ვე)მ(ღ)ე(ს)ა უღლით⁶, ძით და ასულით.

ქ(რისტე)ს აქეთ ჩღკგ.

წარწერაში მოხსენიებულია მეფეთ-მეფე ერეკლეს (ნაზარალი-ხანის) ასული ელენე, ქართლის დედოფალი (1714—1717 წწ., 1724—1727 წლებში). ის იყო თანამეცხედრე იესე მეფისა. ელენე დაიბადა ისპაანში, სადაც მას დაარქვეს ბანჯანუმ ბეგუმი. მისი მონაზვნობის სახელი იყო ელისაბედი. მას იესე მეფესთან ჰყავდა შვილები: იოვანე, ანასტასია, მარიამი და თეიმურაზი (იგივე ანტონ კათალიკოსი). როგორც წარწერიდან ირკვევა 1723 წელს მას ჰყოლია ორი შვილი: ვაჟი თეიმურაზი და ქალიშვილი, რომლის სახელიც უცნობია. ვაჟი, იოანე, მას 1717 წელს გარდაეცვალა.

ელენე დედოფალმა უარყო მეუღლის პოლიტიკური კურსი და ორიენტაცია აიღო ევროპაზე (resp. რუსეთზე). 1737 წელს იგი ამალით მიემგზავრება ემიგრაციაში — რუსეთში. გარდაიცვალა 1749 წლის 27 აპრილს მოსკოვში. მისი სურვილისამებრ, ელენე-ყოფილი ელისაბედი დაუსაფლავებიათ დონის მონასტერში*. ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ მისი მსახურები, სახელდობრ, მოძღვარი ზენონი მიმართავს თხოვნით რუსეთის იმპერატორს მათი სამშობლოში დაბრუნების თაობაზე¹⁷.

წარმოდგენილი მასალა შეიცავს ფრიად საყურადღებო ცნობებს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა საქართველოს იერუსალიმთან ურთიერთობა, ქართული წიგნის ისტორია, საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია და გენეალოგია, ბიზანტიის შემდგომი ხანის ქართული მცირე ხელოვნება და სხვა.

ასეთი მეცნიერულად ღირებული მასალის მოწოდებისათვის ბატონ ვახტანგ ჯობაძეს, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სახელით, უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

Д. И. ЛОМИДЗЕ


НЕКОТОРЫЕ ИСТОРИЧЕСКИЕ МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ ИЗ ЗАРУБЕЖНЫХ ДРЕВНЕХРАНИЛИЩ

Резюме

В статье по полученным фотоматериалам для фонда фотокопии Института рукописей рассмотрены некоторые памятники грузинского малого искусства из зарубежных древнехранилищ, к тому же, публикуются имеющийся на этих предметах надписи, содержащие ценные данные по отдельным вопросам истории Грузии, главным образом хронологии и генеалогии.

¹⁷ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი 110/1, 1750 წლის საქმე № 7, ფრ. 2r—3v.

* ელენე დედოფლის შესახებ იხ. დ. ლომიძე, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (დოკუმენტური წყაროები ელენე დედოფლის შესახებ), მრ.აქალთაფი, XIII, თბ., 1986, 26—43.



სურათი 1, ჯვარი (წინა მხარე), (XII—XV სს.), ჰამბურგის ხელოვნების მუზეუმი.



სურათი 2, ჭვარი (უკანა მხარე), (XII—XV სს.), ჰამბურგის ხელოვნების მუზეუმი.



სურათი 3, ბარძიშზე გადასაფარებელი, (XV ს.), ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმი.



სურათი 4, გარამოხსნა, (1505—1525 წწ.), დაცულია იერუსალიმში ბერძენთა სავატრიარქოში.





სურათი 6, ტრიპტიხი ქვემო პალიდან (ზურგის მხარე), (1577—1582 წწ.), პიტსბურგი.
რ. ჰანის კერძო კოლექციაში.



სურათი 7, ტრიბტიხი ქვემო ჭალიდან (ზურგის შუა ნაწილი), (1577—1582 წწ.), პიტსბურგი,
რ. პანის კერძო კოლექცია.



სურათი 8, გარდამოსხმა, (XVI ს. 80-იანი წლები — XVII ს-ის I მეოთხედი) აშშ, დეტროიტის
 ხელოვნების ინსტიტუტი.



სურათი 9, ფილონი (წინა მხარე), 1702 წ., ათენი, ბენაქის მუზეუმი.



სგრათი 10, ფილონი (ეკანა შხარე), 1702 წ. ათენი, ბენაკის მუზეუმი.

საქართველოს
საეკლესიო
მემკვიდრეობის
სამეცნიერო
ცენტრი

საქართველოს
საეკლესიო
მემკვიდრეობის
სამეცნიერო
ცენტრი



საქართველოს
საეკლესიო
მემკვიდრეობის
სამეცნიერო
ცენტრი



საქართველოს
საეკლესიო
მემკვიდრეობის
სამეცნიერო
ცენტრი


სურათი 11, სახარების უდა (ვაშლილი სახით), 1707 წ., აშშ, ვალტერის გალერეა.




სურათი 12, ღვთისმშობლის ხატი (წინა მხარე), 1710 წ., აშშ, ვალტერის გალერეა.



სურათი 13, ღვთისმშობლის ხატი (ზურგი მხარე), 1710 წ., ვალტერის გალერეა.



სურათი 14, ლეთისმშობლის ხატის წარწერები, 1710 წ., აშშ, ვალტერის გალერეა.



სურათი 15, ჯვრის კვარცხლბეის შემეულობა, 1724 წ. დატულია იერუსალიმის
ჯვრის მონასტერში.

რამდენიმე სიტყვა ილია აბულაძის მოსაზრებაზე*

1. ილია აბულაძე ჩემი უმცროსი კოლეგა იყო, ჩვენ შორის სამიოდე წლის განსხვავება იყო. მაგრამ ილია აბულაძემ ენისა და ლიტერატურის განყოფილების შემდეგ საენათმეცნიერო განხრითაც განაგრძო სწავლა, და ისე მოხდა, რომ ზოგადი ენათმეცნიერების სემინარში შევხვდით ერთმანეთს: მე — ახალბედა ლექტორი და ილია აბულაძე — სტუდენტი და სემინარის ერთდერთი მონაწილე. მაგონდება, როგორ ვამუშავებდით ჰერმან პაულის ცნობილი კურსის („პრინციპები ენის ისტორიისა“) შესავალს, ე. წ. „პრინციპთ-მოდვრებას“ (Prinzipienlehre).

3. პაულის კურსი ახლა რუსულად თარგმნილია (1960 წ.), მაშინ კი (1929 წ.) გერმანული დედანი გვექონდა და მას ვარჩევდით: ჯერ ვთარგმნიდით და მერე — ავტორის აზრის ადეკვატურ გაგებასა და ინტერპრეტაციას ვცდილობდით. პაულის კონცეფცია შინაარსით რთულია (ფსიქოლოგიზმის ორიგინალურ ვარიანტს წარმოადგენს, საკმაოდ სადაოს, თავის დროზე ვ. ვუნდტის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია). რთულ შინაარსს მძიმე ენა ერთვის. თითო ჯერზე თითო აბზაცს თუ დავძლევდით!

საჭირო ზოგადი მომზადება ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში იქნებ სტუდენტს აკლდა, მაგრამ პაულის ნააზრევის სათანადო გაგება-შეფასება მაინც მიღწეული იყო. და ეს ილია აბულაძის მუშაობის წესსა და ხასიათს შეეფერებოდა: დინჯი მუშაობა იცოდა და საფუძვლიანი მსჯელობაც სჩვეოდა.

2. ცნობილია პალეოგრაფიული ალბომი, რომელიც ილია აბულაძემ შეადგინა („ქართული წერის ნიმუშები“, 356 გვ.) და ჩვენმა უნივერსიტეტმა გამოსცა 1949 წ. მრგლოვანი, კუთხური და გარდამავალი მხედრულის ნიმუშებს ერთვის ქარაგმთა გახსნის ვრცელი ინდექსი (გვ. 330—356).

მაშინ ილია აბულაძე პროფესორი იყო. გაცილებით ადრე სტუდენტმა ილია აბულაძემ ჩემი თხოვნით დაამუშავა „სავარჯიშო ქართულ პალეოგრაფიაში“ ორ რვეულად (1927—28 წწ.) და ლითოგრაფიულად გამოსცა უნივერსიტეტმა.

1924 წლიდან ქართული ენის კათედრის დავალებით ქართული პალეოგრაფიის პრაქტიკუმს ვატარებდი: მდებარედ რომ ვთქვათ, სტუდენტებს ვასწავლიდი ასომთავრულისა და ნუსხური ასოების წერას და შესაბამისი ხელნაწერების კითხვას. ასოთა ტიპურ ნიმუშებს მე ვაწვდიდი.

* აკად. ა. ჩიქობავას ეს წერილი წაკითხული იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებლის ი. აბულაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 1981 წ. 9 დეკემბერს. ამჟამად დაცულია ი. აბულაძის პირად არქივში (№ 686). რედაქციამ მიზანშეწონილად ჩათვალა ამ წერილის დაბეჭდვა „მრავალთავის“ საიუბილეო კრებულში.

1 ეს სემინარი იმ ხანად უკანასკნელად ჩატარდა; მეორე (1930 წლიდან) უნივერსიტეტი ინსტიტუტებად იყო დაყოფილ და ბრიგადულ-ლაბორატორიულმა მეთოდმა ეს სემინარიც მოშალა და „ზოგადი ენათმეცნიერების“ სწავლებაც.



შემდეგ ჩემი თხოვნით ეს „რვეულები“ გაკეთდა: ხელნაწერები (XII სს.) ილია აბულაძესთან ერთად შევარჩიეთ, ილიამ კალკით გადაიღო ლითოგრაფიულად დაბეჭდა. კაცმა რომ თქვას, კალკის გარეშეც შეეძლო გადამოეცა ილია აბულაძეს ხელნაწერთა ასოების ვარიაციები.

ილია აბულაძის ხელნაწერს არ სჭირდებოდა მანქანაზე გადაბეჭდვა. ყოველ ნაბეჭდზე უფრო გარკვეული იყო (მხოლოდ გრიგოლ წერეთლის, ბერძნული პალეოგრაფიის გამოჩენილი სპეციალისტის, ხელით ნაწერი — რუსული თუ ლათინური ან ბერძნული ტექსტი — შეეძლო კაცს შეედარებინა ილია აბულაძის ნაწერისათვის).

ეს უმნიშვნელო ტექნიკური თავისებურება როდია, ამაში პიროვნება ჩანს, მისი ხასიათი და, იქნებ, სპეციალობაც — ფილოლოგისა. ნიჟაძე რომ ხელნაწერებს უტრიალებს (აკი ძველი ხელნაწერის — მთავრული იქნებოდა თუ ნუსხური — გადამწერი ხელს არ იცვლიდა: ხელის სხვაობა გადამწერთა სხვაობას მოასწავებს).

ხელის ასეთი თავისებურება ოღონდაც რომ მისაბაძია, მიბაძვა რომ აღვილი იყოს.

3. 1939 წელს, თუ არ მეშლება, ილია აბულაძემ უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა (მონოგრაფია შუშანიკის ქართული და სომხური ტექსტის შესახებ). დისერტაცია გამოქვეყნებული იყო, დაცვა — ჩინებული და შეფასებაც — მაღალი.

დაცვის შემდეგ საბჭო მსჯელობდა დაცვის შესახებ (ახლანდელი ინსტრუქცია ამგვარ მსჯელობას წესის დარღვევად თვლის). საბჭოში აზრთა სხვაობა არ ყოფილა.

საბჭოს ერთმა წევრმა იკითხა: „რა აკლია ამ დისერტაციას, რომ ის სადოქტოროდ მივიჩნიოთ, და სათანადო შუამდგომლობაც აღვძრაოთ“.

წინადადებას არავინ გამოხმაურებია. როგორც შემდეგ გამოიჩვენა, კათედრის ხელმძღვანელთან (ილია აბულაძე მაშინ არმენოლოგიის კათედრის წევრი იყო) ურთიერთობა კი გაართულა, ეს კი წინადადების ავტორს აზრად არ მოსვლია (წინადადების გულუბრყვილო ავტორი ამ სტრუქტურების დამწერი გახლავთ. მას კარგა ხანს ვერ გავგო, მეცნიერებაში ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო).

სადოქტორო დისერტაცია ილია აბულაძემ რამდენიმე წლის შემდეგ დაიცვა.

4. ილია აბულაძე რამდენიმე წლის მანძილზე ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო. როცა გავიგე, დეკანად დანიშნესო, გამიკვირდა, როგორ იკისრა მეთქი, რთული წლები იყო (ლიტერატურისმცოდნეობაშიც და ენათმეცნიერებაშიც: დადგენილება ლენინგრადის სალიტერატურო ყურნალების შესახებ, ენის ახალი მოძღვრების მძაფრი შემოტევა მონობოლიის დასამკვიდრებლად).

ილია აბულაძემ ღირსეულად გაართვა თავი სირთულეებს. მაღლობით ვიგონებ, როგორ ექომაგებოდა თურმე ზოგ ათვალისწინებულ სახელმძღვანელოს, სადაა ნაცვალი რუსულ ენაზეო?

ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ, თავის სიმართლეში დარწმუნებული, დაწესებულების ხელმძღვანელს მოურიდებლად მოახსენებდა თავის აზრს... და ხელმძღვანელიც ამას ურიგდებოდა (მის ობიექტურობასა და საქმის სიყვარულს ანგარიშს უწყევდა).

1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ აგვისტოში უმაღლესი განათლების სამინისტრომ უმაღლესი სკოლის მუშაკთა საკავშირო გამართა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ილია აბულაძე თათბირზე მონაწილეობდა და სიტყვაც წარმოთქვა, საბუთიანი და სამართლიანი (მანამდე არსებული ვითარების შესახებ).

5. ილია აბულაძე 1950 წლის დამლევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

ადგილი მისთვის არ ყოფილა გამოყოფილი. მაგრამ საექსპერტო კომისიაში გიორგი ჩუბინაშვილმა დაასახელა ილია აბულაძის კანდიდატურა, და კომისიამაც მხარი დაუჭირა. მას უკვე ჰქონდა ქართული და სომხური ფილოლოგიის წამყვანი სპეციალისტის, პირველწყაროთა ავტორიტეტული მკვლევარის სახელი.

მარტო ის რაღა ღირს, რომ მან მიაკვლია ალბანურ ანბანს სომხურ ხელნაწერში მატენადარანში მუშაობისას და პირველი ინფორმაციაც მის შესახებ გამოაქვეყნა.

კავკასიის ალბანეთისა და ალბანური დამწერლობის პრობლემა დიდი მნიშვნელობის პრობლემად ითვლება, და ამ პრობლემის განხილვისას ილია აბულაძის დამსახურება მით უფრო ნათლად გამოჩნდება, რაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა პრობლემას.

6. სომხურ-ქართული ფილოლოგიის დონე ნიკო მარის შესანიშნავი გამოკვლევების შემდეგ ისე მალდა არა მდგარა, როგორსაც მან მიაღწია ილია აბულაძის შრომებში (მასთან ილია აბულაძის თვალსაზრისი სომხური და ქართული ფილოლოგიის ისტორიული ურთიერთობის პროცესს უფრო ობიექტურად ასახავდა).

„ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ იმ სახითაც, რაც მას აქვს ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემაში, ერთგვარად აჯამებს იმ ფილოლოგიურ მუშაობას, რაც ილია აბულაძის სასიცოცხლო საქმეს წარმოადგენდა. ეს ლექსიკონი ფასდაუდებელ განძად დარჩება ნაკვლევში ძველი ქართულის შესახებ.

7. ილია აბულაძის სახელთან არის დაკავშირებული „ხელნაწერთა ინსტიტუტის“ შექმნაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში².

ინსტიტუტის დაარსებით ხელნაწერთა დაცვა-მოვლა უზრუნველყოფილი იქნა, და მით საქვეყნო საქმე გაკეთდა, — დიდი საქვეყნო საქმე. და ეს ილია აბულაძის სახელთან იქნება მუდამ დაკავშირებული.

8. ხელნაწერთა ინსტიტუტი არა მხოლოდ იცავს და უვლის ხელნაწერებს, არამედ აღწერს და იკვლევს მათ. საამისოდ კადრებია საჭირო, კადრებს პოვნა და წვრთნა უნდა.

კადრების მომზადება ადვილია, თუ ფორმალურად მოვეკიდებით, მაგრამ რთული და ძნელია, თუ გ ა მ წ ე ვ ი ძ ა ლ ა გვინდა შეგვემატოს.

ილია აბულაძე სწორედ ასეთ კადრებს ამზადებდა. კერძოდ, მან ინსტიტუტში მტკიცე ნიადაგზე დააყენა ძველი ბერძნულისა და ძველი სომხურის (აგრეთვე აღმოსავლური ენების) შესწავლა.

² ხელნაწერთა ინსტიტუტი საკავშირო მეცნიერებათა სისტემაში არ არსებობს („მატენადარანიც“ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიას არ ექვემდებარება). ზოგ სპეციალისტს ჩვენში ექვემდებარება: ხელნაწერთა ინსტიტუტს არ დაამტკიცებენო. აკად. ა. ნესმეიანოვის (საკავშირო აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის) მხარდაჭერას ვადაწყვეტა საკითხი: „რესპუბლიკური აკადემიები თავის სტრუქტურაში იმეორებენ საკავშირო აკადემიას, აქ კი. თავისებურება გვაქვს, და ეს მოსაწონიაო“.



ილია აბულაძე ახალგაზრდა სპეციალისტებს უნერგავდა სისტემური მუშაობის ჩვევებს. ეს არც თუ მარტივი იყო (მოქმედებდა სხვა ჰუმანიტარულ ინსტიტუტებში არსებული ვითარება).

დიდად დასაფასებელია ის თანამიმდევრობა და სიმტკიცე, რასაც ილია აბულაძე ასეთ შემთხვევაში იჩენდა.

და თუ დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივი გამოირჩევა სისტემური საკვლევაციებო მუშაობითა და ამ მუშაობის ნაყოფიერი შედეგებით (ჩვენი აკადემიის ჰუმანიტარულ ინსტიტუტებს შორის) ამას უნდა ვუმადლოდეთ ილია აბულაძეს და იმათ, ვინც ილია აბულაძის ამ ტრადიციას აგრძელებს.

არნ. ჩიქობავა

16.XI.1981

ეთერ ჭავთარაძე

აპაკი შანიძის ერთი წერილი დავით ყიფშიძისადმი

აკადემიკოს აკაკი შანიძის ქვემოთ გამოქვეყნებული ბარათი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში¹. წერილი, რომლის ადრესატია დავით აღმაშენებლის ძე ყიფშიძე, 1916 წლის 1 ივლისითაა დათარიღებული. ეს საქმიანი ბარათი შეფერილია ხალასი, ნათელი იუმორით. მასში კარგად ჩანს ის კეთილი, ახლობლური ურთიერთობა, რაც ამ ორ მეცნიერს ერთმანეთთან ჰქონია.

დავით ყიფშიძეს არ დასცალდა თავისი გეგმების განხორციელება, იგი სულ ახალგაზრდა, 29 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში აკადემიკოსი ნიკო მარი წერდა: „დავით ყიფშიძე, რომლისთვისაც სისხლწორი იყო ეროვნული ინტერესები, ტიპიურ მეცნიერად მესახება. იგი თავისი ცხოვრების აზრს მეცნიერულ შრომაში ეძიებდა. ანისში ჩატარებული გათხრების შემდეგ დ. ყიფშიძე ვარძიის გამოქვაბულების შესასწავლად მივაგვლინე. მის მიერ გამოგზავნილმა წერილებმა დამარწმუნა არა მარტო ვარძიის პრობლემების წარმატებით გადაჭრაში, ამასთანავე დამანახა კავკასიის შუასაუკუნეთა გამოქვაბულების ნამდვილი სპეციალისტი, თუმცა დ. ყიფშიძეს არც ლიტერატურულ-ფილოლოგიური კვლევა-ძიებისადმი დაუკარგავს ინტერესი. იგი სტუდენტობაშიც სერიოზულ დამოკიდებულებას იჩენდა ქართულ-პალესტინური პრობლემების მიმართ. როდესაც მას პალესტინაში ქართველ მოღვაწეთა ცხოვრების ტექსტები გადაეცემა და დაევალებათი გამოსაცემად მომზადება რუსული თარგმანითურთ, კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება დავრწმუნებულიყავი ახალგაზრდა მეცნიერის დიდ სკრუპულოზურობაში“².

აკადემიკოს აკაკი შანიძის წერილში სწორედ ის ტექსტებია ნახსენები, რომელთა მეცნიერულ პუბლიკაციაზეც მუშაობდა დავით ყიფშიძე ნიკო მარის დავალებით.

ბარათში ლაპარაკია იმ დიდ მეცნიერულ და ეროვნულ საქმიანობაზე, რასაც ახალგაზრდა მეცნიერი აკაკი შანიძე ეწეოდა. ესაა ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეგროვება, ძველი ეკლესია-მონასტრების აღწერა, ქართველური ენებისა და დიალექტების შესწავლა.

საინტერესოა, რომ აკაკი შანიძე თავისი მუშაობის და მომავლის გეგმების შესახებ ასეთ დაწვრილებით ცნობებს აძლევს ჯერ კიდევ სტუდენტ დავით ყიფშიძეს. ეტყობა, ის დავით ყიფშიძეს თვლიდა პერსპექტიულ, მრავალ-

¹ დ. ყიფშიძის პირადი საარქივო ფონდი, № 73.

² Марр Н. Памяти И. А. Кипшидзе и С. Ломия. Христианский Восток, 1922, т. VI, вып. 3, с. 337.

მხრივ მკვლევარად, რომელიც ღრმად ჩაწვდებოდა უფროსი მეგობრის მეცნიერული მოღვაწეობის არსსა და მნიშვნელობას.

წერილის შესწავლა წარმოაჩინეს პრობლემასაც, რომლითაც იმჟამად დაკავებული იყო ნიკო მარის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე დავით ყიფშიძე. კარგად ჩანს ძველ ქართულ ტექსტებზე მუშაობის ის მეთოდები, რითაც ხელმძღვანელობდა სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი. იგი ცდილობდა გამოსაცემი ტექსტის ირგვლივ ყოველგვარი, როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიული ხასიათის ცნობა მოეძებნა. ამიტომაც ეკითხება აკაკი შანიძეს ისტორიული დვალეთის შესახებ. ტექსტები, რომლებზედაც ამ ბარათშია საუბარი, დ. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. პუბლიკაციაზე დართული გამოკვლევა ნათელყოფს დ. ყიფშიძის კვლევის ფართო დიაპაზონსა და სიღრმეს. ამ პუბლიკაციის შესახებ აკადემიკოსი აკაკი შანიძე წერს: „დავით ყიფშიძე, უთუოდ ნიჭიერი, სინდისიერი მეცნიერ მუშაკი და კარგი მომავლის მქონე, საუბედუროდ, ადრე დაიღუპა. დ. ყიფშიძის კალამს ეკუთვნის გამოკვლევა, რომელიც ეხება სამ პალესტინელ მოღვაწეს: პროხორეს, ლუკას და ნიკოლოზ დვალს. სამივე პირის მოღვაწეობის ტექსტი სვინაქსარული ხასიათისაა და გამოცემულია ორი ხელნაწერის მიხედვით. ეს ნაშრომი დაიბეჭდა დ. ყიფშიძის სიკვდილის შემდეგ. სამსავე ტექსტს ახლავს რუსული თარგმანი და უძღვის საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“³.

აკაკი შანიძის ბარათი დ. ყიფშიძისადმი მისი თაობისათვის დამახასიათებელი მეცნიერული კვლევა-ძიების კულტურისა და დონის მაჩვენებელია. მეცნიერული მიზანსწრაფულობა მათი ცხოვრების წესს შეადგენდა. მეგობრული ურთიერთობის ენაც მეცნიერული იყო.

ვფიქრობთ, წერილი საინტერესო იქნება მკითხველი საზოგადოებისათვის. „Его высокогородию студенту — Давиду Алексеевичу Кипшидзе (სვიმონეთში დათოცო ყიფშიძეს) 1/VII—1916 ქუთაისი.

ძმავ დათოცო!

შენი წერილი მე სამეგრელოდან შინ რომ დავბრუნდი, მაშინ დამხვდა. ამით აიხსნება ჩემი დაგვიანებული პასუხი. სამეგრელოში მე თითქმის სულ ერთ ადგილზე ვიყავი, სახელდობრ, ს. ეკში, ძველი სენაკის მანკობლად. ვწერდი ზღაპრებს, ხალხურ ლექსებს. ყურს ვუვადებდი მეგრულ ლაპარაკს და ვვარჯიშობდი. მეგრული გვარიანად შევისწავლე, მაგრამ კიდევ უნდა წასვლა და მასალაებს შეკრება.

შემდეგ თბილისში მომიხდა ორის დღით ჩასვლა (ეს ამბავი გეცოდინება იოსებისაგან⁴) და მერმე სოფელში დავბრუნდი. სოფელში ყოფნით ვისარგებლე და ლანჩხუთს ჩაველ და იქიდან ჭუმათის მონასტერი ვინახულე, რომელიც მშვენიერ მაღალ ადგილზე არის და დასცქერის მთელს გურია-სამეგრელოს. ჭუმათში საყურადღებოა დღეს მხოლოდ ხატები და ცოტაოდენი მხატვრობა, რომლის ნაწილი გადარჩენილა დღევანდლამდის.

ახლა, ძმავ, რაჟას მივემგზავრები ასე სამი კვირით. ეს-ეს არის სოფლიდან ქუთაისის ჩამოვედი და ხვალ დილით რაჟას მივემგზავრები. მივდივარ ტყვიბულ-ნაქერალით და უნდა დავბრუნდე ლეჩხუმით. იქითობას ნიკორწმინდა და ჰელიშის მონასტერი უნდა ვინახულო.

რა გააჭივრე, კაცო, საქმე ამ „განმწესნა“-თი? მოსკოვის გამოცემას შეჩრას დაეძებ? არ-ზანსოვს, მართლა, მოსკოვის გამოცემაში (გამოსვლათა II₁₁)

³ უ. „დროშა“. 1972, № 7, გვ. 17.

⁴ ივლისხმება დავით ყიფშიძის უფროსი ძმა პროფესორი იოსებ ყიფშიძე.

როგორ იკითხება (ვარიანტების სარჩევი თან არა მაქვს) და თუ არ ვსცდებით, განმწყსნა უნდა იყოს იქ, შეცთომით, და არა განმწყსნა. რაო, რაო? ისტორიული დვალეთის დღევანდელი მდებარეობა და მდგომარეობაო? მაგას მე კი არა, შენი სამივე პროზორე, ლუკა და დვალი⁵ რომ ააყენო, ისინიც ვერ გეტყვის ვერაფერს. ისტორიულად დვალეთის განსაზღვრა ცოტა ძნელ საქმედ მეჩვენება მე და შენი (ისტორიკოსის) არ ვიცი. მე რამდენადაც ვიცი, რაჭველები დვალეთს ოვსეთის ერთ-ერთ პატარა კუთხეს ეძახიან, სადაც ოთხი-ხუთი ეკლესიის შემავალი ხალხი უნდა ცხოვრობდეს. თუ გნებავს, უფრო დაწვრილებით რაჭიდან მოგწერ. დვალი, როგორც გვარი, მგონია, მარტო რაჭაში უნდა იყოს, დვალიშვილი კი გურიიშიც არის.

აბა გამარჯვებით!

მომიკითხე თქვენები ყველა დიდის პატივისცემით: მამა ალექსი, იოსები და გენო მათი ბიჭუნიათი და კატო. წერილი ისევ საჭიროს გამომიგზავნე.

შენი აკაკი“.

Э. А. КАВТАРАДЗЕ

ОБ ОДНОМ ПИСЬМЕ АКАДЕМИКА А. Г. ШАНИДЗЕ К ИСТОРИКУ Д. А. КИПШИДЗЕ

Резюме

Статья представляет собой публикацию письма академика А. Г. Шанидзе от 1 июля 1916 года к историку Д. А. Кипшидзе с комментариями. В письме отчетливо прослеживается широчайший круг научных интересов молодого исследователя: фольклор, описание грузинских древностей, изучение картвельских языков и диалектов.

Как видно из письма, А. Г. Шанидзе знакомит своего молодого друга Давида Кипшидзе, в то время студента Петроградского университета, с планами своей научной работы. Очевидно также, что он считал Давида Кипшидзе перспективным исследователем с широким кругозором, поэтому и сообщает ему подробные сведения как о проведенной научной работе, так и о предстоящих разысканиях.

Из письма также выясняются проблемы, которыми занимался Д. А. Кипшидзе.

⁵ ივულისხმება დ. ყიფშიძის მიერ მომზადებული ტექსტები: Житие св. Прохора и мученичество св. Луки и Николая Двали. — Известия Кавказского историко-археологического института, т. II, 1917—1925, с. 31—68.

ნანა ყანაშვილი

ერთი დოკუმენტის შესახებ ევზენი ვეიდენბაუმის არქივიდან

მე-19 საუკუნის ცნობილი მოღვაწის, კავკასიისმცოდნის, ისტორიკოსისა და ბიბლიოგრაფის, ერთ პერიოდში (1897—1916 წწ.) კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის ევგენი ვეიდენბაუმის (1845—1918 წწ.) პირადი არქივი მეტად მდიდარ და მრავალფეროვან მასალას შეიცავს კავკასიის შესახებ¹. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ არქივიდან ერთმა დოკუმენტმა, რომელიც შესულია ე. ვეიდენბაუმის მიერ თავმოყრილი სხვადასხვაენოვანი წერილების ერთ-ერთ კრებულში — № 1721-ში, რომლის ქრონოლოგიური ფარგლებია 1855—1868 წწ. წერილების აღრესატია აღოლვ პეტრეს ძე ბერძე (1828—1886 წწ.), ცნობილი არქეოგრაფი (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე 1864 წლიდან), ისტორიკოსი და ეთნოგრაფი. ზემოხსენებული დოკუმენტი წარმოადგენს შამილის კუთვნილი წიგნების ნუსხას, შედგენილს არაბულად. უფრო ზუსტად, ნუსხას იმ წიგნებისა, რომლებიც შამილის დანებებისას რუსებს ჩაუვარდათ ხელთ და რომლებიც შემდეგში მისთვის კვლავ უკან დაუბრუნებიათ. ამას გვამცნობს წიგნების ნუსხას წამძღვარებული რუსული სათაური. აღნიშნული საბუთი ჩაკინძულია პრეცელავსკის მიერ ბერძესადმი 1861 წლის 30 მარტს ლუნიბიდან გაგზავნილ წერილში. პრეცელავსკი რჩევას ეკითხება ბერძეს სამსახურის გამოცვლის თაობაზე: მას სურს დატოვოს ლუნიბი და გადავიდეს სამუშაოდ ბაქოში, რაკი მან იცის თათრული (татарский) ამავე დროს, აცნობებს, რომ მას აქვს სტატისტიკური მონაცემები შუა დადესტნის შესახებ. როგორც ვხედავთ, ამ ორ დოკუმენტს — არაბული წიგნების ნუსხას და წერილს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს, წერილი სულ სხვა თემას ეხება. ასე რომ, ერთი მათგანის მეორეში მოთავსება თითქოსდა შექანიკურია. და მაინც ერთად ჩაკინძვას, როგორც ჩანს, თავისი საფუძველი ჰქონდა: პოლკოვნიკი ბ. გ. პრეცელავსკი შამილთან განწყობებულა პირი, მისი „პრისტავი“ იყო 1862 წლიდან, პოლკოვნიკ ა. რუნოვსკის შემდეგ ამიტომაც, საფიქრებელია, ე. ვეიდენბაუმმა ისინი ერთად მოათავსა.

ახლა წიგნების ნუსხის შესახებ. სია დაწერილია ლურჯ, ვერეერებიან და ჭვირნიშნიან (გვირგვინისა და საყვირის ერთ-ერთი სახეობა 1859 წლისა და შემდეგი პერიოდის) ქალაქდზე გაკრული კავკასიური ხელით. შეიცავს ერთ ფურცელს 70r-v-ს. Verso-ზე ნაწერი უკულმაა. სიაში დასახელებულია სულ

¹ ე. ვეიდენბაუმის არქივის მიმოხილვა გაკეთებული აქვს კ. კეკელიძის სახელობის ზღნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელს ელფრიდა ბარნაველს, იხ. მისი: Богатейший источник разнообразных сведений (обзор архива Е. Г. Вейденбаума, хранящегося в Институте рукописей им. К. Кекелидзе), «Литературная Грузия», № 8, Тбилиси, 1979. აგრეთვე მისი ეგ: «Документальное наследие Е. Г. Вейденбаума, «Археологический ежегодник за 1978 г.», М., 1979.



50 წიგნი. აქედან ზოგი მათგანი რამდენიმე ეგზემპლარადაა წარმოდგენილი. ნუსხა წიგნებისა შედგენილია სახელდახლოდ. თხზულებების სტრუქტურა, მცირე გამოწაკისის გარდა, შემოკლებულადაა. ზოგი მათგანის სათაური მხო-

ლოდ ერთი, დასაწყისი სიტყვითაა მოცემული: მაგ., عقائد, حل, منہاج, شہاب, რითაც ჩვეულებრივ იწყება ხოლმე სხვადასხვა შინაარსის წიგნების სათაურები. ეს ერთგვარად ართულებს წიგნების იდენტიფიკაციის საკითხს. ავიღოთ მაგალითისათვის სიტყვა منہاج (=გზა). არსებობს თხზულება منہاج الطالبين, რომელიც განეკუთვნება სამართლის დარგს, ხოლო იმავე დასაწყისი სიტყვით منہاج العابدین ეკუთვნის სუფიზმს. ანდა, شہاب (=მოწყვეტილი ვარსკვლავი) უნდა იყოს მინიშნება ავტორის სახელის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილზე — ლაკაბზე (شہاب الدين). თუმც იმავე شہاب-ით შესაძლებელია იწყებოდეს რომელიმე თხზულების სათაური. ამავე რიგისაა سعد (=ბედნიერება), حل (=გახსნა. განთავისუფლება). ზოგან მითითებულია მხოლოდ, რომ წიგნი ნაბეჭდია — كتاب من الالة,

مفصل من الالة, რაც გვავარაუდებინებს, რომ იქ, სადაც მითითება არ არის „ნაბეჭდობაზე“, წიგნი ხელნაწერს უნდა წარმოადგენდეს. გაუგებარია, აგრეთვე الالة توسط من الالة და امتحان من الالة-ის რიგის დასახელებებიც. ერთი სიტყვით, ზერელედ წარმოდგენილი სათაურების მიხედვით წიგნების ზუსტი იდენტიფიკაცია ჭირს. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც შევეცადეთ შეძლებისდაგვარად დაგვედგინა, რა წიგნებია და რა ხასიათისა არიან ისინი. მაგრამ მაინც დარჩა შემთხვევები, როცა ახსნას ვერ ვიძლევი. წიგნების სათაურები მოგვყავს დედნის შესაბამისად, რიგის მიხედვით. 1. شہاب; 2. منہاج; 3. جلال — უნდა აღნიშნავდეს ყურანის ცნობილი კომენტატორების جلال الدين

عقائد-ისა და السیطی-ისა და جلال الدين السیطی-ის სახელების დასაწყისის. 4. حل; 5. نجم الدين عمر النسفی — როგორც დადესტნელი სწავლული აბდულა ომაროვი შენიშნავს, დადესტანში კლასიკური არაბული ენის დაუფლებისათვის ერთ-ერთი საჭირო წიგნი, რომლის შესწავლითაც დაასრულებდნენ ხოლმე სწავლა-განათლებას არაბულ ენაზე. ჭეშმარიტი მუსლიმისათვის აუცილებელი წიგნი, რომელიც განამტკიცებს ყოველგვარ რელიგიურ დოგმებს². 6. فتح القریب — არსებობს სხვადასხვა თხზულებები, რომელთა სათაური ასევე იწყება და ძნელია იმის თქმა, რა გაგრძელება მოჰყვება მას. 7. كتاب [من] الالة რომელიდაც ნაბეჭდი

წიგნი; 8. مفصل من الالة — გრამატიკის სახელმძღვანელო, ნაბეჭდი, ავტორი الزمخشري; 9. محادیة; 10. السنة... صحيفة — მუჰამედის ქცევებისა და გამოჩატქემების შესახებ; 11. اعراب من الالة — გრამატიკული ნაშრომი ფლეჟისის შესახებ, ნაბეჭდი; 12. انموذج من الالة — გრამატიკის მოკლე კურსი, ნაბეჭდი, ავტორი الزمخشري; 13. رضية من الالة — ნაბეჭდი...? 14. رسالة العروس من الالة — მეტ-

² А. Омаров, Воспоминания муталима, ССКГ, вып. II, Тифлис, 1869, с. 48.
³ სიტყვა გაურკვეველად წერია.

როკის შესახებ, ნაბეჭდი. არსებობს სხვადასხვა ავტორის თხზულებები მეტრიკაზე;
 15. **سعد من الالة** — ვინმე დავუდუს გლოსები; 16. **داود جاشية من الالة** — ნაბეჭდი...?
 17. **رضية من الالة** — ნაბეჭდი...? 18. **تحفة الطالب** — მოციქულისა და მისი ნათესავების გენეალოგია. ავტორი **اسمرفندي**; 19. **عقد الفرائد** — ? — ამგვარადვე იწყება მრავალი სხვადასხვა დარგის თხზულებების სათაურები; 20. **توسط من الالة** — ნაბეჭდი...?
 21. **منهاج الطالبين** უნდა იყოს **منهاج من الفقه**, სამართლის წიგნი, ავტორი **النووي**; 22 **امتحان من الالة** — ნაბეჭდი...? 23. **المعتبرين من الحديث** — რაღაც ჰადისიდან თუ ჰადისის (მუჰამედის შესახებ გადმოცემები) მიხედვით; 24. **دينقوزي من الالة** — ის-ისი გრამატიკის **الارواح** კომენტარი, ავტორი **دينقوزي**, ნაბეჭდი 25. **حاشية من الالة** — ვინმე იბრაჰიმის მიერ შედგენილი გლოსები, ნაბეჭდი; 26. **كتاب الفرائض** — სამართლის წიგნი მემკვიდრეობითი უფლებების შესახებ. ბევრ ავტორსა აქვს ასეთი სათაურით სამართლის წიგნი; 27. **كتاب من المنطق** — ლოგიკის წიგნი; 28. **كتاب اخر من الالة** — სხვა რომელიღაც ნაბეჭდი წიგნი, ან იქნებ სხვა ლოგიკის წიგნი, ნაბეჭდი, წინამავალის მიხედვით; 29. **انموذج من الالة** — იხ. 12; 30. **حدايق من الالة** დოგმატიკის დარგის თხზულება, შეიცავს თეოლოგიურ-

ფილოსოფიურ საკითხებს, ავტორი **البَطَّيْنَوَسِي**; 31. **كتاب اخر من الالة** — სხვა რომელიღაც. ან იგივე წიგნი, ნაბეჭდი; 32. **حصن الحصين من الحديث**; 33. **شرح حصن الحصين** — სრული სათაურითავე ავტორი **افحصارى**; 34. **حصن الحصين** — ლოცვები, შეიცავს ყურანიდან გამონათქვანებს, ავტორი **الجزري**; 35. **عصام من الالة** — ნაბეჭდი...; 36. **بحر الكلام** — დოგმატიკური თხზულება, ავტორი **المكحولى**; 37. **كتاب الاعلام من الفقه** — სამართლის დარგის წიგნი; 38. **كتاب اخر من الفقه** — სხვა წიგნი სამართლისა; 39, 40. **الغزالي**; 41. **ذكر الموت** — სუფისტური თხზულება, ავტორი **الغزالي**; 42. **انموذج**, იხ. 12; 43. **اربعين حديثا** — ჰადისების (მუჰამედის შესახებ გადმოცემების) კრებული. ამ სათაურით ბევრი თხზულებაა ცნობილი სხვადასხვა ავტორებისა; 44. **فتح المبين**; 45. **منح الحكية من السرير**; 46. **حديث قدسى** — წმიდა ჰადისი; 47. **فتوى** — ფეთვა, დასკვნა სხვადასხვა იურიდიკული კაზუსის გამო. ცნობილია სხვადასხვა ავტორების ფეთვები; 48. **حلبى من الالة** — ჰალაბი, ნაბეჭდი. ჰალაბის ნისბით ბევრი ავტორია; 49. **عبد الحليم من المنطق** ლოგიკის წიგნი, ავტორი(?); 50.⁵ **عبد الحليم**; 50.⁵ **ابن قاسم** იხ⁵ კასიმი — ავტორი(?)...

დასახელებული წიგნებიდან, როგორც ვნახეთ, ზოგი ნაბეჭდია, ზოგიც, როგორც აღვნიშნეთ, — ხელნაწერი. ისინი მოიცავენ სხვადასხვა დარგებს: გრამატიკას, ლოგიკას, პოეტიკას, სამართალს, მისტიკას, დოგმატიკას, ლოცვებს, ჰადისებს, ყურანის განმარტებებს.

ორმოცდაათი წიგნი არცთუ ცოტა უნდა იყოს ბრძოლებში გაბმული ადამიანისათვის. იმამი შამილი თავისი დროისათვის მეტად განათლებული პიროვნება იყო და, ბუნებრივია, ასეთ განსწავლულ პირს ბიბლიოთეკაც გვარიანი ექნებოდა. მას ჰქონდა მიღებული შესანიშნავი ტრადიციული მაჰმადიანური განათლება. სწავლვიანად იყო დაუფლებული კლასიკურ არაბულ ენას და „არა-

4 სიტყვა გაურკვევლად წერია.
 5 სიტყვა გაურკვევლად წერია.

ბულ მეცნიერებებს“ — დოგმატიკას, ლოგიკას, რიტორიკას, სამართალს, პოეტიკას, სიბრძნის, შარიათს, ტარიკათს და სხვ. როგორც დავინახეთ, ზემოხსენებული სიაში აღნიშნული წიგნებიც სწორედ ამ დარგებს მოიცავენ. სიტყვამ მოიტანა და უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტრადიციული მეცნიერებანი დაღესტანში უშუალოდ არაბული ქვეყნებიდან შემოიჭრა. ეს ხდებოდა არა მხოლოდ ჰაჯის (=პილიგრიმობის) გზით, არამედ დაღესტნელთა მიერ არაბულ ქვეყნებში ხშირი მოგზაურობების, ადგილობრივ სწავლულ პირებთან პირადი კონტაქტების დამყარების შედეგად⁶. რადგანაც მუსლიმური კულტურის ზეგავლენა უშუალოდ არაბული ქვეყნებიდან ხდებოდა, ამიტომ შესასწავლი დისციპლინებიც, იგულისხმება, იქიდან გადმოჰქონდათ და იქაური ანალოგიით ხდებოდა ადგილობრივ მისი დანერგვა-დამკვიდრება.

დავუბრუნდეთ ისევ შამილის წიგნებს და ამასთან დაკავშირებით მოვიხმოთ ზოგიერთი ცნობა. საინტერესოა შამილის თანამედროვის, სხვადასხვა დროს მისი მდივნის, ხაზინადარის, დაცვის უფროსისა და ინჟინრის ჰაჯი ალის ერთი ცნობა. რუსებისაგან ალყაშემორტყმულმა შამილმა როცა დაინახა, რომ ნაიბებმაც უღალატეს (ეს იყო 1859 წელს), გადაწყვიტა აყრილიყო და მცირერიცხოვანი ამალით ღუნებისათვის შეეფარებინა თავი. შამილმა თან წაიღო თოფ-იარაღი, ოქრო-ვერცხლი, ტანსაცმელი და წიგნები. ოქრო-ვერცხლი და სხვადასხვა ძვირფასეულობა აპკიდა 7 ცხენს, ტანსაცმელი და სხვა ნივთები — 40 ცხენს, თოფები, დამბახები, ხანჯლები — 6 ცხენს, ხოლო წიგნები — 17 ცხენს(!)⁷. იმავე ჰაჯი ალის ცნობით, ღუნებისაყენ გზად მიმავალ შამილს თავს დაესხნენ ტელეტლოელები, რუღუჯელები, ყუიადელები, რომელთაც არ გაატარეს შამილი თავიანთ მიწაზე და წაართვეს საპალნეები ფულითა და სხვადასხვა ქონებით. მას არაფერი შერჩა ხელთ, გარდა ერთი თოფისა, რომელიც ხელში ეჭირა და ცხენისა, რომელზედაც იყო ამხედრებული⁸.

საერთოდ შამილის წიგნებს ბედი არ სწყალობდათ, რომ იტყვიან. ერთ დროს შამილთან ხაზინადრად მსახურობდა ჰაჯიო, რომელსაც იგი ენდობოდა. ცბიერმა ჰაჯიომ შამილის მთელი ხაზინა და მასთან ერთად მისი წიგნებიც ხელთ ჩაუგდო ყიბიტ-მუჰამედს — შამილის თანამებრძოლს, მაგრამ, ამავე დროს, მის მეტოქეს, რომელიც იმამობისაკენ მისწრაფოდა და ამიტომ მტრულად იყო განწყობილი შამილის მიმართ⁹.

კალუგაში გადასახლებული შამილი დიდად წუხდა გამარცხის შედეგად დაკარგული წიგნების გამო. იგი სთხოვდა თავის „პრისტავს“ აპოლონ რუნოვსკის, რომ ამ უკანასკნელს მიეწერა ბარიატინსკისათვის, იმ დროს კავკასიის მთავარმართებლისათვის, ან სხვისათვის, რათა მოეძებნათ მისი დაკარგული წიგნები¹⁰. შესაძლოა, გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ მაინც საგულისხმოა ა. რუნოვსკის შენიშვნა. რომ შამილმა დაკარგა ხელისუფლება, მდგომარეობა, მაგრამ გულწრფელად მხოლოდ წიგნების დაკარგვას განიცდიდა¹¹.

⁶ И. Ю. Крачковский, Дагестан и Йемен, Избр. соч., т. VI, М.—Л., 1960, с. 575.

⁷ Гаджи Али, Сказание очевидца о Шамиле. ССКГ, вып. II, Тифлис, 1873, с. 58.

⁸ იქვე, გვ. 60. Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис 1888, с. 199.

⁹ Гаджи Али, იქვე, გვ. 43; Вейденбаум, იქვე, გვ. 170.

¹⁰ АКАК, ტ. XII, გვ. 1415.

¹¹ АКАК, ტ. XII, გვ. 1432.

ერთადერთი, რაც მე მსურს, — ამბობდა იგი, — ის არის, რომ დამიბრუნდეს.
ყველა ჩემი წიგნი“¹².

მიუხედავად გაძარცვებისა, თუ სხვა შემთხვევებისა, შამილს, როგორც ჩანს, მაინც დიდძალი ოდენობის წიგნები ჰქონდა. მეტად საინტერესოა რუნოვსკის ცნობა, რომ კალუგაში შამილის კაბინეტი, რომელიც, ამავე დროს, მის სამლოცველოს წარმოადგენდა, სავსე იყო წიგნებით. ეს წიგნები წამოღებული იყო დაღესტნიდან შამილის ოჯახთან ერთად. იგივე რუნოვსკი ამბობს, რომ დაღესტნიდან წამოღებული იქნა მხოლოდ წიგნები და ბალიშები¹³. რაც შეეხება იმ 50 წიგნს, ისინი დაუბრუნეს შამილს, დოკუმენტის ცნობით, მაგრამ როდის, ამის თქმა ძნელია. დაბოლოს, ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი მცირეოდენი მიმოხილვა (ე. ვეიდენბაუმის არქივის ერთ ცნობაზე დაყრდნობით) ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შამილის კუთვნილი ბიბლიოთეკის გასაცნობად.

Н. Г. КАНЧАВЕЛИ

ОБ ОДНОМ ДОКУМЕНТЕ ИЗ АРХИВА Е. Г. ВЕЙДЕНБАУМА

Резюме

В личном фонде известного кавказоведа, историка и библиографа Евгения Густавовича Вейденбаума (1845—1918), хранящемся в Институте рукописей им. К. С. Кекелидзе, в сборнике разноязычных писем под номером 1721 содержится список книг Шамиля, забранных у него при его пленении, а затем возвращенных ему же обратно. Об этом гласит приписка на русском языке в заголовке документа. Сам список составлен по-арабски и в нем значится пятьдесят названий арабских книг, охватывающих разные отрасли науки: грамматику, логику, право, суфизм, толкование Корана и др. В статье дается по возможности идентификация названных сочинений. Кроме того, приводятся некоторые сведения современников Шамиля (Гаджи Али, А. Руновский) относительно принадлежащих ему книг.

¹² АКАК, ტ. XII, გვ. 1420.

¹³ იქვე, გვ. 1415.

Л. И. МЕТРЕВЕЛИ

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ И КУЛЬТУРНАЯ ЖИЗНЬ
ГРУЗИИ И ЗАКАВКАЗЬЯ с 1888 по 1917 гг.
В ДНЕВНИКАХ ВЕЙДЕНБАУМА

(ОБЩИЙ ОБЗОР)

В фондах Института рукописей им. К. Кекелидзе Академии наук Грузинской ССР хранится архив известного знатока истории и библиографии Кавказа конца XIX — начала XX вв. Евгения Густавовича Вейденбаума.

Из всего разнообразного и обширного материала, собранного в личном архиве Вейденбаума, нам предстоит познакомиться с его дневниками. Знакомство с их содержанием позволяет нам ближе узнать Вейденбаума не только как личность, но и познакомиться с его мнением о тех или иных общественных, политических и культурных событиях в жизни Грузии, Закавказья и всего Российского государства.

Дневники писались не для печати, и не для широкого круга читателей, а являлись записями для себя, где Евгений Густавович мог со всей откровенностью высказать свои мысли и критические замечания. И это для нас особенно важно, так как помогает нам глубже узнать его внутренний мир, его убеждения и мировоззрение.

Все, что он описывает в своих дневниках, будь то крупное событие в жизни страны (война, революционные волнения) или событие незначительное, местного значения, все это приходит к нам через призму восприятия Вейденбаума, через его мироощущение. Знакомство с ними дает нам возможность день за днем проследить за жизнью Тифлиса, общественно-политическими событиями Закавказья и Российского государства, начиная с 1888 года и кончая 1917 годом. В институте хранятся 14 дневников, к сожалению, тетрадь с записями о 1892—1897 гг. в архиве отсутствует.

Читая дневники, удивляешься и восхищаешься многообразием интересов и знаний Вейденбаума, причем знаний глубоких, фундаментальных, будь то в истории, этнографии, археологии, военном деле или литературе. Если мы соединим воедино автобиографические сведения, извлеченные из дневников, то узнаем, что он был председателем сословно-поземельной и археографической комиссий, комиссии при приемке жилищ, выстроенных на пожертвованные деньги для пострадавших от землетрясения в Ахалкалакском уезде, а также членом крестьянского присутствия, распорядительного, редакционного и курстарного комитетов, географического общества, комиссии по сооружению нового здания для Кавказского музея и публичной библиотеки. Участвовал в разборе и оценке архива Тифлисской городской полиции, в заседаниях уголовного и апелляционного отделения окружного суда (имел звание почетного мирового судьи), в выработке программы будущей истории Тифлиса. Назначался в комиссию для приема в



казну армянских церковных и прочих имуществ и капиталов г. Тифлису, что послужило впоследствии поводом для нападения Вейденбаума, к счастью, неудавшегося. Был награжден Станиславской лентой, орденами Владимира II степени и Анны I степени, произведен в тайные советники «после десятилетнего состояния в чине действительного». За несколько лет до смерти Евгений Густавович передал в публичную библиотеку почти целиком некоторые отделы своей библиотеки: естествознание, сельское хозяйство, изящная словесность и пр., всего несколько сот названий. «Многие из этих книг публичная библиотека не в состоянии приобрести по их редкости и ценности», — считал Вейденбаум.

С 1906 года он назначается членом совета наместника. Вот что пишет наместник Воронцов Столыпину: «...я, со своей стороны, считаю себя обязанным рекомендовать вниманию Вашего Высокопревосходительства, в качестве уполномоченного моего в упомянутое совещание (имеется в виду межведомственное совещание в Петербурге. — Л. М.) члена моего совета, тайного советника Вейденбаума, который является вообще знатоком Кавказского края и лицом действительно осведомленным с постановкой дела в инородческой и иноверческой школе...». Это мнение Воронцова. Что же касается его предшественника, Голицына, то, как видно из дневников, отношения, мягко говоря, у них не сложились. Несколько выписок дадут нам возможность узнать мнение Вейденбаума о Голицыне, его наместничестве и результатах этого наместничества, а также об отношении Голицына к Вейденбауму.

«Из редакции «Кавказа», следовательно из канцелярии, пустили слух, что Рубен Иоаннисиани только подставной редактор будущего «Аргонавта», а фактически я буду руководить газетой. Придуманно это, надо думать, с целью вперед сделать «Аргонавт» подозрительным в глазах Голицына» (4-й дневник). Но уже в 6-м дневнике мы читаем: «Князь Голицын предложил мне место вице-губернатора в Эриване, прибавив, что он теперь меня знает и считает меня самым подходящим». Как видно, даже Голицыну, при всей своей нелюбви к Вейденбауму, трудно было не оценить его ум, честность, трудолюбие и знания.

«С докладом у князя Голицына. Ворчит и бурлит. Трудно и неприятно иметь с ним дело... С таким презренным человеком, как Голицын, шутки плохи: он способен сделать всякую подлость и гадость». «Малинин Л. И. высказал мнение, что преемнику Голицына придется заниматься исключительно исправлением сделанных ошибок, так как край одичал и население потеряло совершенно сознание разницы между правом и насилием. Говорят, что Голицыну вполне удалась возложенная на него задача — объединить кавказские народы: все они действительно объединились в чувстве ненависти к нему».

Если о Голицыне Вейденбаум высказывается только самым неприятным образом, сведя почти к нулю его наместничество, показывая его как злого, мелкомстительного, требующего безусловной покорности от всех, человека, то к Воронцову, при понимании всех отрицательных его качеств, где-то проскальзывает чувство жалости за его безволие и бесхарактерность.

«Это был вельможа в лучшем значении этого слова. К сожалению, окружал он себя людьми не заслуживавшими того доверия, которое он им оказывал. Нельзя сказать, чтобы он не был проницателен. Но долгая жизнь выработала в нем убеждение, что честных людей очень мало и прогнав одного мерзавца, приобретет других, пожалуй, еще худших. Многие терпел он, чтобы только избавиться от приставаний своей супруги, женщины глупой, надменной, податливой на лесть и низкопоклонничество. Тифлисы, особенно армяне, скоро по-



няли это и воспользовались для устройства своих делишек. Последние годы это сказалось особенно ясно, когда безвольный старик находился совершенно в ее руках, а ею руководили армяне... Графиня распорядилась, чтобы телеграммы, приходящие ночью, доставлялись ей. Она их прочитывает и решает: будить ли графа или отложить до утра. Турки и не подозревают, что у нас главнокомандующий в юбке». Эти выписки, сделаны из двух последних дневников (13-го и 14-го), полностью посвященных войне 1914 года, где с присущей Вейденбауму аккуратностью, день за днем, с помощью вырезок из газет повествует он о ходе событий. Каждая страница этих дневников, это страница войны 1914 года. Но, конечно, важны и интересны комментарии автора, тонко чувствующего как изменения в ходе войны, так и политическую атмосферу того времени. Если вначале мы читаем: «...на стороне нашей воодушевление и сложившееся уже сознание непобедимости. На войне такое сознание залог успеха. Невольно думается, что справимся и на этот раз», то в дальнейшем, буквально через несколько недель, Вейденбаум пишет: «Говорят, что из Турции доставлено до тысячи раненых, что мы потеряли много пленными, что на позициях не хватало патронов. Видно мы остались верны старым грехам: самонадеянность и нераспорядительность...» или с присущим ему юмором: «Мы тоже сидим без мяса и хлеба, но пока не бунтуем, и радуемся тому, что по крайней мере наши власти едят вкусно, разнообразно и сытно...». Но при всем понимании слабости и несостоятельности властей, отдельных правителей и всего правительства в целом, Евгений Густавович революции не принял, хотя прекрасно отдавал себе отчет о положении дел в Российском государстве: «Распутин по-прежнему в силе. У нас нет ни главы государства, ни правительства, а шайка». Нам кажется, что главный источник непонимания, невосприятости революционного движения и самой революции заключен в словах «для нас обывателей», тем более, что фраза эта не раз повторяется в дневниках. К тому же не надо забывать, что Вейденбаум был и остался до конца своих дней царским чиновником дворянского происхождения. С этих позиций, по всей вероятности, и смотрел Евгений Густавович на ломку существующего строя.

В дневниках большое место отводится также взаимоотношениям кавказских народов как между собой, так и с русской государственной властью. Нам небезынтересно узнать, что думает автор о кавказцах, каково его отношение к грузинам и армянам, среди которых он прожил почти всю свою жизнь, тем более, что в дневниках много материала об армяно-татарской резне, о стремлении армян к автономии, а заселили армян в Грузию. И здесь мы встречаем довольно много спорных высказываний, с которыми трудно согласиться, а порой просто невозможно. Недопонимание стремлений, желаний, природы и сущности народа — все это главным образом следует приписать великодержавному шовинизму, которым, к сожалению, было пропитано определенное количество русских чиновников, живших в Грузии, и который не был чужд Вейденбауму. Об этом свидетельствуют его дневники. «Интересно знать, что будет сделано с изменившим нам (русскому правительству — Л. М.) населением Зачорохского края. Может быть, оно, чуя беду, само уйдет за турками. Если этого не будет, то следует выгнать его из наших пределов, а освободившиеся земли, если они не пригодны под русские поселения, отдать христианам гурийцам и мингрельцам, страдающим от малоземелья». «...Несомненно, что за требованием политической автономии для Грузии, последуют также претензии армянские, осетинские и так далее. Начинаясь рас-taskивание России по клочкам». Проявляется великодержавный шовинизм автора дневников и при оценке людей. Как видно, слишком



«Сильно было это чувство, чувство великодержавного шовинизма в русских чиновниках, если даже человек с таким умом, эрудицией и культурой, как Вейденбаум, не смог правильно оценить великих людей, внесших большой вклад в развитие образования и культуры Грузии, к которым с любовью, гордостью и уважением относились не только на родине, но и за ее пределами. Но таково отношение Вейденбаума не только к представителям кавказских народностей. Мы убеждаемся в этом, когда читаем в дневниках о творчестве Гоголя. Вейденбаум пишет, что только для Малороссии Гоголь находил яркие краски, только в Малороссии встречал он любовь, дружбу и героизм. В Великороссии же у Гоголя все бесцветно, серо, люди противны и пошлы. Конечно, с этим мнением Вейденбаума нам нельзя согласиться, как и с высказыванием его о Толстом, как о личности. Но здесь мы имеем право говорить также и о широкой эрудиции и образованности Вейденбаума и высказывание это не голословно, а имеет свое подтверждение. Именно Евгений Густавович по просьбе Толстого подобрал материал для труда о кавказском эпизоде 1851—1852 гг., когда Толстой решил возвратиться к его написанию.

Не обошел своим вниманием Евгений Густавович и других русских писателей: Грибоедова, Пушкина, Герцена, обнаруживая при этом глубокое знание не только их творчества, но и биографии. Например, говоря о Суворинском издании сочинений Пушкина, он отмечает неточность в дате приезда Пушкина в Грузию; в издании Щеголева «Грибоедов и декабристы» указывает на ряд описок и на несоответствие изложенных фактов при аресте Грибоедова в Грозной.

Очень интересны, на наш взгляд, рассуждения Вейденбаума о письмах Герцена из Парижа 1848 года, где проявляются критический ум, широкая эрудиция и логическое мышление автора дневников.

Приведем еще одну выписку из дневников в подтверждение наших слов о том, что Вейденбаум всегда к каждому вопросу подходил не поверхностно, а со всей серьезностью, вникая в сущность вопроса, проблемы.

«Казнаков затевает этнографический том. Дело это очень трудное, если исполнить его, как следует. Необходимо начать с очерка культуры доисторической. Потом проследить культурные влияния в историческую эпоху. Обратит внимание на значение гор как хранителей национальной культуры. Только в горах (сваны, осетины, андйцы, аварцы) имеют для сидения стулья и кресла. В плоскостной части сидят, поджавши ноги».

Меликсет-Беков в своей статье «Вейденбаум как кавказовед», упоминая о дневниках, говорит, что они не имеют особого литературного значения. С этим можно согласиться, но неоспорим тот факт, что главное достоинство этих дневников даже не в изобилии содержащихся в них разнообразных сведений, а в их правдивости. Страницы их представляют собой отчет о действительно происходивших событиях в общественно-политической и культурной жизни Тифлиса, Закавказья и всего Российского государства с 1888 по 1917 год.

შემოსული წიგნები და წერილები

ულრიხ ბოკი, სომხური არქიტექტურა, კიოლნი, 1983

1983 წელს კიოლნის უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა ულრიხ ბოკის წიგნი „სომხური არქიტექტურა“. (მისი კვლევის ისტორია და პრობლემატიკა). წიგნი ბოკის სადისერტაციო ნაშრომს წარმოადგენს. იგი ავტორს დაუწერია 1975 წელს სპარსეთის აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში სომხური ძეგლების გაცნობის შემდეგ, ხოლო საკითხის საფუძვლიანი შესწავლისათვის უმოგზაურია 1980—1981 წწ. სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ თურქეთში.

ნაშრომი შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან: კვლევის ისტორიისა და საკვლევი პრობლემატიკის მიმოხილვისაგან.

პირველ ნაწილში მოცემულია სომხეთის არქიტექტურის კვლევის ისტორია მე-19 საუკუნიდან დღემდე. კვლევის შესახებ ცნობები ქრონოლოგიურადაა დალაგებული. ცალ-ცალკე თავებშია განხილული მე-19 ს. მოგზაურთა ცნობები, ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით კვლევის დასაწყისი (მონაპერე, ტექსიე, შნაზე, მარი ბროსე), XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე სომხეთის არქიტექტურის სისტემატური კვლევის დასაწყისი, სტრიგოვსკის მიერ სომხური არქიტექტურის კვლევა, ნაციონალური მეცნიერული კვლევა, სომხური არქიტექტურის კვლევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სომხეთის სსრ-ში, იტალიაში, თურქეთში, ირანში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, გერ-ში.

მეორე ნაწილი ეძღვნება საკვლევი პრობლემატიკის ახსნას. იგი თემატურადაა დალაგებული და გამოიყოფა სამი ძირითადი თემატური კომპლექსი: 1) იდეოლოგიური შეფასება და პოზიცია, სადაც დაწვრილებითაა განხილული სტრიგოვსკის მაგალითი, მისი გავლენა მე-20 ს. სომხეთის კვლევაზე და სხვა მსოფლმხედველობრივი იმპლიკაციები, 2) სომხური ეპიგრაფიკის პრობლემები, წარწერები და მათი შესწავლა, ლიტურგიკული წყაროები და მათი დათარიღება და 3) დათარიღების პრაქტიკის გავლენა სომხური არქიტექტურული ტიპებისა და ფორმების დროის განსაზღვრაში. ცალ-ცალკეა განხილული სომხური არქიტექტურის ცალკეული ტიპები და ამ ტიპის ნაგებობები, დათარიღების პრაქტიკა და სომხური არქიტექტურის ცალკეული ფორმები, მოყვანილია არქიტექტურული გენეზისის ასპექტები.

როგორც ბოკი აღნიშნავს, მისი წიგნის მიზანი იყო, ბიძგი მიეცა შემდგომი კვლევა-ძიებისათვის, მომავალში კი საჭიროა აქ მოცემული კონტურების (ესკიზების) მოდიფიცირება. ყველა მნიშვნელოვანი სომხური ეკლესიის მონოგრაფიული, დეტალური აღწერა საფუძველს შექმნის სომხური არქიტექტურის სტილის, ქრონოლოგიისა და თავისებურებების შესასწავლად.

წიგნი საინტერესო მასალას შეიცავს ქართული არქიტექტურის მკვლევართათვისაც. რამდენადაც ავტორი იკვლევს სომხეთის არქიტექტურის სა-



კითხვებს და მისი კვლევის ისტორიას, ცხადია, ის სათანადო ადგილს უთმობს ქართული არქიტექტურის საკითხებს და იმ ქართველ მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებიც ქართული და სომხური არქიტექტურით არიან დაინტერესებული. დიდი ადგილი ეთნობა ჩუბინაშვილის მიერ სტრუქტურის თეორიის კრიტიკას, მოყვანილია ვ. ბერიძის, ვ. ჯობაძის, რ. მეფისაშვილის, ვ. ცინცაძის და სხვა ქართველ მეცნიერთა შეხედულებები და მოსაზრებები. სპეციალურად გამოიყოფა საკითხი სომხეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების შესახებ.

თ. ჭუმბურიძე

ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონი

(ვისუბადნი, 1975)

ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონის გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის დოქტორ პაულ კრიუგერს. მას შეუდგენია გეგმა, შემოუკრებია თანამშრომლები და დაუწერია არაერთი სტატია. წამოწყებული საქმე გაუგრძელებია იულიუს ასფალგს, რომელსაც შეუვსია ლექსიკონი და გაუკეთებია მისთვის საბოლოო რედაქცია.

ლექსიკონი მკითხველს აწვდის მიმოხილვითი ხასიათის ცნობებს აღმოსავლური ქრისტიანობის შესახებ ვიწრო გაგებით. ე. ი. ბერძნული და სლავური ეკლესიების გამოკლებით, რომლებზეც საცნობარი ლიტერატურა მრავლად არსებობს.

ლექსიკონში ცალ-ცალკე წარმოდგენილი არაბეთის, სომხეთის, ეთიოპიის, საქართველოს და სირიის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა, დახასიათებულია მათი ხელოვნება, ლიტერატურა, ენა, დამწერლობა, წარწერები, ხელნაწერები, ეკლესია-მონასტრები, ბერ-მონაზვნობა. ცალკე სტატიები ეძღვნება ისტორიულ პირებს, გეოგრაფიულ პუნქტებს, საეკლესიო ტერმინებს, წოდებებს და ა. შ.

საქართველოს ეთნობა ძირითადად 119—140 გვერდები, სადაც მოცემულია ქვეყნის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა და საზღვრები, ვართობი, მოსახლეობის რაოდენობა, უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები), აქვე ცალკე სტატიებად არის წარმოდგენილი (ანბანის რივის მიხედვით) ქართული ხელნაწერების, წარწერების, საქართველოს ეკლესიის, მონასტრების, ქართული ხელოვნების, ლიტერატურის, ანბანის, ენის, ბერმონაზვნობის მიმოხილვანი. ამას გარდა ქართული კულტურის შესახებ ცნობები წარმოდგენილია ისეთ საეკლესიო სტატიებში, როგორცაა: ისტორიოგრაფია, ბიბლიის თარგმანები, წიგნის ბეჭდვა, კანონიკა, ქადაგება, სამართალი, აკროსტიხი და სხვა. მეცნიერებისადმი მიძღვნილ სტატიაში ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი ქართველოლოგია. ცალკე სტატიები ეძღვნება ექვთიმე ათონელს, ცამეტ ასურელ მამას, პეტრე იბერს, ანტონ კათალიკოსს.

ყოველი სტატიის ბოლოს მითითებულია ლიტერატურა, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს გააღრმავოს ინფორმაცია და ვრცლად გაეცნოს ამა თუ იმ საკითხს. საქართველოსადმი მიძღვნილ სტატიებში მითითებულია უცხოელი ქართველოლოგებისა და ქართველი მეცნიერების ნაშრომები, გამოცემული საბჭოთა კავშირში თუ საზღვარგარეთ.

ლექსიკონს ერთვის მცირე რაოდენობით სქემები, ნახაზები, რუკები და ფოტოები. მათ შორის არის საქართველოს რუქა XII საუკუნის დამლევისა,



მცხეთის ჯვრის, ბანას, ოშკის, ალავერდისა და სვეტიცხოვლის ტაძრების მშენებლობის მუშაობები, წრომის ეკლესიის, ღვთისმშობლის ჭედური ხატის (X ს.), გელათის მოზაიკის (XII ს.) და ლარგვისის ოთხთავის მინიატურების (XIII ს.) ფოტოები.

თ. ჭუმბურიძე

დ. ლანგი, ი. ასფალგი

საქართველო (თეოლოგიური ენციკლოპედია, ტ. XIII, 3/4)

ბერლინი — ნიუიორკი, ტ. XII, 1983

„თეოლოგიური ენციკლოპედიის“ XII ტომში მოთავსებულია იულიუს ასფალგისა და დავით ლანგის ვრცელი სტატია საქართველოს შესახებ. სტატია დაყოფილია ექვს ქვეთავად: 1. ზოგადი მიმოხილვა; 2. საქართველოს გაქრისტიანება; 3. სომხეთის ეკლესიიდან გამოყოფამდე პერიოდი; 4. საქართველოს გაერთიანებამდე პერიოდი (1000 წ. ახლო. ხანა); 5. საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე (1801 წ.); 6. განვითარება დღემდე. პირველი სული ქვეთავის ავტორია ი. ასფალგი, მე-6 ქვეთავი კი დაწერილია დ. ლანგის მიერ. სტატიას ერთვის წყაროებისა და ლიტერატურის ვრცელი სია, ახლავს აგრეთვე 1200 წლის ახლო ხანების საქართველოს რუკა.

სტატიაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ქართულ ეკლესიაზე და საქართველოს ისტორიული თუ კულტურული განვითარებაც ეკლესიასთან კავშირშია განხილული. მოკლედ მიმოხილულია საქართველოს გაქრისტიანების შესახებ არსებული ვერსიები, ეკლესიის მდგომარეობა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, მისი კავშირი სხვა ქვეყნების ეკლესიებთან, ცნობილ საეკლესიო პირთა მოღვაწეობა და მათი გავლენა მნიშვნელოვან მოვლენებზე პოლიტიკისა თუ კულტურის სფეროში.

მე-6 თავში მალალი შეფასება ეძლევა კათალიკოს ანტონ I-ისა და გაიოზ არქიმანდრიტის (რექტორის) მოღვაწეობას. ავტორი ხაზს უსვამს ქართული ეკლესიის რელიგიურ-პოლიტიკურ აღორძინებას ახლანდელი კათალიკოსის ილია II-ის მოღვაწეობის პერიოდში (1977 წ.-დან). მკიდრო კონტაქტებს ვატიკანთან და კენტერბერის საეპისკოპოსოსთან.

თ. ჭუმბურიძე

Thélamon Françoise, Le récit de la conversion de la Géorgie, Crétiens et Païens au IV s. I, l'histoire Ecclésiastique de Rufin, Paris, 1982, pp. 87—122.

ფრანსუაზ ტელამონი

ქართლის მოქცევის ამბავი

ავტორი გადმოგვცემს რუფინის ცნობებს ქართლის მოქცევის შესახებ. ტყვე ქალის მიერ ბავშვისა და დედოფლის განკურნებას, მეფის ხსნას წყვილიდან, მის მოქცევასა და ეკლესიის აგებას, სვეტის აღმართვას ტყვე ქალის მიერ, ელჩების გაგზავნას იმპერატორ კონსტანტინესთან მღვდლების გამოსაგზავნად.

უძველესი ქართული ხელნაწერი, რომელშიც მოთხრობილია ქართლის მოქცევის შესახებ, არის შატბერდის კრებული, დათარიღებული 973 წლით.



ქართლის მოქცევის ქართული და სომხური წყაროების შედარებით მ. თარხნიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათ საერთო პირველადი წყარო ჰქონდეთ გრიგოლ დიაკვნის პატარა წიგნის სახით.

რუფინის ცნობით, მასალა ქართლის მოქცევის შესახებ მას იბერიელ უფლისწულ ბაკურისგან მიუღია, რომელიც იმჟამად პალესტინის საზღვრების დუკი ყოფილა.

რუფინი ბაკურიანოსისგან მიღებულ ცნობას 2 სიბრტყით გვაწვდის.

I. განმანათლებელის ქრისტიანული მისიის შესახებ.

ავტორი გვაწვდის ცნობებს ტყვე ქალის, პირველი მონათლული მეფის მიერ ტაძრის აგების, ტყვე ქალის სასწაულებისა და იბერთა მოქცევის შესახებ.

II. ქართული მიაჯი — რელიგიური სისტემის შექმნის შესახებ.

ავტორი იხილავს რუფინის მონათხრობის ძირითად ელემენტებს და მათ ქართული წარმართობის სტრუქტურას უპირისპირებს.

ც. ბიბლიეაშვილი

Martin Hisard, Le roi géorgien Vaxtang Gorgasal dans l'histoire et dans la légende. Temps mémoire. tradition au moyen âge, publ. Univ. de Provence, 1983, p. 207—242.

მარტენ იზარი

მეფე ვახტანგ გორგასალი ისტორიასა და ლეგენდაში

XI—XII ს-ის ქართველ მეფეთა ძლიერებას სხვადასხვა წყაროები აღექვანდრე დიდის, იმპერატორ კონსტანტინესა და ვახტანგ გორგასლის ძლიერებას აღარებენ. ვახტანგის სახელი აგიოგრაფიაშიც გვხვდება. შუა საუკუნეების ტექსტებში იგი სათნოების სიმბოლოა. ტანმადალი, ძლიერი, ლამაზი და ბრძენი ვახტანგი ღვთის რჩეულია.

ავტორი იშველიებს V—VI ს-ის ბიზანტიურ წყაროებს იბერიის შესახებ. პროკოფი იბერთა მეფე გურგენს, რომელმაც 518—522 წწ. სპარსელთა დევნის გამო ბიზანტიას სთხოვა თავშესაფარი, ვახტანგთან აიგივეს. თანამედროვე ისტორიკოსთა უმრავლესობა ამ თვალსაზრისს უარყოფს. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „შუშანიკის მარტივილობის“ ისტორიული ქარგა ვახტანგის მეფობის პერიოდია და რომ იაკობ ხუცესი მას არსად არ მოიხსენებს. სამაგიეროდ, ლაზარე ფარპეცის სომხეთის ისტორიაში ვახტანგი მოიხსენიება როგორც ცბიერი და მხდალი, რომელმაც ვაჭირების ყამს თავისიანები მიატოვა და დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი.

ჯუანშერისა და ლეონტი მროველის ნაშრომების საფუძველზე ავტორი აყალიბებს ვახტანგის სახეს; ქვეყნის ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან, მის სამხედრო და რელიგიურ ასპექტებს.

წყაროების შეჯერების საფუძველზე ავტორი ვახტანგის ცხოვრებას შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: დაიბადა 440 წ., გამეფა 455 წ., ალაგმა ოსები; გაილაშქრა ბიზანტიის წინააღმდეგ, 772 წ. კი მათ დაუკავშირდა. 484 წ. მოიპოვა თავისი ქვეყნის სარწმუნოებრივი თავისუფლება სპარსეთისაგან, V ს-ის უკანასკნელ ათწლეულში იბრძოდა აღმოსავლეთში და დაიღუპა სპარსეთთან ომში 518 ან 502 წ.



ავტორი დაწვრილებით განიხილავს ვახტანგის ურთიერთობას სპარსეთსა და ბიზანტიასთან, რის შემდეგაც მოგვითხრობს ვახტანგის ხილვას, რაც განსაზღვრავს ქრისტიანი მეფის ახალ ტიპს. კონსტანტინეს საშუალებით ვახტანგი ქრისტესგან გვირგვინს იღებს. გვირგვინი ჯვრისგან მიდის და ვახტანგის მისიაც განსაზღვრულია. იგი აქრისტიანებს საქართველოს და ხდება მეფე-მოციქული. მისი წყალობით ქრისტიანობა იბერიის ოფიციალურ რელიგიად იქცევა. თუმცა შემთხვევით მიღებული ჭრილობისაგან დაიღუპა, ხალხმა იგი წმინდანად შერაცხა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ვახტანგი ხალხს 3 პირობას უდებს: დარჩეს მისი ოჯახის ერთგული, განავითაროს კეთილი ურთიერთობა საბერძნეთთან და მზად იყოს სარწმუნოებისათვის თავის გასაწირად.

ავტორის აზრით ჟუანშერის მონათხრობს აშკარად ეტყობა ფოლკლორის კვალი.

სხვადასხვა წყაროს შესწავლის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ XI—XIII სს-ის ქართულ წყაროებში ვახტანგი ლეგენდარულ ხასიათს ატარებს და რომ ეს ლეგენდა მეფის გარდაცვალებიდან 300 წლის შემდეგ, ე. ი. IX ს-ში ჩამოყალიბდა. ვახტანგ გორგასლის ისტორია სამეფოსა და ხალხის ის საგალობელია, რომელიც IX ს-ის სატიკივარსაც კარგად მიესადაგებოდაო, დასძენს ავტორი.

ც. ბიბლიოციფილი

M. Van Esbroeck, Les textes litteraires sur l'assomption avant le X^e s., Les Actes apocryphes des apôtres. Labor et Fide, Genève, 1981, pp. 265—285.

მიშელ ვან ესბროკი

X ს-ზე აღრეული ლიტერატურული ტექსტების ლტონისმშობლის მიძინების შესახებ

ავტორი გვაცნობს რიგ გამოუქვეყნებელ ტექსტებს ლტონისმშობლის მიძინების შესახებ. ახდენს ამ თემაზე არსებული ვრცელი ლიტერატურის კლასიფიკაციას და გამოჰყავს მეთოდოლოგიური დასკვნები სხვადასხვა რედაქციის მრავალმხრივი ინტერპრეტაციისათვის.

ავტორი განიხილავს 67 ტექსტს, რომლებსაც ორ. განსხვავებული ტრადიციის ჯგუფში ანაწილებს; შეისწავლის სიონის ეკლესიის ისტორიას და მის გამოცხადებას მიძინების ადგილად ათარილებს 627 წლის შემდეგ.

ც. ბიბლიოციფილი

ს ა რ ჩ ე შ ი — СОДЕРЖАНИЕ

| | |
|--|-----|
| ე. მეტრეველი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის 25 წლის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა | 3 |
| E. П. Метрели — Краткий обзор работы Института рукописей им. К. С. Кекелидзе за 25 лет | 3 |
| კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ძირითადი შრომები | 18 |
| Основные публикации трудов Института рукописей им. К. С. Кекелидзе | 18 |
| მ. მამაცაშვილი — აღმოსავლური ხელნაწერებისა და ქართულ-აღმოსავლური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში | 57 |
| M. G. Мамацашвили — Изучение восточных рукописей и грузинско-восточных культурно-исторических взаимоотношений в Институте рукописей | 37 |
| ე. ხოშტარია-ბროსე — ქართული დიპლომატიკა, მიღწევები და პერსპექტივები | 42 |
| Э. В. Хоштария-Броссе — Грузинская дипломатика, достижения и перспективы | 48 |
| ე. გაბაშვილი — ბაღდადი IX—XI საუკუნეების ქართულ წყაროებში | 63 |
| B. H. Габашвили — Багдад в грузинских источниках IX—XI веков | 79 |
| ბ. გიგინეიშვილი — ძველი ქართული ენის გრამატიკიდან | 80 |
| Б. К. Гигинейшвили — Из грамматики древнегрузинского языка | 94 |
| ლ. ახობაძე — „გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრების“ ორი ქართული რედაქცია | 95 |
| Л. Т. Ахобадзе — Две грузинских редакции «Жития Григория Акрагантского» | 101 |
| ბ. ქაჯაია — ბასილი დიდის მარხვის საკითხავები ქართულ კრებულებში | 102 |
| Н. Я. Каджая — Постные чтения Василия Великого в грузинских сборниках | 108 |
| მ. სურგულაძე — დროისა და სივრცის კატეგორიების ამსახველი ფორმულები ქართულ საისტორიო საბუთებში | 109 |
| M. K. Сургуладзе — Формулы, обозначающие временные и пространственные категории по грузинским актовым источникам | 114 |
| მ. ქაცთარია — ყაფლანიშვილთა სახლის გენეალოგია | 115 |
| M. K. Кавтария — Генеалогия феодального дома Орбелиани (Каплианишвили) | 147 |
| ბ. მშვიდლო ბაძე — ქართული საისტორიო საბუთების კატალოგიზაციისათვის | 148 |
| Н. А. Мшвидобаძე — К вопросу каталогизации грузинских исторических документов | 165 |
| დ. ლომიძე — უცხოეთიდან მიღებული ზოგიერთი მასალა საქართველოს ისტორიის შესახებ | 156 |
| Д. И. Ломидзе — Некоторые исторические материалы по истории Грузии из зарубежных древнехранилищ | 176 |

ს ა ა რ ჩ ი შ ი მ ა ს ა ლ ა

| | |
|--|-----|
| არნ. ჩიქობავა — რამდენიმე სიტყვა ილია აბულაძის მოსაგონრად | 192 |
| A. C. Чикобава — Несколько слов в память И. В. Абуладзе | 192 |
| ე. ქაცთარაძე — აკაკი შანისძის ერთი წერილი დავით ყიფშიძისადმი | 195 |
| Э. А. Кавтарадзе — Об одном письме академика А. Г. Шанидзе к историку Д. А. Кипшидзе | 198 |
| | 213 |



ნ. ყანჩაველი — ერთი დოკუმენტის შესახებ ევგენი ვეიდენბაუმის არქივიდან 199
 Н. Т. Канчавели — Об одном документе из архива Э. Г. Вейденбаума 203
 Л. И. Метревели — Общественно-политическая и культурная жизнь Гру-
 зии и Закавказья с 1888 по 1917 гг. в дневниках Вейденбаума 204

ი ნ ზ ო რ მ ა ც ი ა

შემოსული წიგნები და წერილები 208

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3373

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
მხატვარი გ. ნადირაძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექნიკური ნ. ოკუჯავა
კორექტორი გ. გრძელიშვილი
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 2.2.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.7.1987;

ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;

გარნიტურა ვენურის; პირობითი საბეჭდი თაბახი 18.9;

პირ. საღ. გატ. 19.1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.8;

უე 00999;

ტირაჟი 1000;

შეკვეთა № 520;

ფასი 2 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

МРАВАЛТАВИ, XIV
ИСТОРИКО-ФИЛОЛОГИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ
(На грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1987

37